

გუნამ ხახიმდირი



ხსო სოცოცხო

გურნამ ხახაიძე

ხა

სივლითი

თბილისი  
2020



**გულნაზ ხარაიშვილი**  
(ცისკარელი)

© გ. ხარაიშვილი, 2020  
ISBN

### მ ა ჯ შ ი ს ა ი ხ ა მ ი ჯ ე ა ბ ი

წმინდა წერილის მიხედვით, სიბრძნე, შემოქმედებითი ნიჭი, რწმენა, წინასწარმეტყველების, სასწაულმოქმედების უნარი, საერთოდ, ცოდნა სულიწმინდის მადლია (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12,7,8,9,10)(374).

პავლე მოციქულმა გამოარჩია „რწმენა, იმედი, სიყვარული“ და სიყვარულს მიანიჭა უპირატესობა: „...მათგან სიყვარულია უმეტესი“ (I კორნთელთა, 14,13).

დანტე ალიგიერი მშვენიერებას და უკვდავებას უზენაესის მადლის გამოვლინებად მიიჩნევდა: „მადლი უფლისა, მოკლებული მოშურნეობას, გარს მიმოაბნევს ღვთაებრივი ცეცხლის ნაპერწკლებს, აჩენს ყოველგვარ მშვენიერ და უკვდავ ქმნილებას), („ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ. 1941 გვ. 303).

ილია ჭავჭავაძესთვის პოეზია ერთდროულად არის ღვთის მადლიც და ტვირთიც: „პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, – რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს“ (სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე 25 აპრილს, 1893 წელს).

ეს ღვთაებრივი მადლი იმედის და სიყვარულის მშობელია.

ანა კალანდაძე ამბობს: „ცათა მალალთა მადლი, შუქ-მონკრიალუ სიმით გარდამოხდება მინად, გარდამოაფენს იმედს. ითინათინებს იგი შურთა ფარულთა მიმართ, რომ

მინისა და ზეცის კვლავ სიყვარული ისმის“ (ცათა მაღალთა მაღლი).

ამ დიდ წინაპართა გზაზე მავალი პოეტია გულნაზ ხარაიშვილი. მისი თერთმეტი პოეტური კრებული მადლით არის გამორჩეული. ის განსაკუთრებულად უფრთხილდება მამა გაბრიელის საფლავიდან წამოყოლილ მადლს, რომლის ძალამ პოეტად აქცია.

მრავალტანჯული, საკუთარი სახლ-კარიდან ომის პერიოდში იძულებით წამოსული ქალბატონი, რომელსაც „დარდის პირამიდები“ („დარდის პირამიდები“ მისი ერთ-ერთი კრებულის სახელწოდებაა) აჰკიდა ბედისწერამ, ღვთის მადლმა გადაარჩინა, ნიჭი, იმედი მოუვლინა მხსნელად და „დარდის კაბის“ ნაცვლად „მადლის კაბით“ შემოსა. „მადლის ხე“ ამოუვიდა სულში, „მადლის სახლი“ ააშენებინა, სადაც „სულით მშიერი“ ადამიანები შეიფარა, „სინმინდის მანტია“ მოისხა, გულის სისხლით ააგო „ფიქრის სახლი“, კალმით ხნავს „ფიქრის ბელტებს“, სულის მკურნავი ჯეჯილი ამოჰყავს, სულით მოგზაურობს ზეცაში, როგორც გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, ნიკო სამადაშვილი, წარმავლისა და მარადიულის გარჩევა ისწავლა, არა მაცდური წუთისოფლის, არამედ უკვდავების წამალს ეძებს, „სუფთა წყაროს“ ენაფება, ლექსით მარსზე მოგზაურობს, „კოსმოსს მართავს“, მთად აღუმართავს – ფიქრები, მძივებად აუსხამს იმედები, „უკვლევ გზას“ მისდევს, ლექსია მისი „წამალი“, ლექსით დაამარცხა მარტოობა, ერის დარდის თანაზიარი გახდა, ცრემლით განბანა და განკურნა ქრილობები, ხელმეორედ დაიბადა, არა ოქრო-ვერცხლი, არა ბრილიანტი, არამედ სიკეთე, სიყვარული, მართალი სიტ-

ყვა დასახა ყველაზე დიდ სიმდიდრედ: „რალად მინდა თუნდაც ოქრო სხვისი, სანუგეშო ხმები მესმის ციდან“ (უნდობლობა).

დასაბამიდან მთელი კაცობრიობა, ველური თუ განათლებული, მიდიდარი თუ ღარიბი ძრნის სიკვდილის შიშით, გულნაზ ხარაიშვილმა კი სამუდამოდ დაამარცხა გარდაცვალების შიში, რადგან იწამა, რომ მხოლოდ სხეულია მოკვდავი, სული კი მარადიულია, რომელსაც ზეცაში ელოდება განკითხვა და თუ უცოდველია, უკვდავებას ეზიარება. პოეტ ქალს არ ეშინია საღვთო სასამართლოზე წარდგომის და სასჯელის, რადგან ღვთის მცნებებს ერთგულად იცავს და მთელი ცხოვრება სიკეთის მსახურებაშია.

„მადლის პირამიდების“ ამგებს ერთი შეხედვით უცნაური, მაგრამ ძალზე გონივრული იდეა ებადება: დაწესდეს სიყვარულის, ერთგულების პრიზი, რაც ხელს შეუწყობს ამ ცოდვილ დედამიწაზე სიკეთის, სიქველის მომრავლებას.

უპოვარი ქალბატონი დიდი ქველმოქმედია, მოხუცებულთა თავშესაფარს ხშირად სტუმრობს, გულუხვად ურიგებს მათ სიყვარულს, სათნობას, ქუჩაში კი უცრემლოდ და უყურადღებოდ არასოდეს ჩაუვლის სამათხოვროდ ხელგანვდილთ, რა ასაკის ან ეროვნებისაც არ უნდა იყონ ისინი.

მის მოღვაწეობას წარმართავს „ნიჭი და ჭკუა“, პოეზიაში მთავარ კრიტერიუმებად მიიჩნევს რელიგიურობას, ეროვნული იდეალების მსახურებას, დინების წინააღმდეგ სვლას რადგან დარწმუნებულია, რომ ამაქვეყნის მესაჭეები ხშირად მრუდე გზით მიდიან. მისი ამოსავალია წარსული, აწმყო, ობიექტური, უკომპრომისო გან-

სჯა თანადროული მოვლენების და უცდომელი თვალსა-  
წიერით ჭვრეტა მომავალი დროის.

პოეტის ცრემლებს ია ამოჰყავს (როგორც გიორგი  
ლეონიძის „ნატვრის ხეში“).

სულში ნაძვი ამოსვლია (ნაძვი ქრისტიანული სიმბო-  
ლიკის მიხედვით, სიცოცხლის ხის, ანუ ღმერთის, სიმ-  
ბოლოა), სულში მუხის და ვენახის ტოტს იფარებს). ვე-  
ნახი უზენაესის, სიტყვა მუხა კი – ერის სიმბოლოა. ბა-  
ზარზე ხშირად მღვრიე წყალი თუ უგემური ღვინო ფა-  
სობს, რაზედაც სწუხდა ანა კალანდაძე და თვისი „ზე-  
დაშეს“ დაუნახაობაზე, მინიშნებდა ბრბოს.

გულნაზ ხარაიშვილის მახასიათებელია „სუფთა ბა-  
დაგის ზედაშე“.

პოეტის „სული ეჟვანს იწყვეტს და ახალგაზრდებს  
მოძღვრავს: „სულით არავინ გნახოთ მშიერი“. სიყვარუ-  
ლი, ერთგულებაა მისი კრედო.

ჭემმარიტი მწერლობა ყოველთვის მამხილებელია,  
ცხოვრების ავ-კარგის სააშკარაოზე გამომტანი, ქვეყნის,  
ერის სულიერი გაჯანსაღებისკენ მიმართული.

„არა მარტო ტკბილ ხმათათვის გამომგზავნა ქვეყნად  
ცამა“, აცხადებდა ერის სულიერ მამად აღიარებული  
ილია ჭავჭავაძე.

გულნაზ ხარაიშვილის უცდომელი თვალით ხედავს  
და ამხელს იმ მანკიერებებს, რაც ერის ყოფნა-არყოფნის  
საკითხს უკავშირდება.

ჩვენი სამშობლოს უპირველესი სატკივარია სატანი-  
სეულთა მომრავლება შინ და გარეთ, ერის გადაშენების  
საფრთხე: „ბრდღვინავს სატანა, გვემუქრება გადაშენე-  
ბით“ (და მე კი არა).

სამნუხაროდ, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის და კულტურის მქონე, უძველეს ბიბლიურ-ქალდეველთა შთამომავალი, „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი ერი ქედს იხრის ყოველივე უცხოურის წინაშე.

მავანთა გულში ჩამქრალა მამულის ერთგულების ცეცხლი და დიდი ნაწილი უცხოეთში გადახვეწილა ემიგრანტებად, განსაკუთრებით საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას განდევნის, სახელმწიფო დანაშაულებრივი გადატრიალების და თავისუფლების მებაირახტე ადამიანის საიდუმლო ვითარებაში აღსრულების შემდეგ.

პოეტი აღშფოთებულია მამულის, დაცარიელების პროცესის და ავისმოსურნე გადამთიელთა მომრავლებით, რამაც სათავე დაუდო ჩვენი ეროვნული სიმდიდრის სხვათაგან დაპატრონებას: „...რაც თქვენ წახვედით, ქართლის ვაზი მტერმა გამისხლა“ (ემიგრანტი).

სოფლის მეურნეობით, მევენახეობით მსოფლიოში ცნობილ ქვეყანას, მის მოსავლიანობას კრიზისი დასდგომია: „...მიმოიფანტეთ, ვაზი მთლიანად გავენახარდა“ (ლამაზი სცენა),

ჯერ კიდევ როდის იყო მტრის დევიზი „უქართველო საქართველო“, რაც ჩვენს თანამემამულეთა გულში ტყვიის დახლის ტოლფარდია: „უქართველებოდ საქართველო? ეს შეიძლება?“ (მოდი, მესროლე).

ურთიერთთანადგომა კი არა, გათითოკაცება გამხდარა მავანთა დევიზი და „არ ჩანს საქართველოს ჭირისუფალი“ (გაუნტალობა).

და ეს იმიტომ, რომ მედროვეებს „ვერ გაუყვიათ სკამები, ის ხელით დასალენები“ (ხშირად განუხებ).



ადამიანები მათხოვრებად ქცეულან, გული აუყრიათ მშობლიურზე, უცხოთა კარვებში შეხიზნულან (ამიტომ).

და აი, გულის მომკვლელი, უნუგემო ვითარება: „...საქართველო თოვლქარს მიაქვს. არ ჩანს პატრონი. ვდარდობ, სხვები მოვლენ, ჯერ რაღა გვაქვს, წაგვნიკნიან მიწებს. ვნუხ, სამშობლო ამ კამათით მოკლულია“. ეჰ, სირცხვილით ტირის ქართლის დედა. რით ვუშველო, სიძულვილი ბორგავს, გული ტირის, გული დარდით კვდება, რუსთაველი ბარიკადებს მოჰგავს“ (ნეტა როგორ).

ირგვლივ თვალცრემლიანი დედების გოდება ისმის (ბევრი მომრავლდა).

მტერს მავთულხლართები აქვს ძირძველ ქართულ მიწაზე, სამაჩაბლოში გავლებული, ჩვენი ბალ-ვენახიდან ქართველებს იტაცებს, აპატიმრებს ფულის გამოძალვის მიზნით. ასეთი „პროექტის ავტორს“ პოეტი „გველს“ უწოდებს და მომავლის მსჯავრს უწინასწარმეტყველებს ბოროტების იმპერიის მესვეურების (პროექტის ავტორი).

თვითონაც „კუთვნილ მიწას დაშორებული“ პოეტი უფალს ევედრება: „უფალო, დამიბრუნე ჩემი მიწა, სამაჩაბლოს ია. არ გთხოვ ბრილიანტს და ოქროს, ფინჩხიც მე არ მინდა სხვისი, სიყვარული დამაქვს „ლოგოდ“, ეს მაქვს დედის მზითვი“ (უფალო, დამილოცე ყველა).

„ერის დარდის თანაზიარი“ პოეტი თავის შთამომავალს ურჩევს: „ეკალი კი არა, ვაზი დარგე შენს ეზოში“ (თუ ვიცოცხლე გენაცვალე).

ღმერთს ევედრება გადაარჩნოს „საჯიმე ნერგი“ (დაისია).

პოეტის ნატვრაა: „საქართველოში გამეფდეს ერთგუ-

ლება და ძმობა, ქარი არასდროს გაცოფდეს, ძმებს აღარ ჰქონდეთ მტერობა“ (სანთელი), „ქართველს ქართველი უყვარდეს“ (ნატვრა).

მხოლოდ და მხოლოდ უნუგეშობის გამომწვევი ფაქტებია ირგვლივ: „ჩემს ერში ყოველდღე ჩხუბი და შარია! გიყუროთ? როდემდე? შიმშილობს ქვეყანა, წლობით და თვეობით დედა შვილს შორდება. უჯობდათ, გულ-მკერდში ნემსები ეყარათ, მათ თვალზე ცრემლები ხომ სიმნრით გორდება“ (დაფიქრდი, ქართველო!).

და ისევ და ისევ სამხილებელი და არა შესაქები ვითარება: „ცოტა შერჩა ქვეყანას ერის ჭირისუფალი. სხვის მიწებში ვაზსა ვრგავთ, ჩვენსას ვჩეხავთ ნაჯახით. დაიკეტა სახლები, ხავსი მოკიდებია. დაყმუიან ძაღლები, პატრონს ელოდებიან.“

სამაგიეროდ, საქმოსნები ლაღობენ, მაძღრად არიან, მათთვის უცხოა „სულის შიმშილი“, „მაძღარს ლექსი არ შია“, არც სხვისი დარდი აქვს (ჩემი ბედი ეს არის).

„ხანძარია ირგვლივ, ხანძარია სულში“ (ავი ხალხი).

„ჩემს მამულს კვლავ ყვავ-ყორნები ესევიან“ (დამიშალეს).

ამაოა შეგონება: „ოღონდ იბარტყე, პურის ჯეჯილო, მტერი არ უნდა გავაჯეჯილოთ“ (ოღონდ).

უარყოფილია მაღალზნეობრივი ტრადიციები, ნავიდა ის დრო, რაც „ვერას გვაკლებდა გადამთიელი. მე მენატრება ის დრო, ის ღამე, ახლა ქუჩაში დარბის ჩინელი, დრო მიდის, მოდით, მირჩიეთ რამე, ჩვენ რას გვიშველის გადამთიელი“.

და ისევ სასონარკვეთილი ღაღადი: „ვცდილობ გავჩერდე ისეთ განედზე, არ გაგვდევნიან სადაც ქართველს“

ლებს... ანდა აჯობებს, დავრჩე მთვარეზე, ჰგავს ჩემი მინა მტრისგან ნართველებს“ (გაყინულ დროში).

ერთდროულად შემოდის გულში ტაოს, ხერთვისის, 9 აპრილის ტკივილი. და კიდევ: „შავ ზღვას ისევე უცხონი ეტრფის, სამაჩაბლოში მიწები ოხრავს“ (დავინტერესდი).

მტერს სურს უქართველო საქართველო, უქართველებოდ თბილისი, საერთოდ, „ნოყიერი მიწით სულის ნაყრობა. არ აქვს საზღვარი მტრის ამ ნაბიჯებს და უსამართლოდ ბილიკთა თელვას, ახლაც სხვა ეტრფის ყვითელ ნარინჯებს, ზღვა პატრონს ელის, ტირის და ღელავს“ (ზღვა პატრონს ელის).

საჭიროა სულში, მინაზე ეკლის თიბვა, ლაღადებს პოეტი.

იმედად მხოლოდ ღვთისმშობლის წილხვდომილობა დარჩენია: „დაგვიფარე, ღვთისმშობელო, დაგვიფარე, თითქმის ყველას ბანკების აქვს სესხი. საქართველო შენს უბეში შეიფარე, ერი უკვე შიმშილობს და კვნესის“ (დაგვიფარე).

გულნაზ ხარაიშვილი რელიგიური პოეტია, სულიწმინდისაგან ხელდასხმული, მამა გაბრიელის მადლით გამობრძმედილი, წმინდა ნინოს ჯვარს შეფარებული: „მადლობა უფალს, მფარველი არის გაბრიელი და წმინდა ნინო“.

მისთვის მახლობელია „სულეთის ნაზი მისტერია“, სულის მართვა: „ჩემი სულის მეპატრონე გავხდი, მშვიდად ვსუნთქავ, რადგან ქარი ჩადგა, აქამდე კი მშიშარა ბავშვს ვგავდი, ცის მშვილდი ვარ, ძირს ფეხს აღარ ვადგამ“ (ჩემი სულის მეპატრონე გავხდი).

რაც მთავარია, სიკვდილის შიში დაძლია, სიკეთით, პოეზიით, მადლით: „სიკვდილი მოვკალ, ამიტომ აღარაფრის მეშინია, ვგავარ რკინის ფარს“ (სიკვდილი).

„მსოფლიოს გლობუსს საგულეში თამამად ვიტევ“, ამბობდა გალაკტიონი.

„მე ვარ მდიდარი, ვფლობ მთელ სამყაროს“ (რა მდიდარი ვარ), ეპასუხება დიდ წინაპარს ჩვენი თანამედროვე.

პოეტები სულით მოგზაურობენ მინაზე, ცაში, ზესკნელ-ქვესკნელში, ხილულ თუ უხილავ სამყაროში, ჯოჯოხეთში თუ მიღმურში.

„პოეტი ვარ, ვმოგზაურობ ხშირად მარსზე“ (დამიშალეს), „მიღმიერსაც მივწვდი ფიქრით“, აცხადებს გულნაზ ხარაიშვილი და გვახსენდება ტერენტი გრანელი: „...ვსაუბრობ ვილაც მარსიანელთან“, „მარსის წიაღში შემიყვარდა მე გაქანება“...

გალაკტიონს შეეძლო გადაესერა „აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის გზები“, ემოგზაურა კოსმიურში.

სულიერების და ხორციელის განსხვავებაზე, ამ ორი სანყისის გათიშვაზე საუბრობენ ჩინელი და ინდოელი ფილოსოფოსები, იოგები.

„კარგა ხანია სხეულიდან გამოვედი, ჩემსავე სულში დავიდე ბინა, ხორციელებიდან წამოვედი, ნეტავ იცოდეთ, რა მშვიდად მძინავს“ (აღსარება).

მაგრამ ამ მდგომარეობის მიღწევისათვის აუცილებელია სიკეთე, მადლი: „სულის საჭურჭლის ამოვსებას მადლით ვაპირებ“, წერს პოეტი.

„მზის მკლავებს“ ეყრდნობა, „სუფთა წყაროს“ ეწაფე-

ბა, სულით მოგზაურობს: „სულის არე ათინათს, დიდხანს ემოგზაუროს, მთვარის სიზმრებს ვნახულობ“ (დროვ, არ გამინაპირო).

ქედმაღლობის, „განდიდების მტერია“ (ვგრძნობ).

მისი „უფალი სიყვარულია“, როგორც წმინდა წერილში: „...ღმერთი სიყვარულია“ (იოანე, I, 4, 8).

სჯერა, წმინდა სულები ცაში მკვიდრდებიან: „მინდა გულით მსურს ცაში წავიდე“ (ცა მოწმენდილზე).

„გიყვარდეთ მტერნი თქვენნი“, შეგვაგონებს ბიბლია.

„სიკეთით სძლიე შენს მტერსა, ერიდე სისხლით ზღვევასა: სულგრძელობითა ძლევა სჯობს ვაჟკაცობითა ძლევასა“ (დამაკვირდი), გვმოდვრავს ილია ჭავჭავაძე.

ქრისტიანული მრწამსი მსჭვალავს ილია ჭავჭავაძის სტრიქონებს: „კეთილი ფარად უფარე შენთვის ბოროტის მდომსაო, მაღლისა წყაროს მასმევდე ცოდვის გუბებში მდგომსაო“ (დამაკვირდი).

ასეთი ჰუმანური მრწამსი ავსებს გულნაზი ხარაიშვილის პოეზიას. „მინდა საერთოდ მტერიც დავლოცო, წმინდა გულით მსურს ცაში წავიდე“ ცა მოწმენდილზე.

სიკეთის პრიმატს ასე გამოხატავს: „მზის შუქს წავყევი, მზემ სხივების კაბა ჩამაცვა“ (ლამეს დავშორდი).

მისი იდეალია მზის, დღის შვილები და არა ლამის ან ბნელის.

პოეტისთვის უცხო არაა დიდაქტიკური შეგონებები: „სხვისი ცრემლებით არ გაიხარო, არ დალიო სხვისი მღვრიე წყალი“...

„გავხდი ყველას დიდი დედა, ბედთან აღარა ვარ ვალში“...

„მაღლის ხე მაქვს გულში ამოსული, ვიცი, მალე გა-

მოისხამს ნაყოფს“ (ბედისწერა), ამბობს გულმართალი პოეტი და შეუძლებელია არ ერწმუნო მის სინრფელეს.

მინიდან ცისკენ, ციდან მიწისკენ ყურება ხელენიფე-  
ბა.

„დარდო, კეთილი საქმით მოკლულო, სულს გული  
წმინდა ხატებთან მიჰყავს“ (დარდი), ეს უკვე ყავღგაუს-  
ვლელი ჭეშმარიტებაა.

სიკეთე, პოეზია, რწმენა, სხვაზე ზრუნვა უნდა იყოს  
სიცოცხლის მიზანი, „ცაში გაშლილი ცისარტყელა ნინოს  
ხელია, რწმენის გარეშე თვით სიცოცხლეს არაფერია“  
(ბედისწერა), ამბობს რწმენით გასხივოსნებული პოეტი.

მისთვის აზრიანი, მაღალი იდეალების მსახურების  
მაგალითია მსოფლიო რეკორდსმენი და მსოფლიოში  
მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა, რომელმაც მართებულად  
წაიკითხა სიცოცხლის წიგნი და მთელ კაცობრიობას გა-  
აცნო საამაყო ქართული გენი, მისი შემართება, ნიჭიე-  
რება. მასაც თავის დროზე ღმერთის მაღლი, უზენაესის  
გამოცხადება აგულიანებდა დიდი, საშვილიშვილო საქმე-  
ებისთვის და ჩააგონებდა ხალხის სასარგებლოდ, სიკე-  
თისთვის გაეხარჯა ის ზებუნებრივი ენერგია, რომელიც  
უფლის გამოცხადებამ მიჰმადლა.

გულნაზ ხარაიშვილმა შემთხვევით როდი დააარსა მისი  
სახელის აკადემია, რომელიც მართლაც „მაღლის სახლია“,  
ხოლო ამავე აკადემიის ჟურნალი „ათინათი“ – „სულის  
რთველია“.

ბიბლიის მიხედვით, ცხოვრება აბოზოქრებული  
ზღვაა, რომელსაც უძღური ვერ უმკლავდება: „ბოროტე-  
ულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ

წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფს და ტალახს“ (ესაია წინასწარმეტყველი) (75,20).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ამ ზღვაზე გადასასვლელია ძელი, გემი, რწმენა, ჯვარი.

„გადავიარეთ მრისხანე ზღვები“, გვამცნობს გალაკტიონი.

გულნაზ ხარაიშვილი აფრთხილებს მცირედმორწმუნეს: „გაგიჭირდება ზღვის გემის მართვა, ქარს საბურთაოდ სჭირდები მხოლოდ“)(ნუ ბაირალობ).

პოეტის შემოქმედებაში მრავლად გვხვდება ბიბლიური პარადიგმები.

ხშირად იგავებით არის საუბარი ცბიერ, წამგლეჯ, უსინდისო მედროვეებზე, რომელთა მიზანი მხოლოდ „მეფის კარზე“ მოხვედრა, მუცლის ამოყორვა და ჯიბის გასქელებაა: „ქუჩები“ მგლებით და ტურებით სავსეა, მელა ყველაზე მოხერხებულთა, იტყუება და შარბეა, ცბიერებით მუდამ მეფის კარზეა“.

მაგრამ ცხვრის ტყავში გახვეულმა მგელმა არ იცის, რომ ცაში, უზენაეს სასამართლოში განიკითხება და ყველაფერზე პასუხსაგებს: „მხეცი ცხვრის ტყავში... ტურა...“ რომელიც „სამსჯავროზე ავა ცაში, გამკითხავი იქ დახვდება, დაახრჩობენ ცოდვის კვამლში, სული სიმწრით ამოხდება“ (მგელმა კბილი გამკრა).

პოეტს ჩაესმის ყვავების ჩხავილი, გულს კორტნიან ყვავ-ყორნები, მაგრამ ბოროტებით დღეს მოიკლებენ, როცა უზენაესთან განიკითხებიან, ჯოჯოხეთი დაებედათ.

ხოლო წმინდა სულის ადამიანები „სიკეთის ესენციით“ იცოცხლებენ მარადჟამს.

„ნიჭს ჭკუა თუ დაუზავდა, ვავსებ ტრფილის ელექსირს. ზოგჯერ ტერეზაც მიწოდეს, დარდიანს კურნავს ალერსი“ (ეს ყველამ უნდა იცოდეს), ამბობს პოეტი და მისი ადგილსამყოფელი მართლაც სიყვარულის სამეფოა.

კრებულის მიხედვით და საერთოდაც სიკვდილის მოკვლის საშუალებაა სიკეთე, შრომა, შემოქმედება, მადლის თესვა. აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტებაა პოეტის განაცხადი: „სიკვდილი მოვკალ, ამიტომაც აღარაფრის მეშინია, ვგავარ რკინის კარს“ (სიკვდილი).

მარადიული პრობლემა სიცოცხლისა თვით სათაურშია გამოტანილი და მასაც დამაჯერებელი პასუხი ეძლევა...

ლუარა სორდია  
პროფესორი





### წინასიტყვა წიგნისა - "ხაა სისოსხაე"

თავიდანვე ვიტყვი: დიდად გამახარა იმ ამბავმა, რომ გულნაზ ხარაიშვილის წიგნის ერთ-ერთი რედაქტორი ვარ. ეს ავტორი, ეს წიგნი, განსაკუთრებულია ჩემთვის.

ქალბატონი გულნაზი, როგორც პოეტი და საზოგადო მოღვაწე, აღიარებული პერსონაა. მის მიერ შექმნილი აკადემია, ანთოლოგია, ჟურნალი და კიდევ მრავალი რამ მეტყველებს მასზე, როგორც საზოგადო მოღვაწეზე. ხოლო როგორც ხელოვანი, ის ათზე მეტი წიგნის ავტორი გახლავთ.

მისი პოეზია, – პოეტური სახეებით გაცისკროვნებული, მღერადი, გრძობითა და აზრით დატვირთული... ტკივილიანიც და ტკივილთა დამაამებელც... ნამდვილი, უაღრესად ნამდვილი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თუნდაც წიგნების სათაურები ქალბატონი გულნაზისა.

საერთოდ, სათაური ბევრ რამეზე მეტყველებს, ძალიან მნიშვნელოვანია და მე მიყვარს სათაურთა, სახელწოდებათა მოგონება. მიუხედავად ამისა, ჩემი მოფიქრებული სახელწოდებანი არამყარნი მგონია. მაგალითად: არაერთი სათაური დავარქვი მთელს ჩემს შემოქმედებას ერთობლივად, ისევე, როგორც, მოგვიანებით, – ცალ-ცალკე, ჯგუფ „ზღვარის“ სხვა წევრთა, და, მთლიანად, ზღვარელების მთელს შემოქმედებას. მაინც არამყარნი, შესაცვლელნი მგონია ეს დიდებული სათაურებიც კი...

რაც შეეხება ქალბატონი გულნაზის წიგნებს, მათი უმეტესობის სათაურები მთელს პოემებს იტევს თითქოს, ხოლო შემდეგ, როცა გაყვებით სტრიქონებს, თქვენ შეხვალთ ცოცხალ შენობაში, სასახლეში, რომელსაც გული ძალუმად უცემს. ესაა ფიქრის პოეზია და ცრემლის პოეზია, ღიმილისა და ცრემლის დიდებული პოეზია...

უსაზღვროეთი (უსაზღვროება) ჩემი ერთ-ერთი რჩეული სიტყვაა. უსაზღვროეთი ყველას და ყველაფერს იტევს, რადგან იგი სამყაროა, თვით სამყაროზე მეტიც კი არის.

თუ პოეზიას ღმერთად გავიზიარებთ, მას საზღვრები არ ექნება. ფერთა (ბგერათა) ნიგნს, სიტყვათა ნიგნს, სიტყვის მიერვე შექმნილს, ანუ სამყაროს, ღმერთად გააზრებულს, საზღვრები არა აქვს. სიტყვა – ნიგნი, უსაზღვროეთი, უსაზღვროება არის სამყარო, თვით პოეზიად გააზრებული. კიდევ ბევრი, ბევრი რამის თქმა შეიძლება ამ თემაზე...

სწორედ უმაღლეს ხელოვნებას – პოეზიას შესჭიდებია თაობათა ერთ-ერთი გამორჩეული მასწავლებელი, ქალბატონი გულნაზი, აგერ ამდენ ხანს. მას უამრავი ადამიანი ეძახს დედას, რამეთუ ყველას გზისგამკვალავი, უთბილესი ადამიანია.

და სწორედ ეს სიტბო აქცია აზრად, პოეზიად, აი, – მისი ახალი ნიგნი, მისი ახალი გამარჯვება!..

ჩემმა წინასიტყვაობამ, გარკვეულწილად, ფილოსოფიური (პოეტურ-ფილოსოფიური) ხასიათი შეიძინა. უსაზღვროების ხსენებაც, სამყაროს ნიგნ-სიტყვად გააზრებაც და სხვა წიაღ-სვლებიც დამჭირდა თუნდაც იმიტომ, რომ მეთქვა:

ჩემთვის, პოეზია სამყაროა, მეტიც არის.

ხოლო ეს წინასიტყვაობა პოეტს ეხება, ჩემთვისვე გამორჩეულ პოეტსა და პიროვნებას, რომლის შემოქმედება ბევრის-მთქმელია უაღრესად. ქალბატონი გულნაზი, თავის თავს, საზოგადო მოღვაწედ უფრო მიიჩნევს მგონი, დიდ პოეტად არასდროს ჩაუთვლია თავი, მაგრამ მისი ხელოვნება ნამდვილად არაა ისე ამრტივად აღსაქმელ-გასააზრებელი, როგორც შეიძლება მოეჩვენოს საქმეში ჩაუხედავ ადამიანს. არა, ეს დიდი ფიქრის თემაა, დიდებული ხელოვნებაა.

ვულოცავ, ქალბატონ, გულნაზს, ახალ ნიგნს და ვუსურვებ, რომ კიდევ ბევრჯერ გაეხარებინოს მას მკითხველთა გულები!..

სერგი ლომაძე  
პოეტი



## უზამო ჯამიოსე ყვეა

უფალო, დამილოცე შვილნი,  
დაბლაც და მალლა ცაშიც,  
შეუღლებულნი წყვილნი,  
არსად მომიხვედრო ქარში!  
უფალო, დამილოცე ერი,  
შენყდეს ომები და ვიში,  
ვარდებს დაენაცრათ მტვერი,  
სისხლი შერევიათ სხვისი!  
უფალო, დამილოცე დედა,  
აქაც და შორს წასულნიც,  
ყველას გაყოლია სევდა,  
ყველაა დარდმოსხმულნი...  
უფალო, დამილოცე მტერიც,  
ვინაც ამიხანჯლა გული,  
მისი მე არ მიდა მტვერიც,  
მასთან ვარ ვალმოხდილი...  
უფალო, დამილოცე მიწა,  
მიწა დაჯიჯგნული ტყვიით...  
დარდით დარდის ნაწნავს ვინწავ,  
გულს ვერ ამოვიძვრე ხიჭვი!  
უფალო, დამილოცე ურჩიც,  
მეტი არ ესმის და რა ჰქნას,  
მასთან მიტომ ვხდები მუნჯი,  
უყი მიწა მინდა დავხნა!  
უფალო, დამილოცე, ციცქნა,  
წუხელის დედიკომ რომ შობა,  
მიყვარს, მტრისიც იყოს ვფიცავ,  
მიყვარს, თამარიც და შოთაც!

უფალო, დამიბრუნე ჩემი,  
 მინა, სამაჩაბლოს ია...  
 თორემ ჩამომიდგა გემი,  
 საფლავს მომეხვევა ხვია.  
 არ გთხოვ, ბრიალნტს და ოქროს,  
 ფინჩხიც მე არ მინდა სხვისი,  
 სიყვარული დამაქვს „ლოგოდ“  
 კაბა შევიკერე მზისი!

### მზე პირს იბანს

მზე პირს იბანს, სევდის წვეთით,  
 სიცხე წვიმამ გაანელა...  
 გულმა დარდით განაკვეთმა,  
 კვლავ სიცოცხლე გააგრძელა.  
 ცას შესძახა იმედის სხვის  
 წყენა წვიმის დამავიწყდა...  
 მე არავის არ ვუჩივი,  
 წელი შრომით გადამიწყდა.  
 მზეც მჭირდება, სიოც მინდა,  
 სხივებიც და გრილი წვიმაც,  
 გულმა გამოიამიდა,  
 აღარ ვტირი, როგოც წინათ!



## კვიხტი

ცას ღრუბლები შეესევა, ვიცი,  
აღბათ მოთოვს, კვირტმა შემომჩივლა,  
– ხის ტოტებიც მოთბინებით იცდის,  
ღმერთო, იქნებ სული შემარჩინო.  
დავფიქრდი და კვირტს პასუხი გავეცე,  
– რად იჩქარე, ყოფილიყავ ქერქში,  
დღეც სუსხია, სიცივეა ღამეც,  
რას მორბოდი, ამ ცოდვების ცეცხლში.  
გაიცინა კვირტმა ცინიკურად,  
– მე შენ მგონი დახმარება გთხოვე,  
მარტმა იცის, სითბო ეშმაკურად,  
სულ პატარა, მიტომ გამათხოვეს.  
ვატყობ უკვე ვერ ვიხილავ ქორწილს,  
მოყვარული გული მომიკვდება,  
თუ მაჩუქებ, შენი გულის ორ წილს,  
ეგ, სიკეთე, კვლავ წინ დაგიხვდება.  
– მე ეგ ბედი, ნეტავ, სად მაქვს კვირტო,  
მაგრამ რა ვქნა, გნახე, შეგიბრალე,  
პატარა ხარ, ღამაზი ხარ, თოთო,  
მოდო ჩემთან და მე შეგიფარებ!



## ჩემს ეხს გუჯი ხომოხ მოვუხრინო???

ღმერთო, გამითენე ისეთი დღე,  
 რომ კვლავ აგალობდეს ერი ჩემი...  
 ზღვაში ვეშაპი და ურჩხულიც წევს,  
 თვითონ შეადგინეს განაჩენი.  
 ურჩხულს დაუღია დიდი ხახა,  
 ვეშაპს, ზლაზვნით მიაქვს მძორი ტანი...  
 მხეცმა ჩემი მინა დაინახა,  
 ადრეც მინახავს და შევიცანი.  
 როგორ მოვერიო აღარ ვიცი,  
 ან სად გადავმალო ჩემი მინა,  
 ბევრი ნამართვა და ვერ დავიცდი,  
 სისხლით გაიჟღინთა დედამინა.

## სა მოწმენჯიჯი

ცა მოწმენდილზე, ისე აწვიმდა,  
 ცა მზის ნათებას გადაეჩვია.  
 და თქვენც პეპლებო, ფრენა მოგწყინდათ,  
 თუ ნისლთან ყოფნა მართლაც გერჩიათ?  
 ფრთებხატულებო, მშვიდად იფრინეთ,  
 ყვავილებს კოლო თავვივით გახრავს...  
 თქვენ ნაზები ხართ, უნდა იფრთხილეთ,  
 სამ დღეში ისეც მიფრინავთ მალლა.



## წვიმს

წვიმს... და ქარიც გამუდმებით ქროლავს,  
ვატყობ უკვე აღარ გადიკარებს...  
ბელურებმაც მოუმატეს თრთოლვა,  
გულშიც ითოვს, აღარ დაიდარებს.  
რა ვუშველო, ამ ჩიტუნებს ვფიქრობ,  
საცოდავად, ფრთები განკუმპლიათ.  
დედა ჩიტი ბარტყებს ღინღლებს უშრობს,  
ეკლიანი გზებიც გაუვლია.  
გალიები მოვამზადე წამში,  
სახლი ვნახე მისთვის შესაფერი.  
ჩიტმა მითხრა, იმ წვიმაში, მაშინ,  
არ მჭირდება შენი არაფერი.  
მაშ რა გიყო, ქარია და წვიმა,  
გავძლებ თუნდაც სული გამძვრეს წუთში.  
ასე მიჯობს, თავისუფლად მძინავს,  
ვიდრე შენი გალიების ხუფში.

## მეწამბა

(ნაირა უგულავას)

შენი ნიჭით სუნთქავს „ათინათი“  
ამზიანებს... შენი ლექსთა წყარო,  
წმინდა ნინო, უფლის შვილად ჩაგთვლის,  
კეთილო და... ტკბილო, მეგობარო.



## მოდის მესროლა

მოდის მესროლა, დიდი ხანია მკვდარი ვარ უკვე,  
 ოღონდ მომავალს არ ესროლო, გაზარდე გმირად,  
 გთხოვ, გაუფრთხილდი საქართველოს ღულუნა ხუნდებს,  
 თვალს ნუ ამოთხრი შენს ანგელოზს, ასე ნუ წირავ....  
 მოდის მესროლა, გავნადგურდი ამ სიძულვილით,  
 როგორ ღრნი ამ გულს, ვიტანჯები, ვიჯგინი და სერავ,  
 შორს დაფრინავენ, ტოროლები, ტირის ბულბული,  
 ქართული სისხლით იღებება, ფუძე და კერა...  
 სკამი შემძულდა, საკუთარსაც ვარიდებ თვალებს,  
 ხელით დავამსხვრევ, მაგრამ ამით რა შეიცვლება,  
 ან ეს ეკლები, რისთვის ვკაფე, რით მიხდი ვალებს,  
 უქართველებოდ საქართველო, ეს შეიძლება?...

## სამუჯამო აქეთ ახინ ჯამჩხიბი

სიყვარულის მარგალიტებს ვარიგებ,  
 უძვირფასეს, ულამაზესს, საუნჯეს...  
 ძალიან გთხოვთ, წინ არავინ დამიდგეთ,  
 ამ შრომაში წლები უკვე გავრუჯე.  
 სათნოების დიდ სასახლეს ვაშენებ,  
 მარმალლოს კიბებით ასასვლელს,  
 ვაზებს ვრგავ და ღვინოს გასმევთ  
 შარშანდელს...  
 შამანით კი... გადმოვდივარ ალავრდს.  
 საქმე მიყვარს, არა სიტყვის ლიკლიკი,  
 გულის ბალი არის შრომას ნაჩვევი...  
 ჩემთან გინდათ? დაგიტოვებ ბილიკი,  
 სამუდამოდ აქეთ არვინ დავრჩებით!



## ჯაგმოსაგმ

დღეს, ისე დაგლოცავთ როგორც არასოდეს,  
დღეს მე მოვუხმობ ციდან მნათობებს,  
დღეს ჩემი სიტყვა ყველას მსურს გახსოვდეთ...  
გეფერებოდეთ და გათბობდეთ...  
დღეს მტერსაც დავლოცავ, თუმცა მე სადა მყავს,  
სიცოცხლე, ხან ტკბილი და ხანაც მწარეა,  
შვილი არ მოუკვდეს, არც ჩიტებს, არცა ყვავს...  
ცხოვრება მოკლეა, სულ ერთი წამია...  
მიყვარხართ, მახსოვხართ, ვარ ყველას მოკეთე...  
იხარეთ, იმრავლეთ, თქვენს კუთვნილ მინაზე...  
მე ბევრჯერ, გული და მკლავიც კი მომკვეთეს...  
მაისის სითბო ვარ... ასეთი მინამეთ!

**საქართველოს ერთგულებას ვითხოვ...  
თვალს ვადევნებ შორს გაფრენილ მერცხლებს.**

## გუანი

როგორ გაგიფრთხილდე აღარ ვიცი,  
როგორ დაგიმალე, რაც მანუხებს...  
მხოლოდ შენ ერთი ხარ, დადნაფიცი,  
რასაც ჩაგჩურჩულებ მიპასუხებ.  
ვტირი, შენც ტირიხარ არ ჩუმდები,  
გულო, ვერ გაუძლებ ქარს და წვიმას.  
ცრემლთან, შენ მაინც ნუ გაჩერდები,  
თორემ ტკივილებმა დაგამძიმა!

## გუას შესხივა

...ისე ჩუმად გაილია წლები,  
 დაზამთარდა და თოვლი იწყებს მოსვლას...  
 ლოცვით ვდგები, ისევ ლოცვით ვწვები,  
 ფიქრის დღეებს, დარდის კაბა მოსავს.  
 გულს არ დავლლი, უიმედო იჭვით,  
 ყველა დროში ჩემთვის ხომ არ ითოვს,  
 საქართველოს, ვლოცავ სავსე ჭიქით,  
 სხვას არაფერს, ერთგულებას ვითხოვ...

## გამოვიგონებ

გამოვიგონებ ბედნიერების წუთის დღეებს და...  
 შევაკონინებ რალაც იმედს, ცისფერ თვალებას.  
 მერე ავითლი მოთბინების წარსულ თვეებს და...  
 რადგან ქარია ბოროტი და თანაც თავნება.  
 ვერა გავიგე, გამოცდაა, ბედი ხლაფორთობს,  
 არ ვბოროტდები, არ გავხდები გულქვა უგულო...  
 ხო, გულო ჩემო, მეომარო, გრდემლში ნაწრთობო,  
 კიდევ მოგიწევს, ბრმათა ბრბოს, რომ ისევ უყურო.  
 გამოვიგონებ, სილამაზის დღეებს ვარდისფერს,  
 გამოვიგონებ, სიხარულის ციციანათელებს,  
 გამოვიგონებულ სიხარულსაც, მკერდზე დავიფენ,  
 და ყველა დღეებს ისევ ჩემით გავინათელებ.

=====.:====.:=====

გამოვიგონებ....



## გ უ ჯ ი

გული, გამიხურდა როგორც თონე,  
გული, დარდის ცრემლში ალესილი,  
ვშრომობ... ვერაფერიც ვერ ვიშოვნე,  
ვშრომობ, ბედისწერით დანისლული.  
გული, ჯერ დაიჭრა, დასნეულდა,  
მერე მოიხარშა დარდის ცეცხლში...  
მანც არასოდეს დაბნეულა,  
მანც არ გამხდარა სხვისი ლეში!  
გული, გრძნობის ცეცხლშიც გახვეულა,  
ოდეს ბავშობაში აბა რაა..  
მკვახე, მსხალი ქარით დარხეულა,  
მნიფე შეუსანსლავს ვილაც სხვას!  
დედამ იბრძოლეო, დამიბარა,  
შენს ბედს შეერკინე ხარის ძალით,  
თუკი სახე ცრემლმა ჩამოგბანა,  
მანც არ დატოვო სუსტი კვალი!  
გული, ჩემი არის, ჩემს ხელშია...  
ისე თბილი არის, ყინვას ადნობს,  
ახლა გართულია, ლექსებშია,  
ლექსებს საიდუმლო უნდა ანდოს!



## კაბას შეუსვამე უხი

კაბას შეუცვალე ფერი,  
 ლურჯი შეუხამე სევდას...  
 ობოლს გამომიცხვეს კვერი,  
 რადგან აღარ მყავდა დედა.  
 ძმების იმედებად დავრჩი,  
 ქმარიც გამიფრინდა ცაში,  
 ბედი შავ სამოსელს მაჩრის,  
 ჰოდა, გადავყარე მტკვარში.  
 სკივრი გადავხსენი ძველი  
 ჭრელი მოსაცმელი ვნახე,  
 ისიც ცრემლით იყო სველი,  
 ბედმა სხვაც დამიგო მახე!  
 მახე, სეტყვის კაკლით სავსე  
 ყველა ტკივილებზე მწარე,  
 ასეთს ვერ იხილავთ მსგავსებს,  
 ნეტავ მოვეკალი ბარემ.  
 მერე შემეცოდნენ ირგლივ,  
 გული, გამოვკვერე გრდემლში...  
 ვივლი თოვლიანი იღბლით,  
 ბედს კი გამოვგუდავ ცრემლში!  
 მიტომ მოვისროლე, სევდის,  
 შავი რაც კი მქონდა სახლში,  
 გავხდი, ყველას დიდი დედა,  
 ბედთან აღარავარ ვალში.

### მეოცნება ბავშვი

ჩიტის ბუდე ისევ აქ ჩანს,  
ჩიტი გუნდად გაფრენილა...  
გადაყვითლდა მწვანე ფარჩა,  
თავთავებიც ჩაცვენილა.  
სოფლებს მგლები შესევია,  
ცხვრებს და ხარებს გაკრეს კბილი,  
მთა მთის გულზე ასვენია,  
ღრუბლის ფთილით დაფლეთილი.  
რით ვუშველო ღობე-ყორეს,  
ვერ ვპატრონობ სახლს და კერას,  
კუთვნილ მინას დამაშორეს,  
ჩემიც აღარავის სჯერა.  
ბუდეს გვერდი ჩამოშლია,  
ჩიტიც სადღაც კენკავს ნამჯას,  
ვნატრობ სიმინდს ულვაშიანს  
და ვისინჯავ ხელის მაჯას...  
ფეთქავს, მაგრამ სულ ნელი-ნელ  
ვაყურადებ გულის წიკნიკს,  
თვალს მოვავლებ მწვანე ველს და  
კვლავ განვაგრძობ ნაბიჯს წინ-წინ.  
რწმენას რწმენით ჩავეხუტე,  
სიცოცხლე კი ღმერთს მივანდე...  
წარსულს სულ მთლად გავებუტე,  
გამყინა და უნდა დავდნე.  
დავუქნიე ასაკს თითი,  
გავანანი სილა ყბაში.  
მადლი ვარ და მე ვარ მითიც,  
ცად დავფრინავ ლექსის რაშით.

შეიმოსა ჩიტის ბუდეც  
 ბალახით და ბუმბულებით.  
 დარდი მუჭში გამოვგუდე,  
 ჟღურტულებენ გუგულები.  
 ხელმეორედ დავიბადე,  
 მომეშველა ლექსის რაშიც,  
 ფიქრს იმედი დავაბედე,  
 გავხდი მეოცნებე ბავშვი.

### **შექმენით მიხსნაწაგაწა წაქსნაი მგოსნეობ**

მერცხალი მოფრინდა, ჩემს ბალის ეზოში,  
 არ ვიცი ვისა გავს, დედას თუ, მამიკოს.  
 არ ჩახტეს, პირსავსე თავლია ვედროში,  
 გაფრთხილდით, ფართხალა და ცელქი არ იყოს.  
 დედიკო, მოუვლის ჰო, დედა მერცხალი,  
 შეუშრობს, ღინღლებს და ფრენასაც ასწავლის...  
 ჩამომწყდა თვალიდან, თაკარა კურცხალი,  
 ვილოცებ, ხატებთან, გულს ლოცვით გადავღლი.  
 გაგზარდოს უფალმა, მერცხალო, კეთილი,  
 ხშირ-ხშირად ეწვიე, ჩემს სახლის ფანჯრებსაც...  
 გული მაქვს წარსულით, მე გადაფლეთილი  
 და ბევრჯერ უძლებდი, სიტყვების ხანჯლებსაც.  
 მერცხალო, შენს და-ძმას, თვლებში ჩახედე,  
 შენ დედა მერცხალსაც, უსმინე რას გეტყვის...  
 არ აყვე აყვია, უზრდელს და თავხედებს,  
 გული მაქვს ისედაც წარსულით ნასეტყვი.  
 დაგლოცავთ, იფრინეთ, სილალით მერცხლებო,  
 გამრავლდით, დაზარდეთ, ლამაზი ფრთოსნები,  
 ფესვები, გაიდგით, ეზოში ვერხვებო,  
 მერცხლებზე შექმენით ლექსები მგოსნებო.

## საქსიმო ვსოსხაოზ

ლუკმას ვყოფდი ნანილ-ნანილ, შუა-შუა,  
ჩემთვის ნამცეცს არ ვტოვებდი ქვაბში,  
მაინც ყვავმა დამჩხავლა და დამაყრუა,  
ნასიცხ მიწას დავემგვანე-გავშრი...  
გაოვოგნდი და ...ჰაი, ვერც კი შეუყვირე,  
ისე სწრაფად დამიპორტნა გული...  
იმ დედის დღეს, ჩემ თავს თვითონ დაუყვავე...  
ყვავით დავრჩი ნაისრ – დაფატრული!  
ის კი ფრინავს, აღმა-დაღმა, როგორც უნდა,  
ან რა მოკლავს, 100 წელი ცოცხლობს,  
მეკი ფიქრმა, დამახრჩო და გამომგუდა,  
ლქსით ვცოცხლობ. ჩემი ლექსით მხოლოდ!

## იმ, უხილავი საქვახვებიან (მამა გაბრიელს)

მადლი მაფრქვიე, კვლავ ლექსად ვიშვი...  
არ მოველოდი, მეორედ მოსვლას.  
როცა გულს სტკივა, ფიქრს გადაგიშლი,  
მნამს და... იმ, წამსი, საშველად მოხვალ.  
დაჭრილ იარებს შემომიშუშებ,  
მარტოდ არ მტოვებ, საჯიჯგნად ქართან...  
ჩემს გასათბობად, მზე სხივებს უშვებს,  
რომ არ დავიხრჩო, ცრემლების ზღვასთან.  
იმ, უხილავი ლაჟვარდებიდან,  
ერწყმის „ათინათს“ სიმშვიდის ქნარი...  
ლექს ვქმნი, მეორედ დაბადებიდან,  
სამშობლოს გრძნობით გულგადამთვრალი!

**თქვენ ახ გეჭაინოთ**

მე, მეცოდება უტყვი ფურცელიც,  
ჩემს გულს რაცა ღრნის მასაც ვუმალავ...  
ჩუმიად მგორდება ცრემლის კურცხალი,  
რომელმაც უხმოდ სხეულს უწამლა.  
ჰოდა არ ვიტყვი, ლოცვად ვიქცევი,  
ვლოცავ, მოყვრებსა და ვლოცავ, უგულოს...  
ციდან უფალი ყველას უცქერის,  
მე მინდა ყველას თბილად ვუყურო.  
გარდამეცვალა, ქმარი და შვილი,  
ნათესავების მთელი არმია...  
გარდამეცვალნენ მამიშვილნიც და..  
გახსენებები... ძალზე მწარეა...  
ბედის წისქვილთან ამიტომ ვბრძოლობ,  
და შვილმკვდარ დედებს ვესათუთები...  
ჩემს ამ სიკეთეს არ უჩანს ბოლო,  
ახალგაზრდებთან განსაკუთრებით!





ა ი ვ ა ნ ზ ე

ბაჯბაჯებდა მტრედი დილით აივანზე  
და კენკავდა მზით გამხმარ პურს  
ნამცეც-ნამცეც...  
აფრთხილდა, ნეტავ ხომ არ გავაბრაზე,  
მოვიდეს და არასოდეს ხმას არ გავცემ.  
თითქოს მიხვდა რას ვამბობდი, შემომხედა,  
რა საყვარლად გამიყარა თვალი-თვალში...  
შემაჟრჟოლა მტრედის უხმო გამოხედვამ,  
გაფრინდა და ჩავიკეტე ფიქრის სახლში...  
თითქოს გულში ამომგლიჯეს, ერთი ძარღვი,  
სული არის, ნეტავ, ჩემგან რა ეწყინა?  
მოვეფერე, გულს ისევე დარდით დაღლილს,  
და შორიდან მტრედმა თითქოს შემომცინა.  
გამეხარდა, ოი, როგორ გამეხარდა,  
ერთის ნაცვლად, დავინახე შვიდი მტრედი,  
შეყვირებით ლამის ქერი ამეხადა....  
ეს მე ვიყავ, ვერ მიცანი განა დედი?

\* \* \*

ახლა ისეთ ხასიათზე დავდექი,  
მინდა მივწდე ცაში მთვარის ერქვანს.  
თუ სამშობლოს აღარ გამოვადექი,  
მე პოეტი რატომ უნდა მერქვას!

\* \* \*

ყველა თამარს აქვს მზის პენი,  
მშვიდი, მთვარის ეშხით...  
არ მოცილდეთ ქარით ბენვი,  
გრნობით გული ენვით!  
დაიფარე ყველა ერთად,  
ჰქონდეთ მშვიდი დღეო,  
ყველა დედას მათზე ეთქვას,  
არის ჩემი მზეო...

### მტკივა

ტყვიით დაჭრილი ისე არ მტკივა,  
როგორც სიტყვების ნაისრ-ნაკორტნი,  
კეთილმა გულმა კვლავ გაპატია,  
ეშმაა შენი სულის პატრონი.  
მოასწარ აქეთ ყოფნა თორემ იქ,  
ჯოჯოხეთშია შენი ადგილი...  
უფალი ყველას შენც მოგაშორებს,  
ეს არ იქნება შენთვის ადგილი...



### კეთილი პაი

ჩამოუშვებს ციდან ღმერთი, მზის ხელებს და..  
შემოათბოს მხურვალეებით ჩემს გულს...  
არ მასვენებს მტერი მაინც მახელებს და  
თუმცა ქიშპი არავისთან არ მსურს!  
განა ვშიშობ? კეთილი ვარ უსასრულოდ...  
მადლის კაბას გულს სინმინდით ვაცემევ,  
ეგებ მტერმაც თავის მტრობა დაასრულოს,  
ვდუმვარ, პასუხს არასოდეს გავცემ!

### ხაა სისოსხაე

ლექსი ეს ჩემი სულის არეა,  
ქარი ვერ ნაშლის მის ნაფეხურებს,  
ჩემი ბედი კი ო, რა მწარეა,  
დარდის თავშალი მხრებს მომახურეს.  
იმედი მაინც გამოჩნდა ცაზე,  
როცა მერცხალი სახლში მოფრინდა,  
რაა სიცოცხლე, ლამაზ-ტკბილ ხმაზე,  
სიმღერას კაცი თუ მოერიდა.  
და მაინც მადლი დასდევს ნაწერებს,  
ხან მშობელია, ხან მეგობარი...  
სულის საამოდ თუ ვერ დავწერე,  
მაშინვე შესვით შესანდობარი!



**სუა მახსოვდით...**  
(დიდაქტიკური)

ყველას გირჩევთ არ მიხედოთ იმას,  
ვინაც თქვენი გული აგიხანჯლათ,  
ზურგს უკან რომ დედა შეგაგინათ,  
თქვენთვის არა, სხვისთვის დაიხარჯა.  
არ იკადრო, გახდეს მისი მსგავსი,  
შეეცადე, კვლავ სიკეთე თესო,  
ასეთები არის ხეთა ხავსი,  
არასოდეს ხმალი არ ალესო.  
ძნელი არის სწორი გზათა პოვნა.  
შენ გაკაფე, თუკი შეგხვდეს ლელი,  
სულ გახსოვდეს, გარდაცვლილთა ხსოვნა,  
ძირს ნაქცეულთ შეაშვეველე ხელი.  
თუ ქალი ხარ არ დალიო არსად,  
მღვრიე წყალი, ანდა სხვისი წყარო,  
რომც დაგიჯდეს ეს სიცოცხლის ფასად  
სხვისი ცრემლით შენ არ გაიხარო.  
თუ კაცი ხარ, კაცი უნდა იყო,  
ყველაფერში განა მარტო ქალთან,  
ბრმა თუ შეგხვდეს გვერდზე არ გარიყო  
ღმერთი შველის, ალაღს და მართაღს!



## ბედისწეხა

ბედისწერაზე საუბარსაც კი ვერ ვიტან,  
მეუღლე ადრე გარდამეცვალა.  
დავდარდიანდი...  
დავემგვანე მონყვეტილ ტიტას...  
ტირილით ფერი მეცვალა.  
წყვილი საყურეც კი არ გამიჩერდა,  
დამეკარგა...  
ხელში გარდამეცვალა შვილი...  
სიზმარში ვნახე და გამეხარდა...  
ზოგჯერ რა ტკბილია ძილი...

## შუტკაიო

ყველა ფრთოსნებში გამოგარჩევდი,  
ფუტკარო, შენი სარჩო საგზალით,  
სიტკბო რომ იყოს დედამინაზე  
თაფლს შენგან შექმნილს ყველგან დავგზავნი.

შენი მტვერიც ხომ სამკურნალოა,  
ნეკტარს აგროვებ ყველა ყვავილით  
სკა, შენი სახლი, თაფლის კალოა,  
შრომობ შენ უქმად არსად გაივლი.

## საში გაუზიანი ნინოს ხედი

თქვენ მოკრძალებით გაგაფრთხილეთ,  
 მშვიდად... წყრომითაც...  
 პატივი ეცით, წმინდა ნინოს  
 ხატის მშვენებას...  
 მოძლიერდებით რწმენითა და  
 მერე?.. შრომითაც  
 და მოგნათლავენ, ჩვენი ქვეყნის  
 აღმაშენებლად.  
 ხატი დაგიცავთ, წმინდა ნინოს  
 მადლი გენვევათ.  
 ცაში გაშლილი ცისარტყელა  
 ნინოს ხელია,  
 რწმენით აღვსილებს, ღვთის აკვანი  
 გადაერწვევათ...  
 რწმენის გარეშე, თვით სიცოცხლეც  
 არაფერია.



### თამაზაბაჟი ვაჟი

თავმდაბალი ვარ, ერთგულების ხიდან ათლილი,  
ქართული მუხის, მძლავრი ტოტის ერთი ნაფოტი.  
დარდის მდინარე ჩემს გულზეა ბევრჯერ ჩავლილი,  
და ეს ნაფოტიც მტრისგან არის, ნაჯიჯგნ ნაკორტნი.  
ტკივილით ნავენებს გაუსაძლისს, იარებს ვირჩენ,  
გამოვიგონე მე თვითონვე მალამო გულის...  
არც გოეთე ვარ, არც შექსპირი, არა ვარ ნიცშე,  
ქართული ვაზი არის ჩემში, უფლით დარგული.

### სუნიეხების სამყარო

როცა სიმშვიდე დაისადგურებს,  
ქარიც შეწყვიტავს სისინს და ქროლვას,  
მაშინ ვერავინ გაგანადგურებს,  
უფალმა ნიჭიც თუ დაგაყოლა.  
სულიერების სამყაროს შექმნი,  
ლექსების ფრთებით ზეცას მიწვდები,  
აზარფეშდება სიცოცხლის ეშხი,  
ყოფნის სიმდიდრეს მაშინ მიხვდები.



## გამოისხამს ნაყოფს

ღელის პირზე ცისფერთვალა ყვავილს,  
 არ მოუქნევ არასოდეს ნამგალს.  
 გაზაფხულზე მხოლოდ ერთხელ ყვავის,  
 ისე მხიბლავს ჩემს ეზოში დავრგავ.  
 წლების ნარეცხ ქვებსაც დავაკვირდი,  
 ტირის, სეტყვით მკერდი შემოფშვნია,  
 ნიფელსაც კი მოფშვნეტია კვირტი,  
 და აპრილმაც ველარ შეამჩნია.  
 მარადმწვანე შქერებს გამოუსხამს,  
 ბლისმაგვარი შავი ფერის კენკრა,  
 ჩემი ხელით ეკლებს გამოუსხლამ,  
 მოვაცილებ ჭინჭარსა და ეკალს.  
 ვსევდიანობ, დავალ დარდმოსხმული.  
 ველოდები მე უკეთეს აწყმოს,  
 მადლის ხე მაქვს გულში ამოსული,  
 მალე ვიცი გამოისხამს ნაყოფს.

## მოჯი!

მოდი! ვიკლასაოთ, დავხაზოთ გზაზე  
 ფიგურები,  
 შევაცუროთ წრეში ქვა და...  
 ვიხტუნაოთ მასთან ერთად.,  
 ვითხუპნიაოთ ქვიშაში,  
 ავაშენოთ სახლის აგურები,  
 მიამიტური შეცდომები მოვინანიოთ  
 და... ნავრსდგეთ ღმერთთან.



## ქაიხვიასი

ქვათახევის ეკლესიის მდუმარებას,  
მთის გუმბათი გადმოჰყურებს სევდით,  
ამ ნარუჯი ეკლესიის მწუხარებას,  
ახმიანებს შეკვივლება დედის.  
მოკრძალებით, მწუხარებით, დავდექ ხატთან,  
დარდის ცრემლი თავისთავად მცვივა.  
იმ მიწაზე სააკაძე ერთი ათთან,  
იბრძოდა და ნახანჯლარი მტკივა.  
სიყვარულით მოვეფერე თეკლეს საფლავს,  
ლუარსაბის ამორჩეულ სატრფოს,  
ქართველებო, სულით ლამაზს ახლაც ვწამლავთ,  
ერთგულებას, გამტანობას, ვნატრობ.

## აეაეზის ხიოვე

მე ყვავილები მიყვარდა, მაგრამ,  
ჩემს თვალში ისიც გაუფასურდა.  
ყველას ნაყნოსი აბა რად ვარგა,  
ასეთ ყვავილთან ადრეც არ მსურდა.  
ია კი, მაინც მიცქერს მაცდურად,  
აღარც ის მხიბლავს, არც ტყემლის თოვა,  
ტყის ვარდს სხეული აუცმაცურდა,  
და დაეხვია პეპლების ხროვა.  
შორს გავეცალე ასეთ სამყაროს,  
სხეულს სიმწვანის სამოსელს ვაცმევ,  
ვბრძოლობ, ფარხმალი არ მსურს დავყარო,  
სანამ ცის სახლში გადავინაცვლებ.

## გიორგი სააკაძე

საკაძე საქართველოს შეენირა,  
 პაატა კი ცაშიც მღერის ლაღეს...  
 ახლა მაინც ტკბილი სიტყვა შეანიეთ,  
 რომ მომრავლდნენ მეომრები ხვალეც.

## უნა შეგუო

იმ ჩამომარცვლულ წარსულის წლებს რაღას უშველი,  
 ნავიდა მორჩა, არასოდეს არ დაბრუნდება.  
 ნაზამთრ ხესავით თავისთავად ხდები შიშველი,  
 გზაც მაშინ ჩნდება ურემი, რომ გადაბრუნდება.  
 სახე ნაოჭად ნაფოტივით დაიფორება,  
 გაოცებისგან წამწამებიც აფახურდება...  
 სხეულთან ხდება შენი სულის განშორება და  
 შენს უკითხვად ახლა სხვისთვის გაზაფხულდება.

## ახა ცაში

რა რთულ გზებზე დადიოდა ლეჟავა,  
 ძნელი იყო უცხო ტომთან შეხვედრა.  
 მას მსოფლიო ხელისგულით ეკავა...  
 ქართველის ვალი სურდა გადაეხადა.  
 ახლა ზეცას შეახიზნა სახელად,  
 შეემატა საქართველოს დიდებას...  
 აქ თუ სიკვდილს ბევრჯერ თვალში ჩახედა  
 მწამს ზეცაში სხივად გადაბრწყინდება.

## უნდა შემიწოდო

უცნობო შეილო, უნდა შემიწოდო,  
თუმც პატიებას მე როგორ ვბედავ.  
მინდა რომ შენი სუნი შევიგრძნო,  
რად გაგიმეტე, მოგიკვდეს დედა.  
დამნაშევე ვარ, დიდი ცოდვილი,  
მუცელში შეილო, რატომ მოგკალი.  
ცას რომ ამოვალ აღარ მომივლი,  
შიშით გამიდის უკვე კანკალი.  
შენ გოგო იყავ, მითხრა ექიმმა,  
ველარ გავაჩენ... მკაცრად შევძახე.  
ვერ შემაჩერა, უბნის ვექილმა,  
მინის გარეშე როგორ დაგმარხე.  
ვნანობ ახლა და ვნუხარ თან, როგორ,  
გელაც ხშირ-ხშირად მსაყვედურობდა.  
შენ იქნებოდი, ლამაზი გოგო,  
ისეთი დედას სულ, რომ სტუმრობდა.  
რად გაგიმეტე, დედა მოგიკვდეს,  
გავიოლე ვითომ ცხოვრება.  
მოდის დედიკო, ხელი მომკიდე,  
სიცოცხლე გახდა ამაოება.  
ექიმი გჭრიდა, ნაწილ-ნაწილად,  
მტკიოდა მაგრამ, სულ არ ვნანობდი...  
ვითომ იყავი ქათმის წინილა,  
ანდა მარცვალი კვლავ, რომ ამოდის.  
ახლა მად არის შენი ძამიკო,  
ბრალი არ ააქვს, მას შენთან შეილო.  
და თუ კი გშივა ლუკმას გაგიყოფს,  
სასამართლოში მას არ უჩივლო.

ჩემი ბრალია, ვისჯები კიდეც,  
გთხოვ მაპატიე, შვილო, ხომ ვნანობ...  
ახლა მომინდა, დედი, რომ გზრდიდე,  
ხელში ფაქიზად რომ აგიყვანო.!!!

### ბიზანოთიკაიხეს

რას არ აკეთებთ, რომ ყველა წიგნი,  
მოხვდეს სუყველა, მკითხველის ხელში.  
ცუდი მკითხველი, წიგნს გულს უჯიჯგნის,  
ამ დროს წიგნები, ტირის და კვნესის.  
ზოგს წიგნს ყდები აქვთ შემოცვეთილი,  
ზოგს კი ხელითაც არ შეხებიან,  
ზოგს ფურცლები აქვს გადაფლეთილი  
და ზოგს დედოფლის ბედი რგებია.

### ყინულის ენა

თუ რამ გამაჩნდა, უშურველად მაღლი გავეცი,  
სიკეთის ნაცვლად სიძულვილის სიტყვებს ვაგროვებ,  
მე ბედისწერით წავფორხილდი... კიდეც დავეცი...  
ყინულის ენავ, დაისია.... ცოტაც მადროვე!..



## მინაწეხი

ვაჟა ეგრისელის „კოლხური  
ფსალმუნების“ ასტომეულზე

გადაუელვეთ სამყაროს...

ცას –

მუხლზე მთვარე დაკერილს,  
ხელებს გინვდიან ზღვები და...

გელაციცებათ მთაველი

შენ... და ის, დევი ფშაველი,

ერთ მზის

გრდემლზე ხართ ნაკვერი.

## სიყაჯაგეს ვეხ ვიტან

სიყალბეს ვერ ვიტან,

ვშფოთავ და ვწუხდები,

გულს მსერავს, უმსგავსი

სიცრუის სიტყვები,

მაცოცხლე იმედო, ნუ გამიხუნდები,

ხომ ხედავ, ჩემს ბილიკს

ცრემლებით მივყვები?!

## ახაა

ახლა დარდები უნდა გავრიყო,

ბოლომდე რომ არ გამინაპიროს,

წვიმების შემდეგ სითბოც ხომ იყო,

იქნებ შევძლო და გავიაპრილო.



## აჭოზებს

ფიგურებს დავხატავ, ვატყობ ამ  
ცრემლებით,  
დავთხაპნი, რომ დარდი არ ამოიკითხონ,  
სიცოცხლის ფრთები მაქვს, მთებს  
გადავევლები,  
ძირს არა ზეცაში, იქ მინდა დავსახლდე.  
გადავმლი მარაოდ, ფრთებს  
მზეში გამომშრალს,  
ხან ვარსკვლავს მივწვდები,  
ხან მთვარის სასახლეს,  
აქ დაბლა მხოლოდ დარდს,  
და ცრემლებს ვანყდები  
აჯობებს მუდმივად,  
მთვარესთან დავსახლდე.

## გუჯით ზოხოთი

გულით ბოროტი ძალზე ბევრია,  
ხრამში ეშვება სამიდღემჩიოდ,  
ჩემი სული კი ზეცის ნევრია,  
იქნებ ჩემი გზა ამოირჩიონ.



## გაუჭიანი სამახის ზოგინი

(სულხან-საბა ორბელიანს)

შენს დიდაქტიკურ იგავ-არაკებს,  
ვარდის ფერებად გასდევს დიდება...  
მუნჯებსაც სიბრძნით ალაპარაკებს,  
დილის მზესავით კვლავ რომ ბრწყინდება.  
სიცრუე მეფობს, შური და ბოღმა,  
ზოგს კლავს წყურვილი, რა ქნას, ზოგს შია...  
დიდების კოშკი აიგო ზოგმა,  
ან რა გამოლევს ერში გოშიას.  
ბრძენო, იცოდი რამდენი ენა,  
ლათინური და ბერძნულ-რუსული...  
ბერსაც არ აგცდა მოძმისგან დევნა,  
გტანჯავდა ერში ყოფნის წყურვილი.  
უცხო მხარეში გარდაიცვალე,  
სული კი, სული სამშობლოს გთხოვდა,  
დარდით იებმა ფერი იცვალეს,  
გაუჭრელ სამარხს წვიმდა და თოვდა.



## ჯეეზო

დღეებო, სიმშვიდით გულს შემომღიმილეთ,  
 მოდით, ვაზს ვაუწყოთ ნაფიქრი ჩურჩულით.  
 აკეკლუცდებიან ია და ღიღილო...  
 რადგან წყაროსთან არა სჩანს ურჩხული.  
 დღეს მინდა შეგეხოთ ბნკარებო, ხელებით,  
 სათუთად ჩაგათბოთ, სიფრთხილით უბეში...  
 უთქვენოდ დამცვივა თვალიდან ცრემლები...  
 უთქვენოდ ლექსებო, არა მაქვს ნუგეში.

## მათი გზა აჩის

არ მეცოდება ურჩი არავინ,  
 მგლები, მელები, ქათმის პარია,  
 არც სხვისი დროის ურცხვად მპარავი,  
 უსაქმურად რომ ჩრდილში არიან.  
 მათი გზა არის მრუდე, ბნელეთი,  
 ქარიშხლის თქეში, თოვლი და წვიმა,  
 დადიან სადღაც ქვესკნელ-ლელეთში,  
 უბსკრულში სადაც მზე აღარ ბრწყინავს.





## გერუხრუხები

გერუხრუხები მტკვარო, დაღლილი,  
ამ მთის და იმ მთის ამბებს გიყვები,  
ბევრი ცრემლი მაქვს შენთან დაღვრილი,  
ახლაც დიდ თოვლთა ბილიკს მივყვები.  
უნდა გაამბო უტყვო, მდინარევ,  
როდის მენყინა, ან რა მილხინდა  
იშვიათად ვარ გულმომცინარე,  
რადგანაც სევდა მომდევს ლიხნიდან...  
არა მღალატობს მხოლოდ ლექსები,  
ჩემს დარდს ყოველთვის მას ვუზიარებ,  
ლექსს ვეფერები, ვეაღერები,  
თითისტარივით ლექსთან ვტრიალებ.  
ხომ არ შენუხდი ჩემი საუბრით,  
იქნებ შენცა ხარ, ჩემებრ ტანჯული,  
მითხარ: საუბარს ხომ არ გაურბი,  
მითხარ: ხომ არ ხარ გულდაჩაგრული.  
აღსარება, მსურს შენთან მდინარევ,  
რაც ადრე ჩემს თავს გადამხდენია,  
მწამს და რწმენიდან გამომდინარე,  
ტალღები ჩემს დარდს გადადევნიან.



## ხომოხ ჯავზხამაჴი?

ბრბოში ვტრიალობ, კბილს, კბილზე ვაჭერ,  
 შევინარჩუნო იქნებ სიმშვიდე.  
 ჩემს ერთ ლუკმასაც მე სხვას შევაჭმევ,  
 სხვები სიკეთეს რომ არ მიშლიდნენ.  
 უსაქმურები, რჩევას მაძლევენ,  
 უმადურები, მემდურებიან.  
 ისინი მღვრიე წყალსაც დალევენ,  
 არიან მგლები და ტურებიან.  
 ჭინჭველასავით მიმაქვს მე ტვირთი,  
 ავიტან სადაც მწვერვალებია,  
 ძირს ფეხს არ ვადგამ, სივრცისკენ მივქერი,  
 მზესაც მივწვდები ელვარებიანს.  
 როგორ ვითმინო არ მოსათმენი,  
 ბრბოთა ხროვაში როგორ დავბერდე,  
 მოხდეს და მოხდეს ეს მოსახდენი,  
 ვხედავ... ვხვდები და როგორ დავბრმავდე?

## ქაწაი

მე სევდის კაბა მიტომ მაცვია,  
 მდიდრებიც გახდა ჩემი სარჩენი.  
 ვინც დავაპურე, ზურგი მაქცია,  
 ძალს ჩემსას ყოფნის პურის ნარჩენი.  
 მთელი დღე-ღამე სახლს არ ცილდება,  
 ყეფს არ ჭირდება თაფლი და თხილი,  
 დარბის, სირბილი არა სწყინდება,  
 ერთგულია და ძალიან ფრთხილი.

## სხამანის ქაჯი ვახ

ცრემლის ქალი ვარ, ცრემლებად ვდნები,  
ნუ ძრწი სიავით ბოროტო ქარო,  
თუგინდ იქროლე, მე ნუ შემხვდები,  
ჩემს ახლო-მახლოს არ გაეკარო.

## სიზხსიო

სივრცით ამოშენდა ღრუბლების სახლები,  
თეთრი ქათქათა და შავი...  
მეც ცის შვილი ვარ, იქ გადავსახლდები,  
რომ ვიგრძნო სიმშვიდით თავი.

## ღწე

დღე ისე დაღამდა, თვალით ვერ ვიხილე  
ღრუბლებს დაუმაღავთ მნათობი.  
ქარო, ძველებურად ამოიხიხნე,  
ადრე რომ სიავით მართობდი!



## მე ისევ ის ვარ

მე ისევ ის ვარ, რაც ადრე ვიყავ,   
 გულმონყალე და ალერსიანი...   
 მე პოეტი ვარ და არა რისხვა,   
 ვარ ერის დარდის თანაზიარი.

## ქაბათ

ნაძვებს შეხორხლია მუნუკები –   
 გირჩები – დიდი და პატარა.   
 თხმელებს დაეკიდათ კუნწულები   
 შავები ბურთივით ცანცარა.   
 ჩიტებს გაუშლიათ ლოგინი,   
 ბუდე აუვსიათ ბარტყებით,   
 მე კი დავიღალე ლოდინით,   
 ალბათ, თეფშივით გავტყდები.   
 შ ვ ი ლ ო.

## მეს ჯავიჯავე

ნინ ვერ ნაინევ, ამდენი ახირებით,   
 რატომ გაიჭერი ველად...   
 მეც დავიღალე... შენი დარიგებით...   
 მტკივა და... არ ძალმიძს შველა...

### ვაქსის მზინახევი!

– ლექსო, ძვირფასო, სიცოცხლის წყაროვ,  
დამტოვე შენში ბოლო წუთამდე.  
ბრძოლის დროს ხმალო, წვიმავ და ქარო,  
ჩემს გულის გულში მინდა გფუთავდე.  
დარდის ნისლები არ მანებებენ,  
მზის სხივებით, რომ შემომემწყვდიე,  
მე არასოდეს მანებივრებენ,  
ამიტომ ჩემით თვითონ გეწვიე,  
რა დამავინწყებს ლექსის მდინარევ,  
რომ ვნებივრობდით სხვადასხვა ხმებში,  
გეფერებოდი ღამით მძინარეს,  
დილამდე მთვრალი შენეულ ეშხით!

### ახ მეტკინება!

არ მეტკინება, რაც უნდა მითხრან  
რადგან ღრმადა მწამს რასაც ვაკეთებ...  
ზოგი შემხვდება მგელი ან ვირთხა  
სიბოროტით რომ თვალებს აფეთებს.  
გადმოანთხიონ გადმოსანთხევი,  
ეგებ მკურნალი მე გავხდე მათი,  
ვშრომობ, ჯაფით ვარ, ღამენათევი,  
ჩემი ყურნალი არის სულმნათი.  
ჯიჯგნონ ეს გული, თუკი მოშივდათ,  
მე ჩემი დარდი დე, მამყოფინონ...  
მე გავიხარებ იცით?.. მაშინაც,  
რომ დავრწმუნდები თუ რა ყოფილან.

### ... ჯა უსასხუმო

დუმს ეს კალამი, აღარ დახნა  
ფიქრის ბელტები...  
და უსასრულოდ ხეტიალით გადაიღალა.  
მერე გამონა მზის სხივებით  
ლექსის ჩელტები,  
დარდს აჯობა და უსაქმურად  
არ დაიღამა.

### მივწვდი კენწეოს

მივწვდი კენწეოს, სიმაღლიდან  
გადმოვიხედე  
და დავინახე მთელი სამყარო,  
ბევრი ისარი ავიცილე,  
არ მოვიხვედრე,  
ზეცის შვილი ვარ, ეს ღრუბლებიც  
უნდა გავყარო.



### ტაშამწვახი

უმაღურს შეუწვი ტაფამწვარი,  
დანაყრდა და გაიბლინდა...  
ადგილიდან ველარ დავძარი,  
მასში სინდისმა არ გაიღვიძა.

### ქვეყანა

ქვეყანა მგლებით და ტურებით სავსეა,  
ყველაზე მოხერხებულია მელაკუდა,  
იტყუება და შარზეა,  
ხელმწიფის კარზეა ცბიერებით მუდამ...

### ჯანსია

მევე გავხდი ჩემი საქმის ერთგული,  
ვქმენ სიკეთე, მტერი ამით დაბრმავდა,  
ერთგულები, აღარავინ მეგულვის,  
უმაღურნი დაისის მზეს ჩაბარდა.  
საჯიშე ნერგს ჩემს ეზოში მე ვრგავ და...  
ყველაფერი დამშვიდდა და დალაგდა.

### წმეხთაკასი

დაბადებულო, ღმერთკაცად,  
სიკეთეს თესავ უხვადა,  
იმედი გამიასკაცდა,  
ბედთან აღარ ვარ უბრადა.



## ტყვიებს მესვხიან

ჩემს გულზე ბევრჯერ ნარდს თამაშობენ,  
 ტყვიებს მესვრიან თეთრი კამათლით...  
 ქარსა და წვიმას გთხოვთ გამაშორეთ,  
 რომ არ დავიწყო ისევ კამათი.  
 მინდა, რომ ვიყო სულის მკურნალი,  
 ბოროტებისთვის სადა მცალია,  
 სიკეთეს აფრქვევს ჩემი ჟურნალიც  
 და „ათინათში“ სულის რთველია.

## ხოსა გახჯაიხვაა

ბეჟანი არ ეგუებოდა დუმილსა და  
 ლაჩრობას,  
 უსამართლობაზე ყვიროდა...  
 როცა გარდაიცვალა, მინდოდა სიკვდილის  
 დახრჩობა.  
 მტკიოდა...

## წავა

როს ზეცას წავალ, ნატყვიარი მოუშუშარი...  
 მიკვირს განგებამ დასვენება რად არ მარგუნა.  
 მე ხომ ქალი ვარ, სიტყვით მთქმელი და უშუშარი.  
 უმადურობამ, ჩემი გული გაანადგურა.





**შენში წმინთია  
(ივერი ქელიძეს)**

ღმერთია შენში, როდესაც გახსოვს,  
გარდაცვლილი და... სიცოცხლე გიყვარს,  
სხვის განსაცდელზე, არასდროს მასხრობ,  
სხვისი ტკივილი გულთან, რომ მიგყავს.  
სიმდირე არის, იცხოვრო ისე,  
მზისფერი იყოს, შენი წარსული...  
თუ ერს დაჭირიდა, სიცოცხლე მისცე,  
თუნდაც ნაბიჯი, იყოს ჯვარცმული.  
სიმდიდრე არის, იყო ძლიერი,  
ქებას შენს თავზე, რომ არ მოყვები,  
ასაკით იყო თუნდაც ხნიერი,  
მყიფე ტოტივით, რომ არ მოტყდები.  
სიძლიერეა, როცა გესვრიან,  
ტყვიებს და... მაინც არ შეშინდები,  
თუ გინდა გადგეს, თავზე მესია,  
მაინც, რომ ყვავის შენთვის შინდები.  
არ არს სიკვდილი, გარდაცვალება,  
ცაში მოხდება, მზეთა მზისობა,  
ეს, უფლით ხდება, ფერისცვალება,  
სულს კი ეწვევა მარადისობა.  
თქვენ საქართველოს შვილო, ივერი,  
სიკეთისათვის, ბევრჯერ შეგნისლეს...  
მე მინდა იყო სულ ბედნიერი,  
რწმენით სიცოცხლე გაიმერმისე!



### ვფიქრობ

ვფიქრობ, გული ხშიადივით გამოვაცხო,  
 ნატეხ-ნატეხ ლუკმა-ლუკმა დავამტვრიო.  
 ბოროტების ლაქა სხეულს არ მოვაცხო,  
 ჩემი დარდი, ისევ ჩემში დავატიო.

### წაგაო

თვალეებში ჩამხედე გაგახსენდები,  
 წლებო, რომ გჯობნიდი ოდეს...  
 ფიქრო, წარსულში გადასვენდები,  
 სწრაფად მიდიხარ და... მოგდევ.

### ჩემნით ვიპოვნი

ინვის სანთელი, ინვის დღე და ... ინვის, სიზმარშიც...  
 მე, ვილოცები ... ღმერთს ვავედრებ ამავე სანუთროს.  
 ცეცხლი ააღდა, ბრძოლა არის ჩემი მიზანი,  
 გული სიმშვიდეს, სამშობლოში, როგორ ნატრულობს.  
 სანთლის კაშკაშის, ჩანელებას, ვერავინ შეძლებს,  
 რადგან გულს ძარღვნნი, მცველებივით გვერდში უდგიან,  
 გული ქართველთა მოყვარულებს, ყველგან დაეძებს,  
 ეძებს და ეძებს, სად იპოვნოს, ვერ გაუგია.  
 ამბიციები, განდიდება, შური და ღვარძლი  
 და თავისთავად, ბუნებრივად, გაჩნდა ეჭვები,  
 გამოიგულა დარდით გული, როგორც, ხის ვარცლი,  
 მაინც ვლოცულობ, გულის სანთლით დავეხეტები.  
 რწმენით ვიპოვნი.....!



### მიზხვნი

(ბატონ რეზო მიშველაძეს)

ახლა აქა ვარ, ვხვდები შენს სტრიქონს,  
დროთა ომებით, ნაგვემს და ნანერს,  
ეგ, ნოველები მე ასე ვფიქრობ,  
მთელ საქართველოს ტკივილებს აღწერს.  
აი, ამიტომ ნარსულსაც ჩაწვდი,  
შენ, ხომალდივით ასე, რომ არწევ...  
შენ, შენი ხალხის ტკივილით იწვი,  
მივხვდი, შენსავით ვერავინ დანერს.

### ჯავ მაწიახე

დად მაღიარე, მეც ძმა გინოდე,  
აპენენიკდნენ ჩემს წინ ვერხვები,  
ეს, ყველამ კარგად უნდა იცოდეს,  
ძმას ძმურად მუდამ გადავებხვევი.

### ჯამის აეხანგი

ლამის პერანგი, უკვე ჩავიცვი,  
ლექსი – თეთრი და ლექსი რითმებით,  
გაზაფხულებს კი კართან დაფუცდი,  
უგაზაფხულოდ ან რა ვიქნები?

## ჯახჴო

დარდო, კეთილი საქმით ჩაკლულო,  
 სულს გული წმინდა ხატებთან მიჰყავს,  
 იმედით ვმღერი ისევ „ჩაკრულოს“,  
 და ეს სიცოცხლეც იმედით მიყვარს.

## ახ ჯამენჯუხო

არ დამენდურო, სანამ შენით რამეს შეთხზავდე,  
 გამესაუბრე, იქნებ არ ვარ ის, რაც გგონია,  
 იქნებ სიტკბოთი, სიყვარულით სიტყვა შეზავდეს,  
 და რაც შენ გტანჯავს, ყველაფერი მონაგონია.  
 არ დაენდურო, არც არავის ტყვილა უბრალოდ,  
 ღმერთია მოწმე, სიყვარულის თვალი გიყურებს,  
 არც გაიფიქრო რაც არ იცი, არ დააბრალო,  
 ტკბილად გაფრთხილებ, ძაფი წყდება, აღარ ვიხუმრებ.  
 ამოვარდება, სიძულვილის ქარაშოტები,  
 და ცრემლის შტორმი, მოაწყდება ბედის ნაპირებს,  
 დაუნანებლად, ეს იცოდე, მეც გაგშორდები,  
 შენთან ჯირითს და აღარც კამათს სულ არ ვაპირებ.  
 შენთან ტრიალებს, სიავ ქალის, ქარის ბორბალი,  
 მე კი სიკეთით, გავაგრძელებ დღეთა ცხოვრებას,  
 უმადურობით, ჩემთან ერთად სხვებიც მოკალი,  
 აღარც მე მინდა, ასეთებთან თანაცხოვრება.  
 კარგად იყავი...



## რუმი ზაჩი



სამი წლის  
გელა სხირტლაძე

დედის უსაშველო ტკივილს,  
გულის შეძლებია ნგრევა.  
ბაგეს არ იკარებს ღიმილს,  
როცა მარტოდ-მარტოდ რჩება.  
უნდა ჩაიხუტოს გულში,  
შვილის ჩანაცვამი ქურქი,  
თითქოს ყოფილიყოს გუშინ,  
მას რომ ატარებდა მუცლით.  
ახლა დარდიმანდი ბიჭი,  
უფალს მიუხმია ცაში,  
ტანი დასუსხია ჭინჭრით  
როცა გარდაცვლილა მამინ.

ტირის დედამისი უხმობს,  
ფიქრებს, შარვალ-ხალათს აცმევს...  
ციდან ხმა მოესმის უცხო;  
დედი, ცრემლიან წყალს მასმევ.  
აქ, მყავს მამაჩემი დედი,  
ჩვენთვის კარგადა ვართ ერთად,  
ნულარ, სევდიანობ ბედიტ,  
ნულარ, ემონები სევდას.  
ვიცი შფოთიანობს ღამე,  
ცრემლებს სხვის უჩუმრად აფრქვევ...  
შენზე ლეგენდები დადის,  
ამას მე ყველაფერს ვხედავ.  
ჩუმი დარდის ფიფქი გბარდნის  
მაინც ძლიერი ხარ დედა.  
ცრემლის დღეები კი გადის,  
სული არასოდეს კვდება.

დედის მონატრების დღეებს,  
სულ მთლად გაცვეთია ფერი...  
სიმწრით დაიკვნითავს ხელებს  
და სხვის საამებლად მღერის.  
უნდა ჩაიხუტოს გულში,  
პატარას, პერანგს უცვლის,  
თითქოს ყოფილიყოს გუშინ,  
შვილს, რომ ატარებდა მუცლით.



40 წლის ასაკში  
როცა გარდაიცვალა



**ახ ვიხსოვნი მამის ზეჟას**  
(ნარსულში ფიქრით ხეტიალი)

არ ვიცნობდი მამის დედას,  
რადგან გარდაიცვალა.  
მამას ცრემლი დაებედა,  
დედა გამოიცვალა.  
როცა გაჩნდა მამაჩემი,  
სხვა მონახეს გამზრდელად,  
შეხვდა ბედის განაჩენად,  
ტკბილი ქალი ნამდვილად.  
ცხრა ჰყოლია შვილი თავად,  
მამა იყო მეათე,  
მას მოვნახავ ცას რომ ავალ,  
დიდ საჩუქრებს მივართმევ.  
მამაჩემი როს ყოფილა  
ხუთი, ასე ექვსი წლის,  
პაპას უთქვამს მე ნავიყვან,  
თორემ მშობლად არ ჩამთვლის.  
გამზრდელისთვის მიუმართავს,  
რიდითა და ბოდიშით,  
ბედმა ასე რად დამმართა,  
დღეებს ვითვლი ლოდინში.  
გამზრდელს უთქვამს, სულ რომ მომკლა,  
ვერ გაგატან ბატონო,  
არ, ვაკლებდი შენს შვილს მოვლას,  
ახლაც კარგად ვპატრონობ.  
შემიყვარდა შვილზე ძლიერ,  
ჩემი ძუძუთ გავზარდე,  
გაჭირვებას უკვე ვძლიე,

სადილს ტკბილად ვამზადებ.  
 ჩემს შვილს ძროხის რძეს ვაძლევდი  
 რძე რომ ორს არ ჰყოფნიდა,  
 არ მეგონა თუ დავძლევდი,  
 ჯაფამ მეც მამყოფნა.  
 მოეფერა თურმე პაპა,  
 და ხუმრობით მიმართა:  
 ლუკმას სიმწრით ძლივსლა ვცლაპავ,  
 ბედმა ეს რა დამმართა?!  
 სტუმრად მაინც მომიყვანე  
 ჩემი შვილი ჭიჭიკო,  
 მერე ისევ წაიყვანე,  
 იმ დღეს რომ ვიჭიკჭიკო.  
 დათანხმდება ბოლოს ქალი,  
 ქალი, მამის გამზრდელი,  
 ვინც გაზარდა ათი შვილი,  
 ლამაზი და ჯანმრთელი.  
 მისებრ ბედი ბევრჯერ მბრწყვობს  
 აღარ დადგა საშველი,  
 ხან მეუღლე, ხანაც შვილი,  
 ჩემი გულის დამშლელი.  
 ძმიდან შემრჩა ამირანი  
 და ეთერი დაიკო.  
 მათზე კარგი ან ვინ არი,  
 ჩვენთვის ბედი ბრმა იყო.  
 ცას არიან შეხიზნული,  
 ლევან, ბეჟან, თამაზი,  
 გულო, მიტომ დაუძლურდი,  
 ბედზეც მიტომ გავზრაზდი.



## ბებოს განაკეთები

პაპა როცა სხვას დასჯიდა,  
მე ყოველთვის მაქებდა.  
ლუკმა – ლუკმით პურს დაჭრიდა,  
ყველას სახელს არქმევდა.  
ლევანს, თამაზს, გულნაზს, ბეჟანს,  
ეთერის და ამირანს,  
ავილებდი ჩემთვის ნაზად,  
სხვისი ახლაც არ მინდა.  
ყველაფერი ტკბილი იყო,  
ბებოს განაკეთები,  
სხვისთვის ცეცხლში დადნებოდა,  
წმინდა სულისკვეთებით.  
მონატრების ზღვა ადიდდა,  
მონყდა გულის ნაპირებს,  
ცრემლიც ბევრი გადმომდინდა,  
ზეცაც წვიმას აპირებს.  
მიმიხედეთ ჩემს შვილს ყველამ,  
ჩემი გელა მანდ არის,  
გულს არაფრით არ ეშველა,  
დარდს არ ააქვს საზღვარი.  
მომაგონდით წინაპრებიო,  
თქვენი ტკბილი ალერსით,  
იყავთ ჩვენი საარსებო  
სახლის, არემარესი.

## ვიწებ შენიშვნას

ვიღებ შენს რჩევას, წვიმა წამოვა,  
 აღარ ვახსენებ მტერს ისევ მტრულად.  
 მე შევეცდები თუკი გამოვა,  
 რადგან ჭარბობენ მელა და ტურა.  
 შავი ნახშირით ნავშლი მტრის სახელს,  
 ვარდისფერებით გზას გავაგრძელებ,  
 ქარსა და წვიმას აღარ გავამხელ,  
 ლოცვით სიცოცხლეს გავიხანგრძლივებ.  
 შემინდე ღმერთო, ცოდვილს ცოდვები,  
 ეს გაბზარული გული მთელდება,  
 ცივს და უამურს დღეებს ვშორდები,  
 მწამს, მალე ჩემი დღე გათენდება!

## წამე

მინდა რომ ზურგი მაქციო ღამევ,  
 არ მინდა ფიქრით გამიტყდეს ძილი.  
 გათენებისთვის ვითვლიდე წამებს,  
 და მსურს, ველოდო კართან მზის ღიმილს!



## მე ჩემს ბიჯიკს უშვებოვნე

მე ჩემი გზა ვიპოვნე და...  
ჩემს ბილიკებს შევეხიზნე,  
სამაჩაბლოს, წმინდა ფრონეს,  
რადგან ტყვია დაუმიზნეს.  
გზა მოვნახე მწვერვალების,  
რასაც შრომით მივალნიე.  
და ლექსების ელვარებით,  
მწიფე ტოტიც დავინიე.  
ია-ია დავრგე ყველგან,  
გვირილები თმებს ჩავინან,  
ლექსი დამდევეს სულის შლეგად,  
ლექსით ოქროს ქოშს ჩავიცვამ,  
გაზაფხული გულს მენვია,  
შემოდგომამ მომცა შვება,  
ჩემს ნაშრომებს მზის პენი აქვს,  
ფიქრი მთვარის სახლში წვება.



### სილამაჯოჯე წახსუაი ყვება

ხელს ვუფათურებ, სახის ნაოჭებს  
და სიბერეზე ვბრაზდები ძლიერ  
ასე დავბერდი? სარკვევ მაეჭვებ,  
თუ სიფაქიზეს შენ უცვლი იერს?  
სილამაჯოჯე წარსული ჰყვება,  
შენი ნაოჭი, სიბრძნის კვალია.  
მითხრა სარკემ და სიბრაზეც ქრება,  
ღირსება ყველა ქალის ვალია.

### ისრიმი ხიომა

ისრიმი რითმა, რომ არ დაყანდეს,  
შავბნელი ღამე თეთრად ვათიე,  
ყველას ვუყვარვარ, შენ არ გიყვარდე,  
ამას თვით ღმერთიც არ გაპატიებს.

### მახსოვსოვსახ

(ალექსანდრე შუბითიძეს)

წარსული წლების მემატრიანევ,  
ბერმუხასავით, ედექ ქვეყანას...  
მე ლექსის მოძღვნა დაგიგვიანე,  
კარგახანია, ცხოვრობ ზეყანას.  
გიხსენებ კრძალვით, კვლავ მორიდებით,  
ომახიანო, დიდო თავკაცო...  
აქ, არსოდეს არ დაბერდები,  
უკვდავება მსურს გაგიასკაცო.



## ს ა ნ თ ი ა ო

რამდენ საიდუმლოს ინახავ,  
რამდენ ცრელსა და ვარამს.  
დედა დაჩოქილიც მინახავს,  
ტკივილს რომ ველარ მაღავს.  
მეც განმიცდია ეგ, ცეცხლი,  
ბედმა მცემა და მუეჟა,  
ცოდვით ტიროდა, ტყის ძმერხლიც,  
მთები ინყვეტდა ეჟვანს.  
სანთელო, გეტყვი რაც მტკივა,  
ჩუმად რად ვტირი-ვკვნესი...  
არ მორჩა გული და მტკივა,  
არ დაილია გესლი.  
შობის ღამეა, ერს ვლოცავ,  
სიტყვას არც გავაციებ...  
ბედიც ნუ მიწყობს გამოცდას,  
იმედს ნუ გამაცილებს...  
საქართველოში გამეფდეს,  
ერთგულება და ძმობა,  
ქარი არასდროს გაცოფდეს,  
ძმებს აღარ ჰქონდეს მტრობა...  
სანთელო, გეჩურჩულები,  
რაც მტკივა შენთან ვიტყვი,  
მტერს თუკი ვეერთგულები,  
იცოდეს, არ ვარ ბრიყვი.  
დავლოცავ დღეს ერს, შობაა,  
და ვწყევლი მტერს, ვით ჰეროდეს...  
გაქრეს, თუ სადმე მტრობაა, დაე,  
სამყარო მღეროდეს!  
„ამინ!“



## ბეკან ხარაიშვილის ბიუსტი

(მოქანდაკე გიორგი ლარიაშვილი)

ძმაო, ახალგაზრდად დარჩი,

ბედმა გაწამა და გჟეჟა.

ბიჭო, შენ პოეტად გაჩნდი,

(მე კი ლექსებს ვხორკნი, ბეკან!)

შენი სიტყვა იყო ბრძნული,

რადგან წლების შემდეგ ბრწყინავ.

ლექსი მზის სხივებით წნული,

ბედი, ქარიშხალი, წვიმა.

მ თ ა თ ა ხ ე ჯ ი

(ბეჟან ხარაიშვილის პორტრეტი)

მთის ჰაერმაც გაიხსენა  
ახოვანი თავის შვილი,  
მთამ ზედ გულზე დაისვენა,  
ლამაზი და მხრებ-გაშლილი.

ზეცა შეხვდა პირმცინარი,  
პოეტის სულს, სიბრძნით სავსეს,  
ტანი დარჩა ვით მყინვარი,  
ვერსად ნახავთ იმის მსგავსებს.

ის, სხვა იყო, სხვა ხედვების,  
ლექსს აცხოვდა როგორც ქადას,  
მთა უყვარდა, ტყე, ხევეები,  
მზე ჭაბუკად დაიბადა.

სხარტი, იყო კალმახივით,  
თევზაობდა ლამის ფარნით  
ციგაობდა, მარხილით და...  
სულს უწენდა ბედის ქარი.

ბრძენკაცობდა ახალგაზრდა,  
ლამაზ-ლამაზ ქართულ სიტყვით,  
და ძე დარჩა, ნაშვიერი,  
მამის უთქმელს იგი იტყვის.





(ბესო ხარაიშვილმა – თავისი მოგვარის,  
ნაადრევად წასული ახალგაზრდა პოეტის –  
ბეჟან ხარაიშვილის ლირიკული ლექსების წიგნი  
ხუთასი ეგზემპლარი ტირაჟით უფასოდ გამოცა).

## სამეფომბაი

საქებარი ხარ, ვიცი და მაგრამ,  
სიტყვა არ შევლის, ამ დიად საქმეს...  
შენ, მოეფერე, სისხლს, ჯიშს და ნაგრამს,  
გარდაცვლილ პოეტს, ალაღად საქებს!  
და უანგაროდ გვაჩუქე წიგნი,  
რომლის ლექსებშიც სიბრძნე ღალადებს,  
მას შემდეგ გული, მტკივა და მძიძგის,  
ზოგჯერ ლექსა ვნერ, ზოგჯერ, ვქადაგებ...  
ცას როცა წახვალ, ასი წლის შემდეგ,  
მიხვალ იქ, ბესო, წელ-გამართული,  
აქაც მოიმკი ამაგის შედეგს,  
რადგან ღმერთია, ლექსი ქართული!



## წამოვები უნდა გზამდეს

(ორ იანვარს  
უნმინდეთან ვიყავი)

წამოვები – თან მომდევდა მადლი,  
უნმინდესის ლოცვა სახლში მომყვა...  
ჩემში დარჩა ის ღვთაება არდი,  
მტერიც გულით მივითვალე მოყვრად!  
წამოვები – თან მომდევდა მუხტი,  
სიძლიერით მაცილებდა ქარი,  
დაფრინავდა,  
ირგვლივ მტრედის გუნდი,  
იღებოდა ნისლშიც გულის კარი!  
წამოვები – გულის წამლის აბით,  
მომირჩინა, ლოცვამ სატკივარი,  
დავდიოდი, ფიქრით ქრელი კაბით,  
იმედებით მაცილებდა მტკვარი!  
ახლა უკვე ღამეა და ფიქრმა,  
გამიტაცა, ამ ბედობის ღამეს,  
უნმინდესმა დაგვლოცა და გვითხრა,  
რომ სუყველას,  
ღმერთის უნდა გვწამდეს!



## შიქის სახაი

აღარ ძალმიძს, ვიტრიალო მე ამ წესით,  
ფიქრის სახლი უნდა დავდგა ხვანში.  
მინდა მწამდეს, უფლისა და უწმინდესის,  
ანდა მარტოდ, დავრჩე ამ ჩემს სახლში.  
ვდუმვარ, ვხვდები, სამყაროში რაც ტრიალებს,  
გული მაინც იმედებით ფეთქავს,  
რწმენის სიტყვებს გულში ხშირად ვატრიალებ,  
ქართველები უნდა ვიყოთ ერთად.  
სიყვარულის, სათნოების, სასახლეში,  
მსურს ვიცხოვრო, ღარიბ ხალხთან ერთად,  
მე, სიმდიდრეს, არ ვინატრებ თავის დღეში,  
გული თქვენთვის სიყვარულით ფეთქავს.  
რაც კარგი მაქვს თქვენში უნდა გადმოვწერო,  
რა სჯობს ამ გულს სიყვარულით სავსეს...  
ეგებ უკვე სიძულვილი გადაგვეგდო,  
ყველა ტკივილს ერთად დავამარცხებთ!



## სიჯან ჩამოვედი ახლა

ციდან ჩამოვედი ახლა,  
 ვნახე, ყველა კარგად არის...  
 ლექს მე, კვლავ მოგართმევთ ახალს,  
 ღიაა გულის კარი!  
 გლოცავთ, ერთგულების ფიცით,  
 ლექსით, გოზინაყით, ტკბილით...  
 მე მხოლოდ ლოცვა ვიცი,  
 ლოცვით ცის სახლამდე ვივლი!

## ახაშუის ვიზიჟაჟი

რა ბევრი საქმე მაქვს, საიდან დავიწყო,  
 ყველას უნდა მიწვდეს, ჩემი ხელი...  
 იმედი არასდროს, არ უნდა გავიწყო,  
 პატრონად ჩემს ჩანაფიქრს ვეახელი.  
 ახლა ზაფხულია, ცხელი და ქაფქაფა,  
 შემოდგომა კი, გაყვითლდება...  
 ზამთარში არ გაავდეს, ფიფქები ქათქათა,  
 მაშინ იმედები დამცილდება.  
 იმედის გარეშე, ფოთლებს გავს ცხოვრება,  
 მონყვეტილს, მიგდებულს, ქარისგან კუთხეში...  
 მერე კი დარდები დადგება გორებად,  
 ფოთლები მოხვდება ქარიშხლის უბეში.  
 მე არ შევიცვლები, ისევ ეს ვიქნები,  
 ნაძვი ვარ, მწვანე და თოვლს საბნად ვიფარებ,  
 მახარებს, სიმრავლე, კვლავ სხვისი წიგნების...  
 თერთმეტი ჩემია, არაფერს ვიბრალებ.

## მთხის სიძუწვიწმე გეწამიწხე

წვარი დეგყურებთ, მცხეთე-თბილისო,  
მტკვარი კი გულზე მოგედინებთ,  
სულში ორივე, გრძნობით თილისმობთ,  
რადგანაც ღმერთმა ასე ინება!  
ერთგულებეში შევეწვიბრები,  
მტრკვარს, მოდუდუნეს, არაგვს, ღრიალას,  
მე შენს ქუჩებში, დავაბიწებდი,  
კალმით გირჩენდი დარდს და იარას!  
მტკვარი ხან, გულზე მოგედინება,  
ხან აიღვრევა, ანჩხლობს, ბუნტივით,  
იქ, ჩემი ცრემლიც ჩეედინება,  
ტირის და მღერის იაგუნდივით!  
ოლონდ აყვავდი, მცხეთე-თბილისო,  
მე მოგიშუშებ ნარსულ იარას,  
გული კი ჩემი მუდამ ივლისობს,  
მტრის სიძულვილმაც გადამიარა!



## ხომ ახ ჯამიუში?

წითელი ვაშლი, რომ მოგქონდა,  
 ჩემთვის მალულად,  
 დღე არ გავა, რომ არ მახსოვდეს,  
 სულის არაკო,  
 ჰოდა ფიქრები,  
 ისევ შენთან გამოპარულა,  
 ხომ არ დამიშლი,  
 სიყვარულით გელაპარაკო?

## მასპინძელი ვაჰ

არ დამაჩოქოს  
 ვევედრები, გადაღლილ მუხლებს,  
 ხელი არა მკრას,  
 ჯერ ისევ მაქვს წლები სამკალი,  
 გული რომ მტკივა,  
 არასოდეს, არავის ვუმხელ...  
 მასპინძელი ვარ!  
 ნათელია ჩემი გზა-კვალი.  
 შრომით ვედები,  
 ღობე-ყორეს, ეკლის მავთულებს.  
 მზე ათინათობს,  
 მაინც მხვდება ნისლის ყურება...  
 ასე ავივლი ალბათ ისევ,  
 მათათა სართულებს,  
 ციდან გიმღერებთ, თუ ეს სული  
 განიკურნება!

## მამა ჯამოხე

მამაო, უფლის იმედებით  
ვათენ – ვალამებ,  
შენ, როცა მლოცავ,  
მზის სხივები მაშინ ბრწყინდება.  
ცოცხალი ვარო,  
ნამწაბებიც კრძალვით ხამხამებს,  
რწმენით ამ გულსაც,  
ბრძოლის ველი, აღარ წყინდება!  
დამლოცე მამავ,  
რომ გაუძლო, დროთა ქარტეხილს,  
წლები სიცოცხლის,  
შევადიო ბედის ბედობას...  
რომ კვლავ ვუშველო,  
ჩემს სანყალ გულს, ორად გაკვეთილს,  
რომ დავადნო, თავი  
ქვეყნად უიმედობას!  
დამლოცე მამავ,  
მოვიმარჯო, გულის საცერი,  
ავაცისკროვნო,  
დასევდილი დილის აისი,  
იქნებ გავფანტო,  
გადავფერთხო, თოვლის ნამქერი,  
ისევ შევიგრძნო,  
სურნელეზა ნაზი მაისის!  
დამლოცე მამავ,  
კიბე მიცდის, ცისკენ მავალი...  
მოდრუბლულია,  
პირსავსეა, სევდის მარანი,  
მამავ შენა ხარ,  
დიდი ღმერთის შუამავალი,  
ღრუბლებს მივსერავ,  
გამიშუქე, სულის ფარანით!

## ხშირი წვიმებით

გულის ფსკერამდე ვერ აღწევს სხივი,  
 ხშირი წვიმებით აცივდა კიდეც...  
 მარტო სული ვარ და ხშირად ვტირი,  
 დარდის ბილიკებს, გამოვეყიდე...  
 ნაძალადევად, სიო ტრიალებს,  
 ჰოდა ვნუხდები, ვშფოთავ, განვიცდი,  
 ზოგჯერ ეს ბედი, როგორ ტიალობს,  
 დრო, ისე გარბის, მივდევი, არ იცდის...  
 გულდანყვეტილი, ტალღებს მივაპობ,  
 ობლად შთენილი, ვგავარ მზენვიას,  
 ეგებ ძებნაში შვილო, მოგაგნო  
 და სიხარულით ზეცას ვენვიო!

## შინა ხაი?

ვინ ხარ, მერცხალო, ტკბილად, რომ ჭიკჭიკობ,  
 დაგლოცავ, ლოცვაა, ღვთის გზათა სავალი...  
 რა გქვია ჭკვიანო, გულთბილო, ბიჭიკო,  
 რომ გახდი დარდის და... ტკივილის წამალი.  
 შენა ხარ, ღვთის შვილი, სიმდიდრე ქართული,  
 მინდა, რომ ჩემს გულში შეგფუთო თამამად...  
 დაწინკნე, ჩაწყვიტე, დარდების მავთული...  
 დაგნიშნე ბიჭიკო, სიცოცხლის თამადად!





## გუას თუ მოგსეა

გულს თუ მოგცემ ალალ ლუკმად,  
განა კიდევ რამეს ითხოვ,  
ნულარ ირბენ შუკა-შუკა,  
წვიმს ისეც და ... ისეც ითოვს.

## მჯე ჯა სხემანი

სად დავემალო, რეალობას, ბედის აღმართებს...  
უკვე არ ვიცი, საზღვარი აქვს მზეს და ავდარსაც,  
რა ეშველებათ, უღმერთოებს, მართლაც წარმართებს,  
ერთი ფასი აქვს, მშრომელსა და ყველა ზარმაცსაც.  
ჩემსკენ ტოტივით მოვიწიე, მაინც იმედი,  
მაინც დავნერგე, უსასრულოდ ბრძოლის მეთოდი...  
თუ სანახავად, ჩემიანნო, შემოირბენდით,  
მჯერა, თბილ სიტყვას საამებლად მაინც მეტყოდით.  
მზე პირს იბანსო, კი უთქვიათ ახლაც ასეა,  
ვინ იცის ცრემლი წამოდინდა მნათობს თვალიდან,  
ჩემი თვალები ცას შესქერის, ხშირად მარსზეა,  
ვერ ამოვედი, ბედისწერის ცრემლის ვალიდან.  
ცრემლის ქალი ვარ, მსურს ვიცოდე, მზეს ვის უწოდებთ,  
კეკელკა ქალებს, ლამაზმანებს, ფერს რომ იცვლიან,  
ხოდა... კეკელკებს, თქვენი გული გამოუწოდეთ...  
ჩემს ნაკაფ გზაზე, კეკელკები ვერ გაივლიან!



### ნატყჳა

ისეთი დილა გათენდეს,  
 ქართველს, ქართველი უყვარდეს,  
 დარდით ღამეს არ ვათევდე,  
 ერი, გაბრწყინდეს, აყვავდეს...  
 ეზოში კრუხნიწილებსაც  
 უყრიდეს სანკენკს ქალები,  
 ცოლ-ქმარს ვხედავდე წყვილად და  
 არ ჰქონდეთ უფლის ვალები!

### ახაა

ახლა თვალებს დავასვენებ,  
 ღამეს უნდა ჩავეხუტო.  
 წარსულს აღარ გავიხსენებ,  
 სულაც უნდა გავებუტო.  
 დავიძინო, ერთხელ მშვიდად,  
 რომ ხვალ ისევ ფეხზე შევდგე,  
 ჩემს იმედებს თუ მოშივდათ,  
 რა ვაკეთო იმის შემდეგ?...



### ჯაშუქიჟი ქახთივასო

მესროლეთ!  
ეს უკვე მრავალჯერ გითხარით,  
მომკალით!  
ეს გული ისედაც მკდარია,  
რად სდუმხართ,  
გაბედეთ, სჯობს პირში მითხარით,  
ჩემს ერში ყოველდღე,  
ჩხუბი და შარია!  
გიყუროთ? სადამდე,  
შიმშილობს ქვეყანა,  
წლობით და თვეებით,  
დედა შვილს შორდება...  
უჯობდათ,  
გულმკერდში ნემსები ეყარათ,  
მათ თვალზე ცრემლები,  
ხომ სიმწრით გორდება.  
წამალის ბრალია,  
ჩხუბი და კამათი,  
არ ინდობთ ერთმანეთს  
სისხლიც კი დალიეთ...  
ქართველი არასდროს  
არ იყო ჯალათი,  
ქართველებს სულ ძულდათ  
ძუნუნ, დღემეხვალზე.  
და მაინც ვიცი რომ  
ქართველი გონს მოვა,  
ქალი ვარ, მტკიცა და  
ჰა, ლექსით ავყვირდი,  
ჯეჯილი მინაში ხელახლა ამოვა,  
დაფიქრდი  
ქართველო, სანამ სულს გაყიდი!

## ამ ჩიტს ჯავახახიმ

ამ ჩიტს დავაბარებ შენს მოკითხვას,  
 გული საგულეში აღარ გულობს,  
 წერილს, ცრემლით ნანერს, მანდ მოგიტანს,  
 იქნებ ჩიტმა მაინც გიერთგულოს...  
 ვცდილობ ლექსი ბევრი დაგიწერო,  
 რადგან გიყვარდა და კითხულობდი,  
 ლექსი გულში უნდა ჩაინერო,  
 ლექსი დანერვილი ერთგულებით.  
 დედას ენატრები უსაშველოდ,  
 დარდით სხვა არ მინდა დავამძიმო,  
 იქნებ ლოგინი მად გამიშალო,  
 რადგან შენთან მინდა დავიძინო!

## შემომეგება

შემომეგებე ძველებურად ხელებ-გაშლილი,  
 აფორიაქდეს, სისხლი ჩემი წმინდა კამკამა...  
 იმედებია, ბედისწერით დაფშვნილ- დაშლილი,  
 და გული გახდა, კედელივით როგორც აკლდამა.  
 შემომეგებე, რომ შევიგრძნო შენი სურნელი,  
 ჰო, ჩემო ვახო, გამიშუქე ღამის წყვდიადი...  
 ო, ეს ქარია საყვარელო, მართლაც სულელი,  
 წინ მივდიოდი, შემომხვდა და გამოვტრიალდი.  
 შემომეგებე...!



## ჩემი ბავი ეს ახის

ერის გულის საკვებად,  
მე ბევრს ვითხოვ უფალო,  
ზოგმა სიტყვა გაბედა,  
ზოგიც ჩრდილში „სულთანობს“...  
ცოტა შერჩა ქვეყანას,  
ერის ქირისუფალი,  
გაგზავნიო ზეყანას,  
ვისაც სიტყვა ვუთხარი...  
ადრე თუ ვკურნალობდით,  
სამკურნალო ტალახით,  
ყველა ერთად ვწვალობდით,  
გვიხდებოდა ბალახიც.  
საამაყო რაღა გვაქვს,  
აინუნა ოჯახი,  
სხვის მიწებში ვაზსა ვრგავთ,  
ჩვენსას ვჩეხავთ ნაჯახით...  
სიმდიდრეა ბანკებში,  
ვალუტები...დოლარი,  
ზოგი ცხოვრობს ვაკეში,  
ვის სჭირდება მორალი...  
ამ პროცენტმა შეჭამა,  
ის, რაც იყო ნამდვილი,  
ჯობდა მოხუცს ეჭამა,  
სახლში თბილი სადილი...  
გაქრა დედაშვილური,



## აწახ მინვა

მასხენდება,  
ვეხვეოდი დარდის ალს...  
მნუხარებით,  
ხელით მინას ვპოტნიდი,  
გასხენება,  
ძველებურად ისევ მკლავს,  
ბედისწერავ, ჩემს  
გულს რატომ კორტნიდი.  
ალარ მინდა,  
ცრემლით ღელე ადიდდეს,  
ანდა ქარო,  
დამინტვირო კენწერო...  
ცრემლო, გაშრი,  
ალარასდროს დამდინდე,  
ხვალინდელ დღეს,  
ჯვარი უნდა ეწეროს!



## ქაჯაჯაისი

მზე ირემივით დაენაფა,  
 მთის სუფთა წყაროს,  
 სული მოითქვა და ეგონა,  
 თავი სიზმარში,  
 მღვრიე მდინარეს,  
 მზესაც ვურჩევ არ გაეკაროს,  
 აღარც წამონვეს,  
 ზღვის ნაპიეზე, მტვრიან ქვიშაში.  
 მთიდან დაეშვა,  
 სული წმინდა ედეღვაისი,  
 ტანი მოიღლო,  
 რადგან იყო სითბოს ნატრული,  
 მზემაც სხივებით,  
 გაახვია დილის აისში,  
 და იგრძნო მანაც  
 გულის სითბო ანდამატური!

## გ ი ჯ ო ხ ა ვ თ

გილოცავთ, აქაც და გილოცავთ, იქითაც.  
 ლოცვაა, ჩემი გულსანიერი,  
 გილოცავთ, სიტყვით და გილოცავთ, ჭიქითაც,  
 სულით არვინ გნახოთ მშვიერი!





## უხოსიან

ლოცვას ისევ გავაგრძელებ, რადგან...  
ვერ ვიოკებ, სული ეჟვანს იწყვეტს.  
საქმის დროსაც, ფეხს მაზოლზე მადგამთ,  
მტკივა, მაგრამ მაინც ლოცვას ვიწყებ.  
თქვენ ჩემს ბალახს, ვერასოდეს მოძოვთ...  
ფრთხილად!  
სუსტი არ გეგონოთ მართლაც,  
სიკეთისთვის, მე თუ უნდა მროზგოთ,  
უმადურებს, ერის მტერებად ვნათავ!!!

## სიწმეხი

ჩემმა ცრემლმა, გამაღვიძა ნუხელ,  
სიმწუხარით ვიკანრავდი სახეს...  
მას ვტიროდი, რასაც არვის ვუმხელ,  
ქარი ტოტით მხრებზე მცემდა სახრეს.  
გაჩნდა უცებ იმედის მზე ჩემთან,  
გადამხვია, ხელი, სიყვარულით,  
მივაღეჭი დარდით სავსე გემს და...  
ცის მნათობში ჩანდა სიბრალული.  
არ ვინდომე მისგან ყურადღება,  
უფრო ცრემლით ვიოკებდი ტკივილს,  
ნეტავ ახლა, როცა დაღამდება,  
არ მესმოდეს ქარი როგორ ნივის!



## ჯამური

გრძელდება ცხოვრება ცრემლებით,  
 ვდარდობ და... ვკამათობ ფიქრებთან,  
 ზეცისკენ ავლმართე ხელები,  
 ვერ გნახე, მეგობარ ბიჭებთან.  
 მნათობმა ჩამომიღიმილა,  
 ღიმილი, შენს ღიმილს მოგავდა.  
 ძირულამ ჩაიღიღინა,  
 თუ, დათა ძირულაც ბორგავდა.  
 რა ხდება, ზეცაში არ ვიცი,  
 ის, მჯერა შენ, რომ ხარ მნათობი  
 და მაინც შენს წასვლას განვიცდი,  
 რადგანაც, მზესავით მათბობდი.  
 დათაო, გვიყვარდა ძალიან,  
 მითხრეს და... ღუმილი მიჯობდა...  
 გულს მომწვდა ცეცხლის ალი და...  
 ღვთის რწმენა ამ დიდ ცეცხლს მიქრობდა.  
 ჰო, რწმენით ვაგრძელებ ცხოვრებას,  
 მნათობო, გამათბე ზეციდან...  
 ავიტან ამ დარდთან ცხოვრებას,  
 მივიღო იმედი დედისგან.  
 ხათუნამ გაუძლოს ჩემსავით,  
 ბრძოლა და... დარდებთან ჭიდილი...  
 ვინ ეტყვის დათუჩი შენსავით,  
 რომ მზეს გავს, დედიკოს ღიმილი.  
 ბედს ვკიცხავ, როგორ არ გავკიცხო,  
 რად ჩაგრავს, ალალს და რწმენიანს,  
 და „გონო,„... ჭკუავ და ნაკითხო,  
 დედების განაჩენია?

## ხომი მინა

როცა გული, სიკეთისთვის ფეთქავს,  
როცა გტკივა, სხვისი სატკივარი,  
მაშინ ლექსსაც თბილი სიტყვა ეთქვას,  
რომ არავინ მყავდეს მომჩივარი!  
ვცდილობ დღეც კი ისე ჩამოლამდეს,  
სიყვარულით გული მქონდეს ღია,  
გათენება, ძილშიაც რომ მწამდეს,  
შევეგებო, სიცოცხლისმგვრელ ნიავს!  
გაუუღიმო, მოხუცებულს, დაღლილს,  
დარდებით, რომ წლები გაუღენავს,  
ეკალბარდში ცრემლით ბევრჯერ გავლილს,  
ჭალარა თმებს ქარი რომ უწენავს.  
შემეცოდოს, ხურდის მათხოვარი,  
თუნდაც ეს მას, სამსახურად ჰქონდეს,  
აღარა სჩანს შრომით საშოვარი,  
შევეშველო, ტვირთი რომ მიქონდეს!  
გულმონყალე, სულით სავსე კალთა,  
მივაფარო, სათბუნებლად ყველას,  
სულ დავცალო, ტკბილი სიტყვის ჩანთა,  
არ გადვიქცე, მეც სხვასავით მგელად!

## ჯაგვიფარე ჯვთიშობელო

დაგვიფარე ღვთიშობელო, დაგვიფარე,  
თითქმის ყველას ბანკების აქვს სესხი..  
სააქროველო, შენს უბეში შეიფარე,  
ერი უკვე შიმშილობს და კვნესის!

## მინდა ვეჩუხუხუაო აქსიო

შემოდგომის ათასნაირ ფერებს,  
როგორ მინდა, ვეჟღურტულო ლექსით,  
დარდიან გულს ალბათ დავაჯერებ,  
ეს განწყობა ცის სულელებსაც ესმით....

ალბათ ცაში იზეიმებთ შვილო,  
შენ და მამა, მეგობრებთან ერთად....  
უთქვენობით რაღად ვიშიმშილო,  
თქვენ მადახართ ღვთიშობელთან ერთად....

ჰოდა, ჩემს თავს შეუძახე ახლა,  
გავიმაგრე ისევ დედი გული,  
უთქვენობა თუმცა მგზავრად მახლდა,  
უთქვენობით გულს შემორჩა ღრმული.

მიხარია, სხვისი სიხარული,  
სხვისი ცრემლიც, ჩემსას ემატება...  
მიხარია, სხვისი სიყვარული,  
ფოთლებივით გულზე მეფანტება.

შენ ტოლებს და ჩემი ძმების ტოლებს,  
ძმებად, შვილად, შევციცინებ შვილო,  
გული კვნესის... დარჩენილი ობლად,  
ჩემო, ღამის გატეხილო ძილო...



## სანთებავა

ისევ მიჯობს,  
ლექსთან ვისაუბრო,  
არ მსურს ფიქრებს  
გაყვე შერა-შარა,  
დამშვიდდები  
ვიცი ასე უფრო,  
ვიდრე ფიქრის,  
დარდის ღია კარად.  
ლექსიც ვიცი  
ლამის ფარანს მომთხოვს,  
მოვიმზადებ,  
სანამ სიტყვას მეტყვის,  
ვჩქარობ,  
რადგან ზამთარია, მოთოვს,  
ხმაურია,  
ზეციდანაც სეტყვის.  
სანთებელა  
მოვიმარჯვე ლექსის,  
გავაშუქე ლამის არემარე,  
საგალობლის  
სიმღერები მესმის  
და საბანიც ფიქრით ნავიფარე!



## თუთიყუბი

ეს ფრინველი, იცით ხომ?  
 არ ვისწავლე მისი ენა,  
 რასაც ვიტყვი, გაიმეორეო მითხრა...  
 რომ არ მინდა გადაფრენა?  
 რატომ უნდა დაგიჯერო ვინცხას!?

## საიჯან ჯავიწყო (ჯემალ ხარეზავას)

ცრემლიან დღეებს გავიხსენებ ჯემალ ბატონო,  
 მდულარე ცრემლებს, ბათუზე, რომ ადრე დავწერე.  
 მჯერა ისევე შვილის სული ყველას გპატრონობთ,  
 მირონივით დის მწუხრის ცრემლი, იმ ძველ ნაწერებს.  
 უკვე გამრავლდი, გაფუფუნდი შვილიშვილებში,  
 გულით ხარობენ, ამ სიმდიდრით ლაშა ხატია...  
 რომ ზეიმობენ, ჭიკჭიკობენ მათი შვილები,  
 დაძმანისათვის, ერთგულება წმინდა ხატია.  
 დღეს შენი დღეა, იუბილეს გულით გილოცავ,  
 ბედნიერი ხარ, თუმც ტკივილი არ გავინწყდება...  
 ცრემლიან დღეებს, უღრან ტყეებს გადაულოცავ,  
 შენი ვარსკვლავი, უკვდავების გამობრწყინდება!!!!



## უგულოთა სამყაროში

უგულოთა სამყაროში,  
ეკალ – ბარდებს,  
ვუძალდები,  
ისე როგორც მეომარი,  
მაგრამ მაინც...  
ზოგჯერ რალაც, ეჭვსაც ბადებს,  
რატომ არ ჩანს,  
საქმიანი მეგობარი.  
მოსავალის მოყვანაში,  
სულ ვარ მარტო,  
ხმის გამცემი მენატრება,  
როცა ვბარავ,  
უსასრულოდ კეთილი  
ვარ, ამას მატყობთ  
და მივყვები ღობე – ყორეს,  
ეკლის შარას.  
როცა უკვე დავფქავ  
მარცვალს, გამოვაცხოვ...  
ტომეულებს, განა მართლა,  
პურის მარცვალს,  
ესევიან ჩემი თორნის,  
წიგნის საცხოვს,  
ველარ ვითვლი,  
რამდენია მამინაცვალს...  
არ დავწერდი,  
გულის ტკივილს, მაიძულეს,  
მუქთა ლუკმას,  
უკვე ბევრი შეეჩვია...  
ქალი ვარ და...  
ველარ შევძლებ მძიმე უღელს,  
ჯობდა უკვე უსაქმური გამერჩია!

## სიხსზვიის აჟი

ნუთუ ასე გაგეყინათ სისხლი,  
 ქართველების  
 აღარ გახსოვთ ძმობა,  
 გაძლევთ,  
 მოდით, ჩემიც გადაისხით,  
 არა მძულხართ,  
 ან, რა მოაქვს მტრობას...  
 გაიხსენეთ ძველი ძმობა, თორემ,  
 ღმერთი დაგსჯით,  
 რისი მომხრეც არ ვარ!  
 თქვენ გაყვებით,  
 მერე ცოდვის მორევს,  
 მე? პირადად გულით  
 ყველას და ვარ.  
 მახსენდება,  
 ის დრო მახსენდება,  
 როცა ერთურთს,  
 ვპატიუობდით სახლში.  
 გულით, მჯერა, ისევ გათენდება,  
 დაინვებით,  
 თქვენ, სირცხვილის ალში!





## ჩა ჯამაჲინჲებს

რა დამავინჲებს, ჩიტების ჟღურტულს,  
რომ ჭიკჭიკებდნენ, გულის საამოდ...  
ანდა ძირულის, მდინარის ბუტბუტს,  
ტკბილს და სილალის ლამაზ სალამოს!  
რა დამავინჲებს, ქაქიჩოს წყალთან,  
ბავშობის წლებთან, ჩამოსვენებას...  
მერე გზის ახლოს, გოგოტას სახლთან,  
ლამის ვარსკვლავის გადმოსვენებას!  
ცას შევცქეროდით, ბავშური თვალით,  
ვნყვეტდით მნათობებს, ფიქრის ხელებით,  
თმებს გვინუნავდა, სიცულქის ქარი,  
ლამის წყვდიადის განახელები!  
ციცინათელა გზას გვინათებდა,  
ვერას გვაკლებდა გადამთიელი.  
მთვარეც კი ჩვენთან, ლამეს ათევდა,  
სურნელს გვაფრქვევდა, ტყეთა იელი!  
ჩვენში არ იყო, შულლი საერთოდ,  
არც ბილნი სიტყვა, არცა მრუმობა...  
ყველა ცდილობდა, სიტყვა დაეთმო,  
არ ეტყობოდა, არცერთს ურჩობა!  
სად გაქრა ლამე, მე რომ მიყვარდა,  
ან ვარსკვლავები, ცას რომ წყდებოდა...  
მოხუცებული ხელით მიგყვავდა,  
რჩევა უფროსით გადანყდებოდა!  
მე მენატრება ის დრო, ის ლამე,  
ახლა ქუჩაში დარბის ჩინელი...  
დრო მიდი-მოდის, მირჩიეთ რამე,  
ჩვენ რას გვიშველის გადამთიელი!



## ვხუნავ ხვანოსთვის

ჩემი რაც იყო, გავყავ-გავეცი,  
 სხვისას არსდროს, ხელს არ მოვკიდებ,  
 ბედისწერიტაც ბევრჯერ დავეცი,  
 ბევრჯერ მტაც ზურგზე წამოვიკიდე.  
 რომ დამესვენოს, დღეს ვერ ვიხსენებ,  
 ჩამომესვენოს, წუტით ნებოვრად,  
 როს გარდვიცვლები, დროს თუ ვისესხებ,  
 შრომით დაღლილი ცად თუ მეძინა.  
 ციდან დაგმოდღრავთ სიკეთისათვის,  
 გქონდეთ და ზოგრჯერ სხვასაც მიეცით,  
 არ დაინანოთ ლუკმა ძმისათვის,  
 ზოგჯერ მათხოვრის, ჩოხაც ჩაიცვით.  
 მასაც გული აქვს, უყვარს და ტკივა,  
 უხარია და ისიც განიცდის,  
 სხვას არ მოპარავს, თუმცა კი შივა,  
 რიგში ყოველთვის, მშვიდად დაიცდის.  
 არ იამაყებს, არ განდიდდება,  
 არ მოიპარავს, არვის დაჩაგრავს,  
 ბავშობიდანვე იგი ღვინდება,  
 ბავშობიდანვე მზის ფერი დაკრავს.  
 მე კი ეს ვარ, რაც ვიყავ ადრე,  
 კვლავ თეთრად ვათევ დარდების ღამეს,  
 ცუდ სიტყვას, მტერსაც არასდროს ვკადრებ,  
 მაშინაც არა... თუ გამამწარეს!



## გაყინუა ზიოში

ორ საათამდე, მთვარეს ვუყურებ,  
მერე მივლულავ, გადაღლილ თვალებს...  
ხან ვემგვანები, მწვანე გლუყუროს,  
ხან ლამის ფიქრებს, ცრემლებში ვავლებ...  
მერე ეს როლი, იცვლება ძილით,  
სიზმარში, სად არ დავხეტილოვ,  
გაყინულ დროში, მიკვირს ვარ თბილი,  
მსურს დედამინა დავატრიალო.  
ვცდილობ, გავჩერდე ისეთ განედზე,  
არ განდეგნიან, სადაც ქართველებს...  
ანდა აჯობებს, დავრჩე მთვარეზე,  
გავს ჩემი მინა, მტრისგან ნართველებს!

## ხეთა ტკივილის

ხის გაპობილი ტანიდან,  
ნაჭრილობებიც მტკივა,  
გულს გავიმაგრებ ხვალიდან,  
რადგან ბელურებს შივათ!  
ვკვებავ დიდსა და პატარას,  
სიტყვით და ჩემი ლექსებით,  
ტკივილმა სად არ მატარა,  
მაინც მჩხვლიტავენ ნემსებით!  
ჩემით არავის ეტკინოს,  
ყურებს გულის ხმაც ესმის,  
დედებო, თქვენ არ გეტიროთ,  
ბედისწერისგან კვნესი!

ქინაჯამ ჯავიხირე

პატივი მცა ერთმა გულით,  
 სიტყვით ქება დამინერა...  
 წლები მქონდა დაფატრული,  
 წლები ისეც გადინვერა.  
 აფოფინდა მწყრის ბარტყივით,  
 ხან მერცხალსაც შევადარე...  
 დარდი ფანტა, ცხვრის მატყლივით,  
 წამით გამოვიავადარე...  
 იტრიალა ჩემს გარშემო,  
 სახეს ცრემლი შემიმშრალა..  
 ცდილობს კოშკი ააშენოს,  
 დარდი დაფშვნა, დამიშალა.  
 მეც ვიფიქრე პატივს ვცემდა...  
 კარგი უნდა ხომ გაირჩეს.  
 მერე თვითონ ამიმხედრდა,  
 საყვედურით წამს დავიხრჩე.  
 დაანთხია, სიძულვილი,  
 სახტად დავრჩი, რატომ ღმერთო...  
 ჩემთვის იყო წყლის წყურვილი,  
 შვილის მსგავსად გულში მენთო.  
 დავფიქრდი და კვლავ გავმაგრდი,  
 ვთქვი, რომ ბედი ისევ მცდიდა...  
 ციდან მხედავს ღმერთი არდი,  
 ფიქრიც უკვე აღარც ღირდა.  
 მაინც მიკვირს, დარდის შემდეგ,  
 სეტყვა... სიტყვის დამიშინა,  
 აღარც მინდა წინ რომ შემხვდეს,  
 დარდის მთები ამიშენა.

### ბაჭბაჯა მტრედეგი

ამ ბაჭბაჯა მტრედეგშია,  
ჩემი შვილის სულის არე,  
იქნებ იქ ის ედემშია,  
ან იშვილა ღამით მთვარემ.  
მე ასე ვგრძნობ, მტრედეგია,  
მეუღლე და ჩემი შვილი.  
ზღვის ლაჟვარდის გედებია,  
იქნებ მთაა დათოვლილი?!

### ქაიან ხშირად განუხებ წამით

შენ ხედავ ღმერთო, სიმართლეს ჩემსას,  
განვლილ გზასა და დასახულ მიზანს...  
ლუკმას არ ვიღებ სხვისას მე ხემსად,  
ბედმა ტყვიები, რად დამიმინა.  
ჯერ ერთხელ მომხდა, შენით გადავრჩი,  
გამამაგრე და სალ კლდედ მაქციე,  
კვლავ წინ წავედი, წლებს არ ჩამოვრჩი,  
ცრემლი თვალს შიგნით გადავაქციე.  
წამოვინიე, შენით უფალო,  
ახლაც სიკეთეს ვემსახურები,  
ანდა მადლობა ვის შევუთვალო,  
მინას ეტყობა ნაფეხურები...  
კვლავაც ვეცდები სახლი დავხურო,  
შენი იმედი არ გამინზილო,  
მსურს ჩემს მომავალს, მოვემსახურო,  
არ მინდა ვიყო ინილ-ბინილო...

## მეჩხება

ისეთი დილა გათენედეს,  
 მტერმა, რომ მითხრას სალამი.  
 გუშინ, რომ გული გათელეს,  
 ვეძებ ისინი სად არის...  
 დავეძებ ჩემს  
 მტრებს სამოყვროდ,  
 ვეტყვი, სადაო რა არის.  
 ანდა იმ ბილიკს გამოყვინენ,  
 სადაც სიკეთის ზღვა არის.  
 დავჯდეთ და აზრი გამოვთქვათ,  
 ავნონ-დავნონოთ სიტყვები,  
 ერთად ხორბალი გამოვფქვათ,  
 ტყეშიც დავკრიფოთ ნიყვები.  
 შევწვათ, შევბრანოთ ტაფაზე,  
 სუფრაზე სხვაც მოვიწვიოთ,  
 მტრედი ზის ფანჯრის რაფაზე,  
 ხის ტოტიც ჩამოვიწვიოთ.  
 მერე მოვმართოთ ფანდური,  
 დაუკრათ ჩავილილინოთ,  
 ბალშიც დავკრიფოთ დანდური,  
 ქეიფი ვინთქვა უღვინოდ.  
 თითო-ორ ჭიქა გადავკრათ,  
 ნასულებს სული უხსენოთ,  
 საყვედურები აღარ ვთქვათ,  
 გულის ხმაურსაც ვუსმინოთ...  
 მერე მოვიდნონ საზღვართან,  
 მოგვთხოვონ მიწის ნაკვეთი,  
 შემოვიტყუოთ მარანთან,  
 იქ ჩაუტარებთ გაკვეთილს!

## ჯავინთეხისჯი

ვერავინ მეტყვის რატომ აქვს მუხას,  
გადაპოხილი ტანი კორძებით...  
აღბათ ეს მთები იმიტომ წუხან,  
სხვამ რომ ნაილო ტაო-კლარჯეთი.  
ხერთვისის ტკივილს წარსული მეტყვის.  
ცხრა აპრილი კი ჩემს თვალწინ მოხდა,  
აფხაზეთს ისევ უცხონი ეტრფის,  
გული ამიტომ კვნესის და ოხრავს...

## ჯჯვა პატრონს ევის

საქართველოს მთებს ყინვა კვლავ სუსხავს,  
ამიტომაა სევდის განწყობა...  
უქართველებოდ თბილისი სურდათ,  
ნოყიერ მიწით სულის ნაყრობა.  
არ აქვს საზღვარი, მგრის ამ ნაბიჯებს,  
და უსამართლოდ ბილიკთა თელვას,  
ახლაც სხვა ეტრფის ყვითელ ნარინჯებს,  
ზღვა პატრონს ელის, ტირის და ღელავს.



## სისოსხაე

შვილიშვილებით ვხარობ ნამდვილად,  
ვადარებ ცისკრის მნათობს...  
სიცოცხლე მათით გამიადვილდა,  
ჩემს მხრებზე ნულარ დათოვს.

## თუკი

თუკი ბალახი, ცოცხლდება წვიმით,  
მაშ რად ჩამოდის ცრემლები ყვავილს...  
მე დავჯერდები რაცა მაქვს იმით,  
მხოლოდ ჩემს ახლოს ნუ ჩხავის ყვავი.

## ვეჯახ გინამე

რა პატარა ხარ, ერთი ციდა,  
ერთი მარცვალი,  
დანდურივით ხარ გადართხმული  
დედამინაზე,  
ო, შენ ყოფილხარ, ჩემი სულის  
მამინაცვალი,  
სწორედ ამიტომ, ველარაფრით  
ველარ გინამე.





### შიქს მზის სამოსელი მხვა

აუ, რამდენი დღეები დავკარგე,  
რამდენი თვე და წუთი...  
ტილოზე ლამაზი ვარდები დავქარგე,  
რომელსაც ფრთხილად ვფუთნი,  
ფიქრიც კი შემძულდა იმ ძველი ტკივილის,  
ფიქრი ბედისწრის დღეთა,  
ჩემს ბაგეს უხდება ლამაზი ღიმილი,  
ყოფნა მრავალთა ფერთა...  
მე ჩემი ხეხილის ნაყოფი წამართვეს,  
მაჭარიც დალიეს ყურძნის...  
გულის ტკივილი დარდებმა დამმართეს,  
ვათრევდი ტკივილის ხურჯინს.  
ო, ახლა სხვა ფიქრი, ნამდვილად მენწვია,  
გავარდისფერდა ზეცა...  
გულს სიხარული მართლაცდა ერჩია,  
ფიქრს მზის სამოსელი ეცვა.

### ჩემს პატარას ახ ენახოს

ჩემს პატარას არ ენახოს,  
ცა, ლუბლებით შემოსილი...  
სამშობლოში ევენახოს,  
სული ჰქონდეს მზით მოსილი.  
დაემგვანოს ნიჭით თამარს,  
მამრს აჯობოს სიტყვის ჭავლით,  
ლექსს მივუძღვნი თბილს და თამამს,  
ჩემს გზას მოჰყვეს უკვე გავლილს!

\*\*\*

ახლა დილაა... და მზის სხივები,  
 მოადგა ფანჯრის რაფას.  
 რა კარგი იყო ჩვენი შეხვედრა,  
 შეხვედრა გავდა ზღაპარს.  
 შენს წინ ვიდექი ხარაიშვილი,  
 ძველი მეგობრის ფესვი.  
 თქვენ დაგინახეთ ლამაზი ცრემლი,  
 კვლავ რომ ტკივილებს ებრძვის.  
 განსვენებულის, სოფელს იხსენებ  
 და გაგახსენდა წყარო,  
 შენზე კეთილი, მე ვერსად ვნახე,  
 ანდა ვის შეგადარო.  
 თქვენა ხართ ჩემი ლამაზი სული,  
 ო... შენ გაჩერდი ქარო,  
 ჩემი გული აქვს, ასე ვიცანი  
 ბენვიც არ გააცალო.

### ნაშუა

ამისრულე, ღმერთო, ერთი ნატვრა,  
 ახალგაზრდებს ქონდეთ, გამტანობა...  
 ...და თუ ვინმე ქეიფის დროს დათვრა,  
 არ ინდომოს, ყველას ბატონობა.  
 დაადინჯე, დაუამე გული,  
 თორემ განყდა, ქართველ ჯიშთა მოდგმა...  
 ნერგებია სხვაგან გადარგული,  
 ბედიც წყრომით, ახალგაზრდებს მოდგა.



### აქსეზის სუჰა

ვცდილობ დავიხარჯო,  
სიტყვა თქვა საამო...  
ვეცდები ვიყო,  
გულისთქმით სუფთა.  
დღეს უნდა ჩავატარო,  
ტკბილი სალამო,  
და ყველას – ყველას,  
სიმართლე ვუთხრა.  
რომ მე ვარ თბილი და  
სიტყვებით მკურნალი...  
წმინდა მთის ჰაერი,  
ყველაზე სუფთა.  
დღეს თქვენ ხართ სტუმარი  
ფაქიზი ჟურნალის,  
ჰოდა გაშლილია, ლექსების სუფრა.

### მ. წვიმის წვეთო!

იქნებ ღრუბელთან იკამათე და ფიცხოვ ასე,  
წვიმის წვეთო და მომხუილობ აცახცახებით...  
ან იქნებ მიტომ მოიჩქარი, წყალი არ დამრეს,  
მაინც დაფიქრდი, სანამ მიწას დაენარცხრები.



## ხა საჭიხოა

რა საჭიროა, ფიზიკურად,  
 რომ ყველგან იყო,  
 უფრო მთავარი არის ფიქრით  
 სად დაფარფატებ.  
 ბევრჯერ მე ქარი მისისინებს,  
 ვერასდროს მბრწყინებს,  
 ვისაც პატივს ვცემ, ახლა ლექსით  
 უნდა დავხატო.  
 ქარი აშკარად ფართხალებდა,  
 იმ დღის საღამოს,  
 გულით შავი და დიდი-დიდი  
 თეთრი კბილებით...  
 ბრძოლა მიყვარს და...  
 ბედისწერავ, გთხოვ არ დამღალო,  
 ჰო, ჩემი წლები ომში არის  
 გამოვლილები...  
 ვეომებოდი ქარბორბალას  
 ცუდსა და ავპირს,  
 ვლოცავდი გულით იმ დღის  
 გმირის გამობრწყინებას.  
 სიკეთის ზღვას ვარ შებმული და...  
 გავალწევ ნაპირს...  
 ვისაც პატივს ვცემ,  
 მოფერება არ მომწყინდება.

## შენს თვალებში

(იზა ჭიკაიძეს)

შენს თვალებში, ღრმად ჩახედვას  
თუ გავბედავ,  
დავინახავ, მჯერა სულის სარკეს,  
მთელი წლები ცრემლი ბედად დამებედა,  
ჩემს ცრემლებზე დავწერ, ერთ დიდ ნარკვევს.  
შეგხვდი... ლექსი ავარჩიე საჯილდაოდ,  
მინდა დარდი ძველრძესავით ავჭრა,  
გიერთგულებ, თუგინდ დავდებ სანიძლაოს,  
სხვის ლუკმას კი არასოდეს არ ვჭამ.

## სხვა გზას ვეძებ

სხვა გზას ვერც ვხედავ  
და არც ვცდილობ რომ დავინახო,  
გარდაცვალება, მარადიულ სამყაროშია.  
გულის ტკივილი, აღარ მინდა, რომ შევინახო,  
სიკითე მინდა, მოვაფრქვიო ამავე დროშია.  
აღარც რიტმს ვეძებ, ჟღერადობის სიტყვაც არ მინდა,  
მკურნალი მინდა, გავხდე გულის და მოვარჩინო.  
ხედავთ? ცა ღრუბლის, კვლავ ჩემს თავზე გადაიბინდა,  
სიცოცხლე უნდა, ისევ რწმენით გადავარჩინო.  
ჰოდა, დამშვიდდი, დავიამე გულის ტკივილი,  
მინდა ჩემს რწმენას, უნთანაგრძნოთ ურწმუნოებმა,  
შეინარჩუნეთ, შაოსნებმა სახის ღიმილი,  
თორემ ცხორება, ისეც გახდა ამაოება.



## თუ ისუხვა

რად არ შიშობ მელიასთან  
 ყოფნას ჩემო ძამია...  
 გაგცვლის ქათმის ვარიასთან,  
 მისთვის ძმობა ნამია.  
 თუ ისურვა გალიაში,  
 ჩაგსვამს უყველ-უზუროდ,  
 მერე ნავა დარიალში,  
 რაც არ უნდა უყვირო.  
 თუ ქათმები შეუმცირდა,  
 არ დაზოგავს არაფერს,  
 მასთან ყოფნით ტანში მცრიდა,  
 სიტყვებს ვფენდი შესაფერს ...  
 გავეცალე ავცდი კლანჭებს,  
 მჯერა არსად შემხვდება...  
 მეც ერთ ლუკმად ვიცი, შემჭამს,  
 თუკი მოუხერხდება.

## ახ ვახ ნაჩვევი

არ ვარ ნაჩვევი, რომ აუგი წამომცდეს მაინც...  
 სულის კრედოა, ჩემში მუდამ მიმტვევებლობა.  
 მე დავიბადე გაზაფხულის თბილ ლამაზ მაისს...  
 როგორ ვიკადრებ, ცუდი ფიქრის მქონდეს მცდელობა.



## გაჯიხაჯის წვეულება

გადიხადეს წვეულება,  
ვირთხამ, ტურამ, მელიამ.  
მათ აქვთ ერთი ჩვეულება,  
ყველა ერთ ხმით მღერიან.  
შეაქებენ სულით ბრმებსაც,  
თუკი თვითონ სჭირდებათ.  
დღე უსაქმურთ არასოდეს,  
დრო არ გაეჭიმებათ.  
მელას როცა მოსწყინდება,  
ყველას გვერდზე მოისვრის.  
ტურა მწარედ აყვირდება —  
მტკივა მელის ნაისრი.  
ვირთხა იტყვის ადრე რატომ  
არ ვიფიქრე ამაზე...  
მელას ხრიკებს მეც კი ვნატრობ,  
ვფიქრობ ჰარამხანაზე.  
ესეც კარგი ბიზნესია,  
ალარ დამღრღნის ვალები.  
კარავს გავშლი მწვანეშია,  
ამეხილა თვალები.  
მათ საუბარს ყურს უგდებდა  
მეფე იყო ხვადია,  
ბრძანა: ჯართად ჩაბარდება,  
უსაქმურნი ცხადია.



## ქახოვის ახნივი

იქნებ, თვითონ ვქმნი ლექსთა შედევრებს,  
 იქნებ, ზურმუხტსაც ვეთამაშები.  
 განვლილი წლებით ვითვლი შედეგებს,  
 ღრუბლბს ფანტავენ, ლექსთა რაშები.  
 ყველა ტიტულში სისხლის წვეთია,  
 მზითაც არ შრება სისხლის ნაწვიმი...  
 გული ომებით განაცვეთია  
 და ფრთებს ვერა შლის ქართველის არწივი.

## მინდა

მინდა ლექსით დავიხარჯო,  
 არ მდიოდეს ცრემლები.  
 დარდზე უნდა გავიმარჯვო,  
 მყავდეს სულის მცველები.  
 ვარ სიკეთის მოტრფიალე,  
 სახით პირმოცინარი...  
 არ მსურს უკან დავტრიალდე,  
 არ მსურს ვიყო მძინარე.  
 სულ ფუსფუსში გავატარებ,  
 წლები რაც დამრჩენია,  
 ცაშიც საქმე გამატანეთ,  
 იქ სხვა განაჩენია.  
 მსაჯულები ნაღდ სიმართლეს,  
 მინსხალ-მინსხალ წონიან...  
 იქ ვიხილავ მზის სინათლეს  
 ყვითელ-წითელ ფონიანს.



## სამსამაჟები მითაჟ ჯაჟანიმთ

*(ჩემს მაზლის ცოლს, იზოლდა ტეფნაძეს)*

შენს სილამაზეს ბევრი ეტრფოდა,  
ტანწერწეტას და თვალებრიალას...  
გხათრობდნენ... ზედმეტს ან ვინ გეტყოდა,  
ბედმა „კოდისკენ“ მოგატრიალა.  
გათხოვდი ... გავხდით მაზლისცოლები,  
ჯაფის ქარცეცხლი ერთად გავლიეთ,  
შემოგვნატროდნენ ჩვენი ტოლები,  
სამსამაჟებიც ბევრჯერ დავლიეთ.  
და ახლაც გვმოსავეს გლოვის სამოსი,  
ან რა მოარჩინს იარას ნეტავ,  
გვამძიმებს ცრემლის ტანისამოსი  
და ბევრჯერ სიმწრით თითებსაც ვკნეტავთ.

## ჩემი სხოჟიჟა

ზამთარი მიყვარს თოვლის სითეთრით,  
ის ზეცის სევდის თანამგზავრია...  
გაზაფხულის კი ყვავილი ერთი...  
მაგრამ რად მინდა, გულში ბზარია.  
შემოდგომის თვე... ფოთოლცენაა,  
ტყე იძარცვება მწვანე სამოსით.  
ჩემი ცხოვრება, დიდი სცენაა,  
რომელსაც ცრემლი ბევრჯერ ჩამოსდის.

## იმეფების კახი

იმედების თბილი კარი გამოვალე,  
 შიგ დავინყე, ხეტიალი აბდაუბდა.  
 გაყინული რწმენის ბალი გამოვალღვე,  
 რადგან დარდი თვალის ქვაბში დუღდა...  
 იქნებ სხივმა ეს ცრემლები ააორთქლოს,  
 ტკივილები გვერდზე უნდა გადავანყო,  
 მოვეფერო, ციცქენა ნერგებს ნაზს და თოთქოს,  
 იმედებით, ცხოვრება მსურს, კვლავ დავინყო.

## ქაჯას ვიქიხუ

იმედები სად წასულა,  
 ჩუმად მიიპარება...  
 ცა ღრუბლებით დაორსულდა,  
 მთვარე ნისლს ეფარება.  
 ძალას ვიკრებ... ვეძებ სითბოს,  
 მივყევ ტალღის დინებას,  
 მივალწიე ნაპირს თითქოს,  
 აღარ მომენწყინება.



## ძიუჟაბ

რამდენი წლის ხარ ჩემო, ძირულავ,  
ვინ იცის ნეტავ შენი წარსული.  
რამდენის დარდი ფსკერს ჩაძირულა,  
მდინარევ, შენ ხარ, უკვე ზრდასრული.  
შენ გახსოვს, ჩემი პაპის პაპანი,  
მომსწრე ხარ, ბევრჯერ გულის ნიაღვრის...  
ჩემს ხალხთან ერთად წიე ჭაპანი,  
შენ იყავ დარდის თანაზიარი.  
ძირულავ, ჩემი ბავშობის ყრმობავ,  
მესაიდუმლევ, გულის ჩურჩულის...  
რამდენს გაზრდი და უკეთესს შობავ,  
რომ არ გტორავდეს ბედის ურჩხული.  
ერთს გეტყვი, ჩემო გულის ხმაურო,  
ბედნიერების წუთებს ვიხსენებ...  
ახლა ეს წლები აურზაურობს  
დრდით ძირულავ, ველარ ვისვენებ.  
თურმე მდიდარი მაშინ ვიყავი,  
შიშველ ფეხებს რომ ქვები მისერდა,  
არ ვიყავ ბედით გაურიყავი,  
ვცელქებდი, მაგრამ დედა მითმენდა.  
ვაცხოზდი ქვიშის ქადა ნაზუქებს,  
და ვბანაობდი, შენს ლურჯ ტალღებში,  
ჭალვანის გზებზე, თოვლის ქარბუქებს,  
როს ვიზილავდი ჯანსალ ძარღვებში.  
ახლა მოვედი, ტირი ჩემსავით,  
დაეძებ შვილებს, შენ რომ გაზარდე...  
შენც გახსოვს ვიცი გუშინ დღესავით,  
რამდენი დარდი გამოვიზამთრე.

გავჩუმდეთ ახლა ჩემო ძირულავ,  
 ისევ წარსულში, ჯობია ვიყოთ...  
 სურვილი დარჩეს, ისევ სურვილად,  
 რადგანაც ბედი ორივეს გვბრძოლებს!

### წიგნის ნაწილი

ღრუბლის ნაფლეთო, იფარფატე რამდენიც გინდა,  
 შენი ნისლეების თქორ-ბურუსში, გავალწვე ნაპირს,  
 გავიპენტები გვირილებად, იეზად, შინდად,  
 თუ ბედისწერა სამუდამოდ მზესთან არ გამყრის.

### გადაწყვეტილება

ნიჭი გაგიფანტავს „ბიჭო გოგია“,  
 ვის მიუძღვენი დღე და წუთები...  
 უსაქმურები შენსკენ მორბიან,  
 მათ დანახვაზე დაფათურდები,  
 ამ საქციელით დაპატარავდი,  
 ყველასთან გახდი თოვლის ყინული.  
 მაგ ბრბოს მისდიე, სახლის კარამდის,  
 ჩემს გულში უკვე გადაყინულდი.



## უნეზოზოზა

ქარიშხალში მოვხვედრილვარ ხშირად  
ჰოდა, ყველგან სევდა დაპარპაშებს.  
თითქოს ლუკმა ყელში გამეჩხირა,  
ცრემლებს მზეშიც ველარაფრით ვაშრობ.  
ზეცაც ტირის მწუხრის ცრემლი ნასკდა,  
ალბათ მასაც ჩემებრ სტკივა გული,  
ფიქრიც სადღაც უგზოუკლოდ ჩაკვდა,  
ვის ვჭირდები ბედით დაჩაგრული.  
დღეს კი ისე ფაქიზია სული,  
რომ დარდებიც გაეხვევა სხივში.  
ღვთის მადლია ზეცით გადმოსული,  
რალად მინდა თუნდაც ოქრო სხვისი.  
იმედები დაბრუნდება ჩემში  
ასე მჯერა, ფოთოლცვენის შემდეგ.  
სანუგეშო ხმები ციდან მესმის,  
შემოდგომით გადავითვლი შედეგს.



## ახ გავიმეტებ

ცუდი და ავდრიანი ამიდებისათვის  
მტერსაც არ გავიმეტებ,  
ვფრთხილობ... გულის კედელი  
არ ჩამიტყდეს,  
სხვისი ტკივილიც მტკივა და  
დარდს არ დავიმატებ.

## ვყოფილიყავ ქვეყნის გამკითხავი

(მირზა გელოვანს)



მე რომ მირზა, შენს დროს მოვსწრებოდი,  
ვყოფილიყავ, ქვეყნის გამკითხავი...  
პოეტობით თუ არ მოგწვდებოდი,  
ვიქნებოდი ლექსის წამკითხავი.  
წავიდოდი შენს მაგივრად ომში,  
შენ კი სახლში დაგტოვებდი ლექსთან...  
მოვხვდებოდი იმ ტყვეების თქორში,  
მომავლისთვის სიტყვა მეც რომ მეთქვა.



## შეხვეთ

შეხედეთ ერთი გვირილის ყვავილს,  
გაუღელა გულის საკინძე.  
რა ლამაზია, ლექსით ყვავილობს,  
მისი ფოთლები გულში ავკინძე.

## სიკვდილი

სიკვდილი მოვკალი,  
ამიტომ აღარაფრის მეშინია,  
აღარ გამიდის კანკალი,  
ნუ დამიძახებთ ჟინიანს,  
გავხდი კერკეტი კაკალი.  
სასარგებლო ვარ,  
ჩემი გულით კარგი საქმე გაკეთდება.  
ვგავარ რკინის ფარს,  
რომელიც ტყვიის სროლის დროს  
არ ფეთდება.



## ზეცას შევცქერი

ზეცას შევცქერი, დავლალე თვალი,  
 ლამით იქა ვარ, ეს დღისით ხდება,  
 მთვარეა ჩემთვის, მზის ტყუუპის ცალი,  
 მიყვარს, რადგანაც ლამეში ჩნდება.  
 ძირს ტანჯვა არის, ჯვარცმა, გოდება,  
 გაუსაძლისი ყოფნის ნამები,  
 აქ, შვილი დედას როცა შორდება,  
 როცა ტირიან შვილებს მამები...  
 სიზმრად ცას ვნახე, კარგად არიან,  
 იქ, არ იყოფა დიდი, პატარა,  
 იქ, მთლად უფროსი მხოლოდ მთვარეა,  
 იქ, არ არსებობს არსად სატანა.  
 როცა სულები ფრენას იწყებენ,  
 ცისარტყელაზე შემოსხდებიან,  
 დღისით მზის სახლში ცეკვას იწყებენ,  
 და არასოდეს არა კვდებიან.  
 ეს სიზმრად ვნახე, ნეტავ და მართლაც  
 და ზეცაც იყოს მუდამ ცისფერი,  
 ისე მშვიდი ვარ, ვიწყებ დღის ათვლას,  
 ჩემი სიზმრებით განაცვიფრები!





## ჩემი სულის მებაჟონე

ჩემი სულის მეპატრონე გავხდი,  
მშვიდად ვსუნთქავ, რადგან ქარი ჩადგა,  
აქამდე კი, მშიშარა ბავშვს ვგავდი,  
ცის მშვილი ვარ, ძირს ფეხს აღარ ვადგამ.

## ხოსა

როცა პოეტი ვარო ამბობ,  
არ უნდა აჩუქო შენი თავი სხვას...  
ქარაფშუტებთან არ უნდა იცეკვო სამბო,  
შენ, ეპოტინები ხავსს...  
ჩავარდები.

## აწსახება

კარგახანია, სხეულიდან გამოვედი,  
ჩემსავე სულში დავიდე ბინა,  
ხორციელთაგან წამოვედი,  
ნეტავ, იცოდეთ, რა მშვიდად მძინავს!



## სანამ ვიხსოვხვებ

ობოლს თუ ბევრჯერ გენატრებოდა,  
 მამის ალერსი – რადგან არ გყავდა.  
 გულს დედის ლოცვა გემატებოდა,  
 შენში სიკეთის ნერგებს რომ რგავდა.  
 გზების გაკვალვა, ნიჭით შეძელი,  
 ლუკმის დაზოგვით ზენიტს გადაცდი.  
 სხვის გამოკაფულს კი არ ეძებდი,  
 ღვთის გზას მისდევდი, და არ დამარცხდი.  
 გლოცავ ყოველდღე, გლოცავ ფიქრებში,  
 ფიზიკურად და სულით ლამაზო,  
 ყოველი წამის ათვლის ციფრებში,  
 გული ბრძოლისთვის უნდა დარაზმო.

## გამახახე

ტელეფონით გაგიცანი შვილო,  
 ჩემი გვარის მამლაცინა ბიჭო.  
 სიყვარულით გთხოვ არ მაშიმშილო,  
 შენ ხარ ჩემი მყარი ფუძის ჭიგო.  
 ხარისთვალა ჩვენი გვარის ჯიში,  
 მამულისთვის ბევრი შეენირა...  
 არა ჰქონდათ მოძალადის შიში,  
 მათთვის კალამს ბევრჯერ გამოვპირავ,  
 გამახარე, სიკარგით და წინსვლით,  
 დარდიანი გული რომ გამითბეს,  
 ე, მაშინ კი თავანწევით ვივლი,  
 მტრის ეკალი შენით თუ გათიბე.

## ახლოს მსუხს ვიყო

*(ბათუმში არის დედათა მონასტერი,  
რომელიც ზღვას მთიდან გადაყურებს).*

ბათუმის ზღვაში დავცურავ და  
შენსკენ მაქვს თვალი,  
შემადლებინე, რომ იქ ხატებს  
ხელი შევახო.  
მოვეფერები, რადგან უფლის  
მეცა მაქვს ვალი,  
ახლოს მსურს ვიყო,  
ჩემი სულის რწმენის ვენახო,  
როცა ამოვალ, შევავედრებ ამერს და იმერს,  
დიდ გზას ვადგავარ, ციცაბოა,  
კლდეთა აღმართი,  
სანთლის ანთებით, შვებას ვიგრძნობ  
თუნდაც წამიერს,  
მერე წამოვალ, გემი არის  
ჩემი სამართი.

## მინდა

მინდა სიკეთე, სუყველას ვაჩუქო,  
რომ ბოროტების სიყალბე ვქოლო,  
შენ ბედისწერის ბოლო ნაქურჩო,  
კეთილად იქეც სიცოცხლის ბოლოს.

## თქვენი სიტყვა

ჩემი ლოცვა, მაღლს გფენთ,  
 გულს გიკურნავთ,  
 გრძნობთ, ყოველთვის თქენი მფარველია.  
 თქვენ უხდებით „ათინათის“ ჟურნალს,  
 „ათინათი“ პურის მთაველია.  
 ეს დღე უფლის სიყვარულით შედგა,  
 ღვთის ტაძრისკენ მივიწვევდი მთაში,  
 ხელს მიქნევდა, თითქოს ქართველის დედა,  
 მივდიოდი წვიმასა და ქარში.  
 გამახსენდა ამაღლების წირვა,  
 როს მამაო, ლოცულობდი ღვთისთვის,  
 ქადაგება მხრებს მოვისხი შირმად,  
 და ვირწმუნე რომ დამეთმო მტრისთვის.  
 ვხარობ მაშინ, როცა სხვაცა ხარობს,  
 თუ ტირიან, მეც ვტირივარ ცრემლით.  
 თუმცა ქარი ძველებურად ქარობს,  
 გავეცალე... რომ არ მომწვდეს ცელით.



**აჟი ჯა ნინო**  
(ალისა და ნინოს ქანდაკებას)

მათ წინ ცეკვავს ზღვისპირეთის ფანტანები,  
განშორებას ტალღა გადაბელავს,  
მიხარია, რომ ყოფილან ამტანები,  
მათაც სტუმრობს ქუხილი და ელვა.  
სხეულს წყდება დარდებისგან გულის ხუფი,  
სიყვარულით ცეცხლით განათუთქი.  
ეხებიან, შორდებიან, წყენის წუთით,  
საზრდობენ ორნივ ზღვათა სუნთქვით.  
თვე-თვეს მისდევს, ნელინადი, ნელინადებს,  
ხშირად ვსტუმრობ, მიყვარს ზღვასთან ბრძოლა.  
ვუყურებ და დარდი ფიქრში გამოვწალდე,  
ქარმაც წუთით შეაჩერა ქროლვა.

**ძმას მას ვუნოვებ**

ძმას მას ვუნოვებ, ვიხილავ ვისშიც  
სულს სპეტაკსა და გულკეთილობას.  
რა საჭიროა გენი და ჯიში,  
ვალის გადახდის გაბათილება.  
კეთილია და მორჩა, დამკვიდრდა,  
დაძმობის ფიცის ალილუია,  
ფლიდმა, ორპირმა, ფულში გამყიდა,  
განა დაძმობა მხოლოდ ფულია?!

## წახსურის ანახეაჲ

შორს დარჩი წარსულის ანარეკლო,  
 გულში ჩატეხილო ნემსო.  
 გაფრთხილებ, ჩემთან არ დარეკო,  
 ქარის და ქარიშხლის მწყემსო.

## მასწავლებელი

*(მანანა ხაბლაშვილს*

*– კოდის დაწყებითი სკოლის პედაგოგს)*

შენ თავდაბლობით ამალღებულო,  
 მასწავლებელო, გულის მალამოვ,  
 ნიჭიერების აზრთა კრებულო,  
 ხომ მოიცალე მისთვის კალამო.  
 რამე გეტკინოს? არ შეიძლება,  
 სხირტლაძეების რძალო რჩეულო,  
 ახლა ეს ლექსი მოგეახლება  
 რჩეულ ქალებში გამორჩეულო.  
 კარგად აღზრდილი დედის შვილი ხარ,  
 დედას ვფიცავარ, მეამაყები.  
 ასე მგონია მამისშვილიხარ,  
 ქარის ენას რომ არსად დაყვები.  
 რადგან ამ ცოდვილ დედამინაზე  
 უფრო ჭარბობენ ბოღმით ავსილნი,  
 მასწავლებელო, შენი ვინამე,  
 შენ ხარ მზის სხივის ერთი ნაწილი.

## ხოსა

როცა დავრჩები ნლებით შიშველი,  
ვიტყვი, რა არის უკვე სიცოცხლე...  
რალაც ძალები ციდან მიშველის,  
რალაც ძალებით მინდა სიცოცხლე.  
იქით ვჭირდები ჩემს ხალხს ისევე  
აქეთ ვაჟი, ან ქალი მეზრდება.  
თუ მგლებს საჯიჯგნად შემომისევენ,  
ფუძის ბოკვრები წამომეზრდება.  
წამომეზრდება თამარ, ლევანი,  
თეონა, ნანა, ნენე, ვახტანგი, –  
თავმდაბლებიც და ზოგიც თამამი,  
იოანე კი კალმით ნახატი,  
გამრავლდებიან ისევ და ისევ...  
მირზა, იამზე, დავით, ნათია,  
ამ იმედების სასმისებს ვივსებ,  
ცას კი ვარსკვლავი ჩემიც ანთია.

## ასეთი უზუაო

ასეთი უგულო როგორ ხარ, არ ვიცი,  
სიკეთე ჩაფარცხე მიწას...  
ნისლი ხარ, ღრუბლებში ნათელი ნარცისი,  
მძულხარ? ყველაფერს ვფიცავ!



## ეს ყველამ უნდა იცოდეს

გვიან მენვია მუზა და...  
 გვიან გავხსენი კარიბჭე,  
 ნიჭს ჭკუა თუ დაუზავდა,  
 ლექსით ტიტულებს ვანიჭებ.  
 ხან ასე ხდება, ხან ისე,  
 მე ბედმა ეს დამაბედა,  
 ქარი ძალიან სისინებს,  
 ბრძოლას მასთანაც გავბედავ.  
 არ ავყოლილვარ მოდურად,  
 სხვის დუდუკსა და ქარაფებს,  
 ვარიგებ ყველა მომდურავს,  
 მათგან არ ვიღებ არაფერს.  
 ვავსებ ტრფიალის ელექსირს,  
 ზოგჯერ ტერეზაც მიწოდეს,  
 დარდიანს კურნავს ალერსი,  
 ეს ყველამ უნდა იცოდეს.

## ფიომ ახ გამინაპირო

სულის არე „ათინათობს“,  
 დიდხანს ეგაზაფხულოს...  
 ვუშვებ ჟურნალ „ათინათს“ და...  
 მთვარის სიზმრებს ვნახულობ,  
 დავალ, მაღლი თან დამყვება,  
 ჩემთვის კვლავ არ აპრილობს.  
 გული ყველას უმოყვრდება,  
 დროვ, არ გამინაპირო.



## ხამხეა გუნი მქონია

რა სიყვარული მცოდნია,  
რა სიძულვილიც იქვე,  
ფლიდს, უხეშსა და ცოდვიანს,  
ვურჩევ სიკეთედ იქცეს.  
რამხელა გული მქონია,  
სულ ტკივილებით სავსე.  
მტერიც მრავალი მყოლია,  
ვერსად ვერ ნახავთ მსგავსებს.  
გადავალ, შიში არა მაქვს  
აქანავებულ ბონდის,  
სტრიქონიც მორბის არაგვად,  
ჩემი გულიდან მოდის.  
ბნელეთის ღრუბლებს ავყრი და...  
ავაფერადებ ირისს,  
მოვდივარ გუდამაყრიდან  
იქაც მამული ტირის.  
გული მევსება ტრფიალით,  
სულ მთლად წმინდაა სათნო,  
ცხოვრების ორომტრიალში  
კლდემოსილებას არ ვთმობ,

## კაჯაში

კალამი ცრემლით ამილესია,  
ლექსია ჩემი ოცნების კიდე.  
ლექსი მწვერვალზე უმაღლესია,  
ლექსი მხარს შირმად გადავიკიდე.

## გულის სახამ

გული შინდევით არ გაიკვირტა,  
 გული მთვარისგან უარყოფილი.  
 ბაგეს სიმწრისგან კბილებით ვკვნიტავ,  
 იმედით ველარ დავკმაყოფილდი.  
 ვის მოვეფერო, უკვე არ ვიცი,  
 სიცოცხლე ვისლა გაფუნანო.  
 ფერადი კაბა ძლივსლა ჩავიცვი,  
 მაგრამ ეს ბედი იწილ-ბინო.  
 ხან, გავნითლდები წითელ ვაშლივით  
 ხან, ძველებურად მოვმართავ საჭეს,  
 სხვა ქალებივით თუ არ გავშიშვლდი,  
 რად ვერ ჩახედეთ ჩემს გულის სარკეს.

## აჯახ მჭიხვა

ნუ ჩემო, ბილიკს ჩემგან გაკვალულს,  
 ნუ დაფათურობ, სულის უბეში,  
 დარდსაც ვერევი, გულსაც გაკვეთილს,  
 და ვბრძოლო ჩემთვის ამ ჩემს ბუდეში.

## წაწი

წადი გაყევი ქარავანს,  
 იარე ხელის აწევით.  
 მე შენი ჭკუის არა ვარ,  
 არა ვარ უღლის გამწევი.

### წამის ბაიში

მე ჩემს ლექსს ვაიარაღებ,  
სიცრუე მიუკარები.  
ჯიქურ შენს კარებს გავაღებ,  
ფრთხილ-ფრთხილად მოვიპარები.  
ფიქრით შენს სახლში სულ ვივლი,  
მთელი გულით და სურვილით,  
ლექსებიც არის გულთბილი,  
ლექსით მოვიკალ ნყურვილი  
და ფიქრით ყურში ჩაგძახებ,  
რა შორს-შორს დაიარები.  
იცოდე არსად გაძაგებ,  
რადგან გსურს ბაირაღები,  
ნადი! გაშალე აფრები,  
ლექსებს ვერავინ დამიშლის,  
შენთვის შევექმენი ზღაპრები,  
ფიქრების კარავს გავიშლი.

### ბეწუხა ჩიტი

ნაღველით ვუცქერ ღრუბლიან სივრცეს,  
სამოსელს ვიცმევ ქარით დაფლეთილს...  
ბელურა ჩიტი ნაღველით მიცქერს,  
ჩემს გულს რომ ხედავს, ორად გაკვეთილს.



## ფიოს მსაჯიანობა

დროს ვსადილობთ, მზე მიიწევს ჩასასვლელად,  
 სხვა რა გზაა, უნდა მივყვეთ ღვთიურ ნებას,  
 უკვდავების წყალს დავეძებ, ასავსებად,  
 სანამ წლები ფიფქებივით გამიდნება.  
 შენს თვალებში, ჩემი ცრემლის ცრემლი წვეთავს,  
 ძარღვებიც კი შენი ჯიშის ნაწილია,  
 ახლა ფიქრით გავათიე ღამე თეთრად,  
 სული ჩემი ლექსის ცვარით ავსილია.  
 სხვათა მზის სხივს თვალებით არ შევაჩერდი,  
 ქარი ქროდა, საზარელად ორპირია,  
 რკინად ვიქეც, დიდ ტკივილებს შევაბერდი,  
 რკინები კი არასოდეს არ ტირიან!

## ჩემი საქსი

თუკი შენს სულს დაამშვიდებს ჩემი ლექსი,  
 ან აგიშლის კვლავ საღერღელს, შექმნა რითმა,  
 ბრალი აქ მაქვს, ზეციური ხმები მესმის,  
 უნებურად ფიქრი, „ფიფქთან“ გაირითმა.  
 მირჩვენია, შენც სხვებივით ხსოვნას შერჩე,  
 აღარა მსურს მზის სხივივით გავაშუქო,  
 ნუ ქარაგმობ, ნუ მიყვები რაღაც „რეჩებს“,  
 ცის სამრეკლო პოეტურად არ მაჩუქო,  
 შეგახსენებ, წმინდანივით დავაბიჯებ,  
 ცხვრის მაგივრად, შენში მგელი მეგულება  
 გაბედე და ერთხელ საქმით შემეჯიბრე,  
 შენ რა იცი, თუ რა არის ერთგულება.

## ჯანთა სიშოხა

დღეთა სიშორემ ვერ დამავიწყა,  
ტკივილი – შენგან რაც რომ ვინვნიე  
ვცდილობ სხივებით თმები დავინნა,  
ნეღლი ტოტებიც ჩამოვინიე.  
დაუნდობელო, არ გაპატიებ,  
შენთან – ვაპირებ ზურგის შექცევას...  
გჯიბრობ, ვერასდროს ვერ ამატირებ,  
არც შევეცდები არსად გაქცევას.  
გეყოს, შეჩერდი! წადი, შენი გზით,  
შორს ცის ღრუბლებთან გაინავარდე,  
უნდა გავათბო გული ცხელი მზით,  
რომ სამუდამოდ ძირს არ დავვარდე.

\*\*\*

ბედო, არ ძალმიძს ამდენი ცრემლი,  
ზღაპრებისათვის მეც მომაცალე...  
გულო, გამგრდი, ურო და გრდემლო,  
ისედაც ბევრჯერ გარდავიცვალეთ.



\*\*\*

არ მაქვს სურვილი შენთან შეხვედრის,  
შემხედე, ნისლის მთა მაფარია,  
ლექსის მორევში ჩემით შევედი,  
ლექსი ეს სულის შესაფერია.

### ქაჩი გახსენებ

ცუდად არასდროს აღარ გახსენებ,  
თუ მახრასავით მკერდს არ შეძვრები.  
დაისი არის, ხომ მომასვენებ?!  
პოეტი ვარ და არ დავბერდები!

### ვგძნობ

გუმანით ვგრძნობ მზეს მივწვდები,  
სხივებს მოვფენ ნათოშ მიწას,  
არასოდეს განვდიდდები,  
იმედის მზეს ჩემით ვიწნავ!



## ხამენაში

რამდენჯერ უნდა მეტკინოს გული,  
ვინაც მე ვიძმე ზურგი მაქცია...  
მზეც ჩაესვენა, მზე ამოსული...  
ნეტავ ბედისწრად გადამაქცია.  
არავის ვავნებ, სიმართლის გზაზე,  
ყველას საკადრის სიტყვას შევანევ...  
არასდროს გავალ, შორს მრუდე გზაზე  
თავს სატანების ბუდეს დავაღწევ,  
დრო ისეც გარბის, დროს ვერ ვენევი  
აბა დროს, ნეტავ, ან ვინ აჯობა...  
რატომ ვიარო, თვალის ცეცებით  
მძულს სიბილნე და ხორციტ ვაჭრობა.  
გულს ერთი ძარღვიც აღარ შემორჩა  
ნაისრ-ნაინკნი სულ ოდნავ ფეთქავს,  
აღსარებაში ან რა გამომრჩა,  
აღსარებაში კიდევ რა მეთქვა?  
ვთქვი ყველაფერი, მაგრამ ისევე,  
თვალი ისევე შემომეცრემლა...  
ძმებიც ნატკენ გულს სიტყვით მისერენ,  
ძმებიც ხელიდან გამომეცალა...  
ვიცი, უფალი არ მიმატოვებს,  
გასაჭირის დროს ღმერთი ახლოა,  
ის შემიბრალებს, რომ არ დამთოვოს,  
გული დარდების სამოსახლოა.  
ახლა ღამეა... ვიცი სიზმარში,  
ცათა სულები მესტუმრებიან...  
ამოიღებენ ჩემს მტრებს მიზანში  
ჩემთვის ისინიც ატირდებიან.

## თუხმე სხვეზივით

მთელი ეს წლები სისათუთით გიფრთხილდებოდი,  
გაამებდი და გალაღებდი, რაც კი შემეძლო,  
თურმე სხვეზივით, შენც სხვეზივით იღრინებოდი,  
ვნუხ, გაგამხილე, აბა ჩუმად როგორ გამეძლო?!

## მგონი ის ახ ახის

სიკეთის მარცვალს, მაინც დავთესავ,  
არა ვარ დარდთან გამოკეტილი...  
კვლავ მტერს მოვუხმობ, იმ ძველ ნათესავს  
მგონი ის არის შენზე კეთილი.

\*\*\*

მე გაგეცალე ახლა კარგად ვარ,  
არ მესაუბრო წარბის აწევით,  
მე ვისაც ვეძებ, შენ ის არა ხარ,  
შენ არ ხარ ჩემი უღლის გამწევი!





### ბიმა ყოფილხარ

ბრმა ყოფილხარ, ექიმბაში გჭირდება,  
მეკი მზის გზამ სხივი შემომამშველა,  
იცი ვფიცავ, „ათინათი“ მპირდება.  
მომეველინა ჩემი სულის საშველად.  
მზის მკლავებზეც ხშირად ჩამოვისვენებ,  
დროზე ადრე გაიშალა შინდები.  
ამ წუთშიაც მხოლოდ ლექსით გიხსენებ,  
დიდ აღმართსაც აღარ შევუშინდები.

### ყინვამ დამსუსხა

ყინვამ დამსუსხა, უკვე მცივა  
ავდაგაგდები,  
რით გამოვალლო გაყინული გული არ ვიცი,  
მზეო, მომხედე, შენ არასდროს არ გაძაგებდი,  
ძალიან შორს ხარ, ზღვამ ჩაგყლაპა  
სულ... და დამცილდი.



## ჯანაყჩაგობა

დანაყრდებოდი თვალით და...  
თვალებს დაღლიდი ყურებით,  
მათთან იქნები მთვრალი და...  
სიყალბით დანაპურები.

## ნუ ბაიხაწობ

ნუ ბაირაღობ, ქარქატა ქართან,  
ქარი, ქარია, ბოლოს და ბოლოს.  
გაგიჭირდება ზღვის გემის მართვა,  
ქარს საბურთაოდ სჭირდები მხოლოდ.

## მაწაი

მადლი ოქროა, ვერ იყიდი ამ დიდ ბაჯაღლოს,  
მარგალიტია, სიმშვიდით მოცდა,  
გულო, არასდროს აღარ მაჯავრო,  
ღმერთი მიშველის და რწმენით ლოცვა.



**ტკბილი ენით მოსაუბრე**  
(ნანი მოსიაშვილს,  
უშანგი მოსიაშვილის მეუღლეს)

ტკბილი ენით მოსაუბრე,  
წმინდა სულის დედავ...  
გზას არავის არ აუბნევ,  
სიყვარულით გკვებავ,  
გიყვარს შვილი, შვილიშვილი,  
სხვისი შვილთაშვილიც...  
ცუდს არ ამბობს კაციშვილი,  
დახვალ ფრთებგაშლილი...  
შენნაირი დედა მინდა,  
ბევრი იყოს ერში...  
შენით ზეცაც გამობრწყინდა,  
მტერის შესაშური,  
გაიხარე, გაგვახარე,  
ყველას დიდო დედავ...  
შენით დარდი გადაყვარე,  
თვალთ მზის შუქს ვხედავ.



## ნინოს სახეაი

(ვანო შუმტაკაშვილის  
მეუღლეს)

ჩემში ისეა ნინოს სახელი,  
ვით წმინდანების ხატთა ხილვები.  
იყოს რაჭველი, იყოს კახელი,  
ყველა ნინოა გულით თბილები.  
ყველა ნინოა უფლის რჩეული,  
მათ სხეულშია მადლის ნათება...  
ყინვაშიც სითბოდ გადაქცეულნი,  
მზის ათინათის გამონათება.

## ჯიშ

გული ვეღარ უძლებს ლოდინს,  
მზის გარეშე მომენწყინა,  
მაისშიდაც თოვლი მოდის,  
დრომ დღე აღარ გააბრწყინა.



## საიდან ღავინყო

ბევრი დამიგროვდა დასანერი,  
საიდან ღავინყო უკვე აღარ ვიცი.  
უღელი მარტოს გამიხდა გასანევი,  
რკინის ქალამნები ჩავიცვი.

## „ათინათობენ“

„ათინათობენ“ ყველამ იცის ანი და ბანი,  
ლექსის ენა და... გახსნეს ზღაპრის კიდობანები.  
ერთად არიან, ერთგულები დანი და ძმანი,  
ხელზე აცვიათ მზის სხივების ხელთათმანები.  
პოეზია და... ლაბირინთში მოგზაურობენ,  
გრძნობით აღვსილნი, ცის ნამს სვამენ,  
ღვთის ენა ესმით.  
ღრუბლებს ებრძვიან, მერე ლექსებს ამზიურებენ,  
ბოლოს ზეცაში იმართება სცენები ლექსით.  
„ათინათობენ“.





## ხატია

### ხატია ხატიაშვილს

ბეჟანი ცაზე ვარსკვლავად ანთია,  
 პოეტი იყო და მიტომ,  
 ის ერთი კი არა, ათასჯერ ათია,  
 წავიდა... არაფერს ითხოვს.  
 დათოვა ლაშქოს, გაიზარდა და...  
 ჰქონდა დარდიც და ლხენაც,

მამისგან გული გაეზარა და...

არ აკლდა ცრემლთა დენა.

ხატია, გამოჩნდი მის გადასარჩენად,  
 წყლული მოურჩინე გრძნობით.

კარგი ქალობა შენ ბევრჯერ გვაჩვენე,  
 არ გაუტეხიხარ ლოდინს.

ოჯახს არუქე ლამაზი გვანციკო,  
 თვალებ ბრიალა ბარბიც.

აქამდე ოჯახი იყო და არც იყო,  
 გოგონა სხვის სახლში გარბის.

ფუძეში გიორგი შემოაჯირითე,  
 ხარაიშვილების ჯიშის.

როგორ გაგვახარე, ჰო, შენი ქირიმე  
 აღარ გვაქვს არაფრის შიში.



## მეჯობა უზაას

მადლობა უფალს, არ ავეყვები ცოცხავ ბილიკებს,  
დინჯი ქალი ვარ, ისე როგორც დამჯდარი ღვინო,  
ქარი ვერასდროს გადმომწვდება, ვერ იქილიკებს,  
მფარველი არის გაბრიელი და წმინდა ნინო.

## ვეჩაჟინ

ვერავინ ჩააქრობს ჩემს გულში შენს ადგილს...  
ნდობათა გრძნობის ხანძარს.  
დაისის ჟამსაც მზეს გულში ჩაგაქსოვ,  
ცუდს არ გავივლებ აზრად.  
სევდის სამოსი როდესაც ჩავიცვი,  
ფიქრით, შენ ჩემთან იყავ,  
მეც შენს ტკივილებს ყოველთვის განვიცდი,  
ჰო, ერთგულება მიყვარს.  
შენ ჩემს ფიქრებში იქნები ბოლომდე,  
ჩემი ერთგული და მცველი.  
რამდენჯერ სიზმრად და ცხადშიაც გელოდე,  
შორს ხარ და მაინც გელი.



## ფიასოში ანგეაოჟთან

ლამაზ ოცნებამ მასეირნა მაღლა სივრცეში,  
 მერე სულ კრძალვით, მონინებით მახლა მთვარეს.  
 მზემ მომაფინა სხივები და ვიდექ სიცხეში...  
 გადაბნკიალდა ჩემს წინაშე ცის არე-მარე.  
 ჩამოვისვენე იქვე ახლოს მნათობის ჩრდილში,  
 მომიახლოვდა ანგელოზი, მკითხა: – რა გნებავს?  
 – ო, მაპატიე, თქვენთანა ვარ? ალბათ ვარ ძილში,  
 თორემ ფიქრითაც აქ ამოსვლას როგორ გავბედავ.  
 – თუ მეტყვი რამეს ეგრისელზე, მაშინ მოგისმენ.  
 – კი, გიპასუხებ, იგი არის მგოსანი ხვედრით,  
 „იქმენ ნათელით“ გვიგალობა, რწმენით ავივსეთ.  
 – შენ, ახლოს იცნობ? მაშინ მიდი, მიგიღებს ღმერთი, –  
 მესმის შორიდან ღაღადისი მაღალი ზევსის,  
 – შენ პოეტი ხარ, სანთელივით დადნები ღველფით,  
 და მოვალეც ხარ, იტირო და იცინო ლექსით!  
 ვაჟას აქ ველი, ის იქნება მხოლოდ ჩემს გვერდით!





## ეს მჭეხა

იქნებ ნაიკითხო, ცრემლიან თვალებში,  
შენი დაშორება გულმკერდს, რომ მისერს,  
ბავშობის ბილიკის, იმ ნატერფალებში,  
ტკბილ ლექსებს გჯეროდეს, ისევე გინერ.  
ყოველთვის ეს ბედი მე ხომ არ გამწირავს,  
სიცოცხლის ქარაშოტს, შენ გდარდობ პირიქით,  
როგორმე გავაშრობ გულს დარდით ნაწვიმარს,  
ჩავახშო ქარი და ქარიშხლის ჯირითი.  
სინმინდის მანტიას მხრებს წამოვიფარებ  
და დავწერ ასოებს, ჩემს სისხლის წვეთებით,  
ეს მჯერა, ზეცაში წვიმები იკარებს,  
ეს მჯერა, ზეცაში წინ შეგეფეთები.

## მოუხინდება

როცა წვიმა, ითქლაშუნებს, ზღვის ნაპირზე,  
მლაშე ზღვის წყალს, აამღვრევს და გაახელებს.  
არ გაბრაზდე, გევედრები თეთრ აპრილზე,  
თორემ ღამით, სულ ცრელეში გავათენებ.  
წვიმამ რა ქნას, ზეციური მგზავრია არის,  
ცამ ნისლები, სულ ცრემლებად გადმოღვარა,  
ზღვამ გაულო, უცხო სტუმარს, გულის კარი  
და ამიტომ, იმ დღემ აღარ დაიდარა.  
მზე ამოვა, უსათუოდ გაბრწყინდება,  
გადააშრობს, ზღვის ნაპირებს ძველებურად,  
გაზაფხულზე, ის, მერცხალი მოფრინდება.  
რომლის წასვლით, შენი გული განადგურდა!



**ჯუჯს სიყვარული**  
(მარინე დიდებულიძეს)

დულს სიყვარული ჟუჟუნა თვალეებში,  
გულში ჩაკირული სიკეთის მთიებით...  
შენთვის ქალობაა, ცის ფირუზ-ლალები.  
ვარდებს გირჩევენია ტყის ნაზი იები.

. . . . .

კოლორიტი ხარ, ქალაქ ხაშურის,  
დარბაისლობით, ქალურ სიდინჯით.  
თავდახრილობით ხარ შესაშური.  
გამკობს და ფასობს, შენში სინდისი.

**ხვანის მთები**

როდესაც მზე, თვალეებს მილულავს,  
ცა გულზე ვარსკვლავებს დაინთებს,  
მე, ვდგები ნაპირზე ძირულას,  
გავყურებ, ბუმბერაზ ხვანის მთებს,  
იქ, ოდეს, ჟამთასვლის ბორბალი,  
ბრუნავდა...  
და ახლა ბორბალა\* მიყვება...  
ლეგენდებს და მითებს!

\* ბორბალა – მარადმწვანე ყვავილია, რომელიც ხვანის ბუმბერაზი მთების მშვენიერებაა.

### მე ჩემი მიყვას

ო, როგორ მიყვარს, ტყის ვარდები,  
ნაზი იები,  
დილის რიჟრაჟზე, რომ  
შემათრობს მინდვრის იელი.  
მთვარე ჩავა და იღვიძებენ სულში მთიები,  
მე ჩემი მიყვარს, არა უცხო გადამთიელის.

### ზვამთა უსოხებაი

ზღვამ მე სახეში შემაფეთა თავის შტორმები,  
ზურგი ვაქციე, რადგან მეც ვერ გავმხეცდებოდი...  
ოდნავ ახლოს ვარ, სულ უბრალოდ, ხელის შეხებით,  
რომ ავყოლოდი ზღვის ჰორიზონტს გადავცდებოდი.  
შეუბრალებლად მიმსილავდა ლამში ნაპირზე,  
მებრძოლ ნაბიჯებს მინონებენ თანატოლებიც.  
წელს წვიმებია, შევიბნე გულის საკინძე,  
რადგანაც მტკივა, ზღვის ტალღების დანატორები.

### მემახსოვებაი

შენს ალალ ცრემლებს რა დამავინწყებს,  
სახის რაფაზე უჩუმრად დაღვრილს.  
გულზე ნაზ მძივებს ხელით აგინყოზ,  
მზესაც მოგიყვან დღელამით გაყრილს.  
აღარ იტირო ჩემო პატარავ,  
არ აიცრემლო ნაზი თვალები,  
მემახსოვრები იმ დღის ავდარად,  
გადაუხდელი ჩემი ვალებით.

## ქაჯახათონ სიუხი ხუჭუას

თბილისის 36-ე საჯარო სკოლის პედაგოგს

შენ შემორჩები ამ ისტორიით,  
ფაქიზი გულით აალებული.  
შენი სულეთის ნაზ მისტერიით  
დავრჩი ძალიან დავალებული.  
მასწავლებლო, გშვენი სიკეთე,  
ნუგეში ნორჩთა, სიბრძნეთა კონა,  
ისეთი ნეტავ რა გავაკეთე,  
ჩემში ასეთი რა მოგეწონა?  
შენთან დავსახლდი ახლა ამ ნუთში,  
მოგიახლოვდი თბილი სიტყვებით...  
შენ გახდი ჩემი ამონასუნთქი,  
გულს არ ეთმობი, გამოგიტყდები.

## ხა ხისხვაა

რა რისხვაა, მორჩეს იქნებ,  
გულს ვერაფრით ველარ ვნამლობ,  
დიდ ეკლებში გზას ვერ ვიგნებ,  
ბარბაროსების გამო.  
ნერგებს კაფენ უმნიკვლოებს,  
ბოროტების ბუმი დადგა.  
შეესიენ თოთო რტოებს,  
ქარი აღარაფრით ჩადგა.  
დარგულ ნერგებს რით ვუშველო,  
ვის მივმართო, აღარ ვიცი...  
თითქოს გახდა უსაშველო,  
ერთგულების დანაფიცი.

**წამიქანი**  
(ლუარა სორდიას)

ანგელოზით ასე კეთილი,  
ქალი – მე არსად არ შემხვედრია.  
გული დარდით აქვს გადაფლეთილი,  
ყველას ტკივილი, მისი ხვედრია.  
სტკივა და უყვარს ირგვლივ მყოფები,  
თავის შვილები, სხვისიც ასევე,  
და საქართველოს დანაყოფები  
კუთხე-კუნჭული, მის ფიქრს ავსებენ.  
ლოცვა ამშვიდებს, ლოცულობს დღისით,  
ქალი-ქართველებს, უფალს ავედრებს,  
თავისას ეტრფის, არ უნდა სხვისი,  
ცუდს კი არასდროს, არვის აკადრებს.  
მის ღვთიურ კალამს გამოუნალდავს  
რეზო და ვაჟა, გალაქტიონი,  
ბევრჯერ სტრიქონებს ჩემთვისაც ლანდავს,  
მის სულში ჭარბობს მაღლი სიონის.  
ლექსით ვერ ვიტყვი მის დიდ ღირსებას,  
ან რას ჩამოვთვლი, რითი შევამკო,  
დღეს ჩემი ფიქრი მისით იწყება,  
რა ვქნა, ღმერთქალი როგორ შევაქო?



## მ ა ჯ ო ბ ი ს ნ ი შ ნ ა ჯ

(ტიტე მოსიას)

ლექსში ასახეთ, თქვენ ბეჟანის ყოფა-ცხოვრება  
პოეზია და მოგონების წლების არმია...

ო, ეს სიკეთე სულ მუდამყამს მემახსოვრება,  
უკვე შევიშრობ, სიმწრით ნაწვიმს, თვალებს ნამიანს...

მთათა პოეტის გული ყორნებს, რომ უძიძგნია,  
ნათოვლარ ბედმა აგაცრემლა თქვენ მეცნიერი,  
ჩემი ბეჟანის ტკივილი, რომ გულით გიგრძვნია,  
ძღვენი მომართვი ლექსითა და ვარ ბედნიერი.

იმ ტკივილების ფოთოლცვენას ხედავს პოეტი,  
აი, ამიტომ გაიგონე, ელვის ხმაური,  
უკვე ის დროა შემოგბედოთ, დადგა მომენტი,  
გული აღმუფლდა, ფიქრი მოხდა აურზაურში.

პოეტისათვის ლექსი არის ოქროც და ვერცხლიც,  
და მეც სულ კრძალვით, მოწინებით, გაგეც პასუხი,  
თქვენი კალამით გააღვიძეთ მიმქრალი ცეცხლი,  
ნაწამებ პოეტს, უკვდავების სისხლი გადუსხით.



## გაუჭიხებათ

მადლობა ღმერთო, ნიჭი მომეც ვმართავ გონებას,  
სხვისი რჩევები სიბრძნეც იყოს, მაინც სხვისია.  
მე ჩემს მომავალს დაუტოვებ ისეთ ქონებას,  
ვერ გაყიდიან, რადგან იგი მხოლოდ ღვთისია.  
ლექებს, ბალადებს, დიდაქტიკურს, თემებს ნიგნებად...  
კომპიუტერის ხანაა და... თუმც არ სჭირდებათ,  
ჭინჭაპუნჭებით შემკობილებს თვლიან მდიდრებად,  
სულის სიბილნით ტრადიციებს გაუჭირდება!  
სხვისი რად მოგნონთ, სიშიშველე და... ბილწსიტყვაობა,  
მილენ-მოლენეთ სიყვარული, ტყლარჭვა-ტყლურჭებით.  
ბრძნულ სიტყვაობას მიანიჭეთ, ციხე-ტყვეობა,  
დაფიქრდეთ იქნებ, მიმბაძველნო, ნუ ხართ ურჩები.

## შიქის შეხიზნე

ფიქრს შეეხიზნე როგორც ზაფხული,  
გულში ბალნარად გადაიშალე.  
შენთვის სიკეთე მაქვს შენახული,  
მოგცემ ცრემლები თუ შევიმშრალე.  
შენი ღიმილი ცისკრის ფონია,  
თვალთა ხიბლი კი დილის აისი,  
ადრეც გიცნობდი ასე მგონია,  
ჩემში სახლობდი სულ სხვა ხალისით.



## მთვარეს დავშოხი

მთვარეს დავშორდი, მანათობელს, უკიდევანოს,  
 დღის შუქს წავეყვი, მზის სხივებმა კაბა ჩამაცვა.  
 სულაც არ მინდა გულსუსტ ქალებს, რომ დავემგვანო,  
 დროსტარებამ და ხორცის ლტოლვა,  
 სულს რომ გაძარცვავს.

## ქაჩიშხაი

ქარიშხალმა, მომიმსხვრია ნედლი ტოტი,  
 გაუშლელი კვირტი მისგან მოტყდა.  
 მერამდენედ, ქარიშხალო, შენით მოვკვდი,  
 ქარბორბალას, გლოვა, ცრემლი მოყვა.  
 შევიმოსე, რამდენჯერმე, დარდის თავშლით,  
 დაისერა, დაიფატრა, გული.  
 სეფის კვერებს, ქარის ჯიბრზე აღარ გავშლი,  
 არ გავხდები, ღმერთის მე, ორგული.  
 ჩემს თოთო კვირტს, არ გაყვება ვინმეს ცოდვა,  
 წავიდა და კოკორს ღმერთთან გაშლის.  
 ჩემს ჯიშს მუდამ, ღვთის სიკეთე ოდით მოდგამს,  
 აღარ ვივლი, შავი ფერის თავშლით.  
 ქარო, შენ აქ, დასისინებ უგზოუკვლოდ,  
 ჩემი კვირტი, ღმერთს ვარსკვლავად უნდა.  
 ეგ, სისინი, გირჩევნია, რომ მოუკლო,  
 დაგიბრუნე, გამძლეობის ხურდა.





### სხია თვანა მგეგ

ცხრა თვალა მზევ, როგორ მწვავდი,  
ზღვა მკლავებში დაასვენე...  
ერთ დროს ისე – ისე გწამდი,  
მიკვირს, რატომ არ მახსენებ.  
შენს სხივებთან მაძინებდი,  
ვარსკვლავები მცველად გყავდა,  
შენც გიყვარდა ნანინები,  
ჩემი სიყვარული გკლავდა.  
აღბათ აღარ დამღლის ფიქრი,  
ის წარსულიც გავასვენე...  
ვისეირნებ ცათა იქით,  
გულს მთვარესთან დავასვენებ.

### ქვეს ბიწიკუგე

ძველ ბილიკებზე დახტის ისევ ჩემი ბავშობა,  
როს იყო ოდეს ნეტარებით აურზაური.  
იყო სიცელქე, სილამაზე, იყო ბავშობა,  
გრძნობით ჩურჩულიც, ტყის შრიალით  
იყო ხმაური.  
რა კარგი იყო გამოცხოვა, ქვიშის პურების,  
წყალში ჭყუმპალი, მერე ისევ მზეზე გაშრობა,  
და მოვდიოდით დედიკოსთან დანაპურები,  
თაფლზე ტკბილია, სიცოცხლეა,  
მართლაც ბავშობა.

**მე**

მე იმდენად შევეჩვიე ღალატს,  
 არაფრის და აღარავის მჯერა,  
 ეს ყოფილა ჩემი ბედის ღალა,  
 ეს ყოფილა ჩემი ბედისწერა.  
 შემაჩვიეს გულში სისხლის დენას,  
 ერთგულების ტოტი ბევრჯერ მოტყდა,  
 გაუძელი ისარს, გულის წყენას,  
 მაინც იმედს არასოდეს მოვკლავ.  
 მჯერა ისევ იზაფხულებს ჩემთან,  
 მჯერა ისევ მეორედაც მოვალ,  
 პოეტი ხომ დასეირნობს მზესთან,  
 არ აშინებს პოეტს თოვლის თოვა.

**ხატობ**

რატომ მხიბლავს უსასრულო ზეცა,  
 ან მიწაზე ნაზი ყვავილთ თოვა.  
 სხვას თუ სხვისი სამოსელი ეცვა,  
 მე კი მთვარემ სიყვარული მთხოვა.  
 გრძნობით ზეცას გავაპარე თვალი –  
 გზა ვიხილე, ძალზე სუფთა – სწორი,  
 თავბრუ მესხმის, ვარ მგონია მთვრალი,  
 მთა-ბარია უკვე თანასწორი.



გელა სხირტლაძე

აჯაბი

ალბათ აღარ დაბრუნდება ძველი,  
დრო და... ვიცი ვიმართოვებ მუდამ.  
სულის ტკივილს ცოტა ამით ვშველი,  
ღმერთს თავისთან ხომ კარგები უნდა.  
კვლავ გრძნობებში დათარეშობს ქარი,  
ჩემი გულიც ძველებურად ჩვილობს...  
თითქოს დროში დაიშალა ნამი,  
სად გეძებო ჩემო ტკბილო შვილო.  
დღეს უშენოდ იუბილეს ვხვდები  
და უშენოდ რა მაქვს მოსალოცი,  
თუ სიკვდილმა დააჩოქა სხვები,  
მე ვიცოცხლებ, ისევ შენზე ლოცვით.

მომგაუხიო

მოგზაურო, მოგზაურობს ჩემი დათა,  
იქნებ სადმე ინახულო, მზეჭაბუკი,  
კენტად დადის, სიცოცხლის გზას თითონ მართავს,  
გააფრთხილე, არსად შეხვდეს თოვლ-ქარბუქი.  
მოგზაურო, მოგზაურობს, გზას აგრძელებს,  
სპორტი უყვარს, ნადირობა, საჭეს მართავს,,  
მართოდ დადის, იქნებ ეშმაკ შეებრძოლოს,  
მართლაც მიკვირს, მისი გზა რად დაიხლართა.  
მოგზაურო, მოგზაურობს, ბრძოლის ჟინით,  
სულით ძლიერს, იქნებ შეხვდეს მყუდრო ბინა,  
თუ, შეგხვდება, ადღეგრძელებ, ჭიქა ღვინით,  
ამაღლებას, ხვთიშობელთან მიიძინა.



## შიქხის სახაი

მაცხოვრის ღვთის კედელი იხსნა,  
 აკაკის ხემ, შემოხვია ხელი,  
 ჩემში ის ხე ხვალის იმედს ისხამს,  
 იმ ხის ხილვით ჩემს დაჭრილ გულს ვშველი.  
 მასთან ახლოს აღმართულა ჯარი,  
 ცხადში არა, სიზმარეულ ხილვით...  
 გამოიხსნა იმ წამს სულის კარი,  
 უფრო გავხდი ღვთის მოშიში შვილი.  
 მეგობრულად გაგაფრთხილებთ მავანს,  
 ღვთით ნაკურთხი მოიპკურეთ წყალი,  
 მოასწარით სანამ მზე არ ჩავა,  
 რომ საძველეთს გაუსწოროთ თვალი.  
 ქართველები სხვის რჯულს პატივს ვაგებთ,  
 უცხო ტომებს შვილებივით ვხვდებით  
 წმინდა ადგილს ნაგავს ნუ დააგდებთ,  
 მრუდე გზის გზას ნურვინ დაადგებით.  
 მაცხოვარი საუკუნის ფესვით,  
 ძირძველი და სინატიფით მკრთალი,  
 ძილშიც მისი სადღეგრძელო შესვით,  
 ნაკურთხ მინას ჰქონდეს წმინდა კვალი.  
 მოწინებით მიეახლეთ კედლებს,  
 დააფრქვიეთ ცხარე ცრემლი ირგვლივ...  
 დაუყარეთ პური ხშირად მტრედებს,  
 რომ იაროთ შვებითა და ილბლით.  
 ახატელის მინდვრებსა და ველებს,  
 შემოავლეთ სიკეთეთა ჯაჭვი...  
 აკაკის ხეს ნუ მოაჭრით ხელებს,  
 გაუფრთხილდით, უმიზეზოდ არ წვიმს.  
 ბარაქალა ალავერდის ქედო,  
 თელავო კი მზეთა მონაფერო,  
 რა სუფთაა თქვენი სულის კრედო,  
 ფიქრის სახლში მინდა გავათენო.

## სხვისი მიუგახს

სხვისი მიყვარს, კუთხე-მხარე,  
ჩემი ყველას მირჩევნია,  
იმერეთო, გამახარე,  
მად ბავშობა დამრჩენია.  
კახეთშია, სოფელ შილდა,  
საჩხერეში არის ხვანი,  
მე, სხვა მხარეს ან რა მინდა,  
ხვანში ცხოვრობს მონაგარნი.  
თუმცა მიყვარს ყველა კუთხე,  
ქართლში ყველგან საზღვარია,  
ჩემი სახლი იქ, აკურთხეს,  
თაფლია და შაქარია.  
ღმერთო, ხალხი გამიმრავლე,  
შვილები და შვილთაშვილი,  
ღვთის სიკეთე აბარბალებ,  
ძმას უყვარდეს მამიშვილი.  
სულ ეს არის ჩემი თხოვნა,  
ირგვლივ იყოს სიყვარული,  
არ მსურს ვიყო მტერის მონა  
და არც მინდა სიძულვილი!



**ჯა მაინს...**

მანამ კარგად იყავ, სანამ მე არ შეგანუხო,  
 აღზევდი და ამალლდი, ვარსკვლავებს მისწვდი,  
 ტელეფონზე ნულარ დარეკავ, ხომ ხედავ  
 რომ არ გპასუხობ.

.....

- ... რაცა ხარ მივხვდი.
- ... ქარისგან ნასუსხო
- ... დუმილით სამაგიეროს გიხდი.

**ახ გაგვიმეტო უზააო!**

უფალო, არ გაგვიმეტო,  
 შფოთშია კაცობრიობა,  
 სიცოცხლე არ დაგვანატრო,  
 მოგვეც სიმშვიდის პირობა.  
 ზოგს ტკივა სხვისი ტკივილი,  
 ზოგიც ვერ ხვდება ვერაფერს...  
 გაქრა, სახეზე ღიმილი,  
 კლიტე დაადეს დარაბებს.  
 ღმერთო, დალოცე მტერიც კი,  
 აგვცდეს ეს დავა- ვიშები,  
 გვექონდეს იმედი შენი და...  
 ძილშიც არ ჩაგვყვეს შიშები.

## ახოქაძის ავტოხი

ჭადრაკი უნდა იცოდე,  
ლაბირინთებს თავი რომ დააღწიო,  
ძნელია ბრძოლის ველზე ტრიალი,  
ზღვის დინებას მიჰყევი,  
შეეცადე თავი აკვანივით დაარწიო,  
ბრძოლა სიმშვიდით ჯობია,  
თუ დამარცხდე არ დაიწყო ღრიალი,  
ჭადრაკი ხომ შენი ჰობია...  
შენს თვალწინ მავთულხლართების  
ლობეა,  
ფიგურები ზოგი ცხენს გავს,  
ზოგი პაიკს,  
მეფე – რკინის ლასტი, არხეინადაა  
გაზოდილი,  
დედოფალს?.. მავთულების ჩიხტიკოპი  
აქვს შემოხვეული.  
თუ დაგიჭირეს, ფული უნდა გადაიხადო  
დაზოგილი...  
პროექტის ავტორი  
დიდი გველია... ნყეული...



## ჩამოვისვენე

წარსულის წლებთან ჩამოვისვენე,  
 ... და გადავხედე ჩემს ნაშრომ-ნაღვანს...  
 ბევრი სიკეთე გავიხსენე და...  
 ბევრი ტკივილიც იქ დარჩა გაღმა.  
 სუფთა ნატიფი გრძნობებიც მექონდა,  
 წყაროს წყალივით იყო კამკამა,  
 ის ახლაც შემრჩა, ფერს იცვლის ოდნავ,  
 შემრჩა სიცოცხლის, ხსოვნის აკლდამად.  
 ვცდილობ და ვცდილობ არსად ჩავიჭრე,  
 რთულ გზაზე არსად წავიფორხილო,  
 მსურს წმინდანივით ცაში ავიჭრე,  
 რთული გზებია... უნდა ვიფრთხილო.

## ისევ

ისევ წვიმებია, ავდარია,  
 გული ღრუბლებშია გახვეული,  
 ვაშლი?.. სამოთხისა ნაქარია,  
 ისიც მტრისგანაა დარხეული.  
 ვდარდობ, ფიქრებია უნაპირო,  
 მიღმის იქითაა ნაპირები,  
 ია აღარ მინდა ავატირო,  
 იმედს იას მაინც დავპირდები.



### ჭიანჭველას

მე შენ გგავარ ჭიანჭველავ,  
ფუსფუსით და ტვირთის ზიდვით,  
მომსრისავდნენ უეჭველად  
ბედად გავჩნდი შენზე დიდი.

ვატყობ, ნელშიც რომ გადავტყდე  
ხელს არავინ გამომიწვდის,  
ნელზე ვირტყავ ლექსის სარტყელს,  
მუზის გრძნობით რადგან ვინვი.

### ვუხიხიხობ

ვფრთხილობ ძალიან,  
არსად მომწვდეს მელა-ტურები,  
მე მათ ჯიჯგნაში ლამისაა სული ამომდის,  
კვლავ მაინც მხიბლავს  
გაზაფხულის ფანჩატურები,  
ხეებს რომ კვირტი ბუსუსებად  
ტანზე ამოსდის.

.....  
გმხიარულდები, ძველებურად  
მერცხლის სტუმრობით.

## შენ ხარ

შენა ხარ მართლაც პოლიტიკის  
ერთი ნაწილი,  
იყენებ ყველას, ვინც გინდა და  
როგორც გჭირდება,  
ვერასდროს იფრენ, პოეტივით  
როგორც არწივი,  
მიახლოვება მზის სხივებთან  
გაგიჭირდება.

## ისე

ისე დამიკაკუნე გულის კართან,  
წინილა ნისკარტს რომ სცემს ნაჭუჭს.  
გმადლობთ, გელოდი მართლაც...  
შენამდე, ვგავდი სიმინდის ნაქურჩს,  
ლექსო, შენით კოსმოსსაც ვმართავ.



## ჩემი გუასი

გული ჩემი არის თბილი,  
საჭიროების შემთხვევაში კერკეტი კაკალი,  
მთელი სიცოცხლე სიკეთით ვივლი,  
მე? ძლიერი ქალი ვარ,  
არავარ სხვისი სამკალი.

## აქსო

შენ ჩემი სულის ჩინარი და...  
ჩემი სუნთქვა ხარ მართლაც...  
შენით ვარ მუდამ პირმომცინარი,  
ჩემს გულის ნამლად გნათლავ.  
შენს სახელს გულზე ამოვიტვიფრავ,  
ლექსო, კვლავ შენით დარობს,  
მუზის აჩრდილი დამყვება ტვირთად  
ლექსო, სიცოცხლის ფარო.



ანა - გიორგი

შენს ლამაზ დედას არ აკლდა ჩემგან,  
 მოფერება და ფარჩაფურჩები,  
 იზა დამყავდა ძალიან ბევრგან,  
 ბევრჯერ ვუყიდე, კაბა, ჩუსტები...  
 გაიზარდა და რაც კი შემეძლო  
 სწორს და უსაფრთხოს გზას ვანიშნებდი,  
 ბედისწერისთვის უნდა გაეძლო,  
 ვაფრთხილებდი და არ ვაშინებდი...  
 ახლა თქვენ ჰყავხართ გიორგი, ანა  
 თქვენთვის ნავიდა შორს, საზღვარს იქით,  
 ღამის ლოგინში მის ფიქრში წვანან...  
 შვილებიცა და ქმრის სიყვარულიც,  
 აბა თქვენ იცით ანა, გიორგი,  
 თქვენი ტკივილი იქ ტკივა დედას  
 არ დაიჯეროთ იყოს იოლი,  
 უცხო მხარეში დაგდევდეს სევდა.  
 გამრავლდით შვილო, იბედნიერეთ,  
 იყავით ზრდილნი, საამაყონნი...  
 ზოგჯერ ჩემსკენაც შემოიარეთ,  
 როცა შორსა ხართ, სითბო არ გყოფნით.



**თუ ვისოსხაე გენაცვავაე**  
(ვახტანგ სხირტლაძეს)

ჩემი შვილის მესაძირკვევ,  
გაიზარდე დიდი ბიჭი.  
მამის წლებიც დაგრჩეს იქნებ,  
და გამოყვეს მისი ნიჭი.  
შენ ხარ ბებოს სულის სარკე,  
და სიცოცხლის აღმაფრენა...  
ცას არ მინდა თან რომ გამყვეს,  
რაც რომ მოგცა მამა შენმა.  
შენ სოფელში ოთახები,  
გაქვეს ბებიკო თანაც ორი...  
თუ ჩახვალ და შეეხები,  
არ ექნება სუნი შმორის.  
თუ ვიცოცხლე გენაცვალე,,  
ცალკე ჭერსაც აგიშენებ...  
სულ ცოტაც და დამაცალე,  
ღობე-ყორეს დაგიმშვენებ...  
გამახარე მხოლოდ სწავლით,  
წიგნიც ბევრი წაიკითხე,  
სულ გახსოვდეს ცოდნის ყავლი,  
დავრდომილიც მოიკითხე.  
ჰოდა ასე გენაცვალე,  
ჩემი შვილის შტო და ფესვო,  
სხვას არასდროს დააბრალო  
თუ ეკალი გზაზე თესო,  
ვაზი დარგე გაიზრდება,  
მამაშენის ღობე-ყორეს...  
შრომა თუ არ მოგბეზრდება,  
დარდს და ნალველს მომაშორებ.

შენს ამაჲ სუაში

შენს ლამაზ სულში, ნისლიანი  
 გაზაფხულია,  
 ბედის ნაწვიმი შერჩენია,  
 წარსულ ნაპირებს,  
 იმ გზას დაადექ, სადაც ანას,  
 მუხრანს უვლია,  
 პოეტი ხარ და დრო ვერასდროს  
 გაგინაპირებს,  
 რატომღაც მჯერა,  
 ყვავილებში გიყვარს შროშანი,  
 შენ სახეს მოჰგავს,  
 ფაფუკია, ტყეში იზრდება...  
 მნამს, რომ მეუღლე გენატრება  
 რადგან შორს არი  
 და შენ გჯეროდეს, ერთგულებას  
 ციდან გპირდება.



## სანამ შევქავებ

კლავიშებს მოჰგავს ძირულას ტალღა,  
მთების ხმაური — ამ გულის ხმაურს...  
მთები მიიწევენ მაღლა და მაღლა,  
ღელეები კი უვლიან დავლურს.  
ზღაპარეთია: წმანი, ჭალვანი,  
ლიჩი, ლოდორა, ულუმბა, ხვანი...  
აქ სხვანაირად მწიფობს მტევანი,  
აქ მაღლია და... სიკეთის ხვაფი.  
ამ მთებს, ამ ტყეთა ჰაერს ვანაცვლებ,  
ღექსთა ქარავანს, მთელ ჩემს სიცოცხლეს,  
მათ სიყვარულში უნდა დავნაცრდე  
სანამ შევიძლებ და სანამ ვიცოცხლებ.

## მოვეფი

მოვეფი, თეთრი თმებით ჭალვანში,  
გასულა წლები აუ რამდენი,  
არ მინდა კოცნა, ხვევნა, განგაში,  
დღეს ჩემს ტკივილებს წუთით განვდეფნი.  
სკოლა შემომხვდა გულის სირმებით,  
ჩემი ბავშობის ბილიკიც ვტკებნე...  
გადავიკარგე, ღამის სიზმრებში,  
სიყვარული კი ჩიტივით ვკენკე...

**ჩემს ჭიკჭიკა მეხსახავს**  
(გვანცას, ბარბარეს, გიორგის)

გულს რა ძალიან ეცხები,  
 გვანცა, გრძელ ნაწნავთმიანო...  
 საქმის დროს მარჯვობ, ცეცხლდები,  
 პაპიკოს ხმითაც ხმიანობ.  
 გიორგი ცელქობს, ბარბიკოც,  
 გული გრძნობებით მთვრალია...  
 ბეჟანის, იმ ჩემს ძამიკოს,  
 ცას არის, არა სცალია.  
 გაგრძელება ხართ სიცოცხლის  
 თქვენა ხართ პაპას მერცხლები,  
 მეც მიტომ თვალებს გიკოცნით,  
 მიტომ გიძღვენით ლექსები.





### მის მხეჯავ სიახაიომ...

ვიცი, რომ ჩემს იმედს დრო ველარ გათიბავს,  
ამ დილას ყვირილას გამოვესაუბრე...  
ნაქარგო ზაფხულო, ნაზო და ქათიბავ,  
ოდითგან გეტრფი და სულ შენთან ვსაუბრობ.  
გამოზაფხულება რარიგად გიხდება,  
ორთქლი რომ მისწვდება ყვავილებს ფაქიზად.  
შენეულ სიეშხით ფიქრები დიდდება,  
ამ ნუთშიც ეს გული თქვენ მოგეფაქიზათ.  
ძირულის ტალღავ და ძირულის ყინვებო,  
ენძელავ, ძმერხლო და... პეპლების ფარფატო,  
საჩხერის მოდგმავ და... საჩხერის სიმებო,  
იმედით გჩემობთ და... გულშიდაც დაგხატავთ.  
მოვედი სითბოთი და ღია ბარათით,  
ერს ვხედავ სიახლით, სინორჩის ასაკით.  
ო, როგორ მხიბლავს მე წინაპრის ადათი,  
უფალთან რომ სახლობს მგოსანი აკაკი.  
ლოცულობს ზეციდან, მუხრანიც იქ არის,  
იქ არის ბეჟანი, ლექსებად ჩართული...  
გულლია მგოსნებით გაიხსნა ცისკარი,  
უფალთან სახლობენ ღმერთების ნათლულნი.  
ლოყაზე ლურჯ ზეცას მზე ჩამოეკიდა,  
უელავს სხივები მგოსნებით საჩხერეს.  
ხვანი და ჭალვანიც ჰყოლია მემკვიდრედ,  
ველ-მინდვრის ეკლები ლექსებით აჩეხეს.  
ამავსე სიკეთით, ბუნების სამყაროვ,  
თბილ სიტყვებს ღრუბლები არ უნდა ფარავდეს.  
ვეცდები ლექსებით დარდები გავყარო...

იმედო, მომყევი სამარის კარამდე.  
 საჩხერის მთებო და საჩხერის ყვირილავ,  
 ბალახის ცვარო და მდინარე ძირულავ...  
 მინდვრების ყაყაჩოვ, ლამაზო გვირილავ,  
 ლექსების რითმები აქ გამოპირულა.

### სიმშვიდე

სიმშვიდე მომეც, უფალო,  
 დღეს ეს, ძალიან მჭირდება,  
 ტკივილი უნდა დავმალო,  
 სხვა მე არაფერს მპირდება.  
 შენს უბეს თავს შევაფარებ,  
 შვილთაშვილებით შვილებით,  
 წვიმებიც გადაიკარებს,  
 არ ბრწყინავს ცისკრის დიღები.  
 მზეს ვეძებ, სხივით ხვავრიელს,  
 ვერ უძლებ სულის ობლობას...  
 ნუ დამტოვ იმედ ცარიელს,  
 ქსელში მსვავს შავი ობობა.  
 ვკაფე და ვძირკვე ეკალი,  
 შრომა არავის ეძრახვის,  
 არ გადიპენტა ტყემალი...  
 ვაზი არ ყვავის ვენახში.

## შენს ეგოში

შენს ეზო-კარს ფეხის ნატერფალი,  
ამჩნევია შენი ჩემო შვილო!  
ჩემი გული, ჩუმად ნაფერფლალი,  
იმედის სხივს შვილთაშვილით შვილობს.  
გადავიქეც ისევ მაღლის წყაროდ,  
შეგეხიზნე, ფიქრით ზეცის სახლში,  
ვმსახიობობ, ვითომ ისევ ვხარობ,  
ვიხარშები, დარდის სავსე ქვაბში...  
სულ ახლახან პოეტები მყავდნენ,  
სალოცავი ვნახეთ დიდ ატოცში...  
მეგობრებიც მგლოვიარეს გავდნენ,  
ჩემი სევდა ქონდათ გულს ნატყორცნი.  
შენს ოთახს კი აარიდეს თვალი,  
მათ ეტკინათ გული, შვილო, შენით...  
საფლავთან კი მოიხადეს ვალი  
ზოგჯერ ცრემლიც გულის ტკივილს შველის...  
მეკი ისევ კვლავ გავმაგრდი, დედი,  
და მოვირგე გულქვა ქალის როლი.  
თვალით გეძებ... ისევ მაინც გელი,  
ცრემლთა დარდით გავხდი ზეცის ტოლი.



## ვეძებ

ვეძებ ცაში და ვეძებ მიწაზე,  
 უცხო სამყაროს უნდა მივაგნო...  
 შავი ღრუბლები ნისლს ფენს ჯინაზე,  
 ბრძოლით ღრუბლები უნდა ავლაგმო.  
 მიუალერსებ მზეს ისევ ფრთხილად,  
 მინდა კოცონი ლექსის დავანთო...  
 თეთრი ღრუბლების ნისლების ფთილა,  
 ჩემი სითბოთი უნდა გავათბო.  
 სიკეთის ტოტის სულ თოთო ყლორტი,  
 უნდა გავზარდო ცათა სიმაღლის...  
 ვუძლებ წვიმაშიც რალაცის ლოდინს,  
 გულო, დარდით მე აღარ გადაგლლი.

## მოჯახუნდი

ეს, დღე როგორ დავივიწყო, მწარე, დარდის ხროვა,  
 ნეტავ თოვა არ დაინყოს, დათა როცა მოვა.  
 ძირულაში, ბანაობდი, ანგელოზი ბიჭი,  
 ტოტებ-ტოტებ ქანაობდი, გახსენება მიჭირს.  
 ტყეში ნიყვებს აგროვებდი, სოკოს კრეფდი, მარწყვსაც,  
 გიძახდი და მაგონებდი, ბედი რატომ განყრა.  
 ჩემო დათა, მზეჭაბუკო, გულის გულო, შვილო,  
 ისევ უნდა იჭაბუკო, კარგო, მამიშვილო.  
 მოჯლაგუნდი ბებიასთან, დედულეთი ნახე,  
 მერე წადი, ხათიასთან, თვალებს ხომ გაახეღ?



## ჩემად გავითავისე

საქართველოს სიცოცხლეს  
შეენირა ზვარაკად.  
ქართველის ვაზთა მტევანი,  
ახლა ალაპარაკდა,  
ერს ტკივილად შემორჩა,  
ლეგენდებად ორივე,  
ჩემს ფიქრებში გამოჩნდა,  
მიტომ გავიმეორე.  
ქეთევანის ნამებით,  
ცრემლი ისევ მდინდება,  
შაჰის განანამები  
სისხლად მოედინება,  
კახთა მეფის-ძე შვილნი  
ალექსანდრე, ლევანი,  
ხორც ნაჯიჯგნი-შეშლილი,  
ორნივე შაჰის მძევალი.  
ბავშვებს რისხვად დაატყდათ  
სადისტური ნამება,  
შაჰი ისე გაავდა,  
სულით აფთარს ნააგავს.  
ტანჯვის ბედი წილად ხვდათ,  
ავთანდილს და მოურავს,  
სარდალს შვილი თან ახლდა,  
მტერმა თვალწინ მოუკლა.  
ჩემად გავითავისე,  
წუთი ასეთ კადრისა...  
თვალი ცრემლით ავივსე,  
თოვლი მხრებზე მბარდნისა.

წმინდა ანგელოზები,  
 ზეცის სახლში სახლობენ,  
 შადიმანთა ფესვები,  
 არ ინდობენ ახლობლებს.  
 ხატი ალექსანდრესი  
 ხატი ავთანდილისა,  
 ხატი ლევანისა და...  
 ხატი გმირი პაატას  
 დაინეროს, შეიქმნას  
 დღესვე, დროს ნუ მივანდობთ,  
 მტერიც მოყვრად გარდავქმნათ  
 რადგან ახლოს ბინადრობს.  
 ალექსანდრეს, ლევანის,  
 ავთანდილის, პაატას,  
 ოთხივე ყურძნის მტევანის,  
 სევდას ცას ნუ გამატანთ.  
 წმინდანებად შევრაცხოთ,  
 ჩვენი გმირთა-გმირები...  
 წარსულს როცა პატივს ვცემთ  
 მაღლად შეგვეწიერბის.



## გამახსენაჲი

გამახსენდი... ისევ უნდა განგიკითხო,  
სიამაყე, მიკვირს რად ვერ აღმოფხვერი, –  
ძველ მეგობარს, ფიქრით უნდა მოგაკითხო,  
ხასიათი წლების შემდეგ ამოვხსენი.  
ბრძენთა რჩევას არ იღებ და კვლავ ვერ იტან,  
შენზე დიდი, არსად არვინ გეგულება...  
თუ ჩემს ძარღვებს შენს გულმკერდში გადაიტან,  
ეგებ შეძლო მეგობარის ერთგულება.

## თეა კანჯეჯას

თ-ბილისელების სიცოტავე, შორით მატება,  
ე-რის ტკივილი, მონატრება, სისხლის გენია...  
ა-მომავალი მზეთა სხივის, ნაზი ხატება,

კ-ოკისპირული წვიმებიც ხომ განაჩენია.  
ა-მწვანებული ფიქრის მთები, ლოცვა-გალობა,  
ნ-ოსტაღიით რომ შერჩენილხარ გულის ტკივილთან  
დ-ედის ღიმილი, ხელოვნება, წმინდა ქალობა,  
ე-ს გმირობაა, გამარჯვება, დროის ჭიდილთან.  
ლ-ოცვით ცრემლები შეერევა დარდის მდინარეს,  
ა-ისის ცის მზეს, მაინც რწმენით შეეგებები.  
კ-მაყოფილებით გააღვიძებ ფიქრებს, მძინარეს,  
ს-იყვარულიდან, სიწმინდიდან, გამომდინარე.



## ჯანს სულობაა

დღეს სულობაა, სული ზეიმობს,  
 ნაცნობ-უცნობი, ერთმანეთს ხვდება,  
 უფალო, იქნებ კიდევ შემინდო,  
 ვამბობ, რომ შვილი არასდროს კვდება.  
 შვილის სასახლე, დედის მკერდია,  
 აქ არის, მისი მყუდრო ადგილი.  
 გარდაცვლილებიც არა კვდებიან.  
 შვილის სულს იცავს, დედის მანდილი.  
 დედის ორგანიზმს ისე ეკრობა,  
 ვით თაფლს ფუსფუსით დედა ფუტკარი,  
 დედაც შვილს ნაზად ეფერ-ეპყრობა,  
 დედა-შვილობა არის უფალი.  
 თუ გარდიცვლება შვილი ბედისწრით,  
 სული ცას მიაქვს, ხორცი დატოვა,  
 არ მოცილდება დედას თმის ბენვი,  
 ურწმუნო ფიქრმა თუ არ დათოვა,,.  
 ასე გრძელდება ცაში სიცოცხლე,  
 ღმერთს თუ ენდეთ და კიდევ ინამეთ...  
 გარდაცვლილები ყველა იცოცხლებს,  
 მხოლოდ დაჭრილ გულს რწმენით უნამლეთ!





### ჯასაფეგაჲ ვეძე

ისე როგორ შემძულე ქარო,  
სასიკვდილოდ გამიმეტე ბევრჯერ...  
მუხის ტოტებს უნდა შევეფარო,  
რადგან, ჩემო, სიძულვილი მეძებს...  
მთელ სხეულზე სამყაროს რომ იცმევ,  
სიჯიუტით ბრდღვინავ მთა და ბარში,  
ძალიან გთხოვ, სეტყვად არ გადიქცე,  
თორემ გული სამუდამოდ წაგშლის.

### ამწვანეზიან

(ლამზირა შეყილაძეს)

შენს ნაზ ღიმილში მუდამ  
თბილი გაზაფხულია...  
მზეთა სხივები უფლის ღმერთქალს  
დაგვანებია...  
შენ მომიშუშე გული  
დარდით ნაიარევი....  
ჩემთვის არასდროს არაფერი, დაგვანებია.



## მეგონა

ფეხი საითკენ გადავდგა,  
 ლამის კედლები დაიქცა...  
 ხშირ-ხშირად, ჩემს თავს ვუნყრები,  
 დარდი გულისთვის არ ვარგა.  
 გულში შენ უნდა მოგიხმო,  
 ლამის მთვარედ და ვარსკვლავად, –  
 თუ გსურს ზღაპრებსაც მოგიტხრობ,  
 თოვლიან გზებსაც გავკვალავ.  
 იმ წუთებს კვლავ გაგახსენებ  
 გრძნობების შენარჩუნებით...  
 ფიქრს ჩემში ჩამოვასვენებ  
 და ლექსით გეჩურჩულები...

## ახავინ ახ ხახ

არავინ არ ხარ, ბოროტებას  
 თუ არ ჩაქოლავ, –  
 არ გაიხარე, სხვის სიკეთით, არ გახალისდი,  
 თუ შენში ჩარჩი, აქეთ-იქით სადღაც დაქროლავ,  
 იმ ტოტს ჩამოჭრი, რაც ამოდის  
 კარგო, ხვალისთვის.



## აჯამთ გაზაფხუნი მიტომ ზემოქავს

ეს დილა სიხარულს დამპირდა,  
ფიქრი მოჯარდა და მომესია...  
ტირილი აქ უკვე არ ღირდა,  
თვალის სიხარულის მორევშია.  
ლექის დანერას არ მაცლიან...  
მინდა გაზაფხულს, ფიქრი ვანდო,  
სიყვარულს ისევ გამოფცქვნიან,  
თუკი ზამთარმა თოვლი დადო.  
ვკითხე ისტორიის ძირ-ძველ „ქალდეს“,  
სად არის ერთგულების გარანტია.  
მითხრა: სამშობლოს დავინწყება,  
ყველაზე დიდი ღალატია.  
ნუთი სხვანაირად აფაქიზდა,  
სურვილი ძველ ნაფიქრალს დაუბრუნდა.  
მერე ააღდა და აგიზგიზდა,  
რა ქნას, ურემი თუ გადაბრუნდა?  
ვილოცოთ უფლისთვის ყველამ ერთად,  
ახლა გვაქვს, ღვთის მადლით, მომენტია.  
აღბათ გაზაფხული მიტომ ფეთქავს,  
თვითონ გაზაფხული პოეტია.



## ე მ ი გ ხ ა ნ ტ ე ბ ო !

ემიგრანტებო! საქართველოს შვილნო, ტკივილნო,  
 მომენატრეთ და ჭრილობები თქვენით გამეხსნა,  
 ჩემო იებო, ვარდებო და სულის ყივილნო,  
 რაც თქვენ ნახვედით, ქართველის ვაზი მტერმა გამისხლა.  
 ჩუმად ვტიროდი, როცა სათქმელს ფურცელს ვანდობდი,  
 რით დავამშვიდო, ჩემი გული, ან თქვენ რა გითხრათ,  
 რა კარგი იყო, თქვენს ეზოში აქ რომ დარბოდით,  
 დამილოცნიხართ და გიგზავნით ლექსით მოკითხვას!

## ა ხ მოგაკავებ

არ მოგაკლებ ლექსით ალერსს, ჩემო ტკბილო, დათა,  
 სად გექებო, რომელ მხარეს, ნეტავ ახლა სად ხარ.  
 კვლავ ეწვიე, იქნებ თბილისს, გზების შესასწავლად,  
 ჩემთან ვიცი გამოივლი, ბებო, დაგენამლა.  
 გენაცვალე დათუჩელა, გაამაგრე დედა,  
 იქნებ სიზმრად გეჩურჩულა, რა დღეშია ხედავ.  
 როგორ შეგხვდნენ ბაბუები, თამაზი და ზურა.  
 ანდა როგორ ეგუები, ბიჭო, გულზაზუნა.  
 გენაცვალე ვიცი გიჭირს, სულს ჭირდება ლოცვა,  
 ისევ აქ ხარ მარჯვე ბიჭი, ჯვრებმა გაგვაოცა.



**სათა საქვახში**  
(მურმან გენელიძეს)

მ-ილმის სამყაროს წაართმევ სივრცეს,,  
უ-ამრავ მხატვარს ნიჭით აჯობებ...  
რ-ომ არ იწვალე, უბრალოდ ისე,  
მ-ეფურ იერით დანერ ნაშრომებს.  
ა-ბრწყინებული მზისფერ ლაყვარდში,  
ნ-აირ-ნაირი ვაზი ვენახობს...

გ-ულში ნათოვლი ფიფქთა ბარდნაში,  
ე-რთი ვარსკვლავი შენიც მენახოს,  
ნ-ავით დაცურავ ფერთა გამაში,  
ე-რის ბედი, რომ იწილ-ბინილობს,,  
ლ-ელიანს კაფავ ბედის თამაშში,  
ი-მედი შენში მუდამ მზისნილობს.  
ძ-მადნაფიცებში არაგყავს მტერი,  
ე-რთ ლამაზ ქართველს გხედავ იღბლიანს...  
ს-ული კი შენი – სამყაროს ნევრი,  
ისე წმინდაა, როგორც ბიბლია.

**ნაძვის ხე**

მზე კვლავ შეცურდა მთვარის საბანში,  
აქეთ გამოხედვას აღარ აპირებს...  
ბელურა დარჩა ნაძვის კარავში...  
უიმედობით ლამის ატირდეს.



## სველი ბაიში

სველი ბაიშის, საიდუმლოს უცებ ვერ მივხვდი,  
ჩაფიქრებული, ღამის სიზმარს მიუტრიალდი.  
გელა ცის კართან, ნერვიულობს, ისიც განიცდის,  
თვალს მიეფარა, მივდევი და თან ვლრიალობდი.  
მოჩანს შორს დათა, გაბრწყინებულ-გალაღებული,  
მიუახლოვდი, ვტიროდი და ვეფერებოდი.  
დათა, სადახარ, ან რატომ ხარ გახარებული?  
მან მიპასუხა: ველარაფრით შევჩერდებოდი.  
ბედის ბრალია, გელა ძიაც დარდობს ძალიან,  
დარდობს ბებია, დუნია და ბაბუ თამაზი.  
ბედი გაბრაზდა, მეჩქარება, არა მცალია,  
დათას შესძახა: გელოდება ღმერთი დარბაზში.  
თვალში ცრემლები, ღაპალუპით ჩამომდიოდა,  
ბედს ნავეტანე, მსურს დავახრჩო, ჩემი ხელებით,  
რად არ უშველე, ახალგაზრდა, რომ მოდიოდა?  
შემომიყვირა, ვარსკვლავია, შუქი ბნელეთის.  
გელა, სად იყო, ჩემმა შვილმა რად არ უშველა?  
ისიც განიცდის, მაგრამ რა ქნას, წესი – წესია...  
მზისგულა დათას, ცისარტყელაც წამოეშველა,  
აქ, დაამთავრა, თქვენმა, დათამ თავის მისია.  
გამომელვია...!



## მეფაი სიონის

ბ-ილიკს, მის გავლილს, წლები ვერ ნაშლის,  
ე-ნაწყლიანი პოეტის სიტყვებს...  
ჟ-ანგისფერ ფოთლებს ფიქრები აშლის,  
ა-იყვანს ტყეში ამოსულ ნიყვებს.  
ნ-ანატრ გაზაფხულს ვერ მოესწარი,

ხ-ის ტოტებს ტანი შემოეჟარათ...  
ა-ხლა გახურავს ზეცის ზენარი,  
რ-ამდენს ვტირივარ, ძმაო, ბეჟანა.  
ა-მ თოვლს, ამ წვიმებს როგორ გაუძლო,  
ი-მედი ნისლით იხრჩობა კვამლში.  
შ-ემლილო ქარო, სევდის საუფლოვ,  
ვ-ერ მოგიშორე, თითქოს ვარ ვალში.  
ი-მიტომ გითმობ ქარო, ოხერო,  
ლ-ოცვით საგზალი ცაში ავიდეს,  
ი-მ ფაქიზ სულის ლექსის კენწეროს,  
მივნვდე, თუ გინდა წლები გავიდეს.  
მერე ავანთო გულს ლამპიონი,  
გავაცისკროვნებ ბნელს ვარსკვლავებით.  
მწამს მიწყალობებს მაღლი სიონის  
და ასე ვივლი ძმის ნაკვალევით.



### ბევრი მომრავლა

ბევრი მომრავლა  
 თვალცრემლიანი დედები,  
 მოვიმარჯვე ცელი და  
 დარდი ავბარდე,  
 ცაშია სულის ედემი,  
 მინაც მეცოდება,  
 სამარხებით ძირი არ გავარდეს.

### შინდის ხესავით

შინდის ხესავით ვყვავივარ ადრე,  
 მცვივა ნაყოფი შემოდგომაზე.  
 ძალიან ვფრთხილობ არ გაავდარდეს,  
 ვოცნებობ ერთგულ მეგობრობაზე.  
 ქარი ქარია, არავის ხათრობს,  
 ამიტომა ვარ მკაცრიც და სათნოც...  
 მიყვარს ცის სივრცე ძალიან ფართო,  
 ჯერ დედამინას მაინც ვერ დავთმოვ.





## გ ა მ ე კ ი ა ხ ა

უთქვიათ ბევრჯერ, გამოგვყვაო  
შენგან სიმშვიდე,  
როს საუბრობო, გვეუფლება  
ღვთიური გრძნობა...  
კარგად მეყოლეთ,  
სანამ ქებას არ დაგიშლიდეთ,  
არ ვთამამდები,  
გეფიცებით დობას და ძმობას.  
ჩემი სიმდიდრე ლექსებია,  
მით გეფერებით...  
ფული არა მაქვს,  
ტკბილი სიტყვით ყველას გინამლებთ.  
ბრდღვინავს სატანა,  
გვემუქრება გადაშენებით...  
და მე კი არა,  
პირველ რიგში ღმერთი ინამეთ!

## ჩემს იმეხეთს

იმერელ ხალხს სულ სიკეთე სჩვევია,  
მიყვარს მათი სიხარული – დარდიც,  
ხეთა კვირტი და ქვის ღორღიც ჩემია,  
ჩემს იმერეთს არც ერთ კუთხეს ვადრი.



**საამაჟო ხაი**  
(ვალერი მოსიაშვილს)

ვ-იცი ელოდი სიყვარულით გულით მზეობას,  
ა-უცილებლად მაჩუქებსო სითბოს დეიდა..  
ლ-ოცვით სულ გლოცავ და გისურვებ კეთილდღეობას,  
ე-ნთოს მზის სხივად ეს სიტყვები, შვილო, დღეიდან.  
რ-ა დამავინყებს შენს სიცელქეს, ან შენ ბავშვობას,  
ი-ყო სილალის სიჭაბუკის დარდიმანდობა,

მ-დინარეებზე თევზაობა, შარვლის გაშრობა,  
ო-ნავრობის დროს კამათიც და ბევრჯერ დათმობაც.  
ს-ერობაც გქონდა, განშორებაც ჩუმი გრძნობების,  
ი-სე დინჯი ხარ, ახლა, შვილო, ბავშვიც კი გხათრობს...  
ა-რის ცხოვრება სიმშვიდე და ბევრჯერ ომებიც...  
შ-ორს არ ხარ, მაგრამ შენს შეხვედრას ყოველნამს ვნატრობ.  
ვ-არდისფერ შენს წლებს ამჩნევია სინმინდის კვალი.  
ი-ისფერ დღეებს არ შეცვლიათ ლამაზი ფერი...  
ლ-ექსით მინდა, რომ მოვიხადო დისშვილის ვალი,  
ს-აამაყო ხარ, ამიტომაც კალამიც მღერის.



## წეხთიანი ჯავსვი

სიკეთეს ვთესავ, არა ვარ მგელი,  
წამნამებში მაქვს ცრემლი მოჩრილი...  
ჩემი გულია ხასხასა ველი,  
რწმენით ვარ, მუდამ უფლის მორჩილი.  
ჩემი გულია სიკეთის ხიდი  
და მოლივლივე ზღვის ტალღის მსგავსი.  
ჩემი გულია წყნარი და მშვიდი,  
ქედმაღლობასთან ნერტილი დავსვი!..

## თუ ვიწიებავი

თუ ვიღიმები, არ ნიშნავს იმას,  
რომ ჩემში მუდამ გაზაფხულია.  
არ მსურს გადვიქცე ცრემლებს ნვიმად,  
გული ისედაც დაჩაგრულია.  
თუ ვიღიმები არ ნიშნავს იმას,  
რომ სხვის ტკივილებს მე არ განვიცდი,  
ყველას განსაცდელს ჩემს სულში ვფინავ,  
ტანს უხილავი სევდა ჩავიცვი.  
თუ ვიღიმები არ ნიშნავს იმას,  
ვინც მანყენინა არა მტკიოდეს,  
და თვალებს ჩემსას დარდების ბინას,  
არ მსურს ცრემლები ჩამოსდიოდეს.

## ზვავში ვახ

ზღვაში ვარ, ნაპირზე გამოსვლას არც ვაპირებ...  
 ვცურავ და ვცურავ, მაგრამ ზენიტს არასოდეს გადავცდები...  
 პოეზიით ვლოკავ ნაპირებს.  
 თავზე დამტრიალებენ გედები, მალონებს წარსულის განცდები..  
 მილიმიან ვარსკვლავები, მზე მკლავებზე მიწვენია.  
 მთვარეს სძინავს, როცა თვალებს გაახელს წინ შევეფეთები,  
 ფიქრები უსასრულოა, აკვანივით ირწვევიან.

## აუხინდი ხომოხს ახნივი

დათიკო, ცის ანგელოზო, შევლივით ბიჭო, მარდო...  
 დედიკო არ გააბრაზო, ტირის დათა და გდარდობს.  
 სიცოცხლის აზრო, მზე ბიჭო, რაც უფრო ვტირით გვშორდები,  
 ხვალინდელი დღის ნაბიჯო, მჯერა, კვლავ განმეორდები.  
 ახლა აქ, დარდი ტრიალებს, გულს დარჩა დიდი იარა...  
 მამა სიმწარით, ღრიალებს, ნეტავი მოგატრიალა.  
 აფრინდი, როგორც არწივი, გაფრინდი, როგორც ჩიტუნა,,  
 შენ იყავ მათი ნაწილი, ბრგე და ლამაზი ბიჭუნა.  
 მარადისობის მგზავრი ხარ, გულში ტკივილად დარჩები,  
 მე კი ეზოში იმედს ვრგავ... ბევრჯერ ოცნებას ნაჩვევი!



**გულის წამაჯ**  
(თემურ გოგსაძეს)

თ-ბილ-ტკბილ სიტყვებს შეგაშველებ გულის წამლად,  
ე-ნანყლიან ლექსსაც გიძღვნი თემურ, შვილო,  
მ-ე დიდ დედად უამრავმა მიწამა და...  
უ-ფალსა სურს, რომ სუყველა მომაშვილოს.  
რ-ოს გამოჩნდი, გადაბრწყინდა გულის ველი...

გ-აიშალა ყოველი დღე ვარდებივით,  
ო, -რწმენაა ადამთ მოდგმის გადამრჩენი,  
გ-ულის ნევრებს გიფრთხილდებით შვილებივით.  
ს-ალ კლდეების ჭიათურის ნაზარდ ფესვო,  
ა-რწივივით მთას აჭრილო, საამაყოვ,  
ძ-მებისათვის ცდილობ ყველგან კარგი თესო,  
ე-რთ ძირ ვაზთან ლერწები გსურს დაანამყნო.

2018 წლის იანვარი

**თაქო**

მონატრებას ვერ გავუძლებ ალბათ,  
თამუნია, ჩემი გულის წილო,  
ერთი ვარდი გამოვგზავნე აბად,  
სიყვარულით რომ არ იშიმშილო.



ქვიჩუასო ქეთი

ქ-უდბედიანო, ლამაზო და სულის ხატებავ,  
 ე-რუდიცია არ გაკლია, ნიჭიც ღვთიური...  
 თ-აკარა მზეში ნაპოვარო, ანდამატებავ,  
 ი-მ დღეთა შემდეგ ხელთქმნილებით ამომზიურდი.

მ-აცოცხლებელი პალიტრა და უბრალო ფუნჯი,  
 ა-მომავალ მზეს გირჩევნია, ძვირფასო ქეთი...  
 ზ-ამბახს და ვარდებს ეფერება, ცა ასე ლურჯი,  
 ი-ქნებ შენა ხარ საყვარელო, სიცოცხლის წვეთი.  
 ა-რავინ იცის უკვდავება ვისი ხვედრია,  
 შ-ორი ზეციდან იჭვრიტება, შენსკენ მოილტვის.  
 ვ-ირტუალური ხედვა ზოგჯერ წინ დაგხვედრია,  
 ი-ბრწყინებ მზისებრ უკვდავებას როცა მოიმკი.  
 ლ-ამაზ დედის შვილს გული, რომ გაქვს ძალიან ნაზი,  
 ს-ასწაულისაც დაიჯერე, და ღრმად ინამე,  
**ამოიზრდება სულის არეს ლამაზი ვარდი,**  
**და ნარუჯ შენს წლებს, უსათუოდ ღმერთი უწამლებს.**



## აკაბო შემქმნა

იანვარო, ტანი სულმთლად გაიშვილე,  
თოვლის ფატას ტანზე კაბად რად არ იცმევ?  
შენს ნახვაზე ამიტანა ერის შიშმა,  
ეს ბუნებაც ნამდვილ შოუდ არ გადიქცეს,  
მერე მარტმა არ მოყინოს თოთო კვირტი,  
ეს თვისება მას ხომ ოდით გააჩნია...  
მის ხასიათს მივხვდი... ბევრჯერ დავაკვირდი,  
აურ-ზაურს... თვით ბუნებაც შეაჩვია.  
მწვანე კაბას ყინვით როცა შემოსუსხავს,  
მოყინავს და ძირს ჩამოყრის თოთო სხეულს,  
ალბათ შევძლებ და ჩემს თბილ სისხლს გადაუსხამ  
მეც ვუშველი ტოტს, ჩემ გულში ჩამონეულს.

## ხაჩ მაგალითი

*(ჩემს მაზლის ცოლს, ნატოს)*

გადაიარე ბედისწერის ქარტეხილები,  
ჟამთა ჭიდილში გაიმარჯვე შენი სიღინჯით,  
წარმატებებით ჩააბარე გაკვეთილები,  
ქალურ მანტიას აწერია მხოლოდ სინდისი...

ხარ მაგალითი ყველა დროის ქალბატონების,  
მარტის თვე არის, მოგილოცავ გაზაფხულებას,  
ამოგისხნია ურთულესი განტოლება და  
შენი მანდილი არასოდეს არ გახუნდება.



**აგჩნობინე, მნათობია ჯათა**  
**(ხათუნა ხარაიშვილს)**

ღმერთო, მიეც ძალა ყველა დედას,  
 რომ განსაცდელს გაუმკლავდეს მწუხრის,  
 მე თუ ცრემლი შვილით დამებედა,  
 ჩემს ხათუნას, გული ნულარ უკრთის.  
 რატომ ერგო ჩემნაირი ბედი,  
 მტკივა, ვტირი, მაგრამ არას ვიმჩნევ,  
 ჩემთან ხშირად დალულუნობს მტრედი,  
 ერთგულობას შვილის ალერს მინევს.  
 დათას სახით მოუვლინე ხათოს,  
 მტრედით იგრძნოს სიყვარული შვილის,  
 გაუბრწყინე ისევ თვალი ფართოდ,  
 ხათოც მერე იმედებით ივლის.  
 მე კი ცისკენ სულ მიჭირავს თვალი,  
 მოვინათლე „ცისკარელად“ მიტომ,  
 გამაკაჟე, გავხდი ამორძალი,  
 ახლა ხათოს სიმშვიდესაც ვითხოვ.  
 ძმიშვილია ჩემი სისხლი, ხორცი,  
 ბედით მაინც რატომ დამემგვანა,  
 დავილალე, მერამდენედ მოვკვდი,  
 გავხდი ხალხის უკვე გამოცანა.  
 თუ კი ხათომ მზეჭაბუკი შობა,  
 ნაიყვანა, მიტომ ღმერთმა დათა,  
 მაშინ დარდით, ნურც მის მშობლებს მოკლავ,  
 აგრძნობინე, ვარსკვლავია, მართლაც...  
 აგრძნობინე, მზე როდესაც ჩავა,  
 ღამის წყვდიადს გაანათებს მთათა...  
 გარიჟრაჟზე ისევ ღმერთთან წავა,  
 აგრძნობინე, მნათობია დათა!



## სუაზის ქარი

სულების ელჩია?!! გააუკვდავო პოეტი, ეს იმას ნიშნავს, მეორედ მოავლინო ქვეყანაზე. გელა (გიორგი) ლარიაშვილმა ბეჟან ხარაიშვილის ბიუსტი შექმნა. ბეჟანი აღდგააა....

ს-ული ცაშია მიუწვდომელი,  
უ-კიდევანო სამყაროს მიღმით...  
ლ-ოდინის ცრემლი, აუხდენელი,  
ე-ს ისეთია, ყველა იქ მიდის.  
ბ-იძა, ბაბუა, დედა და მამაც,  
ი-მედი რჩება დედამინაზე.  
ს-აიქიო რომ იხილო წამად

ე-ს უფლით ხდება თუკი ინამებ.  
ლ-ამაზი არის ისე ცალსახად,  
ჩ-ამიჩუმიც კი არსად გაისმის,  
ი-ქ მთები არის მწვანე, ხასხასა,  
ა-რასდროს ჭკნება ვარდი მაისის.  
?

გ-აუკვდავება?.. თვით ღმერთით ხდება,  
ა-რის განგების ხელში ყოველი.  
ა-ხლა, ამ წუთში რაც თვალწინ ხდება,  
უ-ფლისგან კიდევ რაღას მოველი?  
კ-იბე ჩაუტყდა პოეტს დიდ გზაზე,  
ვ-აიო შვილოს უცხოც ტიროდა.  
დ-ედა, საბრალო, არ იყო აზრზე,  
ა-სე რად მოხდა?.. სიმწრით ყვიროდა.  
ვ-ინა სთქვა მოკვდა, ცრუ ტყუილია,  
ო-მია მუდამ ბედთან ჭიდილი,  
პ-ოეტი მხოლოდ, მხოლოდ გულია,

ო-რჯერ ცოცხლდება ღიმილ-ღიმილით.  
 ე-ნატრებოდა დაღლილს რიჟრაჟი,  
 ტ-ანჯავდა ბალის გადაგვარება,  
 ი-ს იყო დიდი სულის მირაჟი...  
 ე-ტრფოდა იას მიუკარებლად.  
 ს-ამშობლოს ერთგულს, ბრძენს და მოყვარეს,

ი-ანვარში რომ ზეიმს მიზნავდა,  
 მ-ამის სიცოცხლე ლაშას მოპარეს,  
 ა-მ სადისტობას მხეცი იზამდა.  
 ს-აჩხერის ცის ჭერს მოწყდა ვარსკვლავი,

ნ-ამსხვრევები კი მიწვდა გვირილას,  
 ი-ქ ხვანის მთებში, ოხრავს საფლავი,  
 შ-ავი ბარით რომ გამოჰირულა.  
 ნ-აინანატრი ვაჟი დაობლდა,  
 ა-რ ნავიდესო, მამა, – ყვიროდა.  
 ვ-ინ არ ოხრავდა, ვინ არ დაღონდა,  
 ს-ახე თვით მთებსაც ჩამოსტიროდა.

მ-ას შემდეგ ჯვარცმა, დარდი-გოდება,  
 ე-ლდა, ომები, ცრემლის ღვარ-ღვარი,  
 ო-ი, მოკლესო, ფიქრს არ შორდება,  
 რ-ამდენჯერ იცვენს ფოთლებს ქადარი.  
 ე-რის ერთგული ძმა, თან პოეტი,  
 დ-იდი გულის და ნიჭის პატრონი.  
 მ-იმინოს ფრთებით, ვით კაპოეტი,  
 ო-ცნებების და ფიქრთა ავტორი.  
 ა-რ მოსწრებია ის აღზევებას,  
 ვ-აზის ყლორტების გადანიღნებას,

ლ-ამაზ, ბრძნულ სტროფთა გამზეურებას,  
ი-მიტომ ცრემლიც ხშირად მდინდება,  
ნ-აისრ-ნაკორტნ გულს ისევე სტკივა,  
ო-მია ძირს და ომია ცაშიც...  
ქ-არიშხალია, ყინავს და ცივა,  
ვ-აი თუ მომწვედეს სიკვდილის რაში.  
ე-რთი ალალი ქმარი და შვილი,  
ყ-აყაჩოსავით მოლაღანენი,  
ა-ქაც მწარე ბედს მიუძღვის წვლილი,  
ნ-ექტრით მონამლა სულის არენი.  
ა-ქ შევჩერდები, ვმალავ სატკივარს...  
ზ-ღვა გახდა უკვე ჩემი ცრემლები,  
ე-ს ბედით მოხდა, არ ვწერ საჩივარს,

გ-ულში შემომრჩა ნაცრემლარები.  
ე-ხლა სხვა მრჩება უკვე სათქმელი,  
ლ-ამაზი ღამის სიზმრის ხილვები,  
ა-იქარგება სიტყვა ჯანმრთელი,

ლ-ალ და ფირუზში ამონავლები.  
ა-მ ამბავს ასე ყველა მხატვარი:  
რ-ოს თენდებოდა ვნახე თბილისში,  
ი-ქ სკამზე ისხდნენ ბეჟან, თამაზი.  
ა-ისს ხვდებოდნენ ორნიც ივლისში...  
შ-ევშფოთდი, ჭადრებს არხევდა ქარი,  
ვ-იცი, თამაზი გარდაცვლილია.  
ი-ქნებ პოეტი, სტუმარი მთვარის  
ლ-ამაზ სხეულში გადასულია?..  
მ-ოფიქრებული აზრს ვაყალიბებ.  
ა-რ მავინყდება ეხლაც ხილვები,

ბ-ეჟან, თამაზი, აზრს ვაყალიბებ,  
 ე-რთად ვიხილე გარდაცვლილები.  
 ყ-ამთა სანუთროს აღარ ვიდარდებ,  
 ა-ზრი მინდა რომ შევეკრა კონებად...  
 ნ-აჯაფი მკლავი ისევ ივარგებს,

ხ-ვალინდელი დღის მოსაწონებლად.  
 ა-რ მოველოდი მეხილა ძმებად,  
 რ-ომ იქ მენახა ჩემი თამაზი,  
 ა-რ იყვნენ თუმცა ისინი ერთად,  
 ი-ქნებ ერთად აქვთ სულის დარბაზი?..  
 შ-ევფიქრიანდი, თვითონ ბეჟანი,  
 ვ-იცან სურათით სკოლის გახსნისას,  
 ი-ს ხილვა იყო საოცრებანი,  
 ლ-ამაზ მთვარესთან ერთი ღამისა.  
 ი-მან მომხიბლა ახოვანებით,  
 ს-იზმრად მესტუმრა, ნახევრად მძინარს...

ბ-ეჟანი ვნახე ახლობელივით,  
 ი-მ წამს ჩემშივე დაიდო ბინა.  
 უ-ფალს გავანდე ჩემი მიზანი,  
 ს-ინათლის შუქი არც კი ავანთე,  
 ტ-კივილიანი დარჩა ხიზანი,  
 ი-მის ლექსებმა გამოანათეს.

შ-ავი ფანქრით და ცრემლის მეღანით,  
 ე-რთ წამს აღვიქვი პოეტის სახე,  
 ქ-ალბატონი ხარ, და თან მწერალი,  
 მ-ოგართვი კრძალვით, გთხოვ დაინახე,  
 ნ-აფიცმა ძმამაც ნახა ესკიზი,  
 ა-რ მოელოდა ლევან დღეს ღვთისას,

გ-ულით შექმნილი შავ-თეთრ ესკიზი,  
მ-ართლაც ვაჟკაცი, პოეტი ძმისა.  
ა-ცეკვდა ის დღე, აპენენიკდა,  
დ-ა რა ლამაზი გახდა ის ნუთი,  
ლ-ურჯ ციდან სული ჩამონიკნიკდა,  
ო, - მის ცხოვრებით გულგანათუთქი...  
ბ-ილიკებს ხვანის, ფიქრით გადავწვდი,  
თ-ბილი ძირულაც მოვინახულე...

უ-ხელ-უფეხოდ მწვერვალებს გავცდი,  
ფ-იქრით ზამთარშიც გავიზაფხულე.  
ა-ხლა მინდა რომ ყანნი დავცალო,  
ლ-აღს და ოქროში ამ დღეს არ გავცვლი,  
ო-ი, შენ, წლებო, უნდა მაცალო.

ბ-ენვის ხიდზე ვარ, სიცოცხლეს ვმარცვლი,  
ე-ს სინამდვილე ვის დავაჯერო,  
ჟ-ანგს ოქროდ აქცევს, თუკი ღმერთს უნდა,  
ა-მითინათდა სული საფერო,  
ნ-ამდვილად ღმერთო, ესეც შენ გსურდა,  
ი-ს დღე ნუთით რომ არ დამავინყდეს,

ა-მიტომ ვჯღაბნი, ვჯღაბნი სტრიქონებს.  
ლ-ონიერ რითმა სულ რომ გამინყვეს,  
დ-ე, ცა მანვდიდეს ქორონიკონებს.  
გ-ელას, ღვთის რჩეულს ჰქონდეს დიდება,  
ა-რსად არ შეხვდეს მბრდღვინავი ქარი...  
ა-რ მსურს მოცილდეს სულის გალობა...  
ა-ცდეს მოძმისგან ღვარძლი და შხამი.  
ა-სეთ ხელოვანს ღვთით უკვდავება,

ა-რ მომწყინდება ქება გელასი...  
 ა-რავის სიტყვას შეედავება,  
 ა-რის მშველელი გულით ყველასი.  
 ა-რის ქართლელი, არის კახელი,  
 ა-რის სვანი და არის მეგრელი,  
 ა-რის ვაზი და არა მძახველი,  
 ა-რის გურული და იმერელიც.  
 ა-რავინ იტყვის ქედმაღალია,  
 ა-რავინ ეტყვის; წადი, მომშორდი,  
 ა-მიტომ ლექსიც გემრიელია,  
 ა-მიტომ ცრემლსაც ლექსით ვაშრობდი.  
 ა-რის დაბალი, არის მაღალი,  
 ა-რის ვაჟკაცი, არის ალალი,  
 ა-რის ტკივილის ტკბილი წამალი.  
 ა-რც დაიღალა წერით კალამი.  
 ა-რის მშობელი, კარგი მამიკო,  
 ა-რის ბაბუა პანანუნების...  
 ა-რის საძმოთა ყველას ძამიკო,  
 ა-რის დამთმობი, თბილი ბუნების.  
 ა-რის მებრძოლი, არის მორჩილი,  
 ა-რის მწერალი, არის მხატვარი,  
 ა-რის ხატებთან მუხლებმოყრილი.  
 ა-რის სიკეთის გულით დამტკბარი,  
 ა-რავინ არის მისგან რომ წყინდეს,  
 ა-რავის ავნებს, არავის ერჩის,  
 ა-ისი მინდა მით ამობრწყინდეს,  
 ა-ლბათ გელაა სულელების ელჩი!

**როდესაც აკროსტიხის ჩარჩოში ჩასმულ სიტყვებს მოვრჩი “ა” იყო ბოლო ასო. ეს იმდენი “ა” გამოვიდა (საწყისად), რამდენი**

წლისაც იყო ბეჟანი გარდაცვალებამდე. არ მიჯახირ-მინვალია, ერთი ამოსუნთქვით დაინერა, ეს არც შედეგურია და არც განსაც-ვიფრებელ-გასაკვირვებელი ნაწარმოები. ერთი მიძღვნაა, უბრალოდ ამბავია და რწმენა უფლისა, ჰო, უფლისა, მის გარეშე ხომ ერთი ბენვი თმის ღერიც არ ჩამოუვარდება ადამიანს.



### მზის სხივები

მზის სხივები, დილის ცისკარს,  
როცა სხივებს დააფარებს...  
ცის ნამს გულში ტკბილად იკრავს,  
ეტყვის ღმერთის დანაბარებს...  
მოუყვება ზეცის ამბებს,  
გარდაცვლილნი როგორ ცხოვრობს,  
მზე დაითვლის წასვლის წამებს,  
ნამს სულ უნდა მოეფეროს.  
მზე ალოკავს, ნამის გულმკერდს,  
მერე სხივებს მიმოფანტავს,  
ხიდან მოწყვეტს თოთო კვირტს და...  
ანგელოზად გადახატავს.



გ ი მ ხ გ მ ბ ა

საქართველოს მიუღაცავ, გიორგობას,  
 ერთი ათად გამიმრავლდით ქართველებო..  
 აღარ შეგხვდეთ შულღი, მტრობა, ომობანა,  
 გაიხარეთ, სადაცა ხართ რაჭველებო!  
 გიორგობას მოგილოცავთ, მეგრელებო,  
 „დიდოვ ნანით“ აღზრდილებო, ცირა, გია,  
 არ მოგაკლდეთ დედის პური, ყველი-ერბო,  
 აფხაზეთს კი საქართველოს გული ჰქვია!  
 გიორგობას მოგილოცავთ იმერლებო,  
 დარღის ალში გამომწვარი თქვენი შვილი,  
 გულის წევრნო და ყველაზე ახლობლებო,  
 მოგილოცავთ დიდი დედა ტკბილზე-ტკბილი!  
 გიორგობას მოგილოცათ ქართლებო,  
 მართალ სიტყვის მთქმელებო და მებრძოლებო,  
 ომის ცეცხლის გამძლებო და ამტანებო,  
 ხან ფოლადო, ხანაც ნაზო ენძელებო!  
 გიორგობას მოგილოცავთ კახელებო!  
 ძირძველ მიწის ქომაგნო და გულის ველო,  
 თუ დასჭირდათ ყველა კუთხის მშველელებო,  
 ამ ლამაზ დღეს მოგილოცავთ ქართველებო!





## ჯამი ანუ

ჩემი სიტბო როგორ მოგანვდინო,  
მონატრებავ, გულის დაო, ანერ...  
არ მინდა, რომ ცრემლი დაგადინო,  
გიკვირს ალბათ, როგორ ვუძლებ ნამქერს...  
ღმერთი მშველის, ცის შვილები ყველა...  
ნასულები შორშორს მიღმის იქით,  
ჩვენ გვჭირდება, აქ სუყველას შველა,  
დღეები კი სიმსუბუქით მიქრის.  
ჰოდა ვცხოვრობ, იმ წარსულის ეშხით,  
როცა ერთად ვთამაშობდით დაო...  
რომ ვიყავით სულიერათ ერთნი,  
თავს გვეხურა, სიყვარულის ცაო...  
მაპატიე ვერ ვნახულობ ჩვენს დას,  
მის უტყვ ცრემლებს ვერ გაუძლებ ანერ...  
ფანტაზიის, ია-იებს ვრგავდა...  
„ოლია“ კი მხოლოდ უფალს ვანდე!



## ხ ე ა ნ ი ა ხ ე ხ ს ო თ!

არ შეგეშინდეთ დარდის სამოსის,  
 სულს, რომ ტკივილად შემომჯინჭრია,  
 გულს კვლავ ახალი კვირტი ამომდის,  
 სიტყვებსაც ვუძლებ ბევრჯერ ჭინჭრიანს.  
 ქარი – ბოროტი სიავით დარბის,  
 ცუდი რა არის ვერ გაარჩია,  
 არ ვარ სიმდიდრის ნუნკი და ხარბი,  
 გავცემ ყველაფერს, რაც გამაჩნია,  
 ფარჩაფურჩები, ოქრო და ვერცხლი,  
 წაიღოს ყველა, მას ჰქონდეს ხალხო!  
 ლექსი ჩემია, ეს გულის ცეცხლი,  
 წაიკითხოს და ხელი არ ახლოს!

## მზის მკაავებით

მზის მკაავებით ავაშენე, ყოფნის სახლი,  
 ეკლებს ვკაფავ, ბაძაძგნარში ჩემი ხელით,  
 ომში? ვომობ, ქალი ვარ და ხარის ძალით,  
 მშრომელი ვარ, უფრო მეტად რწმენა მშველის.



## ჯამიჯიამ

სიყვარული, გამოხატეს ყვავილებმა?  
ნეტავ მართლაც სიყვარული დაგებედოთ..  
გაიხარეთ საქართველოს ყმანვილებმა,  
გოგონებთან მოტყუება არ გაბედოთ....  
სიყვარულის ელექსირი თუკი შესვით,  
გაიყოლეთ სულის საზრდოდ და საგზურად!  
სიყვარული არის გულის განანესი,  
ყმანვილებო, მოექეცით ძმას კაცურად!  
სიყვარული, უფალია ყმანვილებო,  
განა ხორცის ჯიჯგენა არის ნანვილებად,  
დამიჯერეთ, ჩემი სულის ნანვილებო...  
დამიჯერეთ, შემორჩებით არნვილებად!

## მახტოობის კუნძუნი

სიცივემ ბუხარში  
კვლავ სითბო დამარხა,  
ამაკანკალა...  
შევაფეთე თვალეზი ყინვას.  
ოჰ, რა დღეშია, ჩემი გული ნეტავ განახათ,  
მარტოობის კუნძულთან დგას და გმინავს.



\*\*\*

**ყველაზე დიდი სასაფლაოა გული...  
(ბეჟან ხარაიშვილი)**

რა სიბრძნეა ძმაო, ბეჟან, შენს სიტყვებში  
რა ტკივილი, ცის და მიწის ხელა,  
წახვედი და ცრემლის ბილიკს მეც მოვყვები,  
ვერ გენევი, რადგან ირგვლივ ბნელა!

**ნიკომოგობას ვიწოხავ  
(ნიკო ბალაშვილს)**

მე კი ასე ვლოცავ ნიკოს,  
გულით ალალსა და მართალს,  
მუდამ ღმერთთან ახლოს იყოს,  
თორემ დავინყება შთანთქავს!  
არ სვამს მაინც დადის მთვრალი,  
ჰყოფნის ერთი ლუკმა შოთის,  
ვაი, დედის გულის ბრალი,  
დედას შვილით რომ აქვს შფოთი.  
დედა მოგიშუშებს ნაღველს,  
დედა, სულიერი დედა,  
ბიჭო! თოვლივით არ გალღვე,  
„დე“-ს არ მოუმატო სევდა!

## ხეაქობაა

(მაია სხირტლაძეს)

არ შეგადარებ მაიკო არავის ...  
ჩემი შვილების ნაწილო...  
მზიაა შენი სულის კარავი,  
გულიც გსურს გაუნაწილო...  
შენა ხარ ამ ქვეყნად ყველაზე ჭკვიანი,  
მებრძოლი, სათუთი და სუფთა,  
შენი „ჭერიო“, ნაზი და ხმიანი,  
იყო მოსასმენად სულ სხვა.  
შენა ხარ, ამ ქვეყნად ყველაზე თბილი და..  
ჰო, სიტყვა რათ დავზოგო,  
ლამაზი, კეთილი, მაზლიშვილი და.  
მინდა მოგეფერო, გოგო..

## ნეტავ შემიქოს

ნეტავ შემეძლოს, დავადება გავაცამტვერო,  
ნეტავ შემეძლოს, სიყვარულის ჯაჭვის მოქსოვა.  
როგორ არ მინდა, მტერო, შენც, რომ გადამემტერო,  
მთელ მსოფლიოში, სიძულვილის თოვლმა მოთოვა.  
ფიქრის სასახლეს მივადექი, ვძებნე წამალი,  
რომ ვერა ვნახე, ხატების წინ ლოცვა დავიწყე,  
ცრემლებიც ვყლაპე სხვის უჩუმრად, ფრთხილად,  
დამალვით,  
როგორ არ მინდა, მოთმინების ძაფი გამიწყდეს.  
ცრემლი მიშველის, დავიოკებ დარდის ქარიშხალს,  
მჯერა, თანდათან დაიდარებს, ყინვის სასახლეს,  
იმედის ლერწი ნეტავი და... არვინ გამისხლას,  
მსურს სიყვარულის სამყაროში ყველა დასახლდეს!

## მეხ მანუშეში

და რომ ვიცოდე, ისევ ისე მოვალ მეორედ,  
 კვლავ ეს, ვიქნები რაცა ვარ და რასაც განვიცდი.  
 თუმცა მე ლექსში, ჩემი სული გავიმეორე,  
 და ამ მიწიერ დედამიწას, უკვე გავცილდი.  
 ვნერ სულ უბრალოდ, გასაგებად, გულში საცემად,  
 თუმც კოსმოსში ვარ, პლანეტაა ჩემი სამყარო.  
 აქ, დედამიწა, სიავკაცემ რადგან ჩაცელა,  
 დავმოგზაურობ, უბედობა არ ვახარხარო.  
 ცისარტყელასაც შევეჯიბრე, ფერთა გამაში,  
 ნისლებს მივწვდი და აქეთ-იქით ხელით გავყარე,  
 ცაში ავტეხე, ვარსკვლავებთან დიდი განგაში,  
 მე, სულელებს ვეძებ, ჩემი სისხლის, ფესვის ნაყარებს.  
 ზეცა გაბრწყინდა, საგანგებოდ რაღაც სხვა ფერად,  
 იქ, იდგა დათა, თავდახრილი თითქოს რცხვენოდა,  
 აქა ვარ მეო, მომადახა, ასე მენერა,  
 დათას მზის ფერი უხდებოდა, ძალზე, შვენოდა.  
 ამოვისუნთქე, დავიამე, დარდის წყლულები,  
 გასახარებლად, ჩემს ძმიშვილთან გამოვიქეცი,  
 ხვიჩა და ხათო, დავინახე უფერულები...  
 გაოგნებული, ქანდაკებად გადავიქეცი...



## მინს კახია

მინც კარგია სიცოცხლე, რადგან...  
დარდების შემდეგ, ამას ვინატრებ,  
გათოშილ ხეებს მზის სხივი ადგას,  
მუხის ტოტები ალბათ იბარტყებს...  
ბალიც მწიფეა, შეესევინა,  
ჩემი და სხვისი შვილიშვილები,  
ჩემი სიმდიდრე სულ ესენია,  
თუ მომრავლდნენ შვილთაშვილები.  
როგორც პოეტი მიუაღერსებ  
მინდვრის ყაყაჩოს, ღორლს და ლელიანს,  
თუ მინც მკერდზე დანა ალესეს,  
მაშინ ლექსები ბრძოლის ველია...  
თუ დავმარცხდები, გამიხარდება,  
თუ ქართველია, გადავხვები.  
ჩემს გულში აღარ გაავდარდება,  
როგორც მოკეთეს ისე შევხვდები!

\* \* \*

უფალო, დამილოცე პატარები,  
ანგელოზების ბუდე,  
დალოცე, იყვნენ ამტანები,  
კალთა დამიფარე, ხუნდებს...



## პ ი ზ ი

პრიზი უნდა დავანესო სიყვარულის,  
 ვინც მომავალს გულით ესათუთება...  
 გულში რომ აქვთ, გრძნობა ჩუმიად მოპარული,  
 ახალგაზრდებს შენახული ფუთებად...  
 პრიზი უნდა დავანესო ერთგულების,  
 გამიმრავლდეს იის-კოკორ ვარდები.  
 არვინ იყოს დარდით გამონაგულები,  
 ფრთხილად! კლდეზე ნულარ გადავარდებით!

## ჩ ა ს ძ ი ნ ე ბ ი ა თ

ჩასძინებიათ თხმელის ხეზე ნიბლია ჩიტებს,  
 ციციანათელა კი ანათებს იდუმალ ჭალას....  
 მდინარის ტალღა შიშველ ხეებს მოატივტივებს,  
 უთენია კი გლეხი ჩეხავს გადამხმარ ჩალას...  
 ბუმბერაზ ტყეზე ნისლი ჩანვა, ტყე დაიფარა,  
 დაიფარება ამ ბურსში ყვავილის ლეროც,  
 ასეთ ამინდში ცხვარიც გარბის, იშლება ფარა,  
 ბუნება ელის, სამხრეთიდან მოფრენილ წეროს  
 სევდიან ამინდს გამიახლდა ტკივილის განცდა,  
 და მაინც ვცდილობ, თბილი ლექსი ისევ დავწერო!..





## წიგნები

რაც არუნდა მოეფერო ღრუბელს,  
ღრუბლია, გულში ლაქას სტოვებს...  
ჰოდა, მიკვირს რამდენ დარტყმას ვუძლებ,  
როცა უნდა მაშინ დამათოვებს....  
მოისარკა, აფერადდა ზეცა,  
საქორწინოდ ემზადება მთვარე,  
მზესაც ოქროს სამოსელი ეცვა,  
მე ჩემს ლექსებს თავი შევაფარე.  
მზე და მთვარე ჩემებია ნაგრამ...  
ეშინია შავი ღრუბლის მათაც,  
მე კი ვლოცავ ჩემს ჯიშსა და ნაგრამს,  
გულს რა ვუყო, ბედისწერით ნათალს?

## ჯეჯა ენის ქვამთან

დედა ენის ძეგლთან ახლოს მდგარი,  
ვუყურობდი ქანდაკებას მშვიდად,  
შემოგფიცავთ, ფიცი არის მყარი,  
მშვიდობა და სიყვარული მინდა.  
რას შესცქერი მაღლა ქანდაკებავ,  
რა მაღლი აქვს, იაკობის მელანს.  
ამდენ ომში სული გვიკაჟდება,  
და მზის შუქად გვეფინება ყველას.  
დედაენავ, გადამრჩენო ერის,  
ხმლით და შუბით გიცავ შემართული,  
ლექსებს ვამბობ თუ ქართულად ვმღერი,  
გალობაა ის შენ ლოცვად თქმული!

## ჯ ე ჯ ა მ ს

(დედაო იოანას)

თითქოს მღერისხარ, სიტყვით ჩაკრულოს,  
 რა ტკბილი არის შენი დალოცვა...  
 ერის სიმშვიდეს მუდამ ნატრულობ,  
 შენ ჩაგიტარა ღმერთმა გამოცდა.  
 ახლა ლოცვაა დარდის გამქრობი,  
 შვეების მომცემი მინანქარია,  
 მეც ამ ცრემლიან თვალებს ვაშრობ და...  
 ამიტომ შენთან მომიხარია....  
 დედაო, იმდენ დარდებს ვატარებ,  
 ისეთ დიდსა რომ ზეცის ტოლია,  
 კვლავ ვეფერები დიდს და პატარებს,  
 სითბო გულიდან გამომყოლია.  
 მე მოვალ, შენთან წლების გასხვლამდე,  
 რადგან სიყვარულს გული გპირდება,  
 მე მიგაცილებ ფიქრის სახლამდე,  
 უჩემოდ ვიცი, გაგიჭირდება.



## აოგონი

პოეზიაა, იდუმალი ფიქრების გზები,  
ცაში დაფრინავს, ზეციური, უკიდევანო,  
დედამინაზე მოიარა, ტყეები, ზღვები,  
ცდილობს მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს,  
რომ დაემგვანოს.

ის არწივია, ლურჯ სივრცეში მალლა გაჭრილი,  
ხან ცინცხალ დილის, სიხარულის შესატყვისია,  
ასეც მგონია ირმებია, მთებში აჭრილი,  
ეს ლექსებია, ჩემია თუ ყველა სხვისია.  
ჯინიანია, თავნებაა, ურჩიც, კეთილიც,  
ქართველის ვაზია, ჩვენი მიწის მთის და მდელოსი...  
ბევრჯერ ცრემლია, სიყვარულით გულდაფლეთილი,  
დიდი დარდია, ის ტანჯული საქართველოსი.

## ისევ მინდა მოგეფერო

ისევ მინდა მოგეფერო, გესაუბრო ლექსით...  
სიახლოვეს იგრნობ უფრო, ვიცი დათა გესმის.  
გეძებ, ჩემო ტკბილო, დათი, გეძებ წინ არ მხვდები...  
ბედს არ ჰქონდა შენი ხათრი, ისე კვლავ აღდექი.  
დათას ვეძებ, ცის ღრუბელო, ბედმა დამიმალა,  
ხარი არის ჯერ უბელო, დარდმა გადამალა.  
ლურჯ ცას თვალი გადავავლე, ცისარტყელას სახეს,  
მზე კი თვალებს, აბარბალებს, დათა, ღმერთთან ვნახე.



ჯა მაინს...

გულს სიყვარულით ვიცი, ვუშველი,  
 თუმც მზის სხივები აღარ მათბობენ...  
 იმედი დამრჩა ყინვით შიშველი,  
 მერცხლის ჭიკჭიკიც აღარ მართობენ.  
 სიცოცხლეც რაა, სულ სიზმარია,  
 გამოიღვიძებ,... გესმის ქაოსი,  
 ვეშაპის ფიქრი, ის მიზანია,  
 მინის გოჯიც რომ ქონდეს ტაოსი...  
 ტაოკლარჯეთი გულის მხარეა,  
 ტაო ჩვენია... დასაბამიდან,  
 რა ყაყანია, რა გიხარიათ,  
 ან რატომ მგლიჯავთ ამ გულს გვამიდან.  
 გულს... შიგ ღრუბლებში დაკვიდებ ცაზე,  
 ჩემი სითბოთი გავაღლობ ყინვას...  
 ყლორტი ამოვა, მოყინულ ვაზზეც,  
 რადგანაც მინა ცოდვებით გმინავს...



## მზის ათინათი

გული მტკივა და ვერავინ მამჩნევს,  
სიკეთეს ხედავს ათასი ერთი...  
ისევე რწმენით მივენდე გამჩენს,  
ყველაფერს ხედავს მაღალი ღმერთი.  
შარა-გზებს მივდევ ეკლიან ტყეში,  
მივკაფავ ბარდებს, წინ ძლივს მივინევ...  
მათოვს და მანვიმს, დარდების თქემით,  
ჩემს ნათეს ამაგს... ყველა ივინყებს...  
ღამეა... ვწევარ, ფიქრებს მივენდე,  
აღარ მასვენებს რეკავს საათი,  
ლექსებს მოუხმე, ბოლო იმედებს,  
თუმცა მიხდება მათთან კამათიც,  
ხან მეფერება, მხიბლავს რაღაცით,  
ხანაც მაძინებს ტკბილი „ნანათი“,  
და მერე დილით გამომალვიძებს,  
ოქროსთმიანი მზის ათინათი.



## ფიფი ფეფა

გულის დარდი ცრემლით გადავრეცხე,  
 ხელით ვხეხე, სახე დამეთხუპნა...  
 სექტემბერო, ამ წლის თვეო, მეცხრევე,  
 არ მიბრალე, ალში გამომხრუკავ.  
 თვე თვეს მისდევს, დამღლის ღამის წუთი...  
 მონატრებამ ამიხანჯლა გული,  
 მკლავს წარსული სევდით განათუთქი...  
 გული დარჩა მწარედ გამოხრული,  
 არას ვიმჩნევ, იმედებით გკვებავთ,  
 სიმწუხარეს ფურცელსაც არ ვანდობ,  
 ახალგაზრდებს უნდა მოგცეთ შვება,  
 სამომავლო აგური მსურს დავდო.  
 გამოვძერწავ რწმენის საგზალს ლოცვით,  
 დარდის ფენას ჩემში აღარ დავდებ,  
 მაპატიეთ, თუ ცრემლებით მოვცდი,  
 არ იტირებს თქვენი დიდი დედა.



## სა მოწმენისზე

მე შევეჩვიე უმაღურობას,  
მე შევეჩვიე ზურგის შექცევას,  
თავს როს დამატყდა უბედურება,  
როცა სეტყვები თავზე მეცემა,  
ცა მოწმენდილზე უცებ იელვა,  
ატყდა ქუხილით ცივი წვიმები,  
არ მიმატოვა ჩემმა იმედმა,  
გულზე ავიბი როგორც მძივები.  
შემომეფეთე მაშინ როდესაც,  
ალარც გელოდი უკვე საერთოდ...  
გამიხსენებდი ვიცი ოდესლაც,  
ჩემი წარსულის სულის ნაერთო.  
ადამიანი განა რას ცოცხლობს,  
ჩემი მზეც იქნებ ჩქარე ჩავიდეს,  
მინდა საერთოდ მტერიც დავლოცო,  
წმინდა სულით მსურს ცაში წავიდე.



**მგეჟმა კბილი გამკრა მართალს,**

ჭრილობები დამამჩნია,  
 ერთხელ, ორჯერ, ვინყებ დათვლას,  
 რას მოიგებს გააჩნია.  
 მე დაუცდი გამარჯვებას,  
 იზეიმოს როგორც უნდა,  
 ბუზი როცა დააჯდება,  
 ის მიიღებს მაშინ ხურდას.  
 კალოს ვლენავ ბედით ნასუსხს,  
 ჩემთვის მზეშიც ავდარია.  
 ღმერთი გაცემს ძუ მგელს პასუხს,  
 გულში გლოვის ხანძარია.  
 მხეცი ცხვარის ტყავში შეძვრა,  
 უწყინარი გახდა ვითომ,  
 მზე ხალათად შემოიცვა,  
 შეხვედრისას გზასაც მითმობს.  
 ცხვრის ტყავს ირგებს ოსტატურად,  
 კბილებს მაღავს ცხვარის ტყავში,  
 როცა დადის როგორც ტურა,  
 საშიშია მგელი მაშინ.  
 ველოდები როდის შემეჭამს,  
 ვიცი შეჭმა არ ამცდება,  
 ჩემს სიცოცხლეს გამოლეჭავს,  
 ლუკმა ყელში გადაცდება.  
 სამჯავროზე ავა ცაში,  
 განმკითხავი იქ დახვდება.  
 დაახრჩობენ ცოდვის კვამლში,  
 სული სიმწრით ამოხდება.



### სუსს შემორჩა...

სულს შემომრჩა, თავიდანვე რაც მეზადა,  
ერთგულება, გარდაცვლილთა ხსოვნა...  
საჭიროდ ვთვლი დღეს ეს სიტყვა გამებედა,  
რატომ გავხდით უცხო ტომთა მონა.  
დარდით ფიქრიც გამეფანტა ღრუბლებივით,  
მომეფინა გულში სევდის თქორად.  
რატომ ვდუმვართ, რატომ ვხვდებით მუნჯებივით,  
ტირის ჩვენი ფაუნა და ფლორა.  
მივიხედე-მოვიხედე, ირგვლიმყოფთა,  
შავი ზანგი ეხვეოდა იას...  
ქართულ ვაზებს ყორნის ფერი დასდებოდა...  
ჭვარტლი დასდევს საქართველოს ნიავეს,  
აიზილა, დაიზილა, ერის სისხლი,  
თავს დაგყვირის გამუდმებით მოლა, ...  
საქართველო... უბრძოლველად გახდა სხვისი,  
ჩვენს მიწებსაც მტერი მიტომ ბლოლავს.

### ვენებს იმეფის სისხლი გაჟუსხი...

ბედს ტკივილიანს შევჭიდებივარ,  
ბედს უსასრულოს და უნაპიროს,  
დრო, თოვლ-ქარბუქით შეჭირხლებულა  
გულიც ამიტომ აღარ აპრილობს.  
ჩემს დიდ ოჯახში ფუსფუს-ფუსფუსით,  
ჯაფით, ნვალეებით ვდებდი აგურებს,  
მზის სხივით მინდა დავჭრა ბურუსი,  
რადგან დარდები გამანადგურებს.  
უიმედობა მინდა ჩავცელო,  
ვცდილობ ავკაფო დარდით ნასუსხი.  
მინდა მომავალს გავუნათელო,  
გულს იმედების სისხლი გადავუსხი.

## თქა კანჯეაქს

მაღე დატოვებ, საქართველოს მიწის ოხშივარს,  
 გადაფრინდები დედა ჩიტი ხუნდებთან ერთად,  
 ძარღვი ჩამწყდება, რადგან ისეც სევდის თქორივარ,  
 ცრემლები მახრჩობს და გული კი ოღნავლა ფეთქავს...  
 გარდუვალთა შენი წასვლა ვიცი და გლოცავ...  
 თუმც არ არსებობს, რომ მტერზედაც ვიფიქრო ცუდი,  
 შემოგემატოთ, კიდევ ერთი ჭკვიანი შოთა,  
 კარგი იქნება ხუთეულის მერცხლების გუნდი.

## ხომოხ მიშვეამო????

ჩამოინოსლა, ჩამობნელდა, სულის სასახლე,  
 ამ ეპოქაში, სიაგვაცის ხალხი მატულობს,  
 ო, ღმერთო, ჩემო, სიცოცხლეში შვება მანახე,  
 სულის სინმინდეს, ერთგულებას, გულით ვნატრულობ.  
 სიტყვის ტყვიები, მკლელობები, შურით ზეიმი,  
 ბედნასერ გულში, უკითხავად რატომ დარბიან.  
 ნაკურთხი ჯვარი, მონინებით ფრთხილად შევიბი,  
 მოკრძღებულად, დღე და ღამე გულზე მახია.  
 რაა სიმდიდრე, თუნდაც ლექსი იყოს შედევერი,  
 ან მზის სასახლე, თუ სულია შხამით ავსილი.  
 ვწუხ... მუხავ, ქართველის, სიძულვილით უკვე ბერდები,  
 შენი ტოტები, გველის შხამით არის გასვრილი.  
 როგორ გიმველო?????



## ხოსა გიყვას

როცა გიყვარს, მონატრება გტანჯავს,  
როცა გტკივა, როცა ფიქრობ მათზე,  
როცა ხელებს, ქერქლს ააცლი ნაჯაბს,  
მოვა გულში ჩაგისუტებს მათე.  
ცრემლს შეგიშრობს, დარდსაც გაგიფანტავს,  
მოგაყოლებს ლექსებს, სულის საზრდოს,  
იმედის სხივს გულში დაგინატავს...  
ასეთები ბევრი გაიზარდოს.  
ისეთებიც კარგად იყონ, ღმერთო,  
ვინაც წყრომით ზურგი შემაქცია,  
უფალსა ვთხოვ, სიყვარულად მენტოს...  
მე ისედაც დარდი ტანს მაცვია.  
როცა გიყვარს, გაჟრჟოლებს და გხიბლავს,  
მიკვირს ქარი რატომ დაფათურობს..  
რა უთხარი მართლაც ამ ჩემს იღბალს,  
დარდით ლამის ზეცა გადავხურო.



## ბეატივით გაჯავიხვნები???

მე დავიბადე ხელმეორედ, როდესაც ვშობე,  
 ლექსი პირველი, სულიერი შვილი სათუთი,  
 პასუხს მომთხოვენ, თუ ცუდია, როგორც მის მშობელს,  
 რადგან ლექსია, ჩემი სულის ამონასუნთქი.  
 წამოვჩიტე და წამოვზარდე, ლექსის ხუნდები,  
 ხან მზის ხელებით, უფრო მეტად ცრემლის თითებით.  
 ბოლოს როდესაც ცაში წავალ, აღარ ვიქნები,  
 სიბერის ჟამს კი თავისთავად, ჩნდება კითხვები:  
 ლექსით დავრჩები, თუ ბელტივით, გადავიხვნები???

## უხთხიაჯებს ეჭვი

ხან თითქოს ვდუმვარ, ჯავრგადაყრილი,  
 ხან ტირიფივით ჩამომდის ცრემლი.  
 ხან გზები მხვდება ეკალდაყრილი,  
 ცის აღმართებზე კიდევ რა მელის?  
 ფრთხიალებს ეჭვი დუმილის ფიქრში,  
 ცრემლით სველდება ცისკრის დილები,  
 ცხვარს ვერ გავანყო მუ მგლების შიშით,  
 ჰოდა დავწყვიტე დარდის ღილები.  
 იქნებ ახლოა გზის დასასრული,  
 ან ვერ მოვესწრო ვერხვების შრიალს,  
 ბევრი მიზნები მაქვს დასახული,  
 არ ვუშინდები მხეცების ღრიალს.  
 კვლავ იშრიალე თეთრო ფურცელო,  
 ლექსო, არ ვიქცეთ ბედის მონებად...  
 იქნებ, ამ ტანჯვას ისევ გაუძლოთ,  
 არ დაგვიძიძგნოს გული ყორნებმა.

## სეფიან ხეს

ჯანსაღ ხესაც, გულში სოკო გამოუსხავს,  
– ლამაზ იებს სევდიანად გადაჰყურებს.  
გავიფიქრე, მივირბენ და წყალს დაუსხამ,  
შვებას მივცემ... ერთხელ მაინც დავაპურებ.  
სანამ იყო ფართო მხრებით გადაშლილი,  
თავის ჩრდილში ასვენებდა მგზავრებს.  
გრიგალისგან ახლა არის გახლეჩილი,  
ჩუმად ტირის, უსმენს მწუხრის ზარებს...  
მივედი და ტოტებს წყალი დავაპკურე,  
მოვაცოცხლე... ხის ფესვები უკვე...  
შენ თუ, მუხავ, კვლავ მოყვარედ დამიგულე,  
გავაგრძელებ გზას ისევე უკვლევს.

## ჯემს ყიილობაა

დღეს ყრილობაა, ღვთის რჩეულების  
ნიჭირების, სისპეტაკის, აზრთა სხვაობის!  
მინდა აყვავდეს, გაზაფხულზე ბროწეულები,  
მსურს, არ დამთავრდეს, ეს ყრილობა  
შურით-დაობით.  
ხედავთ?... სიცოცხლე ერთი ღამის ვახშამია და...  
არ იკამათოთ, საკამათოდ სადა გვცალია,  
ჩვენშივე მოვკლათ ბოროტების რაც შხამია და...  
თორემ მთის წყარო, უკვდავების სხვებმა დალია.

## ჯ აჭ ხ ი ს ი რ ი თ ი

გაზაფხულზე ლამაზ ბაღში,  
 დავინახე ჩიტი ქვებში...  
 ავიყვანე, როგორც ბავშვი,  
 გადაუსვი ხელი ფრთებში.  
 მან თვალეზი გაახილა,  
 ჩუმად მითხრა: მტკივა მკერდში.  
 ცრემლი წამსკდა, შემეცოდა,  
 მოხვედროდა ტყვია ფრთებში.  
 საცოდავი ველარ ფრენდა,  
 მოდიოდა ცრემლი პეშვით,  
 ტანში გამცრა, გამაჟრჟოლა,  
 და მიიღო გულმა რეჩხი.  
 ავიხედე დავინახე,  
 ღრუბლებიდან, მოდის თქეში,  
 ჩიტს რა ვუყო?.. მომიკვდება,  
 მომიკვდება ალბათ ხელში,  
 გადვიხსენი მე საკინძე,  
 შევახვიე ჩიტი ჩემში,  
 სხვა საშველი ვერ მოვნახე,  
 ვერ მოვნახე, წვიმის ხელში...



## ვეუზი

სიტყვებს ვარჩევ და სტროფს კვლავ ვიწუნებ,  
ვაი, თუ ვერ ვთქა, გული რით მტკივა,  
აღბათ ბედი მცდის, ასე ვირწმუნე,  
გაუთავებლად ჭოტი რომ ჭყივა.  
გულზე დავიდე ხელი და ვდუმდი,  
დაცარიელდა გულის სამყარო,  
ზოგჯერ ერთი დღეც, სიცოცხლეს უდრის,  
არ მსურს ფარხმალი მაინც დავყარო.  
ჩამომიქროლა ფიქრის ნიავმა,  
უმკვლევე თოვლი ხელით გავკვალე...  
არ დავიღვარე ცრემლის ნიაღვრად,  
ახალგაზრდები მოსდევს ნაკვალევს.  
თავის მისიას ასრულებს ჭოტი,  
ჭყივილის გარდა ანდა რა იცის...  
მისი სახლია ერთი ხის ტოტი,  
მე ისევ მაღლის კაბა ჩავიცვი.



## შიხიომებაი

მერე რაა, თუკი ვინმემ მანყენინა,  
 მერე რაა, თუკი კიდეც განმიკითხეს,  
 ვქმენ სიკეთე, მაინც ცრემლი მადენინეს,  
 მე რაც მტკივა, მხოლოდ გულში წაიკითხავთ...  
 მიხარია, ო, რა ძლიერ მიხარია,  
 ვის ბაგეზეც... უბოროტო ღიმილია,  
 ქმარშვილი კი, ჩემი ცაში... იქ არიან,  
 ისიც ვიცი, მოუთმელნად მიმელიან.  
 რა ვქნა მაინც ვერ ველევი, ამ სამყაროს,  
 მეშინია, ჩემს მომავალს არ დათოვოს,  
 ვცდილობ, ხალხსაც ერთმანეთი შევაყვარო,  
 ვცდილობ, ყველა გრძნობის ცეცხლიში გავხვიო.  
 ეს მისია, ის მისია, სხვა მრავალი,  
 დამეკისრა, ხანაც ჩემით ვიტვირთები,  
 გადავკვეთე, ლაბირინთის ტრამალი და...  
 მეფერება სიხარულის ზღვის ზვირთები.





## მე სიკეთე ვარ

მე ნიავი ვარ, ტყის შრიალით სახეს გიგრილებთ,  
რომ არ დაგხუთოთ სიმხურვალემ დავქროლა ახლოს,  
გაზაფხული ვარ, ფეხქვეშ გიფენთ ლამაზ გვირილებს,  
სიყვარული ვარ, სიფაქიზით თქვენს სულში ვსახლობ.  
მე სიკეთე ვარ, რასაც თქვენთვის უხვად ვარიგებ,  
ანგელოზი ვარ, თქვენ ვერ მხედავთ, დაგყვებით ლანდით,  
დაჭრილებს ვკურნავ... მეძახიან აზრთა გამრიგეს,  
ხალხის მეკვლე ვარ, მოგიტანეთ ხვთიური მადლი.  
მძღავრი მუხა ვარ, ჩეს ჩრდილის ქვეშ ჩამოგასვენებთ,  
თბილი ტალღა ვარ მოლივლივე ლალი რიონი,  
და თუ ღრუბლებმა აფხაზეთში კვლავ დაგასველოთ,  
შემოგინახეთ, ნისლებისთვის მზის ორიონი!

## წვთიშობავო, გევეფხები...

ღვთიშობელო, გევედრები,  
დაამშვიდე ერი, ბერი,  
დამიშვიდე საქართველო,  
ჰქმენ სიკეთე, ბევრზე, ბევრი..  
მე, მომეცი მოთმინება,  
სიყვარული ვთესო ირგვლივ,  
როგორც დედა, მევალება,  
ვიყო ზაფხულივით თბილი.  
სხვას იმიტომ მიუტევებ...  
გარდაცვლილთაც ჰქონდეთ შვება,  
მხოლოდ მარტო ნუ დამტოვებ,  
ვხედავ, ნისლი გულში წვება.

**საზე მზე ეკიდა თავდაყირა**

ცაზე მზე ეკიდა თავდაყირა,  
 მთვარეც წრიალებდა უხერხულად...  
 გულმა შეშფოთებით დაიყვირა,  
 ზეცა სევდის ნისლით დახუნძლულა.  
 ყველას მონდომია, ამალღება,  
 მზის ძირს ჩამოგდებას უპირებენ,  
 დღენი მიტომ აღარ აპრილობენ.  
 ერიც ძალზე ცოტას ებრალება.  
 გულმა დარდით ისეც გადალლილმა,  
 ძალა მოიკრიფა ძველებურად,  
 ჭარბად სიბრძნის წლებით დახუნძლულმა,  
 სიტყვა შეაშველა შეგნებულად...  
 გულის რჩეულებო, კვირტო, თოთო,  
 რა საჭირო არის ჭაპანწყეტა,  
 ოღონდ რჩეულებში ნულარ მოთოვს  
 ქარი, სიტყვის ლაგამს ამოგწყვიტამთ..  
 გული? – ვარდის კვირტებს სიბრძნეს მოთხოვს!  
 სხვა კი ან რა უნდა დაღლილ ძარღვებს,  
 კვირტო, უდროო დროს, არ იფეთქო,  
 ჩემს გულს მყუდროებას ნუ დაურღვევ!  
 მარტი წინ და უკან დატრიალობს,  
 ის ხომ მეგობარი სეტყვიისაა,  
 კვირტო, შენნაირი რომელია,  
 დროის აჩქარება, ბრიყვისაა!!!

## მე კი ვახ... ახაჴეხი

რამდენი რამე დავთმე,  
რამდენი წყენა წინათ,  
ახლაც ღამეებს ვათევ,  
მშვიდად არასდროს მძინავს.  
მინდა სიკეთე გქონდეს,  
გქონდეს ზღვად ყველაფერი,  
თუ გაგახსენდე ოდეს,  
სიტყვა თქვი შესაფერი.  
სიბრძნის ერთ მარცვალს მუდამ,  
ურჩევენ ფხვიერ მინას,  
მარცვალიც საღი უნდა,  
თუ მელა არსად მიწვდა...  
ჩემი გავლილი გზები,  
იყო ფიფქივით სუფთა,  
არ მიძებნია ზღვები,  
არ გამიშლია სუფრა.  
თუკი ვიშრომე ეს, არის,  
წიგნები, ბევრზე, ბევრი,  
ზოგს უყვარს ცეკვა, ხარხარი,  
მე კი ვარ, არაფერი.  
ათი წიგნი მაქვს, ლექსების,  
ვჯღაბნი კვლავ რაცხას ღამით,  
მტერსაც კი ვეაღერსები,  
არ ვარ სხვასავით შხამი.

**მთვარეს უნდა ვესაუბრო**

მთვარეს უნდა ვესაუბრო,  
 მოუყვები ჩემს სატკივარს...  
 ვშიშობ, მანაც ვერ გამიგოს,  
 გული ვისგან რატომ მტკივა...  
 იქნებ ღრუბლებს დაუფეროს,  
 იქნებ სეტყვაც დამიშინოს....  
 იქნებ სიოც გააჩეროს,  
 ან გულს ვარდი გამიშენოს.  
 სამკითხაოდ რომ გახდება,  
 გულის დარდის გაქარვება,  
 მგელი, მელა, დაფასდება  
 სიცხე დაგწვავს თაკარება.  
 სჯობს შენს ფიქრებს ესაუბრო,  
 ისევ შენს გულს უთხრა რამე,  
 ველარ ვაქრობ, ამ ცეცხლს უქრობს  
 და ვათენებ ფიქრით ღამეს.



## ჩემი მონათხაზისი ჯიკო

ვეფერე და რას ვეფერე,  
მოვუყევი ქვეყნის ამბებს...  
ვერ დავენაყრდი, დამიჯერეთ...  
და ვყლაპავდი წნევის აბებს.  
გავიხსენეთ ის დაიკო,  
გუშინ ღმერთს, რომ მივაბარეთ,  
სილამაზით სულ სხვა იყო,  
ცრემლით სახე დავიბანეთ...  
მერე წარსულს გადავწვედით,  
ხიდან, ხეზე ხტუნაობა,  
აღარ ვგავდით ქალებს ზრდასრულს,  
აღარც გვინდა მკურნალობა.  
ბავშვობაში გადავცვივდით,  
დარდი ერთ წამს დაგვაგინცდა,  
ახლა, როცა მას დავცილდი,  
გულის ძარღვი ამომინცდა...



## გაუტანლობა

გაუტანლობა, ძმათა-შუღლი, დროთა ქარტია,  
 მხოლოდ სიტყვების რახარუხი, თავისუფალი...  
 რით ვინუგემო ჩემი თავი, გულში მარტია,  
 ჯერ კიდევ არ სჩანს საქართველოს ჭირისუფალი...  
 სისხამის დილას დარდი ისევ გადამეყარა,  
 ვატყობდი ის დღე იმედთან არ დამოყვრდებოდა.  
 თვალეზზე ბინდი სულ უეცრად გადამეფარა,  
 ფულის ნატრული ლექსით როგორ დანაყრდებოდა?!

## სიხაჰუში

სიყვარული, სიხარული, გულუხვობა,  
 შვილიშვილის, შვილთაშვილის, შვილის,  
 ღმერთი როცა მათ ბადებდა, გულისხმობდა...  
 ყოფილიყვნენ, შაქარივით ტკბილი...  
 ერთგულება, ამტანობა, თავგანწირვა,  
 შებრძოლება, დიდ ცხოვრების გემთან.  
 მე პირადად, ბედმა ბევრჯერ გამამწარა,  
 რას მერჩოდა, რა უნდოდა ჩემთან.  
 ტყის ნაპირზე, ჩამოვჯექი ღელის პირას,  
 ძველის ძველი, დაძონძილი კაბით,  
 ფიქრი მხრებზე წამოვისხი, სულის შირმად...  
 სტრიქონები, წინ და უკან დარბის...  
 ლექსიც თვითონ მომენდო და შემეჩვია,  
 არ ვუყრებ, ღვთის საგანძურს უცხოდ,  
 აბა, ლექსი შვილთან როგორ გამერჩია,  
 ღამის ძილსაც, ბევრჯერ ლექსებს ვუთმობ.

## წამის სიყვარული

(გალაკტიონ ტაბიძეს)

გალაკტიონი უფალთან სახლობს,  
ცდილობს იქ, ღმერთთან  
გრძნობის გამხელას,  
იქვე ქალღმერთი ტრიალებს ახლოს,  
იმ ქალღმერთს ჰქვია მერი სახელად.  
ზღვასა და ხმელეთს ის ურჩევნია,  
ფლორა, ფაუნა ის არის მისთვის.  
მის სილამაზე სულს ჩარჩენია,  
ცაში თან გაჰყვა, ეს გრძნობის ტვირთი.  
ვერ განიკურნა ამ სენისაგან  
და სიყვარულით დავადებულა,  
არ დაეძებდა ლამაზ ქალს სხვაგან,  
იმისთვის მერი დაბადებულა...  
მის უკდავებას სანთელს აუნთებ,  
ლექსაც მიუძღვნი მეც გულის ფეთქვით,  
შემოჭრილ ფიქრთან ღამეს ათენებს,  
ღამენათევი ლამაზი ვერხვი.



## სიმახტოვე

გავათენეთ ერთად ღამე,  
 მე და ღამემ საუბარში.  
 ისიც ყველა დარდის დრამებს,  
 დავრჩით სიტყვით ბარიბარში.  
 მეც ცოდვა ვარ, ღამემ მითხრა,  
 გაურბიან ჩემთან ყოფნას,  
 საიდუმლო ვერსად მითქვამს,  
 და ამიტომ, ხშირად ვშფოთავ.  
 შემეცოდა, რალა მექნა,  
 მარტოდ ფიქრთან ვერ დავტოვე.  
 ღამეც დარდებს გამოექცა,  
 დავამარცხეთ სიმარტოვე...!

## კვავა მესოფიაი

ცრემლის წვეთებო, გადმომდინდი მწარე არაყად,  
 მკერდი ამივსე ბედო, შხამით შე, სატიალო.  
 დაუნდობელო, არ გრცხვენა? დგახარ ამაყად...  
 არ გეცოდები? ხორცს მიჯიჯგნი, ჩემში ტრიალებ.  
 ძალიან მიკვირს, რად ჩამაცვი სამოსი დარდის,  
 სიკეთის თესვით, გზები ხომ მაქვს გადატკეპნილი,  
 ქვად მაქციე და... მთელ ძარღვებში ტკივილი დადის,  
 დავფორთხიალებ უკვე წელში გადანყვეტილი.  
 ოი, ჯალათო, ჩემი თავი რატომ გეკუთვნის,  
 მადლს უხვად ვთესავ, არ მომკივის, სხვისი ცოდვები.  
 სხვა გზა არა მაქვს, გულის ტკივილს ჩუმად შევფუთნი,  
 შენ იმდენს ძულხარ, ჩემო მკლელო, კვლავ მეცოდები!



## მზე კვლავ დაიწყებს კვაჩხასას

ისევ დაისიცხა ველი,  
ბული აუვიდა ქალაქს...  
უცნაური არის წელი,  
გარეთ ვილა მეტყვის სალამს.  
დაიყვავილა ვარდმა,  
ტყემაც შეიცვალა ფერი,  
დღემ ისე გადამქანცა,  
ხელი დამელალა წერით.  
დროვ, უნდა შეგებრძოლო,  
შენ გულის დანატორო...  
ეს, იყოს მხოლოდ ბოლო,  
ჩვენ უკვე ჰთანატოლობთ..  
ზურგი შემაქცია, მზემაც,  
ღრუბლით შეიმოსა ქედი...  
დღეც ისე გაიზვერა,  
როგორც გრძელკისერა გედი.  
მაინც ამოვძირკვავ, ჭანგას,  
ეკალსაც მოვჭრი, ანჩხლსაც...  
ვაზს მრავალწლიანს დავრგავ,  
მზე კვლავ დაიწყებს კვარჩხალს!



## ხშირად განუხებ უზაჲო

მაპატიე, რომ განუხებ,  
 ისევ მოგიხმობ უფალო.  
 კითხვაზე, ველარ ვპასუხობ,  
 ან გულსაც რა დავუმალო.  
 ნლებმა გამტეხა, დარდებმაც  
 და ჩემი ერის ტკივილმა,  
 იმ ცხრა აპრილის ვარდებმა,  
 დედების მოთქმამ, კივილმა...  
 მნარე დღეები მეც შემხვდა,  
 ახლაც მდის მწუხრის ცრემლები.  
 ბედი ზედ გულზე შემდგა მე,  
 მგელივით განახელები.  
 ვერ გაუყვიათ სკამები,  
 ის ხელით დასალენები.  
 აღარაც ჯერათ სამების,  
 მირბიან ველარ ვენევი.  
 ვფრთხილობ, ცუდი არ წამომცდეს,  
 რომ მერე მეც არ ვინანო  
 შენ ჩაგაბარებ გამოცდებს,  
 ღმერთო, შენი მსურს ვინამო.



შიჰის ჭიხითით

( ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ს )

ჩუმად მალი-მალ  
თვალს შეგავლებთ და...  
ენდეთ ჩემს სიტყვებს,  
გიგზავნით სითბოს,  
მე ჩემს სიყვარულს,  
კი არ გავალებთ,  
უბრალოდ ლუკმას,  
მომავალს გითმობთ.  
გაივლის წლები,  
ფიქრის ჯირითით,  
უთქმელი სიტყვა,  
დაიწვას ცეცხლში,  
ლექსებს მოგიძღვნით,  
ანდა პირიქით,  
ირმის ნაჯეგ კვალს,  
შევხედავ ეშხით...

სეტყვამ არ გავნოთ,  
რწმენით იარეთ,  
ტოტსაც უფრთხილდით,  
იქნებ მყიფეა,  
რაც მაქვს სიცოცხლე  
გაგიზიარებთ,  
ბლის ნაყოფივით,  
გული მწიფეა.  
ასინეთივით  
შვილები ზარდეთ,  
რიჟრაზე საგზლად  
დაფქვით ხორბალი,  
იარეთ წინ და ...  
ღმერთს თავი ანდეთ,  
ას წელს დაიხვეს  
წლების ბორბალი.



## ნუ ჯამრხავის

რიბი-რაბობს იმედები კართან,  
ენატრება ამ გულს ლურჯი ზეცა,  
ერის ტკივილს,  
მხოლოდ ვიტყვი მტკვართან.  
ხშირად ვნატრობ,  
მადლის კაბა მეცვას.  
სეტყვის მარცვლებს  
ავაცილებ სახეს,  
ირმის კვალში,  
ჩამდგარ წყალს კი შევსვამ.  
ცივო ქარო, ნუ დამიგებ მახეს,  
ონავრობით ნუ გაიტან შენსას.  
ცეცხლი ბევრჯერ ამენთება გულში,  
ხანძარი კი აღარაფრით ჩაქრა,  
რაც დავკარგე, დარჩა იმ წარსულში,  
შემომრჩება მოგონება ნატვრად.  
ხვალის ცისკარს  
ყვავილებით მოვრთავ,  
ნუ დამჩხავის, თავზე ხშირად ყვავი.  
მე ისედაც მწარე ბედით მოვთქვამ,  
არ მსურს ეცვას მტერსაც კაბა შავი!



### მის ტკივილი

ერის ტკივილით ველარ ვისვენებ,  
სევდის პერანგი მიტომ ჩავიცვი...  
როგორმე იქნებ მეც მომისმინოთ,  
აკვენესდა გული ჰოდა განვიცდი.  
კოკისპირული ნვიმებით დაღლილს,  
არარას ველი, გულისთვის შვებას.  
ცრემლების წარსულს,  
წლებს უკვე ჩავლილს,  
ვაშრობ მზეზე და არაფრით შრება.

### მე, ხას ვიჯამ

ჩემს ჩიტუნებს,  
ხორბლის მარცვალს  
ვინ დაუყრის,  
იქნებ შიათ,  
ანდა დარდით ღონდებიან,...  
ბუნებაში ხე გაზრდილა  
დიდი მურყნის,  
ფრინველები მის ტოტებზე  
გროვდებიან...  
დავაკვირდი, მალლა მთებს და  
დაბლა რიყეს,  
ჩემ ჩიტს ვეძებ,  
შორს წეროებს გაჰყოლია...  
ეჰ, რას ვიზამ,  
ალბათ, სხვებმა გააბრიყვეს,  
ჩემი გულიც  
იმ ჩიტივით დამყოლია.

კაბას გავდა

\*

დაკერებულ კაბას გავდა,  
 ცა ღრუბლებით დაფოთლილი,  
 ხეთისმშობელს კი დარდი ნვაგდა,  
 ღამეც იყო მასთან ფრთხილი.  
 ხმა მოესმა, ქართველთ ჩხუბის,  
 შეშფოთდა და გაიკვირვა,  
 მე გავზარდე ყველა უბით,  
 გაბრაზებით დაიყვირა.  
 გონზე მოდით, რას კამათობთ,  
 აბა, რა ვერ გაგიყვიათ,  
 თქვენი ქცევით მტერს გაართობთ,  
 ერთად ზღვაში გადაგყრიან.  
 დღეს გიშველით, ხვალ გიშველით  
 ზეგაც შევძლო არ მგონია,  
 ახლა თუ არ დაიშლებით,  
 ომი გამონაგონია.



## ახა კვავიანი

ისევ თრთის გული,  
ისევე კვნესის,  
იმედს კვლავ ვუხმობ,  
დროის საკვებად.  
მესროლეთ!.. თქვი და  
ხმა გქონდა მეხის,  
ამიტომ ვკაზმავ,  
სიტყვებს საქებად...  
ნისლებს გავფანტავ,  
შავ მუქ ღრუბლებსაც,  
ვაუწყებ გმირის  
გარდაცვალებას,  
შარტავას ვგლოვობ,  
ქართველ ბიჭებსაც,  
შვილებს ლამაზს და  
ცისფერ თვალებას...  
ასეთები კი ჩემს ერში  
მხოლოდ,  
საქართველოში იბადებიან,  
გმირს არ ესროლოთ,  
ეს იყოს ბოლო,  
ტყვიებს ნუ ხარჯავთ...

არა კვდებიან!



## ამაჯამას

ვისაუბრებ, ამაღამაც ღმერთთან,  
 ამაღამაც ლოცვით ვათევ ღამეს,  
 ფიქრით ისევ უნდა ვიყო შენთან,  
 თორემ დარდი ძალზე გამანამებს.  
 გევედრები დედა ღვთისმშობელო,  
 ჩემი ლექსი ლოცვის გარდა ვინ თქვა,  
 ღამის დარდო, მუდამ გულ-ობოლო,  
 მეხმარები, ჩემთან ერთად სუნთქავ.  
 გაათენე ღმერთო, მშვიდი დილა,  
 ჰო, ისეთი გული დავიმშვიდო,  
 სხვა არ ვიცი, მე კი აღარ მძინავს,  
 უფლის იმედს მინდა ჩავეჭიდო.  
 ზამთარია, ყინვაა და არ თოვს,  
 გაყინული ხალხი მოჰგავს შეშლილს,  
 იმათ უნდათ სახელმწიფო მართონ,  
 ბევრი პურს კი ქექავს ნაგავში და...  
 იყო დრო, რომ მეც მჯეროდა სიტყვის,  
 ამჯერად კი მხოლოდ ღმერთის მჯერა,  
 არ შეგანყენო,  
 მხოლოდ ერთხელ ვიტყვი,  
 ხალხის დარდმა, მომკლა, დამაბერა!





## ხას ახ მომსწიო საქახთვეასო

რას არ გაუძლო,  
საქართველომ, რა არ იხილა,  
პირამიდები, რომ ააგო  
მის წინ დარდებმა.  
ვერ გაუმკლავდა ბედისწერას,  
თუმცა იფრთხილა,  
ერში მთლიანად,  
ისევ ხომ არ გაავდარდება?  
ო, ღმერთო ჩემო,  
დაიფარე თვალით ხილულნი,  
გადააფარე ხვთიშობელო,  
კალთა შენს შვილებს...  
მომკლავს უჩუმრად, თვალთა  
ცრემლის მწარედ დუღილი,  
დაგვანწყალობე,  
სანამ ქარი მწარედ იწივლებს.  
მჯერა, იმედი დამთამაშებს  
გულის არეში,  
ათინათებს გაზაფხული,  
ვარდება ხალისით,  
ამაისდება, სიყვარული  
არემარესი,  
მეც გავიხარებ, აპრილით და  
თბილი მაისით!

## გოხოვთ, ჯეჯეზი შეიხაჯათ!

თუ არ ვარჩევ მტყუან მართალს,  
 გოხოვთ, არავინ გაიკვირვოთ,  
 გულს ვატარებ ბედით ნათალს,  
 მოკვლა მეც არ დამიპიროთ.  
 ცაში წასვლა ისეც მინდა,  
 მაგრამ არა უსახელოდ.  
 პოეტი ვარ, სულით წმინდა,  
 არ მსურს ვინმე გავახელო.  
 არ ჯობია? ისაუბროთ,  
 გადანწყვიტოთ ქვეყნის ბედი,  
 დამშვიდდება ყველა უფრო,  
 იფრიალებს თეთრი მტრედი.  
 შემიცოდეთ როგორც დედა,  
 ბედით ადრეც გულმოკლული,  
 ამიტომაც სიტყვას ვბედავ,  
 არც მაქვს ფიქრი დამალული,  
 ვინმეს დედა ატირდება,  
 ანდა ქალი დაქვრივდება,  
 აღარ გააპრილდება,  
 შველას არვინ დაგპირდებათ.  
 ჰოდა გლოცავთ, მტყუანს, მართალს.  
 ყველა ჩემში შეგიფარეთ,  
 გულს ვატარებ ბედით ნათალს,  
 გოხოვთ, დედები შეიბრალებთ!

## ნეტა ხომოხ

ნეტა როგორ გათენდება დილა,  
ნეტა ისევ გვეშველება რამე...  
ავნრიალდი, დარდით აღარ მძინავს,  
ნუ მატარებ ღმეთო, განანამებს.  
აგერ ქალი კივის უსაშველოდ,  
ერთ გოგონას ნაუვიდა გული,  
მინდა, მაგრამ როგორ გავაშველო,  
ძმა-ძმასა ცემს, თვალები აქვთ მტრული.  
რას ჩავდივართ, ფუი, ასეთ ყოფას,  
ამასაც თუ გამტანობა ჰქვია,  
წინაპრები მიწას ალბათ შფოთავს,  
საქართველო, თოვლ-ქარიშხალს მიაქვს.  
საპატრონოდ, ვდარდობ, სხვები მოვლენ,  
ჯერ რალა გვაქვს, ნაგვნიკნიან, მიწებს,  
ვნუხ! სამშობლოვ, ამ კამათით მოგკლეს...  
ვაჟკაცები, ქალებზედაც იწევს.  
ეჰ, სირცხვილით ტირის ქართველის დედა,  
რით ვუშველო, სიძულვილი ბორგავს,  
გული ტირის, გული დარდით კვდება,  
რუსთაველი ბარიკადებს მოჰგავს!



## სომეხების

რომ შემეძლოს სახელმწიფოს,  
 მადლის ჩოხას ჩავაცმევდი.  
 რომ შემეძლოს დავამწიფო,  
 ნაბლსაც ბურძგლებს გავაცლიდი.  
 რომ შემეძლოს ბარე ათსაც,  
 მილონებს ვაჩუქებდი,  
 დაურიგებ კეთილს, ავსაც,  
 დარდსაც გავაფაჩუჩებდი...  
 ფიქრის გარდა სხვა რა ძალმიძს,  
 ანდა რაღა შემიძლია,  
 არ გამოვა არა ძალით,  
 ბოროტებამ თუ კვლავ გვძლია.  
 არ ჯობია, ვიყოთ ერთად?  
 გაუძლებდით, ქარს და წვიმას,  
 გავახარებთ მაღლა ღმერთსაც,  
 თორემ მტერი ახლოს გმინავს!



## ხა მწიფაჲი მუხ

ახალგაზრდობით განახარები,  
ამ ქვეყანაზე მე ვარ მდიდარი...  
მათთვის ღია მაქვს  
გულის კარები,  
მათთვის მუდამ ვარ  
პირმომცინარი.  
ტკივილებს ჩემსას,  
გულში ვადედებ,  
ოხერტიალი მე შემეჩვია,  
ზოგჯერ ფიქრებით  
ვკრიფავ იმედებს,  
არა და ფიქრშიც  
თქვენთან მერჩია.  
მე ვარ მდიდარი,  
ვფლობ მთელ სამყაროს,  
გული გრძნობებით  
დანალმულია,  
ღმერთო,  
სიმდიდრეს მე არ გამყარო,  
ჩემი წარსული წამებულია.  
ჩემზე ძლიერი,  
მიყვარს და რატომ,  
გულში არა მაქვს, ბოლმის ადგილი,  
ყველას დედა ვარ,  
გრძნობთ, ამას ატყობთ,  
ჩემთვის ეს ტვირთი არის ადვილი!

## მომიტანეთ

მომიტანეთ  
 გაზაფხულის ყვავილები,  
 თორემ გული  
 შემოდგომამ ამიტირა.  
 დგას ვერხვები  
 პოეტივით დაღლილები,  
 მუხამაც კი  
 მითქმა-მოთქმა დააპირა.  
 პოეტი ვარ, მტკივა,  
 ერის სატკივარი  
 და არ ძალმიძს,  
 როლში ყოფნა, სხვებისავით,  
 ჩემს გულს არ აქვს,  
 ძარღვი არსად გამდინარი,  
 და ამიტომ,  
 მკერდზე ვიბნევ ქინძისთავით!



## იზბასი

გაგიკვირდებათ მაგრამ ასეა,  
განსხვავებული იღბალით ვცხოვრობ.  
თვალეები გლოვით, ცრემლით სავსეა,  
არადა, დღე და ღამითაც ვშრომობ.  
დავრგავ ვარდებს და ისევ მე მჩხვლიტავს,  
პურს დავთესავ და იქცევა ეკლად,  
ვითმენ რას ვიზავ, ყველაფერს ვიტან...  
სხვებს ჩემნაირი არ მოხვდეს ელდა...  
ბევრი ბარტყებიც დავაფრთიანე,  
დედა ვარ უფლის მავედრებელი...  
სიტყვით არავინ დავაზიანე,  
გული გავხადე რკინის კედელი.  
ვერ გავიმეტე მტერიც ცუდისთვის,  
მე ვერ ვიკადრე უკადრებელი,  
არ გავბოროტდი, ფულის გულისთვის,  
კვლავ ღმერთს შევთხოვე, სავედრებელი!  
მტკივა... მეტკინა ყველა ტკივილი,  
მანინც სიკეთის, ღვთის გზა ვირჩიე,  
არ დამიწყია სხვებთან ტირილი,  
სიცოცხლე ჩემით გადავირჩინე.  
ჰქონდეთ ქონება, მილიონები,  
მე კი ჩემს ლუკმას გავყოფ ნაწილად,  
არაფერს სხვისგან არ ველოდები,  
მგელი გლეჯია არ ვარ ნამდვილად.  
მზად ვარ გაუძლო, ამას ყველაფერს,  
ოღონდ იბარტყე პურის ჯეჯილო,  
დროს ველოდები, ჩემთვის შესაფერს,  
მტერი არ მინდა გავაჯეჯილო!

## მოლოდინის ზიქი

დედას უჭირს, სევდის ყანის მარგვლა,  
 სასნაულოთ თუ მოხდება შველა...  
 ღმერთით, ველი ისევ შვებას, მაგრამ...  
 მენატრება, დღე და ღამე გელა.  
 ცას ვარსკვლავი სევდით გამობრწყინდა,  
 სეირნობდა, შვილი უფლის სახლში,  
 ხმამ ჩამძახა, სული ხომ გაქვს წმინდა,  
 ნუ იწვები, დარდით ცეცხლის აღში.  
 რა ვქნა, ველი ჩემი შვილის სითბოს,  
 გავშლი კარავს, სადღაც დიდ მთის ძირში...  
 თუნდაც ხელით სარეველა ვთიბო,  
 სულ ვიქნები მოლოდინის ფიქრში.





## ჯამესიზმე

დამესიზმრე, მენატრები... დამესიზმრე,  
მომეფერე, გენაცვალე, ძველებურად.  
დაგეძებ და... მითხარი სად გაიხიზნე...  
ანყვტილი ღილივით ცას მიეკერე.  
დამესიზმრე, თვალებს ვხუჭავ, დამესიზმრე,  
მომიყვე თუ ნახულობ, ჩვენთანებს,  
მითხარ რამე თუ გინდა, რომ გამოვფხიზლდე,  
ქარი, დედი, ძველებურად ჟინიანობს.  
დაგირეცხე ხალათები, თოკზე შრება,  
დაფრიალობს, თითქოს ისიც დარდიანობს.  
ზოგიც სკამზე გადავკიდე, ერთი წყება.  
ჩემო ტკბილო, შვილო ჩემო, მადლიანო.  
დამესიზმრე, რომ მოგიყვე გულის დარდებს,  
სამუდამოდ ტკივილმა არ დაიბუდოს,  
მოჯლაგუნდი, რომ იცოდი შვილო ადრე,  
თორემ დარდმა ლამისაა გამომგუდოს!



## ჯუიანი

დუმილი ბევრჯერ კარგია  
თუმცა,  
გულს ჭამს ისე,  
ვით ჟანგი მიწას...  
დუმილის ფურცლებს,  
ვფურცლავ და ვფურცლავ,  
დარდი ჩასაფრებულია,  
მთელ სხეულს კირწლავს!

## ახ ვენჯობი

არ ვენდობი მარტის სითბოს,  
ისე დამწვა სულ დამადნო,  
ერთგულია ზოგჯერ თითქოს,  
ზოგჯერ მარტშიც თოვლი დადო.



## ჯამიშაას

დამიშალეს მოფერება ჩიტუნების,  
არ ახლოვო ხელი არცეთს, გაეცალე...  
და მას შედეგ ფეხაკრეფით ვიტრუნები,  
დარდიან ქალს, ცაში ნასვლა არ მაცალეს.  
ტკივილია, ჯვარცმაა და ნამებაა,  
დილის საგზლად მაინც ლოცვა ავირჩიე..  
ო, ეს ქარი, რა ძალიან თავნებაა,  
სიმშვიდისთვის, ლექსი შვილად გავიჩინე..  
რა ამაგი, რის ამაგი, ვინ ვარ თურმე,  
მარცვლის საკენკს, მათ კი არა, სხვებს ვუყრიდი,  
რა ვუშველო, გადაბრუნდა ამ ჩემს ურემს,  
თავის დროზე, რომ ვერაფრით გაუფრთხილდი.  
ეხლა გლოვა, ან ტირილი რას მიშველის,  
ჩემ მამულს, რომ კვლავ ყორნები ასევია,  
გაიხიზნა, ჩიტუნები, ირმის შველიც,  
კარგს შეუთვლი, აუგის თქმა არც მჩვევია.  
ფიქრითაც კი არ ვიფიქრებ აუგს სხვაზე,  
განმკითხავი მხოლოდ ღმერთი მეგულება.  
პოეტი ვარ, ვმოგზაურობ ხშირად მარსზე,  
იქ, ხედავენ მხოლოდ ამ ჩემს ერთგულებას!



## თეთრი მთხაჯი

ცას ზედ გულზე, დაუხატავს თეთრი ვარდი,  
 ქათქათაა, ნაზია და უნაკლოა.  
 რა იციან, რომ ანუხებს ქვეყნის დარდი,  
 თუმცა იგი, ღმერთის სახლთან, სულ ახლოა.  
 ვარდს ხშირ-ხშირად შეეცვლება სახის ფერი,  
 ყორნისფერი დაჯაბნის და შავი ხდება,  
 ქარი ურტყამს, გამეტებით ელვის სახრეს,  
 ვარდი დუმს და ამ დუმილით ავადდება.  
 მაინც ითმენს, სეტყვები კი გულში ხვდება,  
 ჭრილობები უკვე ბლომად ამჩნევია,  
 მას რწმენა აქვს, გადარჩება, არ მოკვდება,  
 ქარის ძრწოლვას, ოდითგანვე ნაჩვევია.  
 გაათენა ასე გლოვით, დარდის სახლში,  
 დილის მზემ კი შეუმშრალა სველი მკერდი,  
 სურნელება დააფრქვია, ისევ ხალხში,  
 დამშვიდებით აღულუნდა თეთრი მტრედიც!

## გუჯი

გულო, რამდენ დარდს ინახავ,  
 ცისხელა სივრცე გიჭირავს...  
 ომშიდაც მუდამ წინახარ,  
 არ გავხარ უსაქმურ ჭრიჭინას.  
 ტკივილიც რა ბევრჯერ გეწვია,  
 ინახავ შიგ გულის ბელელში...  
 ბედი გაქვს ალი წენია,  
 არ გკითხა, შემოდვრა კედელში.  
 მინდა, რომ შენს ცრემლებს ვაშრობდე,  
 დარდებსაც როგორმე გავფანტავ,  
 არასდროს, არასდროს, დამშორდე,  
 უჩემოდ, ღრუბლები დაგფატრავს!

## ასე ვუიქობ

ივლისია, სიცხე ფუფქვს ყვავილსს,  
ირგვლივმყოფს და... ხე სიყვითლით ჭკნება.  
უღიმღამოდ ვარდი ძლივსღა ყვავისს,  
ფოთოლცვენაც, მალე დაიწყება.  
ბუნებრივად ეგუება ყველა,  
გათვლილია, თვეთა დროის ყოფნა...  
მაინც ხელიც, თუ არ მიეშველა,  
ცხელმა ჰავამ, უდროვოდ არ მოფშენას.  
ერთმანეთით, ხანგძლივდება დრო და...  
ბუნებასაც მწვანე კაბა შვენის.  
ბედისწერით, თუ სიკვდილი მოვა,  
ღმრთმა იცის უკვე დანარჩენი.  
ასე ვფიქრობ, ასეც არის სწორი,  
მოვეფეროთ, სხვათა გულის ტკივილს...  
მთაც არ არის ყველა თანასწორი,  
არ ატკივდეს, მტერს ჩემსავით კბილი...  
გამოვცადე, ნორჩითა ფოთოლ ცვენა,  
როგორ მოწყდნენ წამში თოთო კვირტნი...  
ცხოვრებაა, ერთი დიდი სცენა,  
არა გკითხავს, ხორცს სად ამოგკორტნის.



## გაგინააიხა

ტყის ფონს უხდება,  
 მარადმწვანე ნაძვის წინვები,  
 გირჩი ტოტებზე,  
 ისე დგანან, როგორც ჯარია...  
 გულზე მატყვია,  
 სევდიანი, სისხლის წინწკლები,  
 ბრძოლით ვაშუშებ,  
 ტანჯვის დღეებს, ბედით ნატყვიარს.  
 იმედს მოუხმე,  
 უფრო გავხდი, უფლის მორწმუნე,  
 სულის ჭურჭელის,  
 ამოვსებას მადლით ვაპირებ...  
 მერე მივწვდი და...  
 ყველა ლექსი, ხელით მოვწერე,  
 ვეჭიდავები ჩემს დარდებს და  
 გაგინაპირებ!

## სიძუჯი

საძაგელმა სიძულვილმა,  
 ბოროტების ცეცხლი ანთო,  
 ჰოდა, ამ დროს სიყვარულმა,  
 სამუდამოდ გული მანდო.



## ღაჲს შუიჯაჲის ჳაჲა

გაუჩენია უფალს,  
ყველაზე ტკბილიც, მწარეც,  
შვილს ტკბილი სიტყვა ვუთხრათ,  
გვკლავს, კიდეც გაგვახარებს,  
შვილია მზე და მთვარე,  
ცის ვარაკვლავების მწკრივი,  
მინას თუ დაგვაფარებს,  
ისიც იქნება თბილი.  
ხშირად იცვლება როლი,  
სიკვდილზე მეტად მწარე,  
ეს არის ზეცის ტოლი,  
ბედი, რომ დაგთხრის თვალებს.  
მე რაც ბედისწერით ვნახე,  
აშორე მტერსაც ღმერთო,  
ეს არის მკვლელი მახე,  
გულს ცეცხლის ალი მენტო.  
არ მოგკვდი ისევ ვცოცხლობ,  
თუ ამას ყოფნა ჰქვია,  
ვარსებობ, სხვისთვის მხოლოდ,  
ვუღიმი ვარდსა და იას.  
ძმამ, ძმის სიმწარე ნახა,  
გავმაგრდი სხვა რა მექნა,  
ვიგონებ სითბოს ახალს,  
რომ სხვა სამყარო შევქენა.  
ჰოდა, მოვირგე როლი,  
როლი, ყველაზე რთული,  
მსახიობი ვარ მგონი,  
ცას დავამშვიდე სული.

სხვა გზა არც არის ხსნიდა,  
 ჩემი ტკივილი მე მაქვს,  
 შვილი მე მიყვარს მტრისა,  
 გულით მოსისხლეს, რომ ჰყავს.  
 გთხოვ, დაიფარე ღმერთო,  
 შვილი და შვილიშვილი,  
 მე ჩემი ცეცხლი მენტოს,  
 აცოცხლე ყველას შვილი.  
 დღეს შვილის დღეა, ვლოცავ,  
 შვილებს სხვისას და ჩემსას,  
 ცაში გავგზავნი კოცნას,  
 გული ვინც დამიკემსა.

### ხწმენა

მინდა იცოდეთ ,რწმენამ მაცოცხლა,  
 ბედმა კი ბევრჯერ გამანადგურა,  
 მე, ვეკითხები ჩუმად მაცხოვარს,  
 დარდმა ჩემთან რად დაისადგურა?





### სიკეთის ეფესიხი

მე, სიკეთის ელექსირით, გამოგათვრეთ,  
მომიბრუნდით, შხამიანი გესლით ისევ...  
მონოდებულს არასოდეს გამოგართმევთ,  
რადგან ვხვდები, ბოლმიანი თვალით მიმზერთ.  
არ ვიცვლები, სიკეთეა ჩემი კრედო,  
ნუ წიკნიკებთ, მალვიძარა საათივით.  
ეგებ ჩემი დავადება გადაგედოთ,  
დამიამდეს, გული დარდით განათიბი!

### თვანთა სიწხმე

(ნინო უძილაურს)

შენი თვალი ზღვის ფსკერს მოგავს,  
შევცურდი და ნაპირს ვეძებ...  
აღბათ შენზე დავწერ იგავს,  
ამოვძირკვავ დარდის ძეძვებს!  
ეს, ეკლები უნდა მოვსპო,  
დავწვა, დავანაცრიანო,  
უნდა გახდე ჩემი გოგო,  
რადგან გული ნატყვიარობს.  
მომიშუშე იარები,  
სიტყვით განა, სხვა რამ მინდა,  
ხშირად შეგეხმიანები,  
გულს მზის სხივი გამობრწყინდა!



**სიწყვა**  
(ციცინო შუბითიძეს)

ძირულის შვილს, კეთილს, ლამაზბს,  
 მოვიკითხივ წრფელი გულით...  
 მას დაუთმოვ სულის დარბაზბს,  
 თუმცა არის დარდმოსხმული.  
 და დავლოცავ, ისე როგორც  
 დალოცავდა მამიშვილი...  
 ჩემთვისაა ტკბილი გოგო,  
 კარგი მამის გვარიშვილი.  
 დაუულოცავ, ყველას ვინც ყავს,  
 შვილებსა და შვილიშვილებს...  
 ფერით იას, ვარდსაცა გავს,  
 ენძელას და თეთრ გვირილებს.  
 მათრობს მისი ტკბილი სიტყვა,  
 ისე, როგორც ხვანის მთები...  
 მე ეს ლექსი გულით მითქვს,  
 ბედი მყინვას, სიტყვით ვთბები.  
 იქ, ჭალვანში ფრთა გაშალოს,  
 იმ, ხეობის ტკბილმა შვილმა...  
 გულს მე ვარდად გამეშალა,  
 კვირტმაც თვალი გაახილა!



## სხვა გზა არც დამრჩა

სხვა გზა არც დამრჩა,  
ღრუბლებს გავსერავ,  
მზეს მივწვდები და სხივს ჩამოვიწვევ...  
ასე მწაღია, ახლა ამჯერად,  
რომ იმედები სულ არ გამიწყვეს.  
ჩემი ცრემლებით ია ამოვა,  
ით ინყება, თვე გაზაფხულის,  
ტყეთა კვირტები ერთად გამოვა  
და თავისთავად მოვა ზაფხული.  
მერე?... ისევე ჩავირთვლიანებ  
და არ მოვწყდები ხის ფოთოლივით,  
ყველა სხივს ერთად გავამთლიანებ,  
გზებს არ მოვტკეპნი, მწირ-ობოლივით.  
ბოლოს?... ვიქცევი ნაძვის ხის ფესვად,  
ჩემით ისუნთქეთ სუფთა ჟანგბადი,  
ჩემს სადღიგრძელოს,  
მტერო, შენც შესვამ,  
მე ზედაშე ვარ, სუფთა ბადაგი!



## ხომოხ მინდა

როგორ მინდა, ჩემთან იყო სიზმრად მაინც,  
 ძველებურად ჩაგეხუტო, შვილო ისევ,  
 მომილოცო, იუბილე კვლავ ხუთ მაისს,  
 ბედისწერას, აღარასდროს გავებუტო.  
 როგორ მინდა, ჩემთან იყო შვილო ისევ,  
 მკურნალობდე, გულს ბედისგან გაკვეთილებს,  
 მოგონება თითოეულ ძარღვს, დანით მისერს,  
 უშენობის დღე, სიკვდილთან მამათილებს.  
 როგორ მინდა გიძახოდე, შვილო სად ხარ,  
 სახლში ხარ თუ, ჭიდაობით ილლი ძარღვებს,  
 თვალით გეძებ, თუმცა ჩემში აქვე მყავხარ,  
 ყოველ დილით ფიქრის კარებს, შენთვის ვალებ...  
 ხმა კი დედი, არსაიდან აღარ მესმის,  
 და ამიტომ ყველას დედა გავხდი შვილო,  
 ვდარდობ ჩუმად, ლექსებთან კი მწარედ ვკნესი,  
 შენ მოხვალ თუ, ისევ სხვები მივიშვილო?



## ჩემი სხეფაფიომ

მე ვარ პოეტი,  
სულ უბრალო სამოსი მიყვარს,  
ვშრომობ, მოვასწრო,  
ბევრი ნერგი სიკეთის დავრგო.  
წამოჩოქებულს, ხელს ვკიდებ და  
სახლამდე მიმყავს,  
ჩემი ვალია, ბილიკები  
სხვისი არ ვმარგლო.  
სულ უბრალო ვარ,  
გაზაფხულის გვირილას მსგავსი.  
ჩემი ცრმლებით გაყვითლებულს,  
ვყნოსავ ჩემს ყვავილს,  
მე ჩემი მიყვარს მინა-წყალი  
და ჩემი მრწამსი,  
ღმერთი დაგლოცავთ, ახალგაზრდებს,  
ჩემს გზებზე გავლილს!



## სიზვიადის მახიობა

ამ ქვეყანაზე  
 ყველაზე მდიდარი ვარ,  
 ვარიგებ სიმდიდრეს,  
 გულის სითბოს...  
 მოდით წაიღეთ,  
 გაგიღებთ კარს,  
 ჩემში მზეა, არასოდეს ითოვს...  
 მხოლოდ სანაცლოდ  
 მცირე რამეს ვითხოვ,  
 თუ დავეცემი,  
 ხელი შემაშველეთ,  
 წამომაცენეთ.  
 ხომ ხედავთ,  
 შვილად მიგიღეთ,  
 სკამებსაც გითმობთ...

## მიჩვენია

ეს უბრალო ყვავილები მიჩვენია  
 ვარდს თავნებას, ეკლებით რომ იჩხვლიტება,  
 გვირილები რომ გაშლილან, ის ჩემია,  
 მზესთან ერთად ჩემს ფანჯრებში იჭყიტება.



### ამი ხასხით...

დაშრა ნყლები,  
თვით ბუნებაც გამწყრალია,  
დაინერა უკვე ჩვენი განაჩენი.  
ავი ხალხით,  
ხშირად ტყეში ხანძარია,  
საზღვრებიდან,  
ლუკმა მოდის მონარჩენი...  
იანვარიც მიილია, უკვე აგერ,  
ალბათ თოვლიც ლტოლვილია,  
საქართველოვ,  
ოცნებითაც ლამაზ კოშკებს,  
ველარ ვაგებ,  
გატყდა გული,  
აბა როგორ გავამთელო?

### ჯააბეჟე

ბედისწერავ,  
დააბედე, ქართველ გოგოს,  
რომ ქართული სიხლი  
სხვას არ შეურიოს...  
უფროსების  
რჩევა შვილმა გაიგონოს,  
თავი უნდა დავაღწიოთ  
„ამ კურიოზს“!



ახ გაგაჩხრო

სიყვარული არ გაკლია,  
 ირგვლივმყოფთა,  
 ყურადღებით ეიფელის,  
 კოშკებს დადგამ...  
 პოეზიით იხარჯები,  
 გრძნობით შფოთავ...  
 ოსტატურად დაატარებ,  
 ლექსის აბჯარს.  
 შეგიკედლე, ამ ჩემს გულში  
 შეგიკედლე,  
 მოგიტანე ია-ია, სულის შირმად,  
 გაგიცანი...და მას შემდეგ,  
 ყვლგან გეძებ,  
 ლექსით უნდა მოგიქარგო,  
 სიტყვა ხშირად.  
 ამის შემდეგ, შენ იქნები,  
 სულის გოგო,  
 მარადისობს, სული მზეობს,  
 ხორცი ქვნება...  
 მოგეფერო, მითხარ კიდევ  
 აბა, როგორ,  
 ეს გაცნობაც იყო, ალბათ,  
 უფლის ნება!





## ძიის წამასი

ძილის წამალიც შენა ხარ,  
დარდის გამქრობი ექო...  
გამიჩდი გულის ვენახად,  
როგორ მამშვიდებ ლექსო.  
რასაც ვწერ აღარ მიწუნებ,  
ღრუბლებს თეთრ, ფთილად აქცევ,  
უნდა ვიცოცხლო, მარწუმუნებ,  
სიმდიდრის ქოშებს მაცმევ.  
გულის სიმშვიდეს შენ მაძლევ,  
იავნანასაც მიმღერ,  
უშენოდ აბა, რას გავძლებ,  
დარდი ძალღივით მიღრენს.  
ო, როგორ მშველი, როს მიჭირს,  
გაჩდები იმ წამს ჩემში,  
ბედი ხის ტოტებს სულ მიჭრის,  
ჩემი არასდროს ესმის.  
უკვე, სულ ერთად ვიძინებთ,  
და როცა მცივა მათობო,  
ახლაც თუ გამომაძინე,  
აღარასოდეს დაგთმობ!



## გუჯის ყინვა

თებერვალმა თუ გამიღლო გულის ყინვა,  
 მარტი ვიცი შემიკერავს თეთრ სამოსელს...  
 ახლა კვირტებს, ხის მერქანში მშვიდად სძინავს,  
 თორემ ქარი სათითაოდ კანს ჩამოსერს.  
 ტყე-მინდვრების, ყვავილები გაიშლება,  
 ხმელ-ხმელ ფიჩხებს შემოვაცლი ჩემი ხელით,  
 ერთხელ მათაც მივეშველო, შეიძლება?  
 მათაც ხშირად ფოთლები აქვთ ხშირად სველი.  
 უენოებს, ბევრჯერ ტკივათ შფოთდებიან,  
 ქარბორბალა, დაუნდობლად ძირში ძირკვავს,  
 დარბეულს გავს, ტყე-პარკი და ფერდობია,  
 მუხა კვნესის, ტოტის ხელებს თავში ირტყამს.  
 ახლა თბილა, სიმშვიდეა, ირგვლივეთში,  
 მაისი კი საპატარძლოდ ემზადება,  
 გაიშლება ყვავილები მარტის თვეში,  
 გაზაფხული ზაფხულის თვეს მითხოვდება!



**ხომ ჩააბარე უფლის გამოსვლა?  
(დათა შუბითიძეს)**

გადაიარე საზვეერები,  
ხომ ჩააბარე უფლის გამოცდა.  
ჩვენ კი ვტიროდით მთელი დღეები,  
საყვედურებიც ბერჯერ წამოგვცდა.  
რა მწარე არის აღქმა იმისა,  
დათა, შენ ხვანში აღარ დამხვდები.  
მზეში შევნიშნავ, მაგ შენს ღიმილს თუ,  
დღეს მნათობებთან, გადასახლდები?  
მწამს ასე არის, მიგილო ღმერთმა,  
ნეტავ რა ადგილს გარგუნებს დათა.  
ჩაგიკრა გულში დედის ერთა და...  
მე დარდის ფთილებს, ცრემლებით ვართავ...  
ორმოცი დღე კი... აქეთ იყავი,  
სული ხორცს ახლა გამოეცალა.  
ცას დატრიალებს ბედის ჭილყვავი,  
ღიმილა დათა გარდემეცვალა.  
შენ ბედს ღიმილავ, ცუდი როლი აქვს,  
მოიხსენიებს, ყველა სიავით...  
მე ჩემს ცრემლებით, მაინც იმედს ვრგავ,  
ჩემში დარჩები როგორც ნიავი.  
იფრენ, იქროლებ, ხვანის დიდ მთებზე,  
ძირულაში კი, თევზებს დაიჭერ,  
ვფიქრობ, ვბრაზდები, მწარე ბედზე და...  
გარდაცვალება ძალზე მაეჭვებს...  
ლამე თენდება, დღეს ორმოცია,  
ვთქვი სათქმელი და ჩუმად ვიტირე...  
სხვებთან დავმალამ ამ ემოციას,

რადგან მე უკვე გამოგიტირე.  
 თავს შევიკავებ, ვითომ და რაა,  
 გოლგოთის გზაზე ყველა გავივლით,  
 ჩემი ცრემლები დიდი ზღვაა და...  
 შენ კი, დათა ხარ, დედის ყვავილი.  
 სურნელიანი, თოთო და ქორფა,  
 მტრედის მართვე და ღიმილა ბიჭი.  
 არავინ მითხრას, რომ დათა მოკვდა,  
 ო, ამის ალქმა ძალიან მიჭირს!

**ახ ჯაიჯახი**  
**(გიორგი შაქარაშვილს)**

ნეტავი წელი გავიდეს ისე,  
 რომ არ ამომწყდეს, კუნთი ძარღვიდან.  
 ბედო, დარჩენილ წლებს ცრმლით მივსებ,  
 ვერ გამოვედი შენი ავდრიდან.  
 ამომასუნთქე, დავწერო რამე,  
 ახალი, კარგი და სააღმზრდელო,  
 ბედით სტირიხარ ჩემო, ნაწერო,  
 ნაშობო ჩემო, ცრემლში გაზრდილო.  
 მომწყურდა ქება სხვისი შვილების,  
 მომწყურდა, ზრდილი, თბილი თაობა,  
 მწყდებიან გულზე, როგორც ღილები,  
 ცხოვრება გახდა არარაობა.  
 ძმა, ძმას, არ ინდობს, სისხლი იღვრება,  
 აგერ გიორგიც მოკლეს სპოტცმენი,  
 მე მომავალი გმირი მჭირდება,  
 მტრისთვის მებრძოლი, ძმისთვის მომთმენი.



## თუკი მიმიხმობს

თუკი მიმიხმობს, ფშავ-ხევსურეთი,  
მგზავრად გავყვები,  
ფრთადაჭრილ ნიავეს.  
მტკვარო, არაგვი იმიტომ გერთვის,  
ცრემლით ნაგროვი  
დარდი რომ მიგაქვს,  
მე კი სანაცვლოდ ლამაზ ჩარგალში,  
დავაყურადებ, დელეთა ბუტბუტს,  
წყალსაც ჩავასხამ,  
ნაპრალს ხახაში და გავამხნევებ  
ნაღვლიან ბუღბუღს...  
თუ სადმე შემხვდა, ობოლი ნუკრი,  
დავარწმუნებ, რომ ნახავს დედიკოს,  
ჩუ, საყვარელო, ყვავილობს ნუში,  
იქნებ ირემი, მის ჩრდილში იყოს...  
სხვის გადაყრილი ია თუ ვნახე,  
სწრაფად ჩავანყობ წყლიან ჭიქაში,  
წყლით დავუბრუნებ სიცოცხლის სახეს,  
მერე გადავრგავ ისევ მიწაში.  
ყველას ვუშველი ტირიფის გარდა,  
მას სულ ახურავს მწუხრის ზენარი,  
წარსულის დარდი მეც ჩამისახლდა,  
თაფლი სხვას შეხვდა, მეკი ნესტარი!



## ბეჭდის განმარტება

⋆+⋆+⋆+⋆+⋆+

დამიკემსე გული ბედო, ტყვიით,  
 შენ, წამართვი ძალის იარაღი,  
 სჯობს შეჩერდე, ხედავ? აღარ ვტირი,  
 ჩემი დევნით, ისევ შენ გადაგლლი.  
 ჯერ ოთხი ძმა გამაცალე ხელში,  
 მერე ქმარი, საყვარელი შვილი,  
 რომ გეგონა გადავტეხე წელში,  
 შენს ჯინაზე მაინც წინ--წინ ვივლი.  
 სიძლიერის გამოცდაზე მითხრეს,  
 გამოცდები კარგად ჩააბარე,  
 სიზმრად ცაში, გარდაცვლილნი მიქეს,  
 იქ, რომ იყვნენ, შენ ერთს დაგაბრალეს.  
 მე კი აგერ, ისევ მაღლით ვცხოვრობ,  
 არ გავივლებ, სიბოროტეს გულში,  
 მხოლოდ ერთხელ, ისევ უნდა გთხოვო,  
 წამოდიო, ჩამჩურჩულე ყურში.  
 ჩავალაგებ ჩემს ჩანთაში ნივთებს,  
 სანერ კალამს, ლექსები რომ ვწერო,  
 ცაშიც შევქმნი ნოველებს და მითებს,  
 აქ, კი ყველას უნდა მოვეფერო!



## წასვლის მოწა

ზღვაში ვცურავ, შორს მივიწევი,  
დელფინები დროს მართმევენ.  
ტკივილს წყალშიც ვერ ვივინყებ,  
ზღვის ტალღები მიმათრევენ.  
სიჯიუტით თეთრ ზოლს მივდევი,  
ზენიტს მივწვდი, შევისვენე.  
ამ დარდების გადამკიდე,  
კარგს არაფერს არ ვიხსენებ.  
თვალი მომკრა, ზღვის თოლიამ,  
სიბრალულთ შემომხედა.  
მითხრა შორ-შორს იქ, ფონია,  
სულაც არ ჭირს იქ, მოხვედრა.  
გზა განარგრძე, შემოგხვდება,  
ზღვა სიმშვიდის ელვარებით.  
თუმცა ნატვრა აგიხდება,  
არვის არ შეებრალე.  
არა მჯერა, ნუ მაშინებ,  
შორს ცხოვრება ადვილია,  
იქ, იმედის სახლს ვაშენებ,  
აქ, სუყველა დაღლილია.  
ომს გაურბი? ჯობს დაბრუნდე,  
ნაპირისკენ მიტრიალდი,  
სანამ სულ არ განადგურდე,  
დარდით აღარ აღრიალდე.  
დაუჯერე თეთრ თოლიას,  
მის რჩევას მე არც ვივინყებ,  
არ დავინყებ შორს ბორიალს,  
ჩემს საქმესაც აქ, ავინყობ.

თევზს დავიჭერ და თუ მაინც,  
მას შევბრანავ, სავანშმოდაც.  
სუფრას გავშლი ლამაზ მაისს,  
არ, ავყვები წასვლის მოდას!

### თამაიზას მოზიოსავთ

თამარობას მოგილოცავთ თამარებო,  
სიცოცხლის მზემ არ მოგაკლოთ ელვარება...  
დიდებო და ჩემო ტკბილო, პატარებო,  
გლოცავთ ყველას,  
ყველას ლოცვა მევალება!

### აწახ მინვა

აღარ მინდა, წვიმების დროს  
მათოვო და სეტყვით მყეფო,  
იქნებ კეთილს გული მანდო,  
შენც ყინვისგან მონაყეფო.





## წამი

არ მომეშვა, ვიხემსაოთ ღამე,  
ვიქეიფოთ, თუნდაც მცირე ლუკმით,  
შენ დანერე, სიყვარულზე რამე,  
მე დავინყებ დაკარგულზე სლუკუნს.  
გაოცებით შევყურებდი შიშით,  
რას ამბობდა წუნუნით და რიდით,  
ნუთუ, ღამეც არის გრძნობის რიგში,  
ნუთუ, ცრემლით გადაკვრია ბინდი.  
ჰო, გაამბობ, მთვარე შემიყვარდა,  
მე, ღამე ვარ, მთვარე მნათობია,  
არვინ მინდა, მე მნათობის გარდა,  
ვარაკვლავები, სხვებთან გამრთობია.  
ის ერთია, მე იმისთვის ვტირი,  
როს ვიხილავ,  
მეც დღესავით შუქს ვფენ,  
ეს, შეხვედრა სულ არ არის ხშირი,  
საიდუმლო, მხოლოდ შენთან დარჩეს.  
მესმოდა და არც მესმოდა თითქოს,  
ნუთუ ღამემ მე გამანდო ფიქრი,  
მანაც უნდა გული დამითუთქოს,  
ჯერ ისედაც ყველას ტკივილს ვტირი.  
დავამშვიდე, დავაძინე ღამე,  
მერე ბალიშს ფრთხილად ჩავეკონე,  
გათენებაც უკვე მითვლის წამებს,  
მგონი ძინავს, ღამე არ მაგონებს.  
ესეც მაღლად ჩამითვალე ღმერთო,  
მოუსმინე, სხვა რა უნდა მექნა,  
ჩემი ფიქრიც მასთან გადაერთო,  
მე სახელად მაღლი უნდა მერქვას.

## წუთიერი ყოფა

მაშ რად გინდა, წუთიერი ყოფა,  
 სულიერად თუ ისევე გშევიკ.  
 თუ სირცხვილით დაიღვარე ოფლად,  
 თუ შენ სახლში მტერი ისევ მივა...  
 მე არ ძალმიძს, მივეახლო იმას,  
     ვინც ფასეულს,  
 მხოლოდ ფულით საზღვრავს,  
 სჯობს, რომ თავი შეუშვირო წვიმას,  
 ვიდრე ავყვე დუღუკსა და არღანს...  
 არ ვმეგობრობ არასოდეს ფლიდებს,  
 წმინდა სული მინდა ჩემში იყოს,  
 დღე და ღამე  
     სულ სიკეთეს ვთვლიდე,  
 ოქრომ რატომ უნდა გამაბრიყვოს!



## ამონის მზე

ამოდის მზე,  
თოვლს სხივები აატირებს,  
თიბათვის თვე,  
აბრწყინდება ათასფერად,  
იმედია, შემისრულებს დანაპირებს,  
ნაზამთრ გულში რადგან ასე მომეფერა.  
ალიონზე, აშრიალდნენ ხის ფოთლები,  
თბილი სიო დაათბუნებს არემარეს,  
ინვის ალით,  
სალოცავში, ღვთის სანთლები,  
ნამოვდექი,  
ბედო, ტკივილს ხომ მაკმარებ?  
მიბალახობს, ეს ზამთარი იძულებით,  
იცოხნება...ააშენა, ღრუბლის გორა,  
ნინო წმინდავ,  
შენ მშველელად მეგულები,  
დარდებს უკვე,  
ქვა და ღორღით ამოვყორავ...  
ამოვავსე საწნახელი,  
ყურძნის მტევნით,  
ნამიანი მარცვლებიც მწამს,  
არ დაჭკნება,  
იქნებ ჩქარა ყანწით შევსვა,  
ყურძნის წვენი,  
ნაწვიმ ბადაგს არ ვაცალო დამაჭრება.  
ო, ვილოცებ ჩემს ხატებთან  
ყოველ დილით,  
საუკუნეს ტკივილებით გავეტოლე,  
მუმლი მჯაბნის,

მწუხარებით ველარ ვივლი,  
 ათჯერ მომკლან,  
 მაინც სხვის რჯულს არ ვიტომებ.  
 დარდი თუკი ისევ-ისე მომერევა,  
 ლოცვას ვიტყვი,  
 იმედს ფარად ავიფარებ,  
 იფქლის ღეროს,  
 თუკი ღვარძლი შეერევა,  
 პურის თაველს,  
 ჩემს უბეში შევიფარებ.  
 აფრებს გავშლი,  
 ისევ ხვალის მომავლისთვის,  
 არწივის გუნდს,  
 ისე როგორ დავენევი,  
 შური მძაგს და  
 დამითმია ბევრჯერ სხვისთვის,  
 ერთი ათად, გაჭირვებულს შევეწევი...  
 მე თუ მტერი,  
 ძველებურად კვლავ ამხანჯლავს,  
 ომს მოვიგებ, მოთბინებით ალბათ ისევ,  
 სინაზით და სიფაქიზით,  
 სიტყვებს ვხარჯავ,  
 იაც ნაზად ბუჩქებიდან,  
 ჩუმად მიცქერს...  
 ლურჯ ზეციდან შენ მფარველობ,  
 წმინდა ნინოვ,  
 იქნებ ქება იანუსზეც აღარ მეთქვა,  
 მისი არ მწამს, ორპირია,  
 არ მინყინო,  
 შენი ხატით ათინათის გული ფეთქავს!

## გიჟობაზე დაბაჯების ღწეს

დედის სიცოცხლევ,  
ჩემო დინჯო, ჭკვიანო დავით,  
დაგლოცავ შვილო,  
გაძლიერდი, სულ იმზიანე...  
არ იყო დედი,  
მტრისთვისაც კი, ძუნწი და ავი,  
თუ რამ გაგაჩნდეს,  
ყველას ტკბილად გაუზიარე!

## მინჯა მინამო

როგორ გინამო ნიავო,  
წვიმაა, ცაც არ ჩანს ცისფერი...  
ქარივით კვლავ არ იავო,  
სულ შიშის თვალით გიცქერი.  
არა, რას ბრძანებ პოეტო,  
უნდა მომენდო ბოლომდე,  
რად მინდა ტყე-პარკს მოვედო,  
ქარიშხალივით ვომობდე.  
სანდო ვინლაა რა ვიცი,  
მოგდევ და მაინც წინა ხარ,  
მე მაინც თბილად ჩავიცვი,  
სულს, ზეცის საგზლად ვინახავ!

## ჩვენი შეხვედრა

ოხ! ღმერთო ჩემო, რალატომ შემხვდა,  
 ხომ აღარ მსურდა შეხვედრა მასთან...  
 შეხვედრის იმ დროს ფიქრებში ხევდა,  
 აღარ იცოდა რა უნდა ეთქვა,  
 და ჩემი სუსტი ფაქიზი ხელი,  
 მოექცა მის დიდ ტორივით მკლავში...  
 რალატომ შემხვდა ან მე რად ვნახე,  
 აღელვდა როგორც პატარა ბავშვი,  
 მერე ნავიდა, ჰო, ნავიდა,  
 ჩემს გულში დატოვა არარა,  
 ბჟუტავს დაისში, ასეც არ მინდა, –  
 გაყვითლება, თმებში ჭაღარა.  
 ცრემლი სდიოდა ძველ დროს ლურჯთვალას,  
 რადგან შეხვედრის ნუთი მებევრა...  
 მეც არ მინდოდა, მაგრამ უფალმა,  
 ინება ისევ ჩვენი შეხვედრა.



## გულის კიჟო

ჩემი გულის კრედო, არის  
ჩემი ერის სიყვარული.  
გულს არ ააქვს არსად ბზარი,  
მტრობა, ჩუმად მიმალული.  
წრფელი არის ჩემი სიტყვა,  
გულის მეღნით დანერილი,  
ან უგულოდ ლექსი ვინ თქვა,  
ცრუ და, გუდით გაბერილი.  
მოდის შლეგი არაგვივით,  
ხან ტირის და ხან ლილინობს,  
ბევრჯერ არის უბარივით,  
ხან ქეიფობს სულ უღვინოდ.  
ჩემი ლექსი მამულია,  
უფალივით საფიცარი,  
ლექსი ხანაც „ურმულია“,  
ხანც არის ნატვრისთვალი.  
ჩაიფიქრებს რაც გულს უნდა,  
რა თქმა უნდა ერისათვის,  
თუ ურემი გადაბრუნდა,  
თუ მოვკალი ერისთავი.  
მაშინ გრძნობაც დაინაცროს,  
რაში მინდა მკვლელი თუა,  
გული უნდა მოინათლოს,  
თუ ცბიერმა მოატყუა.  
გულმა უნდა უერთგულოს,  
სალოცავებს, ადათ წესებს,  
გულო, არ ხარ შენ უგულო,  
სულით მშიერს ნაახემსებ!

უხიზი

ფრინველის  
 ფრთებით კი არ დავფრინავ,  
 ლექსის ფრთები მაქვს,  
 ღვთის ნაჩუქარი,  
 ამ ფრთებს ძირს ხშირად,  
 მოღზე დავფინავ,  
 რადგან ჩემია, სულ საკუთარი.  
 ეს, სიმდირეა, ხელშეუხები,  
 მიუკარები არვის სადაო,  
 ხან მდინარეა, ტალღის შხეფები,  
 ისე ტკბილია, როგორც დედაო.  
 ხშირად არწივობს, ცაშიც ნავარდობს,  
 ხანაც უშიშრად მზესთან სეირნობს,  
 მერე მოვა და ფიქრებს გამანდოს,  
 ცდილობს ლექსები დამანერინოს.





## ქოხი

ქორმა ფრთა-ფრთას შემოკრა და  
ცის ლაჟვარდში ინავარდა,  
ბევრი ჩიტი შემოხვდა და  
ხორცის ჭამით გაიბადრა.  
მოინყინა, სუსნაობა,  
დაჭკვიანდა, ჩამოდინჯდა,  
არ იკითხოთ ვინაობა,  
არწივსაც კი შეემიჯნა.  
ჩამოსკუპტა ხის ერთ ტოტზე,  
და მილულა ქორმა თვალი.  
ჩაიმღერა უცხო ნოტზე,  
თითქოს იყოს ღვინით მთვრალი.  
ფრინველებო, ქორს არ ენდოთ,  
მოშივა და არ დაგზოგავთ,  
სჯობს იმ ხესთან მარტოდ ეგდოს,  
არ მონათლოთ ანგელოზად.  
მოერიდეთ, გაეცალეთ,  
მაშინ როცა მშიერია,  
ბუმბულები დააცალეთ,  
რადგან ქორი ცბიერია.



წ ი ა ა

ფიქრით ცაში კარავს გავშლი,  
 დილით ცისკარს ვეგებები...  
 დარდის ღრუბლებს ხელით დავშლი,  
 ქარს არასდროს დავნებდები.  
 ხის ნაფოტსაც წამოვკრიფავ,  
 რომ არ დაღუპეს ნვიმიანში.  
 ხე რომ კვირტებს გამოკვირტავს,  
 გულს გავუთბობ ქარიანში.  
 ქარის ნამტვრევ ტოტებს ხელით,  
 შეუფუთავ ნატკენ ადგილს,  
 თუმცა ბედით განათელი,  
 არ ვისახავ საქმეს ადვილს.  
 დავიღლები, გავწვალდები,  
 მტრის ვალებსაც გადაგიხდით,  
 თქვენთვის ხრამშიც ჩავარდები,  
 შიშით არა, ბრძოლის ხიბლით.  
 მოძმესათვის სისხლს გავიღებ,  
 არ დავუჭერ, მშიერს ლუკმას...  
 ჩემი ხელით გადაგიღებთ,,  
 გულს დაგიჭრით ლუკმა-ლუკმდ.  
 სანაცვლოდ კი ვითხოვ მაისს  
 მეც არ მავნოთ ყინვის ჭირხლით,  
 შემაგებედ მშვიდად დაისს,  
 ვაზის ტოტებს ნუ გამისხლით!

## ჯახის წახი

დარდის წლები, დარდის დღე და წამი,  
ტკივილთცვენა, უტყვი კვნესა, ოხვრა...  
ვინმემ ერთხელ მანუგეშოს რამით,  
რა იციან უშენოდ რას მოვთქვამ.  
მე და შენი სიმწუხარის წლისთავს,  
კრძალვით უფალს, მივანაბრებ დედი,  
სევდის ფთილით, ფიქრებს ნაზად მოვრთავ,  
ღმერთმა იცის, მე რამდენჯერ ვკდები.  
ყველა თავის, ბედისწრერით ცხოვრობს,  
ხომ ასეა, ვეკითხები მთვარეს.  
დედამ აბა, როგორ გაიხაროს,  
შვილი როცა აღარ უღებს კარებს.  
უკდავების ცაო, სულთა სახლო,  
ხომ არ ცივა, რამე ნააფარე...  
ჩემს შვილს ბედმა, ხელი აღარ ახლოს,  
სანამ მოვალ თბილად შეიფარე.  
სხვა სათქმელს კი, გულს დავმარხავ დედი,  
შენი სული უნდა დავამშვიდო,  
მოთბინებას წლობით შევაბერდი,  
ნეტავ შენთან ლოგინს გამიშლიდნენ.  
ვაყურადებ ამ გულს, ბედით ნათალს,  
ნაისრ ადგილს, ფრთხილად ვუხვევ ტკივილს.  
შვილთან მისვლის დღეებს მწარედ ვართავ,  
ხმას დავეძებ, ჩემი ტკბილი შვილის!

## ჩემი გზის წუთისოფეაში

### ქართველ ექიმებს

თქვენ რომ არ იყოთ  
 ექიმებო, მაშინ გვენახა,  
 რა ქაოსური  
 იქნებოდა ყოფნის ცხოვრება.  
 თქვენთვის თუნდ მტრებსაც,  
 სახლის კართან რომ დაეძახათ,  
 მათი ტკივილი  
 დაგრჩებოდათ გულში გორებად.  
 თქვენი ნებართვით,  
 ხალხი მინდა დავაიმედო,  
 ახლა რა გვიშავს,  
 თქვენ გვეგულვით ერის პატრონად,  
 თქვენ ერის ტვირთი,  
 მხრებით დაგაქვთ მართლაც გმირებო,  
 ეს თქვენით ხდება,  
 ეშმა, რომ ვერ დაგვეპატრონა.  
 თქვენ გაგიმარჯოთ ექიმებო,  
 მრავალჟამიერ...  
 გაიზაფხულეთ, იზაფხულეთ,  
 ორთავ სოფელში,  
 ვგრძნობ მეც სიმშვიდეს,  
 თუნდაც წუთით, თუნდაც წამიერს,  
 ყველა გმირი ხართ,  
 ჩემი გულის წუთისოფელში!

## გენასგავოს ღეფა

შენს ოთახში დედი ლანდად,  
სევდის ჩრდილი დაფრიალებს,  
გულში დამრჩი მწარე დაღად,  
ბედი თავზე დამღრიალებს.  
ცივ კედლებსაც გავებუტე,  
თვალს მოვავლებ ოთახს სუფთას,  
შენს სამოსელს ჩავიხუტებ,  
თითქოს შვილო, ახლოს სუნთქავ.  
ავსლუკუნდი მარტოდ დედა,  
გვერდში მხოლოდ ფიქრი მყავდა,  
მერე ლანდმა შემომხედა,  
ის აჩრდილი შენა გგავდა,  
ვისაუბრეთ მე და ლანდმა,  
მოვეფერე ფიქრის ხელით...  
მოგონება გადმოლაგდა,  
და ვსაზრდოვობ ისევ შენით.



ქ ა ხ ი

ქარი გაყურსულა, აღარ ავობს,  
 თითქოს სმენად იქცა დედამინაც...  
 უკვე ძველ წარსულზე აღარ ვდაობ,  
 დღევანდელიობამაც დამივიწყა.  
 ქარი, ქარია და არ ვენდობი,  
 ერთ დღეს კორიანტელს დააყენებს,  
 მე კი ყველას ტკივილს დავედნობი,  
 ბედით ნაქცეულსაც ავაყენებ.  
 ყველას საამებლად გავაკეთებ,  
 თუნდაც ჯაფამ წელში გადამტეხოს.  
 ქარი ვერასოდეს დამაფეთებს,  
 რაც გულს მომაგლიჯა ისიც ეყოს.  
 არვის არ ადარდებს ხვალის საქმე,  
 რატომ დავიღალე რა მეტკინა.  
 მე კი არ შესაქებს მაინც ვაქებ,  
 ისევ მერცხლებთან რომ მეტიტინა.  
 გული ფოლადად მსურს გამოვადნო,  
 კვლავ რომ სიკეთისთვის დავიხარჯო...  
 ქარმა ტკივილი არ მითანაგრძნო,  
 ვბრძოლობ, ბედთან უნდა გავიმარჯო.!!!



## წუთი



წუთისოფელს, წვეთ-წუთობით,  
გამოაღლობს, დილის სხივი...  
წუთით ყინავს, კვლავ ურჩობით,  
ამას ვდარდობ, ამას ვჩივი!  
წუთი წყვეტავს იმ დღის საქმეს,  
რასაც წლობით ჯინჯგლაობენ,  
შესაქები თუ შეაქეს,  
თუ კი ერთად იგალობეს.  
წუთით წავა, წუთით მოვა,  
წუთით დავა ილაგმება,  
წვიმს და წუთში თუ მოთოვა,  
წუთით საქმეც დალაგდება!  
წუთში შენ, რომ დაიბადე,  
ბედნიერი, გახდა წუთი,  
წუთში ისე დავიდარდე,  
ბედით გავხდი განათუთქი!



## სიცივის სანთელი

სიცივის სანთელი  
 ჩამოვქენი თქვენ, რომ გეძინათ,  
 მერე ვილოცე,  
 მტერი მოყვრად გავითავისე,  
 ძალა უფალმა,  
 სიყვარულის, რწმენის, შემძინა,  
 საქართველომო,  
 იზემოს ლამაზ მაისებს.  
 სიცივის სანთელით  
 დავაკმეი ღამის წყვდიადი,  
 ხან ვიჩურჩულე,  
 ხან სიტყვა ვთქვი ტკბულ- შარმიანი,  
 ო, ამ ლოცვებით,  
 ცისკრის დილავ ამოზვიადდი,  
 გამოჯამრთელდეს,  
 ყველა რჯულის ადამიანი!





## მგზავი

მგზავრი ვარ მაგრამ, აქ არა ვცხოვრობ,  
ცაში ვარ, ბინა იქ, არის ჩემი...  
მხიბლავს სინაზე, არადროს ვქორობ,  
მთვარე დედაა, მზე მამაჩემი.  
იქნებ სხვისია, რასაც ჩემად ვთლი,  
მე მეჩვენება რადგან მიყვარან,  
მათ ნაფეხურებს, ისევ არ ნავშლი,  
ფიქრს უსასრულოს, სადღაც მიყვავარ.  
ჩამოვისვენებ, ხის ბებერ ჯირკვზე,  
თვალით შვხედავ, მზის ჩასვენებას...  
სევდა კავკავებს, კვლავაც ზღვის პირზე,  
ხდება დარდების გამოსვენება.  
პოეტის ფრთები სად არ დაფრინავს,  
დაეხეტება, ცის საზღრებს ცდება,  
პოეტი ფიქრებს, მზის კლავზე ფინავს,  
ფიქრით მთვარეს, და  
ხან მზესაც ხვდება.



## შვილი

თუ შვილი გყავს, ითვლი ოქროს ნუთებს,  
 შეციცინებ თვალებში და ნატრობ,  
 ბევრჯერ ღამეს სიყვარულით უთევ,  
 ძილშიც შფოთავ, შვილს ძილშიაც არ თმობ.  
 გაიზრდება, შენც იზრდები მასთან,  
 როგორც დედა, და ხარ შვილის ფარი,  
 უჩიჩინებ, ტკბილად იყოს სხვასთან,  
 რომ სიცოცხლე, სიყვარულით არის!  
 გძინავს მაშინ, როცა გესმის სუნთქვა,  
 აყურადებ, ხომ არ წვალობს ძილში,  
 სიმართლეა, რაც შვილებზე უთქვამთ,  
 სილამაზეს, მხოლოდ ხედავ შვილში.  
 არაფერი შეედრება ტკივილს,  
 თუ ბედისწრით ნავა უფლის ნებით,  
 რა ფასი აქვს, უღიმღამო ღიმილს,  
 რა ფასი აქვს, ცრემლებში რომ ლპები.  
 დარდის წლები აღარ მ ი ი ლ ი ა,  
 მენატრება შვილი ტკბილზე-ტკბილი,  
 ეს, იმხელა დიდი ტკივილია,  
 გათენება რომ მრცხვენია დილით.  
 მაგრამ ვიტან, მწარე სიმწრის ყოფას,  
 რადგან ქარი არ წყნარდება, კივის,  
 გახანჯლული გული კვლავ იყოფა,  
 ვარვარა მზეც, ხდება ჩემთვის ცივი.  
 ეჰ, რას ვიზამ, ცას შევცქერი ხშირად,  
 თეთრ ღრუბლებთან, ვხედავ შვილის სახეს,  
 მადლის თესვა, მხრებს მოვისხი შირმად,  
 ვიტან ბედით გადანარტყამ სახრეს!

## სისოსხაე

*დავით სხირტლაძეს*

დედის სუნთქვა ხარ, დედის სიცოცხლე,  
შენა ხარ ჩემი დღე ხვალინდელი!  
სულ უდარდელად მინდა იცოცხლო,  
რაც გიცოცხლია ასი იმდენი.  
მოგასწროს ღმერთმა შვილიშვილებს და  
შვილთაშვილები გყავდეს მრავალი...  
მეც თქვენ სიყვარულს ნუ მაშიმშობლებთ,  
თქვენა ხართ ჩემი გულის ნამალი.

\* \* \*

ეს იყო ღვთის დღე, მადლი უფალის,  
უნეტარესს და უწმინდესს შევხვდი...  
ამ დღეს მე ვიყავ ქირისუფალი,  
მუხლმოდრეკილი მაცხოვრის ფერხთით.



## ხოსა

როცა, ტკივილის შესვამ სამსალას,  
 და როცა ბედი, ცრემლში დაგახრჩობს...  
 თუ, სახლს აშენებ, იძენ მასალას,  
 შენს ნაშენ კედლებს, სჯობს უდარაჯო,  
 ცაზე ღრუბლები, გაყოვნისფერდა,  
 ვინ იცის იქნებ აღარც იკაროს...  
 მაგრამ თუ ღამე, ამოისფერდა,  
 მაშინ იმედი ისევ, იხარებს.  
 საშინელია ავდარს უყურო,  
 სევდა გულისა, წელში გაგტეხავს,  
 ხელეშ დაგუსხავს, ღელის გლუყურო  
 და თავისთავად განგაშს ატეხავ.  
 ისევ ჯობია, მიყვე დინებას,  
 ნაპირს გაგრიყავს, ტალღები სევდის.  
 ესეც თუ ისევ ღმერთმა ინება,  
 გიმღერს სონეტებს, ლამაზი გედი.  
 იტყვი ცხოვრება, ახლა დაიწყო,  
 და ჭირთა თმენას შეურიგდები...  
 ო, ის კომმარი ნეტავ რა იყო,  
 სიცოცხლის წლებით აგუგუნდები!



### მიჯანსახება

ჩემი მწვერვალი ჯერ ისევ შორია,  
ვშრომობ, ვჯახირობ, მე ხელებშიშველი.  
ირგვლივ ბურუსია, ნისლების თქორია,  
ვარ უფლის იმედით, მნამს ღმერთი მიშველის.

### სხვამ იკითხოს

სხვამ იკითხოს, თორემ მე რა...  
უკეთეს გზას დავადექი,  
ცამ ღრუბლები შეიფერა,  
მე?.. მთვარის სახლს მივადექი..

### სუჟის სახამ

ო, აღარ შემომხვდეს დარდების წყვიადი,  
სიკეთეს მოვაფრქვევ თქვენს ეზო-ბაკეში...  
მზის სხივო, იბრწყინე გთხოვ ამოზვიადდი,  
შემოიხედე ჩემს სულის სარკეში!



## მივსტიხი

მივსტირი, იმ ძველ დროს,  
როს კაბა ემოსათ...  
ახლა კი შოუთი დაყრუვდა ქვეყანა,  
განრისხდა ცის ღმერთი,  
ძირს უნდა ჩამოსვლა,  
ჭერი ნუ ახადეთო ზეყანას.

## სუჯის განსჯით

ჩემში დავიწყე ნაკლის ძებნა  
ნლებს გადავხედე...  
და შევიმოსე მოსამართლის  
სულის მანტიით...  
სიმართლისათვის ჩემო გულო  
არ ამიმხედრდე,  
ნაკლი ეს ვნახე,  
არ ვიცვლები ცივი მარტივით.



## უსასრულობა

ფიქრის უსასრულობაში სიარულს,  
არაფერი ჯობია...  
დავდივარ იქ სადაც მიხარია,  
მეწერება სიკეთეზე,  
ეს ხომ ჩემი ჰობია,  
უსასრულობა კი დედამინისა და  
ზეცის ტიხარია.

## სიკეთეს თესავ

*ივერი ჭელიძეს*

სიკეთეს თესავ დაბადებიდან,  
იმედის სხივებს, ყველგან არიგებ,  
სვანეთადათის, დასაბამიდან,  
ყველა მიგიჩნევს აზრთა გამრიგედ.  
ღვთის რჩეულებთან ნადიმს გამართამ,  
მოსაგონარსაც, დღეს შესვამ მჯერა,  
ვაჟკაცურ მკლავებს მალლა აღმართავ,  
პირფვარს ხვთის რწმენით გადაიწერავ.  
გამოცოცხლდება სვანური კერა  
ცაც, დედამინაც, ერთად ერთდება  
და ყველაფერი ოქროს ფერებად,  
მოსაფერებლად შეგეფეთება.  
აზეიმდება, ეს დღე ლამაზად,  
გამონათებს, სულის სარკმელი...  
დღეს ყველა დარდის, კარებს ჩარაზავ  
და დაილევა ბევრი სასმელი.



## აჰ გაიოსო

როცა დააბიჯებენ შენს ღირსებებზე  
 არ გაიოცო...  
 შენს გარდა სხვაც დამჯდარა,  
 ასეთ ღერსებზე.  
 ადამიანი უნდა გაიცნო.  
 უვიცთან არ ისაუბრო, ადამიანურ წესებზე.

## აჰასოფეს

არასოდეს აღარ აიცრემლოთ თვალები,  
 წარსულს აღარაფერი ეშველება,  
 დიდ დარდს მოერიდეთ ქალები,  
 ბედს ძალიან ბევრჯერ ეშლება.  
 იყავით ოპტიმისტები....  
 ნაირ-ნაირ ფერებით გაგიცინებთ მზე,  
 თავს დაგიხრიან ტიტები,  
 ეს აუცილებლად მოხდება ზეგ.

## აჰაჰის ვეხრი

შეირგონ ჩემი სითბო და ეშხი,  
 არავის ვერჩი, ნურავინ მერჩის,  
 მე ისეც ბევრჯერ დამეცა მეხი,  
 მარტოობას და ტკივილებს შევრჩი







\* \* \*

ჩემთვის პატარები დარჩებით  
უბეს რომ მითბობდით, ბებო.  
სიკეთეს თავიდანვე გაჩვევდით  
არ გაკლდათ ყველი და ერბო.  
შვილიშვილების ჰარმონია,  
იყო ოჯახის კრედო.  
უფროსი იყო თამუნია,  
გულში მარგალიტი ედო.





## თამუნია

შენს ლამაზ სახის სხივს ვეფერები,  
 შენ გრძელ წამწამთან თვალთა მიმინოს.  
 შენ ხარ მომავლის სალი ფესვი და...  
 ჩემო თაკუნი უნდა მისმინო.  
 მიყვარხარ... იცი, რარიგად მერე?  
 მაჟრჟოლებს, როცა შენ დაგინახავ.  
 სიცოცხლე ჩემო, ეს დაიჯერე,  
 ჩემს ერთ ლუკმასაც შენ შეგინახავ.



## მეცა

### გელა სხირტლაძეს

გელა, ბაბუა ხარ გენაცვალე,  
ცაში ჭერს აყრიდი სიხარულით,  
თასი უსათუოდ გამოცვალე,  
ყველა დაპატიჟე სიყვარულით.  
დედი დამილოცე შვილთაშვილი,  
შენი შვილიშვილი გენაცვალე,  
მერე ძმა დალოცე მამიშვილი...  
მე კი ეგ ადგილი გამიცვალე.  
ვახომ გააკეთა კაკანათი,  
თაკოს ბედიც უნდა გადიბარდნოს,  
თეომ გაგახარა პატარათი,  
ჩემო, ტკივილო და გულის დარდო.

## ფერნასუცია

ფერნასულია დღე ამ სიშორით,  
შემოვინისლე, კვლავ ღრუბლის ფთილით,  
ჩემს გზას თან დასდევს, ნისლი და თქორი,  
ცაში მყავს თბილი, კეთილი შვილი.  
ვიბრძოლებ ბოლო ამოსუნთქვამდე,  
განსასჯელია, ირგვლივ ყოველი...  
შვილის გარეშე როგორ ვსუნთქავდე?!  
ვცოცხლობ იმით, რომ ისევ მოველი.

## ჯეის გუაი

დედის გული სამარესაც გაათბობს,  
 მისი სითბო ვულკანივით იფრქვევა.  
 თუკი ბედით მხრებზე თოვლი დაათოვს,  
 გაცეცხლდება, ვეფხვად გადაიქცევა,  
 გადაპოტნის მიწას შვილის ცხედრიდან,  
 ხან ფიქრებით, ხანაც თავის ხელებით,  
 სისხლი მოდის რძის მაგივრად მკერდიდან.  
 ზღვად გროვდება დედის მწარე ცრემლები...

## ხოსა ზეცა

(გირგი შაქარაშვილს)

კიდევ ერთი გულის ძარღვი მონყდა,  
 საქართველოს მძლავრი მუხის ტოტებს,  
 არ იფიქროთ, რომ გიორგი მოკვდა,  
 რა მოკლავდა, უძლიერეს სპორტცმენს.  
 გაგიმეტეს, გიორგულეს, ბიჭო,  
 არ დაგინდეს, ცხრამეტი წლის შვილი,  
 აბა, ერთი იმ უგულომ სინჯოს,  
 როგორია სამუდამო ძილი.  
 შენ კი უფლის ღვთის სასახლე შეგხვდა,  
 ცის ვარსკვლავად იბრდღვიალებ ცაში.  
 როცა ზეცა ღრუბლის პიჟაკს ხევედა,  
 ალბათ მაშინ იხრჩობოდი მტკვარში.  
 რას აივსე ცაო, ნორჩთა, სულით,  
 ეს რამდენი შვილი მიითვალე,  
 შეანელე , ღმერთო, ერში შუღლი,  
 რკინის ჯაჭვი, შვილებს შემოავლე!

## შვილო

შვილო, შეგეძინა შვილიშვილი,  
ბიჭი დაიბადა შენი ფერის,  
ჩემთვის საოცნებო შვილთაშვილი  
გული თავისთავად ჩუმად მღერის.

## ჯაგექებ შვილო

დაგექებ შვილო, მოფერება ხომ არ გაკლია?  
რაც შენ დაჰკარგე, ფიქრი გახდა დარდის სონეტა,  
და თუ სიცოცხლე შენს გარეშე, შვილო, ნაკლია,  
მაშინ ჯობია ისევ ისე დავგრჩე პოეტად.

ამ ლამაზ დღეებს მაშინ ჰქონდა შნო და ლაზათი,  
როცა ჭრელ-ჭრელი სამოსელი ტანზე მემოსა.  
ახლა გული მაქვს სევდიანი ფიქრით ნაზამთრი,  
და გამახარებს ჩემი შვილის ხმა თუ მომესმა.



## ეპიტაჰა იოანე შობჯანიძეს

უკვე ვაჟკაცი ხარ, დიდი ბიჭი,  
რა უცებ ჩაიქროლეს ქარებმა,  
ჩქარა დამანახე შენი კიჭი,  
ყველას შენი გაზრდა გვეჩქარება.

## ჯჳეს

დღეს ლექსს არ დავწერ,  
არ მკითხოთ რატომ?  
შვილთაშვილი მყავს  
და... იგი მათბობს....

## წმთის წინადაცხი

(თეონას)

შენ ჩემო თეო, სილამაზით მზეთა სადარო,  
ჩემთვის მთვარევ და ცის ვარსკვლავო,  
გულის სამყაროვ.  
გზა მზემ გინათოს, საყვარელო,  
აგცდეს ავდარი,  
ჩემო იმედით მოსაუბრევ, ღვთის წილნაცარო.

## თეთიან პუთქება გავაზუსტის

(გიორგი ლობჯანიძეს და თეონა სხირტლაძეს)

მარტი მზის სხივებთან ნიძლავდება,  
შინდი გაიშლება ყვავილებით.  
მთაში ღვთით ქორწილი გაგრძელდება,  
მთვარის სიყვარულის დავალებით.  
ცოლ-ქმრის უღელია ოჯახი და...  
ითხოვს ყურადღებას ყოველ წამით.  
ტრფობის ელექსირის დაჯავშნით და...  
ჯაფას... დიდ სიფრთხილეს, დღით და ღამით.  
ხუთი მარტი არის სიცოცხლეთა..  
თეთრად აფეთქება გაზაფხულის,  
მთვარემ ია ხელში მოიხელთა,  
მიზნად ქორწილი აქვს განზრახული.  
მისი სიყვარული წრფელია და...  
ტრფობის სიფაქიზით ნაფერები..  
გუნდი ვარსკვლავების მცველია და..  
ცათა ცისარტყელის ელფერებით...  
მთვარე გიორგია, მეფეთ-მეფე,  
ია თეონაა, მზის ხელებით....  
რაჭას გადაშლიან ღამაზ სეფეს,  
ას წელს აითვლიან ერთგულებით.



## ვახუცია

დარდი სადღაც, ფიქრის ზღვაში გადავაგდე,  
 რადგან ვახომ, დიდი სითბო მაგრძნობინა,  
 ვცდილობ ისევ, ცოტა-ცოტა, ფეხზე დავდგე.  
 ნაბოლარა, მართლა ტკბილი რამ ყოფილა,  
 საუფლოს დღეს მილოცვებით მატყობინებს,  
 ო, იცი რა?!! ამ სიტყვებით მეფერება,  
 გელას ფესვი ვიზრდებო, მაგრძნობინებს,  
 ტკბილია და... ლექსიც მასზე მენერება.

## გაპატიებ

გაპატიებ, ოღონდ შენს თავს აპატიე,  
 გაპატრონობდი, ერთგულებით, უსასრულოდ...  
 ამ ჩემს გულში, დარდი ველარ დავატიე,  
 ჯერ არ მინდა, სიცოცხლე, რომ დავასრულო...  
 გაპატიებ, გულის კუნთის გამოგლეჯვას,  
 ოღონდ მიხვდი, უსამართლოდ მომექეცი...  
 აჟღარუნებ, უსამართლო დროის ეჟვანს,  
 გაიხარე, მე კი ბევრჯერ ნავიქეცი.  
 გაპატიებ, გაიხარე, ზენიტს მიწვდი,  
 დაინიე, სიცოცხლე აქვს მუხის ხესო...  
 ბოროტებას, ბოროტებით მე არ გიხდი,  
 დამაცადე, წლები იქნებ ნავიხემსო.





## ჩემო სიხოსხავი

25 ნოემბერი

ლამის თორმეტი საათი შესრულდა, პირველი  
დაიწყო, ჩემი ნანიკო ცხრამეტი წლის გახდა...

ცხრამეტის თუხარ, არა მგონია,  
ისევ ციცქნა ხარ ჩემთვის.... ნანიკო,  
შენი სინაზე ცისკრის ფონია,  
შენ გვერდს გიმშვენებს შენი ძამოკო.  
იბედნიერე, ჩემო სიცოცხლე,  
წინ სავალ გზაზე ფრთხილად იარე,  
შენს ბაგის ღიმილს ჰქვია სიცოცხლე,  
ნიჭით მწვერვალი გადაიარე.  
ბედნიერებას მინდა მომასწრო,  
მინდა გამაცნო შენი რჩეული,  
ბევრჯერ დროსაც კი უნდა გაასწრო,  
დიდ წარმატებებს ხარ მიჩვეული....

## აჯამის მოგება

ადამის მოდგმა, მე რას გამიგებს,  
ზეცის შვილი ვარ, მთვარის ნათლული...  
დედამინაზე მახე დამიგეს,  
მათგან გული მაქვს დანით დათლილი,  
ეგონათ მოვკვდი, ხარობდნენ უკვე,  
და სიხარულით ზეცას ენიენ,  
დიდ გზას მივდევი, თოვლიანს, უკვლევს,  
ბევრი მდიეს და... ვერ დამეწიენ.

მე

მე ჩემი სამყარო მიზიდავს,  
 ქათქათა ღრუბლებიც ჩემია.  
 ბედი ბედისკვერს მიზილავს,  
 ცხოვრება დარდი და ცრემლია.  
 არ მინდა მაჩუქოთ სასახლე,  
 იმედი დამირგოთ ეზოში...  
 მე მინდა ჩემშივე დავსახლდე,  
 ვცხოვრობდე ფიქრების სოროში.  
 ჩემს გულთან არავის მოვუშვებ,  
 თუ გინდა ამისთვის მანამონ.  
 ამას მე არასდროს დავუშვებ,  
 რაცა ვარ, ასეთი მინამონ.

**შეხსას ჯაგბანდი**


არ შემიძლია, მიყვარდე გულღრძო,  
 მთებში ხარ, სადღაც, კლდეში დარგული.  
 რომ იკბინები წაბლის ხის ბურძგლო,  
 მომეცი შენი გამონაგული.  
 ჩამოუირიგებ სოფლის პატარებს,  
 შემოგყურებენ, ცქერით დალილან...  
 ხრამს იფანტები,, თაგვებს ახარებ  
 და მრავლდებიან ძალზე ადვილად.  
 ანდა ჯობია, დაფიქრდე ისევ,  
 ბავშვებს ჩააცვა, შენი ნაბადი,  
 იკოტრიალონ უშიშრად მზის ქვეშ,  
 მაშინ კი ნაბლო, ფეხსაც დაგბანდი!

## თუ ვაბჭიხავი

თუ შემოიხედავ ჩემს სულში,  
ზეციური ძალით დაიმუხტები ჩე-  
მო მკითხველო.

თუ დაგჭირდები ვიქცევი საბნად,  
უფაქიზესო, ჩაგსვამ უბეში.  
შური შორს ჩემგან, მტკივა და აბად,  
სიტყვით მსურს ბევრჯერ მოგცე ნუგეში.  
იცის სულელება მათთან, რომ ვსტუმრობ,  
ხანდახან როცა მენატრებიან...  
ენძელებს ვკოცნი, ჰო, არა ვხუმრობ,  
დედის ცრემლებით ამტირებიან.  
არ მინდა ვინმემ დარდით იაროს,  
ვეფერები და ნამლად ვედები.  
ჩემად ყველა რომ გავიზიარო,  
ეკლებშიც იქნებ ვნახო ედემი.  
მუმლი მესევა, წინ ბურუსია,  
საით გადავდგა ნაბიჯი ნეტავ.  
სეტყვა ცვივა და ცივი სუსხია,  
ულრან ტყეებში სიარულს ვბედავ...  
ლოცვა ვთქვი... თავი დაბლა დავხარე,  
შევშფოთდი... ღმერთმა ხმა მომანვდინა:  
იმედი ხარ და ყველას დამხმარე,  
ზღვა ტკივილებით ცრემლებს განნიდა.  
ელვის მათრახით გავროზგავ ყველას,  
ცაზე დიდი გაქვს ტკივილით გული.  
ია ხარ ნაზი, ხან ცისარტყელა,  
უჩუმრად ბრძოლობ დარდნამოსხმული.  
რიოში არა, ბროლის ხარ მძივი,  
ირმის შვილი ხარ, დაეძებ დედას,





„ათინათი“ სიუჟეაჟის უხთეხით შეგმოსავთ...

აღარ დამზოგა ქარმა და წვიმამ,  
თბილ ზაფხულში კვლავ მას ვებრძოლები.  
იმიტომაც ტკბილად აღარ მძინავს,  
ნარეკლებსაც აღარ ვებრალევი.  
ათჯერ მოვკვდი... ქარი სულს არ მარჩენს,  
თბილ გულს უკვე, ო, ძალიან უჭირს.  
იცით? მაინც არ დავზოგავ მარჯვენს,  
სისხლსაც მივცემ მათხოვარს და დუხჭირს.  
იავნანას ჰანგით დაგაძინებთ,  
ყინვამ ნეტავ კვლავ არ გადამღალოს,  
ვიცი ტვირთი მოვიხვიე მძიმე,  
არა სეტყვავ, ხელი აღარ მახლო.  
რიროჭრელით გაზაფხული მომყავს,

უფროთ ფრინველს გავუგზავნი ვარდებს.  
 ლოცვით სულეთს დავემშვიდებ მოყვასს,  
 ირმის რქებით ჩამოვკიდებ ფარდებს.  
 საქართველოს მუხლს მოვუყრი მუდამ,  
 ფრთებს შევასხამ სიყვარულით მკითხველს.  
 რეროს ვმღერი, მზე მახურავს ქუდად,  
 თუ გსურთ სითბო ჩემს გულს მოაკითხეთ.  
 ენძელეებსაც დაგიკრიფავთ რამდენს,  
 ბურუსის დროს თქვენთვის ლექსებს დავწერ...  
 იცით? მაღლი მე კვალდაკვალ დამდევს,  
 თოვლო, ფიფქით ნუ მინამავ ლანვებს.  
 შეშასავით ვინვი საქმის ალში,  
 ეს მიჯდება თუმც სიცოცხლის ფასად.  
 გაზაფხულთან მე არა ვარ ვალში,  
 მინდა ბევრჯერ, რომ დავუთმო ქარსაც.  
 ომის კადრებს ახლა კი არ ვხედავ,  
 საქართველოს წარსულშიაც ვტირი,  
 ასი ერთთან... ერს ქუდბედად დასდევს,  
 ვერხვის ფოთლებს სისხლს უშრობდა ფითრი.  
 თვალზე ცრემლი ბევრი მქონდა წინათ,  
 ცხრა აპრილის ქარი ზმუის ჯერაც...  
 სამშობლოსთვის მუდამ თავს გაწწირავ,  
 ბედისწერამ თუ მე დამიჯერა...



## ხვანი

(ჩემი სოფელი)

ხვანო, აპრილის სამოსი გმოსავს,  
ტყე იკვირტება თოთო ნეკერით...  
მიუალერსე ფაქიზ-ნაზ შრომანს,  
გულიც, დაუთმე დარდით ნაკერი,  
იქ გავიზარდე მდინარის პირას,  
ჩამომემარცვლა ფიქრით წარსული,  
ხვანო, მესიზმრე ძალიან ხშირად,  
თორემ მზე არის უკვე ჩასული.

## ეს საუკუნე

ეს საუკუნე საფრთხილოა, ცდუნებისა...  
საქმის სიახლეს სისხლი მოსდევს,  
წვეთავს ვენიდან.  
– დრო არ იცვლება,  
დღეები კი წამებისაა...  
ო, ღმერთო ჩემო,  
დაგვიფარე განსაცდელისგან.



## სხემს ჯვრის აოეში

თებერვალმა სუსხი ჩემთვის მოუმატა,  
 ცამაც გულში ჩამიღვარა დარდის მწუხრი.  
 რამდენს ვუძლებ, სევდას სევდა დაემატა...  
 ერთხელ მოვკვდი, მაგრამ სიკვდილს თავს არ ვუხრი.  
 მიცნობთ უკვე კლდედ ვიქეცი, ფიფქებს ვფანტავ...  
 ლომისის ხატს შევავედრებ მთას და მდელოს,  
 სიყვარული გვქონდეს ყველას ანდამატად,

ღმერთო, იქნებ საქართველო გამიმთელო...  
 ვარდის სურნელს გადავაფრქვევ დედამინას,  
 რიგში ვდგავარ სათნოების სასახლეში...  
 იმედები თუკი კიდევ დაინიკნა,  
 საქართველოს არ ჩავუგდებ უცხოს ხელში.

პაპის გუთანს, ღმერთო, ქალი მოაშორე,  
 მომბანას მოვეშვათ და ვიყოთ ფრთხილად...  
 ეს ის დროა, რომ ვუვლიდეთ ღობე-ყორეს,  
 ტოტზე ვსხედვართ და უფალმაც გაგვაფრთხილა.  
 იმედის კვალს ბოროტებით ნულარ ვჩიჩქნით...

ქარსაც რბოლა თავისთავად მოსწყინდება.  
 აღარ ავყვეთ მოენეთა უქმად ჩიჩინს,  
 საქართველო უსათუოდ გაბრწყინდება!



## კოკას შვევეკითხა

კოკას შვევეკითხე, ხომ არ დაიცალე,  
ხომ არ დაგელექა, დარდი ფსკერის ძირას,  
ხედავ, მოვედი და შენთვის მოვიცალე,  
ერთად ვისაუბროთ, ქუჩის განაპირას.  
კოკა დაფიქრდა და უტყვად მომაჩერდა,  
მივხვდი მის ღუმელში, შიშის სინდრომია...  
კოკა სულის წყაროს მაშინ გააშრობდა,  
თუკი არ დავწერდი, გრძნობის სიმფონიას...  
კოკავ, ამოავსე, ლექსის წყლის საცავი,  
მზად ვარ, მოგანოდო ლექსი თემატურად,  
არ მსურს დამიძახონ, უი, ეს სანყალი,  
თუნდაც ჩაიცინონ, ჩემზე ცინიკურად.  
დავწერ სიყვარულზეც, წარსულს გავიხსენებ,  
აბა, სადღეისოდ დარდი მეძალეზა.  
ჩემი წყლის საცავში, პირს თუ გაისველებთ,  
გრძნობის ღველფ-ლადარში, მზე თუ გემალებათ,  
აჰა, ჩამოგისხით, ლექსი ზედაშისა,  
შესვით, გადათვერით, ერთად მოილხინეთ,  
ღვინო დავაყენე, ქართულ ვენახისა,  
რადგან ჩემთან ერთად, ბევრჯერ მოიწყინეთ!



## ხვანი ჯა ჭავანი

ხვანის, ჭალვანის ბუნებას,  
 ღამე სიზმარში ვნახულობ,  
 ეს, გრძნობა არა ხუნდება,  
 ფიქრს უნდა გაიზაფხულოს.  
 იქ, მე, დავტოვე ბავშობა,  
 ია-იების სურნელი,  
 ძირულის პირას ანცობა  
 თმებს, რომ მიწნდა კუნელი.  
 იქ, კვლავ ბევრია ძმერხლი და,  
 მიქლიო, ვარყა, ნიყვები,  
 წყალს ეცეკვება ვერხვი და...  
 ქარისგან განაბრიყვები.  
 ზოგჯერ მდინარის შლევ ტალღას,  
 მოყვება დიდი კალმახი,  
 ცეკვავს, არ იცის დაღლა და...  
 ტაშს უკრავს მწვანე ბალახი.  
 იმ წალკოტის შვილს ახლაც კი...  
 თავს შემახსენებს, ვარდები,  
 ტყეს ნისლები აქვს ალყად და...  
 იმ მთებში კვლავ ვიბადები.



## ქალი მზეა

ქალი მზეა, მის გარეშე, გულს შეცვივა,  
ოჯახია, შვილია და ნამატია,  
ქალმა გული თუ გაგიტოვოთ,  
თუ შეგცინათ,  
თუ უყვარხართ,  
ის ყველაფრის ამტანია.  
ქალის გული,  
ყინვას ადნობს თოვლიანში,  
ქალს მიენდეთ,  
მომჭირნეა გაცილებით,  
ქალი არის,  
რომ გინათებთ მთვარიანში,  
ქალს უბრალოდ  
ნურასოდეს დაცილდებით.  
ქალი გჩუქნით,  
შვილებსა და შვილიშვილებს,  
ბობოქარ კაცს, დაამშვიდებს, გაანაზებს,  
დაგანაყრებთ, სიყვარულს არ გაშიმშილებთ,  
ქალს კაცებო,  
ნურასოდეს გააბრაზებთ!



## ჯაისში

აღარ ველოდი, ავდარს დაისში,  
 მზე თვალს ხუჭავს და სუსხია, ყინვის,  
 არ ვიზიემებ ალბათ მაისსში,  
 რადგან ზაფხულშიც დღე არის ცივი.  
 გამოიდარებს, შუადღის შემდეგ,  
 ნერგებს ეზოში კვლავ გავახარებ...  
 ქარო, ზედ გულზე რომ აღარ შემდეგე,  
 ჩემს სიახლოვეს არ გაგაკარებ!

\* \* \*

უფლის მოყვარულთ, კეთილებს, სათნოს...  
 ცისკრის დილებში ემოგზაუროს...  
 უნცროს უფროსის შეეხათროს და...  
 ხვალის მომავალს სულ ეხმაუროს!

## შეგხსხვება

სად გაქრა ის ნუთი, ამაგის სიუხვე,  
 ლუკმასაც არ ვტოვდი, არასდროს საჩემოდ...  
 გაიგებ შეცდომებს, ეგების მიუხვდე,  
 სიკეთის გზები მსურს ისევ მე გაჩვენო...  
 არ მკითხავ არაფერს, წადი და იფრინე,  
 ალბათ კვლავ შენითვე, შეარჩევ დასაფრენს...  
 ბოლოს კი ჩემთანაც, თუ შემოირბინე,  
 არ გეტყვი საყვედურს, არ გეტყვი არაფერს.  
 შეგრცხვება, სინითლე გადაგკრავს სახეზე  
 და დასჯილ ბავშვივით, დაიწყებ შფოთვასაც,  
 რად მინდა ეს გული, შენ უკვე გახეთქე,  
 ცოცხალი სხეული, მინაში მოთავსდა!

## წიგნის სარიგაჰი

მკითხველო, გავხდი ობობას სატრფო,  
ნესტში ვარ, გელი, ვერაფრით გავშრი,  
თვალით დაგეძებ, ყოველდღე გნატრობ,  
მე, ვტირი როგორც პატარა ბავშვი.  
მომხედე, მტვერი შემომაცალე,  
გადაშალე და დაიწყე კითხვა,  
ჯადოსნურ ქსელში რატომ გამცვალე,  
ან, რა გირჩიო, კიდეც რა გითხრა.  
ჩემით ისწავლე, ანი და ბანი,  
აი, ია და მწვანე ჯეჯილი,  
შემომხედე და ვერც კი მიცანი,  
გვერდზე მიმაგდე გულგაგლეჯილი.  
მე არ მჭირდება, ჩართვა გამორთვა,  
ტექნიკის ცოდნა არანაირი,  
არც მაუსი და არც ფერთვა მორთვა,  
არც სანვაგები ნაირნაირი.  
წიგნი ვარ, წიგნი მტვერდადებული,  
დანუნებული ამ საუკუნის,  
შენი სულიდან გამოდევნილი  
და მოჩურჩულე, ღამის უკუნი.  
მე, ვარ ილია, მე ვარ აკაკი,  
იაკობი და ვაჟა ფშაველა,  
მე ვარ, ზღაპარი, მე ვარ, არაკი,  
მე, წიგნი მექვია ერთი მტკაველა.  
ე, მაშინ, ალბათ აღარ მოგკვდები,  
მკითხველო, ჩემთვის თუ მოიცალე,  
წამიკითხე და გამოვცოცხლდები,  
თორემ საცაა გარდავიცვალე.

## წიქახა

როგორ მიყვარს, ქართულ ჯიშის,  
 წიქარა და ნიშა ხარი.  
 სულ არა მაქვს მათი შიში,  
 თუმც ატეხოს ყველგან შარი.  
 ის ჩემია სისხლი ჩემი,  
 რაც არ უნდა დააშაოს,  
 როგორ მტკივა, შარშანდელი,  
 ქარი ცდილობს დამაშოროს.  
 ალიონზე, ყივის სისხლი,  
 დილა მაინც გათენდება.  
 ძმა, ძმისათვის ტყვიას იხლის,  
 ძმისთვის, ცეცხლში ჩავარდება.  
 გაიზრდება წიქარა და...  
 უნაგირით დამშვენდება.  
 ნვიმის შემდეგ იდარებს და...  
 სახლის ჭერიც აშენდება.  
 მიყვარს ჩემი, რაც ჩემია,  
 მერე რაა... თუ მას ვძულვარ...  
 გული წყენას ნაჩვევია  
 უსაფუძვლოდ გამოხრულა.  
 ცუდიც მიყვარს ქართულ ჯიშის,  
 წიქარა და ნიშა ხარი.  
 ჩემი ჩენთან გამოუშვით,  
 ყველაფერს აქვს უკვე ზღვარი!



## გულის გამოძახისი

### გულიადა სანოძეს

აღარ მაქვს დარდი, არ ავიცრემლებ თვალებს ხვალიდან,  
რადგანაც ვიცი კვალი უკვე მოსჩანს მკაფიოდ,  
ჩემი ლექსები ახმიანდა ისეთ ქალიდან,  
რომელშიც არის ეროვნული სულის ძაფიო...  
მაშ გამარჯოს საქართველოს, იმ სისხლის წვეთებს,  
რომლითაც უკვე გაიჟღინთა ქართული მიწა,  
ო, ქარიშხალო, პოეტი ვარ ნუ დამაფეთებ,  
მე ბედისწერა დარდის ნაწნავს უშენოდ მიწნავს!  
მაშ გაუმარჯაროს, საქართველოს ღვთის დიდ მსახიობს  
გვარით სანოძეს, გულიადას, დედას ერისას,  
დღესვე მიწა რომ ის დარდები ხელით დავხიო,  
ლექსებს მზის შუქი, ქალბატონო, შენით ეღირსა!  
მაშ გაუმარჯოს, ხონელებს და ხონის არწივებს,  
ვინაც ყინვები ჩამილენა გულის ტკივილის,  
ოდნავ ხომ მაინც ამომიშრობთ ბედით ნაწვიმებს,  
ყინით ამანთეთ კვლავ მომიწადა სისხლის ყივილი!  
მაშ გაუმარჯოს, ხონის მართვეს, მაია წყნეთელს,  
რომ დასრიალებს, ეროვნული სულის მარხილით,  
მჯერა მომირჩენს, და უწამლებს გულს დანაფლეთებს,  
ჩემი ლექსები არის გულის გამოძახილი!



\*\*\*

დედამინის ყველა კუთხეს, ალბათ,  
 შემოვუვლი სიყვარულით მთვრალი,  
 წლობით ნათოშ, გაყინულ გულს დათბა...  
 პოეტი ვარ, ეროვნული ქალი!  
 გამოვლენე ყველა დარდი გულში,  
 ტკივილების უსასრულო კალო...  
 დამავინყდა, რაც მწყენია გუშინ,  
 ნულარ ქროლავ სიახლოვეს ქარო!  
 კვლავ გამოვზრდი, გიორგის და მათეს,  
 თამარის და გმირ – მაია წყნეთელს,  
 წინაპრების ვალი ბევრი გვმართებს,  
 გულს მოგიჩენ, მტრობით დანაფლეთებს!!!





## ხის სიამაღე

### ლილი შუბითიძეს

ლილი დაო, უკვე, ცაში სახლობ,  
გულხალასავ, გულთბილო და ტკბილო,  
არ მიწყინო სიზმრად თუ ვერ განახო,  
მინდა ცრემლი შენც არ დაგანახო.  
მოიოხე გული... ქმარი ნახე?  
ნახე ძმები... დემური და ლევი,  
თამაზიმ კი აგარიდა სახე,  
ბედნატანჯმა...სიყვარულის მზერით...  
ერთადა ხართ?... ცათა სახშლი დაო?  
მამიდები გადაკოცნე ტკბილად,  
ჩემი გელა ალბათ მადაც დაოხს,  
დედის გული ბედმა რომ დაკბინა...  
შენ კი მარი, ბედით ჩემნაირო,  
არ გაუწყრე, ლილის თუ გაცინებს...  
ან თუ ხუმრობს, ანდა თუ შაირობს,  
დარდებს უნდა დაო გაგაცილოს!



## იმიჯის ტახტი

იმედის ტახტი შევიძინე კაკლის მასალის,  
 დიდი იყო და საქართველო დაეტეოდა...  
 იქნება ქარი ჩამდგარიყო, ცივი, აშარი,  
 თორემ ერს გულზე, მწუხრით, დალი დაეტყობოდა.  
 აჰა, თქვენია, დაისვენეთ, გამოიძინეთ,  
 დამშვიდებულმა გაიღვიძეთ მამლის ყვირლზე,  
 მერე სუყველამ სიკეთის მთა გადაირბინეთ,  
 არ ისაუბროთ არასოდეს სულის ტკივლზე.  
 ძმურად გაყავით ყველა ლუკმა ნაწილ-ნაწილად,  
 და წამლის აბი მიაწოდეთდიდს და პატარას...  
 ყველას დედა ვარ, თუმცა ბედით ბევრჯერ მანვიმდა,  
 თქვენთან უფალმა სიყვარული გამომატანა.

## ყვეა ივანესას

დაბადების დღეს, მიულოცავ ყველა ივლისელს,  
 თბილი გული აქვთ, ზაფხულის დღეს დაბადებულებს...  
 მოგეფერებით, რუსთაველებს, დედა-თბილისელს,  
 გულით მოგიძღვნით, სათითაოდ, ფიქრის კრებულებს.  
 ლოცვას გიგზავნით, მადლის სიტყვებს, გულის მალამოს,  
 მზის სხივის კონას, სიყვარულის საგალობელად,  
 დარდიანი ვარ, მაინც ვიმღერ, თქვენთვის ალილოს,  
 თუმცა შორსა ვარ, გული თბილ გულს უახლოვდება.  
 არა გეტკინოთ, ასი წელი ილხინ-იცეკვეთ,  
 იგაზაფხულებთ, იზეიმეთ, იბედნიერეთ,  
 წლები სიცოცხლის, ყველა გოგომ გაიასკეცეთ,  
 დიდი მწერვალი, ცოდნის მთების გადაიარეთ!



## მიიძინა

ოლია შუკაკიძეს

მის ლურჯ თვალებში დათამაშობდა,  
სიკეთის სხივი, ალალი, ნრფელი,  
მეუღლე მასთან სევდით ვახშმობდა,  
ულალატოდ და დარდებით მთვრალი.  
წავიდა ნაზი ღიმილ-ბაგეთი,  
გენაცვალეთი გარდაიცვალა,  
ასეთი ტანჯვა შეხვდა განგებით,  
ოჯახს ჯებირი გამოეცალა.  
მარიამობას მიღულა თვალი  
მიიძინა და ცის სახლს ესტუმრა...  
აქ მოიხადა ქმარ-შვილის ვალი,  
მას წმინდა სული მხრებზე ეხურა.  
მეც ვენაცვალე, თბილსა და კეთილს  
დასავით კარგს და ლამაზ დაიკოს,  
ჯანმრთელობისგან გულგატეხილს და...  
ვწუხ! დროებითი გზები გაიყო.  
ბოლოს იქ ვნახავ, ცის მნათობებთან,  
რადგან მზესავით მზისგულა იყო.  
თავისი გულით ყველას ათბობდა,  
თუნდაც მის გვედით მტერიც მდგარიყო.



## ნუხავინ გაყიდი

დილით ხმა მომესმა, ჩიტების ჟღერტულის,  
 ტყემლებიც ყვაოდა, ბალიც და შინდებიც...  
 ყვაოდა ჩემს ბაღში, ნითელი ტიტები,  
 აპრილო, ქარ-წვიმებს ნუ შეუშინდები.  
 ნაბიჯი გადავდგი, კოკორი ვარდისკენ,  
 ცვარნამით, სველ ფურცლებს უშრობდა დილის მზე,  
 თვით დილა იხდენდა, ხასხასა ვარდისფერს...  
 ვარდია ბუღბულის, გრძნობების სამიზნე.  
 სიცოცხლე იცოცხლებს, ხმამაღლა ავყვირდი,  
 ქუჩები ნათდება, იმედის ნათურით,  
 ხვთიშობლის ამ მინებს, ნურავინ გაყიდით,  
 აქ, ვაზი იზრდება, ღვთით ალადასტური!

## მინდა გჷხოვთ

მაისის ვარდებს  
 არ შეყვებათ ნისლის ფერები,  
 არ იტირიბენ ტირეფები,  
 ავდრის დღეებზე,  
 ტყის სურნელებით,  
 ჩიტი მზისგან მონაფერები,  
 გადათვრება და ბუდეს დაფენს  
 თუთის ხეებზე.

-----

მინდა გ ჯ ე რ ო დ ე თ !



## თენჯიბა

თენდება,  
ნატვრად მაქვს სიშვიდის სიცოცხლე,  
ხალხისთვის,  
თორემ მე, მაკმარებს უფალი,  
სულ ვამბობ,  
ჩემს სიტყვებს არ დანვავს სიმორცხვე,  
რანდენჯერ,  
დამდინდა ცრემლების კურცხალი.  
თენდება,  
გათენდეს, სიცოცხლით გათენდეს,  
იმედის,  
სხივებმა დამფუფქოს ღანვები,  
სუყველა,  
დიდ სანთელს უფლისთვის ანთებდეს,  
არ იყოს  
შიში და არ იყოს განცდები.  
სიჩქარის,  
ნაბიჯებს ვითვლიდე ქუჩაში,  
ზოგი,  
რომ გარბის და...დედა ბავშვს გაყვირის,  
ბიჭოვო,  
არ დაგრჩეს წიგნები უჯრაში,  
მტერმაც კი,  
იპოვნოს სიმშვიდის ნაპირი.  
თენდება,



### იმაჯების კოშკი

დაღამდა ეს დღეც,  
როგორღაცა დაღამდა მაინც...  
ისევ იმედი, აბა რაა, იმედს მოუხმე,  
დაველოდები  
ამ თვის შემდეგ თბილ ლამაზ მაისს,  
წინსვლის ბილიკებს,  
ქალი ვარ და რწმენით აუხვევ.  
დაღამდა ეს დღეც,  
განცდას ვმალავ, ვითომდა რაა,  
მთელი მსოფლიოს განგაშია,  
მთვარეც წუხდება,  
ბედი- ბედია, ბევრჯერ კარგი  
და ბევრჯერ ბრმაა,  
ჩვენს საქართველოს შემოავლო,  
ღმერთმა არშია.  
დაღადა ეს დღეც,  
გათენდება მშვიდობის დილა,  
ცისკრის დილის მზით  
გაბრწყინდება ისევ რიჟმაჟი.  
ქართველის გულში  
ყინვის დროსაც, ყოველთვის თბილა.  
ზოგჯერ დრო არის  
შფოთიანი ანდა გიჟმაჟი.  
ვიცი და მჯერა,  
ყველაფერი სწრაფად ჩაივლის,  
ღმერთია ჩვენთან  
ერის შვილნო, მენდეთ გამიგეთ,  
ეკლის ბილიკებს,  
ჩვენ უშიშრად სწრაფად გავივლით,  
ჰოდა ამიგომ,  
იმედების კოშკი აგიგეთ!

## ახ ინწიომ

აპრილო გთხოვ, შენ აჯობე მარტის ცივ თვეს,  
 ზეცავ, აპრილს თოვლით ნულარ შეაშინებ...  
 მოვისრისავ თვალებს, ცრემლით ღამე ნათევს,  
 მზეც სხივებით, იმედის კოშკს ამიშენებს.  
 შენ აჯობე, სიკეთეში შეეჯიბრე,  
 მარტითაა ეს მსოფლიო დარდიანი.  
 უკვე მტკივა, გულზე ნულარ დამაბიჯებ,  
 არ გამოდგე, მკვლელი თანაც შარიანი.  
 დავიღალე, ღამის თევით დავიძინებ,  
 შემპირდი, რომ მთელ მსოფლიოს, დაამშვიდებ,  
 არ ვიდარდებ, ძველებურად გავიცინებ,  
 იმედს ჩემსას, აღარასდროს გავაშვილებ.  
 საყვარელო, შეიკერე თეთრი კაბა,  
 შიშჩამდგარი დილა რწმენით შეამაგრე,  
 შეისუნთქავს, სუფთა ჰაერს ხალხი ხარბად,  
 სევდის ყანა, მზის სხივებით გამომარგლე!





## ჯაგეროქები

ფიქრის სახლში ვარ ჩაკეტილი, ყოველ საღამოს,  
მსოფლიოს მინდა მოვეფერო, მივცე ნუგეში,  
სიტყვა მაინც ვთქვა საალერსო, ტკბილი, საამო,  
და არ ვამყოფო, თუნდაც მტერი, ცრემლის გუბეში.  
ეს, ის დრო დადგა, ჩვენ განვსაჯოთ, ცუდი და კარგი,  
მე, უკან ვიხევ, სიამაყეს ფეხით მოვსრისავ,  
ოღონდ აშორდეს, ჩემს ქვეყანას, შფოთი და დარდი,  
მოყვასი მინდა, ცრემლიან თვალს მზეზე აშრობდეს.  
დარჩით სახლშიო, კი, ბატონო, ვემორჩილები,  
სახლში ვარ თბილად, თუ, მიკითხეს, არა მიშავს რა,  
რად მინდა ის დღე, თუ დავადდა, ჩვენი შვილები,  
ვხედავ მსოფლიოს ეს, სიკვდილი სულ გამონშირავს.  
დაგეჩოქები დიდო ღმერთო, დაგვაანყალობე,  
შეგვინდე ცოდვილთ, ყველა ცოდვა, უმადურუბა,  
გთხოვ, საქართველო, ძველებურად ააგალობე,  
რწმენა მაქვს შენი, სიმშვიდე, რომ დაგვიბრუნდება.



## დავიძინო?

დავიძინო? კი ბატონო თვალს მივლულავ,  
 ფიქრი მაინც აბდა-უბდა ხეტილობს,  
 რას ხმაურობს  
 ნეტავ ხვანში იქ ძირულა,  
 ნეტავ ძერა,  
 თავზე ხომ არ დატრიალობს...  
 დავიძინო? ძილი რომ არ მეკარება,  
 სად არ ვნდები,  
 ვინ ვიდარდო აღარ ვიცი,  
 აი, ამ დროს ჩემი მტერიც მებრალება,  
 მასზეც ვფიქრობ,  
 დამიჯერეთ და განვიცდი.  
 დავიძინო? კი ბატონო დავიძინებ,  
 მხოლოდ დილა  
 გამითენდეს ჟრიამულით,  
 ღმერთო, ამ გულს  
 დარდით ნულარ დამიმძიმებ,  
 მტერ- მოყვარე,  
 ერთად ვნახო მხიარული!



## ხმენა

სიცოცხლე რააო, იკითხავს ვილაცა,  
პასუხი ერთია, წრფელი და გულლია.  
რწმენაო, ეს სიტყვა რამდენჯერ იმარცვლა,  
ახლა კი, ამ წვიმებს არ გადაუღია.  
არ მძინავს, იმედებს კვლავ ისევ მოუხმობ,  
მინდა, რომ გისურვოთ ტკბილ-ტკბილი სიზმარი.  
თუ ყინვამ ხის ტოტებს, ფოთლები მოუხმო,  
რწმენითვე დასახეთ, სიცოცხლის მიზანი.  
გჯეროდეთ ჩემიც და... სულ გწამდეთ უფალის,  
ჩადგება ეს ქარი, ასე რომ ყიალობს...  
მე ჩემი სამშოვლოს, ვარ ჭირისუფალი,  
ამიტომ მზის დროშა, მსურს ავაფრიალო...  
...და მერე დასხედით, მზის ჩრდილში ქართველნო,  
შეიშვრეთ ცრემლები, ასე რომ გასველებთ,  
შეხედეთ ჩვენ ცაზე, ისედაც ნათელობს,  
ინათე, არ ჩაქვრე, იმედის სანთელო!



**ჯჯის მიხვანაჲუაჲის ჯჯა**

ნეტავი რას გრძნობს, რას განიცდის, თქვენი სულები,  
 ვინ იცის შფოთავთ, ვერ ისვენებთ, და სევდიანობთ,  
 ეს დავადება არის, მართლაც დიდი სულელი,  
 ან სად გავფანტო, რომელ მხარეს გავანიავო.  
 დავმშვდდეთ მინდა, საქართველოს არა უშავს რა,  
 აქ, შედარებით სიმშვიდეა, ნუშიც აყვავდა,  
 თუმცა ნაღველი, ამჩვენევია ბალს, სკვერს და ქუჩას,  
 ეს დავადება ბოროტებით, სუმთლად დაბრმავდა.  
 თითქოსდა გული სამუდამოდ უკვე გაჩერდა,  
 ვხედავ ხის ტოტებს თოთო ყლორტი ისევ შერჩება.  
 იმედი, რწმენა ამ ჩემს ფიქრებს მაინც დაჩემდა,  
 ხმამ ჩამჩურჩულა –

საქართველოო კვლავ გადარჩება!



## თუკი ვინმე იშიშვილებს

თუკი ვინმე იშიშვილებს,  
ან უნამლოდ გარდიცვლება,  
თუ სიკვდილი ხმალს იშიშვლებს,  
იმედი თუ დამცილდება...  
მოლოდინი რალაც ცუდის,  
თოვლისა და ავდარისა,  
იმედს მაინც კვლავ დაუცდი,  
პანტას შევჭამ ნაქარისას.  
მოვცოცხლდები ხელმეორედ,  
მსხალსაც დავჭრი ნანილებად...  
ჩემსას თუკი დამაშორეს,  
კვლავ სხვებს გავზრდი არწივებად.  
რაი, დარდი რის დარდები,  
ღმერთი შველის ყველა ალალს,  
მე თუ ხრამში ჩავარდები,  
მტერს შევძახებ, მაღლით სალამს.  
გამარჯობა საყვარელო,  
როგრა ხარ მოვიკითხავ,  
ნაქცეული კვლავ ქართველობს,  
მას თუ უნდა ნუ მიკითხავს.  
მდიდარია? რა მერე,  
ღმერთმა მიცეს რაც უნდოდეს,  
თუ არავის მიეფერე,  
გული ბოლმით თუ გაგუდე...  
ბოლოს მასაც მინა შეჭამს,

საკითხავი არის სული...  
 არამ ლუკმას თუ გაღეჭამს,  
 იქვე, დგება აღსასრული.  
 იმ ქონებას თავგი დაღრნის,  
 გამოუღრნის, ძუნწს გულს ჭია,  
 ბედი პირში უდებს აღვირს,  
 მინას წამში ამოჭრიან.  
 ზოგიც წამში პირს აუკრამს,  
 არა მჯერა არ იცოდეს,  
 არ იყმევლებს ყურმა, მურა,  
 ძუნწს ძაღლებიც არ იცოდებს!

### ახ შეგეშინდეთ

არ, შეგეშინდეთ, სიყვარულის კარი გააღეთ,  
 გრძნობის ყურძენი ჩამონურეთ, დააბადაგეთ,  
 რაც უნდა ქარმა იზმუილოს, თუნდაც გაავდეს,  
 ერთად დადექით, ქრისტიანნო, მტერი გააგდეთ.  
 აგერ მზის სხივიც, გამოგიღობთ ყინვის ლოლოებს,  
 გაათმაგეთ სიყვარული, გაახანგძლივეთ,  
 ერთიანობა, სუყველაფერს დააბოლოებს,  
 და ცუდი ფიქრი, თუნდაც შიში, ერთად დაძლიეთ!



## სხმა ხა გზაა

გელოდები,  
გაზაფხულო, ძველებურად,  
აპრილის თვემ  
ეგებ შვება მომიტანოს,  
თორემ გული,  
ნისლით სულ მთლად დაიბურა,  
დარდის მთებმა,  
ქვესკნელში არ ჩამიტანოს.  
გადაგაკრავ ერო,  
ძლიერ ტყავის არტახს,  
დაგაფარებ მზის სხივების  
წითელ საბანს,  
შენ გინამებ საყვარელო,  
სულის ხატად,  
შენ ტკივილებს, ჩემი თვალის  
ცრემლით დავბან.  
მაისის ვარდს გაგიხარებ  
სურნელიანს,  
იმედებით ვუმკურნალებ,  
ამ მოლოდინს,  
მარტი მუდამ, სულ ყოველთვის  
სულელია,  
მაგრამ ასეთს?  
არ ველოდი...!

## შენ ხარ მხსნელი

უნდა შევხვდეთ,  
 ცით მოვლენილ წვიმებს თუ,  
 შევეგუოთ ცდებს და  
 ძეძვის ხვიებსო....  
 შენ შეგყურებთ,  
 ვხედავთ შენით იმედს და...  
 შენ ხარ მხსნელი  
 განსაცდელის იესო.  
 ღმერთო, ჩემო,  
 გული დამინყალობე,  
 იმედები, სადღაც გადაწიესო,  
 ერი ჩემი, ბულბულივით გალობდეს,  
 დაიფარე, ქართველები იესო.

## ახ ჯამიჯონჯეთ ქაქთვეჯებო

დილის მზის სხივი  
 გაგიღიმებთ კვლავინდებურად,  
 გულს შემოგიტობთ,  
 გაგიცინებთ, მოგიალერსებთ...  
 ეს, თვე ძვირფასნო,  
 გტკიოდათ და გეუბედურათ,  
 მსოფლიოში რომ უცხოური  
 ხმალი ალესეს...  
 ა რ დ ა მ ი ღ ო ნ დ ე თ !



## გააჩნია

გააჩნია გზის სავალზე,  
სად შეგხვდება აღმართები,  
მე პირადად, ვქმენ სიკეთე,  
ვგზავნე ტკბილი ბარათები.  
ვიფიქრებდი? ჩემმა ვარდმა,  
მოფერება დამიშალოს.  
ვერ განსაზღვრავ, სად და როგორ,  
ეგებ მეც კი შემეშალოს.  
ჰოდა, ისევ გადავწყვიტე,  
გულის სითბო დავაფრქვიო,  
ვიყო მაინც კეთილი და  
ცრემლი აღარ დავაქციო.  
სულის შვილებს,  
ვინც არიან, საიდუმლო გაუმხილო.  
მე არავარ, ექიმბაში,  
ბრმას, რომ თვალი აუხილო.  
სიბოროტეს, სიკეთე სჯობს,  
რაც არ უნდა გაუჭირდეთ,  
ჯობია, რომ ნერგებს რგავდნონ,  
ვიდრე ცულით გადაჭრიდნენ.  
მინდა დედას დამიჯეროთ...  
არ იფიქროთ მტერზეც ცუდი,  
ღმერთი ხედავს ყველაფერს და  
ლუკმა მშიერს გადაუდგით!



## ვინ უფრო გიყვარს?

ვინ უფრო გიყვარს?  
 მკითხეს და მდუმვარ...  
 ვცემ პსუხსა და...  
 მაინც ვფიქრდები,  
 ოი, უფალო, ნეტავი ვინ ვარ,  
 ან ნამიერად რატომ ვფითრდები?  
 სარწმუნეობა მამული მიყვარს,  
 მიყვარს, ტაძრების მე მდუმარება,  
 ავი გულისთქმა ახლოს არ მიმყავს,  
 თუმცა გულს მძიძგნის,  
 დარდ- მწუხარება.  
 მიყვარს სულ სუფთა ანკარა წყარო,  
 უფლის თვალივით მილიმის მთვარე,  
 მშვიდი ვარ, ვფიქრობ,  
 არასდროს ვჩქარობ,  
 სტუმარს სულ ვუღებ ალაღად კარებს.  
 ხის სანნახელი ყურძენით მიყვარს,  
 წურვის დროს კრთის და თან მემალემა,  
 წმინდა მანდილით  
 თავს კრძალვით ვიკრავ,  
 ვგრძნობ რაღაც  
 სითბოს და მოკრძალებას.  
 რა შეკითხვაა, ვინ უფრო მიყვარს,  
 თავს მირჩევნია ჩემი შვილები...  
 ვინ მიცისკროვნებს, მე ამ სანუათროს,  
 მზე, ვარსკვლავები, შვილიშვილები!

## საჲ მსჯანია

ხიდი უნდა გავაკეთო სამეგობრო,  
რომ უშიშარად, გადიოდეს ყველა ერთად.  
სიყვარულით ისე უნდა ვამეგობრო,  
სუყველანი დავანყვილო, ფერი-ფერთან...  
სიკეთეზე, ლექციებსაც ჩავატარებ,  
ბავშვებისთვის, დიდებს უკვე რას ვასწავლი,  
მე, სიყვარულს წინაპრიდან დავატარებ,  
ამიტომაც მტერს ყოველთვის გავასწარი.  
გული ჩემი, არ დავტვირთე ბოლმისათვის,  
სიყვარული, უკურნებელ სენსაც კურნავს,  
სად მცალია, ბრძოლისა და დოლისათვის,  
დავფოფინებ, „ათინათის“ სულის ჟურნალს.  
მომავალთან, ისე ტკბილად ვისაუბრებ,  
მიანოდონ, მათხოვარსაც მწირი ლუკმა.  
ბოლმიანი, თავის შვილსაც გზას აუბნევს,  
კეთელი კი, ურჯულოსაც არ დაღუპავს!



## გზას გააგმამვამ...

### გიორგი არაყიშვილს

გზას გააგრძელებ გიორგი ზეცით,  
 იბედნიერებ, იბრწყინებ ცაში,  
 მარადიული სასმისი შესვი,  
 მარადიულად დასახლდი სახლში.  
 სურათთან სანთელს აგინებთ ყველას,  
 სარკმელთან ხშირად აქ სტუმრობს მტრედი.  
 თქვენ მხოლოდ ლოცვით გჭირდებათ შველა,  
 შვილს ცაშიც ესმის ლოცვები დედის.  
 ყველას დაგლოცავთ შვილებს, გარდაცვლილს,  
 რომ კვლავ ვაცოცხლო თქვენი ფესვები.  
 თუ ბედისწერა წლებს აქ დამაცლის,  
 არ მოგაკლდებათ ჩემგან ლექსები.

## ყავისფერ ტანზე

ყავისფერ ტანზე ბაბუანვერას,  
 თეთრი ბოხობის ქუდი ახურავს,  
 მივიღე ჩემი ფიქრების წევრად,  
 მის სიახლოვეს ვიდექ მსახურად...  
 ვაკვირდებოდი მის ფაქიზ სხეულს,  
 მივეკარე და გამიქრა ხელში...  
 გულის ცახცახით ელოდა რჩეულს,  
 როგორ მინდოდა მყოლოდა ჩემში.  
 რძე მოდიოდა თოთო ტანიდან,  
 ბზინავდა მზეზე ფაფუკი სახე.  
 ვდარდობ და ვდარდობ მე იმ ხანიდან,  
 ბაბუანვერას ხელი რად ვახლე...

## მტეხიო

მტერო, მოდი კარს გაგიღებ,  
შემოგიშვებ სახლში,  
საჭმელს ხელით გადაგიღებ,  
რომ არ ვიყო ვალში.  
შენ მეტს მოქცემ თუ რამე მაქვს,  
ერთ პირობას მოგთხოვ,  
ჩემი გული ჩიტის გულს გავს,  
შენ არ გამიხეთქო.  
ეგებ მოხდეს სასწაული,  
ერი დავამშვიდო,  
დღე არ იყოს მონამლული,  
სუფრას გადაშლიდნონ.  
ჰა, წაიღე, წასაღები,  
უნდა გაძღე მტერო,  
ჩემი გქონდეს გასაღები,  
დარჩი სანახევროდ.  
მსოფლიო რომ განცდაშია,  
შენ თუ გტკივა ნეტავ,  
საქმეც მგონი ამამია,  
წელში გადაგვტეხავ...  
სულ შეჭამე შესაჭმელი,  
არ ვინდომებ ლუკმას,  
მუცელი გაქვს გასაჭრელი,,  
ირბენ შუკა-შუკა.  
კორონას წინ შეეგბე,  
უნდა ჯობდე ღონით,  
მე კი თავი დამანებეთ,  
აღარ მიღირს ომი.  
ბიბლიაში წავიკითხე,  
მოუტეო მტერსო,  
მიტომ აღარ განგიკითხე,  
ბოროტების მწყემსო!

## სიზმარში (მეუღლეს ვახტანგ სხირტლაძეს)

ნუხელი სიზმარში ვახო, დაფუსფუსებდი სახლში.  
 მე მინდა ერთად გნახოთ, დათასთან ერთად სვანში.  
 იქ, ვნახო, გელა, ლევი, თამაზი, ბეჟან, მამა.  
 მერე დიდ მთაზე ზევით, ღმერთი რომ ყოფიდა სამანს.  
 სამანის იქით ბედს და... სამანის აქეთ ცოცხლებს.  
 მზე, რომ წვდებოდა ქედს და... ვუაღერებდე ხობებს.  
 უფლება მოსილ ბედს კი... არ მოეხვედროს ტყვია,  
 აღარ მირტყავდე კეტს და... ვსუნთქავდე სვანის ნიავს.  
 არ გავიგონო სიკვდილი, ახალგაზრდების ვახო.  
 რას დაჭენაობს სირბილით, თვალით არ დამენახოს.  
 გავგუდავ, ხელით დავახრჩობ, არ გამეკაროს ახლოს.  
 მიმინოსავით მდარაჯობს, ხელი არავის ახლოს.  
 არ გაეკაროს ჩემიანს, ნუ მტანჯავს ცრემლის დენით.  
 რა ბოროტული ჟინია, მომიკლა, თან რამდენი.  
 მტერსაც აცილდე, ის ელდა, რაც ჩემს გულს მოხვდა ვახო.  
 როგორ ისვენებს მად დედა, ბედი რომ ნერგებს ახმობს.  
 დედაო ხვთისავ დაიცავ, ანტიქრისტია კართან,  
 დედა შავს ნულარ ჩაიცვავს, ბედიც ნუ გვირტყამს მათრახს!



## მზის სამოსი

(ხათუნა ჩალაძეს)

შენ ხარ თბილი, ნაზი ქალი საყვარელო ხათო...  
ხან მგონიხარ ღმერთის დალი, და ამიტომ გხატრობ...  
ხარ სიცოცხლის მაყარი და... შენით მზე ამოდის.  
მოყვარე ხარ... მოყვრების და გმოსამს მზის სამოსი  
მაგ ბაგეთა ღიმილით კი... შუქ ფენ დღით და ღამით  
იოანე გილიმის და... ზღვა ჩერდება წამით.  
ტკბილ შვილებთან გაიხარე ბრძენთა-ბრძენო ქალო...  
გააბრწყინე არემარე, მზეთა ტყუპის ცალო.

## წაგას

წავალ ზეცაში, წავალ ბედით, ნაგვემ-ნაჯიჯგნი,  
რადგან ზაფხულის მოლოდინში, დავღალე თვალი...  
მე ცათა აღმართს მივუყვები, ფრთხილი ნაბიჯით...  
მთლად ვალმოხდილი.. სამშობლოსთვის მლოცველი ქალი.  
გაგიოლეთ, მოგიტელეთ ეკალბარდები,  
ნაჯაფ ხელებით ავაშენე, მადლის სასახლე..  
და ღვთის სამსჯავროს, როცა ბედით ღმერთს ჩავბარდები..  
როცა ცის სახლში თვალეზს გავახელ..  
დავტრიალდები... გადავფერთხავ, ღრუბლებს თქორიანს..  
შემომღიმილებს ვარსკვლავები ფერთა გამებით,  
წლები ავთვალე, ცაც არა სჩანს ძალზე შორია...  
იქ გაგრძელდება კვლავ სიცოცხლის ყოფნის წამები.



## თუმს ჯავუიქიჯავი

ვერ დაგამწუხრებთ,  
 მზის ყანები უნდა გავთოხნო,  
 უნდა დავთესო, ქერი შვრია,  
 პურის მარცვალი,  
 თუ დამჭირდება სახნისები,  
 უნდა მათხოვოთ,  
 მომწყინდა უკვე სახლში ჯდომა,  
 ცრემლის ღვარღვალი.  
 სასჯელი არის უქმად ყოფნა,  
 ვერ შევიშნოვე,  
 დილა – საღამოს ყავის სმა  
 და დანექ-ადექი,  
 ეს, თქვენთვის მინდა, მომავალო,  
 თუ კი ვიშრომებ,  
 უქმად ყოფნის დროს  
 სახლიც ხდება, ტაო-კლარჯეთი.  
 ბებერი ხარის რქებიც მოხნავს  
 მიწის ყამირებს,  
 ჩრდილში ამოსულ ყვავილს  
 არ გავს ჩემი სხეული,  
 მე კიდეც დავრგავ,  
 შემაჯიბრეთ თოთო აპრილებს,  
 თუმც დავფიქრდები,  
 შრომას უკვე გადაჩვეული!



## თავისთავად

წვიმს და ისევ, თავითავად ღრუბელია,  
მოიწკუმპლა ტყე-პარკი და საძოვრები.  
ცის მნათობი დღესთან ალბათ უბარია.  
მოამრავლა სიღარიბემ მათხოვრები.  
ავდარია, ისევ-ისე ავდარია,  
სითბოს ვნატრობ,  
ბუხრის პირას მიფიცხებას...  
წარსულს ვეძებ, წინაპრები სად არიან,  
ქარი ამ დროს, ცინიკურად იცქირება.

მზის სხივებო, გაიღია გაზაფხული,  
ავვისტოში ბალი წვიმით არ მწიფდება,  
ამ ზაფხულსაც,  
გული თუ აქვს გამოხრული,  
მაშინ ჭოტი თავისთავად აწივლდება.



## სუთა წყაიო

მთაში წყარო, ჩუხჩუხობდა საამურად,  
 გამვლელის და გამოვლელის საიმედოდ...  
 იზრდებოდა, იქვე მოცვი, სატაცურა,  
 უფალმა სულ, ხვავ- ბარაქა, დააბედოს.  
 ხრამის ძირში, იები და ტყის შროშანი,  
 დიპ-დაირას, აყოლებდნენ ქარის შლიგინს.  
 გაზაფხული? ო, იმათთვის ჯერ შორს არი,  
 ჩემთვის?... მთთა ბუნებაა, ჩემი წიგნი.  
 დღეც წიგნია, ღამეც წიგნი, დარდიც წიგნი.  
 ის, ჩემია. გულის სისხლით ნაწერია.  
 ყველაფერი ინახება, გულის შიგნით  
 და სამშობლოს, სიყვარულში ნაწურია.  
 ზოგჯერ ვარდის ხეივანში თუ შევივლი,  
 არასოდეს, არ დავცნოსავ, რაც სხვისია...  
 თუნდაც იყოს, უპატრონოდ დარჩენილი,  
 სხვის ნათელი, უგზოუკლოდ მომისვრია.  
 თუ მწყუროდა, ო, ძნელია წყლის წყურვილი.  
 თუ ყველა სვამს, მელა, ტურა, მგელი, დათვი...  
 გამიქრება, იმ წამშივე სურვილი და...  
 მომავლისთვის, უნდა ვძებნო წმინდა თაფლი.  
 ურჯულოებს, ჩემს მიწებს, არ გავაკარებ...  
 ჭანგასაც კი, მოვსპობ, რომ არ გაიბარდნოს...  
 სათბუნებლად, ერს გულს საბნად დავაფარებ.  
 მომავალმა, რომ არასდროს დაიდარდოს!

## გაბიენჯი

გათენდი, ხუთო, მაისო,  
გათენდი, ვიგრძნო სითბო...  
არსად ჩანს შუქი მთვარისო,  
ნეტავი ხომ არ ითოვს.  
დაგეგმილ ამ დღის საღამოს,  
უნდა მწვეოდა ხალხი.  
ფიქრებო, აღარ დამღალო,  
შენ მუდამ მგზავრად მახლდი.  
ხუთ მაისს უფლის წყალობით,  
ველოდი ყვავილთ თოვას...  
გზა ვკაფე წვალეზ-წვალეზით,  
სევდამ კვლავ ხელი მთხოვა.  
სიხარულს სხვისას ვერგები,  
ვიხდენ ვით როგორც ჩემსას...  
დავრგე, ვახარე, ნერგები,  
ნაყოფიც გამოესხათ...  
სახლში ვარ, ახლა რა ვიცი,  
ჩაკეტილ სივრცეს, ვართობ...  
ვდარდობ და ველარ დავიცდი,  
ვგრძნობ უკვე ამას ვატყობ.  
მომნატრებია შვილები,  
დიდი პატარა ყველა,  
გულით არიან თბილები,  
კახა, სერგი და ბელა.  
ჩემს სითბოს, ვიცი ელიან,  
აკადემიის დედას...  
განა ეს ისე ძნელია,  
ყველაში ჩემს შვილს ვხედავ.

ჰო, და ხუთ მაისს ველოდი,  
 საჩხერიდანაც სტუმრებს,  
 გაგიკვირდებათ მღეროდი,  
 ლექსებით განვიკურნე...  
 ახლა, მარტო ვართ ფიქრებო,  
 დავემორჩილოთ კანონს,  
 როგორ ხართ მათათა ირმებო,  
 როგორ ხარ, ჩემო ხვანო???

### ხაჯ მინდა

რად მინდა ისეთი ლექსი,  
 რითმით ნაქარგი თუნდაც,  
 თუ ჩემი სისხლი შესვით,  
 თუ გულის ჯიჯგვნა გსურდათ.  
 არც მეტაფორა მინდა და,  
 არც სატრფიალო, მუზა,  
 ურემი გადაბრუნდა და...  
 ჯეჯილი გაიტრუსა.  
 ქალი, ქალს ყვარობს, კაცი, კაცს,  
 ფუი, ასეთის ყოლას,  
 ხელს ველარ ვკიდებ, მწვანე ხავსს,  
 თავზე დამყვირის მოლა.  
 სად გაგონილა ასეთი,  
 სიბინძურეზე ფიქრი...  
 მოშორდეს ჩემს ერს თავხედი,  
 მძულხართ, უშიშრად ვყვირი!

### თქვენთვის ვამბობ

ვარდის ეკალს, ხელს ნუ ახლებთ,  
მოერიდეთ, გულს გასერავს...  
მღვრიე წყაროს ნურსად დაღევთ,  
ნანობს, ვინც არ დამიჯერა.  
გზაში გამლელს ნუ ენდობით,  
რა სული აქვს, ხომ არ იცით...  
აიარეთ ჯერ ფერდობი,  
გამოცადეთ ძმდნაფიცი.  
თქვენთვის ვამბობ, დამიჯერეთ,  
ნაცადი მაქვს გულის ძგერა...  
სულაც არ ვარ მეიჯარე,  
სხვისმა დარდმაც დამაბერა.  
სუფრას როცა მიუსხდებით,  
ღვინოც გაქვთ და ხაჭაპურიც,  
ჭიქით მტერს ნუ დაუხვდებით,  
სიტყვა არ თქვათ უნმანური.  
გულკეთილი უნდა იყოთ,  
გულუბრყვილო არასოდეს...  
ძმები გვერდზე არ გარიყოთ,  
მტრის სახლში არ ხალისობდეთ...  
მოხუცებულს გაუღიმეთ,  
თქვენც ადგიხართ, ამ გზას რადგან,  
დღე ალერსით დაულამეთ,  
საცოდავად ფეხს რომ ადგამს.  
ჩემი დედა არ წამოქცდეთ,  
დედებს აღარ შეაგინოთ,  
არ თქვათ, სულიც რომ ამოგხდეთ,  
არასოდეს დაიგინოთ.

მე ჩემი გზა გავიარე,  
 გასაზრდელიც გამოვზარდე,  
 აღსარებით ვეზიარე,  
 ცის სახლისთვის გავემზადე.  
 გლოცავთ ყველას ვინც მომისმენთ,  
 მემეტება თქვენთვის სიტყვა,  
 გაეცალეთ გიჟს, მოისრეს,  
 სანამ კეტი გადაურტყავს!  
 თ ქ ვ ე ნ თ ვ ი ს  
 ვ ა მ ბ ო ბ . . . !!!!!

### ჩემი სოფელი

(ხვანის ღამე)

ჩემი სოფელი –  
 სიჩუმეში ღრმად ჩაძირულა  
 და ვარსკვლავების –  
 თავს იკლავს ცვენა...  
 ძილს ჩუმად უფრთხობს  
 ღამეს ძირულა,  
 ცაზე გადარბის,  
 ელვა ვით ფსვენა.



## ჯამიჯიო?

ეს, მაისი დავიჯერო?  
ჩამიქროლებს, უბარივით...  
ქარო, აღარ შემეჯიბრო,  
დავფუსფუსებ ფუტკარივით.  
პოეტები, ჩემი ღუმან,  
მკითხულობდნენ, აღრე ყველა,  
რად არიან ნეტავ ჩუმად,  
ქარმა ხომ არ გაახელათ...  
მათთვის გულს ვყოფ ნანაილ-ნანაილ,  
იქნებ მნადად შეუბრანო,  
თამადად კი ვნიშნავ არნივს,  
მიდღეგრძელოს იმ დღის ანემო.  
თორემ უკვე, ბაქი-ბუქობს,  
შემოლენავს, სევდა კარებს...  
დარდმა, რომ არ გამომშიგნოს,  
ის, დღე მაინც გავიხარო...  
ყველა მინდა ჩემთან იყოთ,  
ხუთში მეც რომ გავიღიმო,  
ბედო, აღარ დამიბრიყვო  
ტკვილად მინდა დამიღამო.  
მომეფერონ, მოვეფერო,  
მტერს ცუდი არ გაებედოს...  
ყურადღება შევიფერო,  
თბილი სიტყვა დამებედოს!

## ჯან უშეხუანი

დღე უფერული და უღიმღამო,  
 მიდის და უკან არც იხედება...  
 მოვა ღრუბელი კვლავ ამ საღამოს,  
 ჩემს და ძილს შუა გაიხიდება...  
 დღე არ ფუსფუსობს, დუმს ძველებურად,  
 არ ჟრიამულობს ქუჩის ბიჭები,  
 არ ჩანს გიორგი, არ ჩანს ჯამბულა,  
 გული გამიხდა დანაჯინჭრები.  
 ვირტუალური გახდა ცხოვრება,  
 იმედი უკვე კბილით მიჭირავს,  
 ვერ გამიგია, რას იფხორება,  
 მსოფლიოს სახრე გადაუჭირა.  
 რობოტივით ვარ სხვისი სამართი,  
 გულის ისრები ავიდ-ჩვიდა,  
 უნდა გავიგო მზის მისამართი,  
 იქნებ ამიხსნათ საით წავიდა?





## ფინასებაი

ამ ღამის ფუსფუსში დაინერა,  
სიტყვები ლექსის მაგვარი  
და ღამეც ისე დაინურა,  
თვითონ აერია თავზარი.  
ეგონა, მას რომ დამათრობდა,  
დილას შევხვდებოდი ბარბაცით,  
ანდა დარდებით გამაქრობდა,  
თქვენც იცით ღამე რაც არის.  
შევერკინე და შემერკინა,  
ჰოჰო, რა მწარედ მირტყავდა,  
ცდილობდა, გულში რომ ეკბინა,  
გემი თვითონვე მიყავდა.  
შევატყვე, ღამე დაიღალა,  
სადღაც გაიძურნა ბანცალით,  
მაჯობა...ზეციდან დაიბლავლა,  
რას მერჩის დედინაცვალი?



## ჩოქიჩოქი?

როდემდე? ეს, კითხვები კვლავ მიჩნდება,  
 დარდი გამახსენდა შარშანდელი,  
 მზე ღრუბლებით ბინდდება და...  
 ღმერთო, ამაცილე განსაცდელი.  
 ისევ ამიყვავე ტყის შქერები,  
 აასურნელე მთა და ველი.  
 ბორბალა ააფეთქე ნაზ ფერებით,  
 გული დარდითა მაქვს განათელი.  
 მაისო, ყინვით ნუღარ გამაცივებ,  
 ლოდინმა, დამისერა ყველა ძარღვი,  
 ნვიმებო, თუ მზის სხივებს დამაცილებთ...  
 მაშინ თვალი ცრემლებს ისევ დაღვრის!



## ჩაიახა

ისევ დუმილით, დღემ ჩაიარა,  
ლამის ნყვდიადით ღამე შეშინდა,  
ვერ მოვიშუშებ ალბათ იარას,  
ჭოტი ხის ტოტზე, რადგან შეფრინდა.  
კენჭი ვესროლე, ღამის სიჩუმეს,  
ამით იმედი მივეც სამყაროს...  
ო, როგორ მინდა ვანთებდე ღუმელს,  
და ყველა დარდი ცეცხლში ჩავყარო.  
იქნებ ცისკარმა მამცნოს სიახლე,  
და დილამ ისევ შრომით დამღალოს...  
ყველას სითბოს და ამ გულს ვაახლებ,  
ახლა კი თვალი, ცრემლში ღვარღვალობს.  
იმედის ძაფებს ხელით დავართავ,  
ღმერთს შევავედრებ, დიდს და პატარას,  
მტრულად ჭინჭველას, ფეხს არ დავადგამ,  
რადგან წარსულმა, ცრემლში მატარა!



## შეხვედით სუხათს

შეხედეთ სურათს და აღარც ავხსნი,  
 როგორც დილის მზე, ნინოა გვერდით,  
 ამ საიდუმლოს მე ასე ახსნი,  
 ნინოა შვილი, მე მისი დედი.  
 დაბადებულა, ოცდაშვიდ აპრილს,  
 ჩემი შვილის დღეს საოცარია.  
 როცა მას ვხედავ, დარდს იქვე დავყრი,  
 იმ დღეს, ცრემლისთვის არა მცალია.  
 ვეხვევი, ვკოცნი, როგორც, შვილს დედა,  
 ისიც მეკრობა აძაგძაგებით,  
 ვერც ერთი ვხვდებით ჩვენ თავს რა ხდება,  
 ეს, ხდება მართლლაც, უფლის განგებით.  
 ვიცი ვუყვარვარ, მეც მიყვარს ისე,  
 როგორც პოეტი და როგორც შვილი.  
 თითქოს იმ ტკივილს, მალამოს უსმევს,  
 და ვხვდებით ასე ვით დედაშვილი.



**ოსჯაშვიც აახინს ჯაიბაჯე...**  
**(გელა სხირტლაძის გახსენება)**

დილის რიჟრაჟზე, ოცდაშვიდ აპრილს,  
დაიბადე და ყვირის ექთანი,  
ამ პატარას მე, ლომს და ვეფხვს ვადრი,  
ო, რა ბიჭია, ნახეთ ღმერთმანი.  
აცმაცურებდი ტუჩით ეძებდი,  
დედის მკერდს, დედაც იქვე ვიყავი,  
იმ, წამს ვირწმუნე, გაზრდას შევძლებდი,  
ვერ წამართმევდა, შენს თავს ჭილყვავი.  
თურმე ვცდებოდი, როცა გამრიგემ,  
შენ აგირჩია და მე დამტოვა,  
თუმცა სიკეთეს უხვად ვარიგებ,  
შვილის გარეშე გული მარტოა.  
ესეც ბეღია... ისიც ბეღია,  
მამტრევს და მსუსხავს, მას შემდეგ ტანში,  
ასეთი ტანჯვა, მეტისმეტია,  
დაბადების დღეს, გილოცავ ცაში.

\*\*\*\*\*

რაც შენ დამტოვე შვილო, ზეცას შევყურებ, იცი დედიკო,  
თეთრ ქათქათა ღრუბლებში დაგეძებ, ხან შენ ტანად მეჩვენება  
ღრუბლის ფენა, ხან თიქოს ჩემსკენ მოინევ და გინდა მომწვდე. ამ  
დროს ჩნდება ვილაცის ხელი გკიდებს და მაღლა მიყავხარ, ეს,  
ალბათ მამაშენია. ასეთი, ხედვები ხშირად მინახავს, ამიტომ  
სამეგობროდ კალამი ავირჩიე და არც შემცდარვარ.

ცისკარელიც ჩემს თავს მიტომ უწოდებ,  
რადგან ზეცაში ვარ ფიქრით შვილო!

## ჯაოსხვიანო ჯეჯაშინა

გათბი, დალოცვილო, დედამინა,  
 გათბი, აიღინე ოხშივარი,  
 ზეცამ სევდის სახრე გადამინა,  
 ეს დრო ჩემთვის გახდა დამცინავი...  
 ვდარდობ, ყველამ ერთად დამივიწყა,  
 შიშით, მეზობელიც არ მკითხულობს,  
 მინა გაიყიდა, დაინიქნა,  
 მიტომ უცხო რჯული დაბლუყუნობს.  
 გაძელ, შეეგუე მეუბნებით,  
 როგორ დაგიჯეროთ, როცა მცვივა,  
 ჩიტით ავსილია აივნები,  
 ტყემლებს ყვავილები ჩამოცვივა.  
 მე კი სახლში ვზივარ უღიმღამოდ,  
 ვეჭობ მაისშიდაც არ გავთბები,  
 თუკი ასე უნდა დავალამო,  
 ისევ სევდის ღვინით გამოვთვრები!



## აქიზია

აბა, როგორ გათენდები დილავე,  
თუ ეს შფოთვა, ჩანელდება დღისით,  
ამ ქაოსმა დარდი დამიწყვილა,  
ითოვებსო, იმ თვის დასაწყისშიც.  
მზის სხივებო, ჰოდა მიტომ შიშობთ,  
შეყუყულხართ, დედის ცხელ უბეში,  
უთქვენობით ცრელებს ველარ ვიშრობ,  
ან როგორ ვძლებ, ამ წვიმების ხელში.  
მენატრება, დილის ცვარის ეშხი,  
ვარდები, რომ მზეზე იშრობს სახეს,  
საქართველოს, თუ აცდება მეხი,  
დარდის თავშლებს სათითაოდ დავხევე.  
რომ შემეძლოს, მთებში გადაგმალავთ,  
განურჩევლად ყველას, თითო-თითოდ,  
ერის დარდმა, ძალზე გადამლალა,  
აპრილია, ღმერთო, ნულარ ითოვს!



## გაუსხოება

არ მეშინია, თუნდაც სიკვდილის,  
 გაუცხოების კი მეშინია.  
 ყურს აღარ ესმის, ხალხის სიცილი,  
 ეს, კოსმიური ბრძოლის ჟინია.  
 ცა ერხებება, დედამინელებს,  
 დაფიქრებაა ახლა საჭირო,  
 სახლში დარჩენა, რომ გამინელებს,  
 დარდი კვლავ უნდა გავინაპირო.  
 ცხვირახველი, შევნიშნე კაცი,  
 შემოტმასნოდა, ქალსაც პირბადე,  
 სალამს თუ შიშით, ჩუმად დავმარცვლი,  
 მაშინ ქართველად, რად დავიბადე?  
 უკაცრიელი გახდა ქუჩები,  
 ნაცნობი ნაცნობს არ ესალმება,  
 გაქრა იმედიც შენაქუჩები,  
 ზურგი მაქციეს უბნის ქალებმა.  
 ამის მიზეზი, ვძებნე და ვნახე,  
 გაუცხოების რად მეშინოდა,  
 კოსმოსი მცემდა ამ მწარე სახრეს,  
 ანტი ქრისტიეც კი მე დამცინოდა.  
 ფრთებს ანტი ქრისტიე რას დამიკეცავს,  
 გულს შეჯავშნული რწმენა მაცვია.  
 დროს მოთმინებით, მაინც დავკეცავ,  
 ანტის ვაჯობებ იმედ ძარცვიას!



## წვიმს, უსნაუხაჲ წვიმს

წვიმს უცნაურად წვიმს,  
ეს, წვიმა სხვანაირი წვიმაა,  
ვფიქრობ და ძალიან მწყინს,  
უცხოა ნეტავი ვინაა...  
წვიმა კარგია ჟუჟუნა,  
მინას, რომ დანამავს, სინაზით,  
ეს, წვიმა გადიქცა უკუნად,  
ამიტომ წკმუტუნობს ნაგაზი.  
ხანდახან თითქოსდა... დარია,  
წამებში იცვლება ამიდი,  
არ მღერის არავინ არიას,  
სახეზე ცრემლები დამიდის.  
აპრილში მზე აღარ ბატონობს,  
მაისიც კვლავ წვიმას გვპირდება,  
სევდავ, არ დამეპატრონო,  
ვგრძნობ უკვე გამიჭირდება!



თუმცა გაიზაა ყვაფილუბი

\*\*\*

თუმცა გაიზაა ყვაფილუბი,  
 ახლოს საფერებლად ვერ მივდივარ,  
 დღე-ღამეს მიყვება დაღლილუბი,  
 სევდაში მეც უკვე ბინდი ვარ.  
 სახლში ვარ, ფიქრიან ნისლებთან,  
 როდემდე, ღმერთო, შენ მიშველე,  
 დედა ვერ მისულა შვილებთან,  
 ცრემლებით თვალებს ვისველებ.  
 ვითმენდი ... ახლა კი ავყვირდი,  
 მომეცით ნება რომ ვიფრინო,  
 მე, ხომ თქვენ,  
 მზის მოსვლას დამპირდით,  
 ნისლში ვარ თავი რით ვირჩინო?



## საუზაფხე ჯგომიასი კვიხსი

ნითელი კვერცხი ვინაც თქვენ საფლვს,  
გადაგიგორათ გელა და ვახო...  
იმას უფალი, სულ გვერდით ახლავს,  
მის სულში მუდამ სიკეთე სახლობს.  
ვერ ჩამოვედი, ჩემო ქმარშვილო,  
მე ვერ შევებე, ცრემლიან მინას...  
რა დრო, დაგვიდგა, ან, ვის შევჩივლო,  
ვმფოთავ მსოფლიო, დარდის ნელს იწნავს...  
საფლავზე კვერცხი, ღვთის კაცს დაუდევს,  
ჩემო ქმარლშვილო, გულმდუღარებით,  
ვლოცავ და ამას, ღმერთიც გამიგებს,  
დარდს, დღე-ღამე, რომ ვატარებდი.  
ვლოცავ, იმ უცხოს ვინც გაგიხსენათ,  
არა ატკინო, ღმერთო არასდროს,  
დარდი ზედ გულზე დაისვენა და...  
ას ნელს სიცოცხლე გადაებარდნოს.  
მე მაპატიეთ, ჩემო ქმარშვილო,  
მამა-- დედიკო, და ჩემო ძმებო,  
ქარო, შეჩერდი! ფაფარ- აშლილო,  
ერის ნამალი, უნდა მოვძებნო.  
ეს, დროც გაივლის, დრო უკუღმართი,  
ჩაცრემლილი და გულგაკვეთილი,  
ღმერთო, მატარე ისე აღმართით,  
არ გავბოროტდე, ვიყო კეთილი!

ნიკო ახლა უკვე დიდი ვალი მაქვს შენთან.

### გაწიასებ

გალიარებ, შვილად გალიარებ,  
 რადგან გელა, ხშირად შენთან სტუმრობს,  
 გულს ცოტათი, ვიგრძენ, ...რომ ეშველა,  
 ხან გარიგებს, ხანაც კიდევ ხუმრობს.  
 ვალიარებ, რომ მეც მტკივა როცა,  
 შენს ნაშრომზე, ხშირად გულს, რომ გტკენენ.  
 დროს სჭირდება, ბევრჯერ შვილო მოცდა,  
 ღმერთი ლალის, მხოლოდ შენ გპირდება!

### ვჭეჭეი...

ფიქრით სახლში დაავტრიალდი ისევ,  
 გამოვაცხვე, ქადა-ნაზუქები,  
 რეალურად, ამ გულს დარდი მისერს,  
 ვდარდობ, მაგრამ მაინც გავჩუმდები.  
 ვდუმვარ...!



### მონასტეაის სეძხანი

მტკივა შვილო, უშენობა მტკივა,  
რა ძნელია მონატრება შენი,  
ნეტავ დედი საფლავზე ვინ მივა,  
ვიცი მელის გულით, მამაშენიც.  
ის, სიზმრები ო, რა მწარედ ახდა,  
ბალღამია, ის დღე საშინელი,  
ბედმა გული მახრასავით დახრა,  
არა შრება, ცრემლი მაშინდელი.  
ფიქრით ხვანში შევიხედე სახტარს,  
სანთლის შუქზე, ძმები იდგნენ წყვილად,  
მათ სახეზე სითბო დაეხატათ,  
ჩამეხუტნენ, ოთხივენი ტკბილად...  
დედა, მამაც, ლოცულობდნენ ძმებთან,  
ჩემი ნახვით, სახე გაეზადრად,  
ვინ მოსულა ბიჭებეო ჩვენთან,  
მშობლებს, ჩემი ნახვა გაეხარდათ.  
ვისაუბრე, მოვილხინე, ძმებთან,  
ძმა ოთხი და... მშობლებიც, რომ ვნახე,  
შვილი მაინც, გულში მწარედ ფეთქავს,  
რა მწარეა, საფლავს ხელს, რომ ვახებ.  
ამჟამად კი სასაფლაოც ტირის,  
მელოდება, ქმარშვილი და ძმები,  
მეცრემლება ჩუმად სახე-პირი,  
გამაგრდიო, ჩამჩურჩულობს ხმები.  
ფიქრის გზებით სიარულიც მიჭირს,  
დარდი შემრჩა, მარტოდ-მარტოს ხელში,  
მენატრება ჩემი ტკბილი ბიჭი,  
ვინვი, ვდნები, მონატრების ცეცხლში!

## ჯეი ისევე მაჩუია

აპრილის თვეც გადის და... გულში ისევ მარტია,  
 არ მსურს შევხვდე დარდებით, მზის სხივს  
 ლამაზ ბაფთიანს.

გაზაფხული ასეთი, მე ჯერ არსად მინახავს,  
 ვარდი გახდა თავხედი, შემეკითხა ვინა ხარ.  
 ხელით ატამს შევეხე, მითხრა სახლში დარჩიო,  
 სიო როცა შეარხევს, დაიფარე ჩადრიო.  
 გამიკვირდა, განცვიფრდი, გაკვირებით შევხედე,  
 მითხრა შენ თუ გაცივდი, წამალს ვინ შეგახვედრებს.  
 გავტრიალდი სახლიკენ, თვალი მათკენ მრჩებოდა,  
 დაკეტილა სახინკლევც, არა გამეგებოდა.  
 ნუთუ ასე მოხუცდი, არ მიკარებს ქუჩები,  
 ისევ მაისს დაუცდი, იმედ შენაქუჩები...  
 არ ბერდება პოეტი, ნეტავ რად არ იციან,  
 ვფრინავ ვით კაპოეტი, წლებს ვერ გამომცინცლიან.  
 შევასრულე ბრძანებებს, ნავალ სახლში დაფჯდები,  
 წერას თავს არ ვანებებ, ლექსით დავიხარჯები!



## თუ წამოხოს უნდა

თუ ღმერთს უნდა, ხე რომ გახმა,  
გამოისხამს, ისევ ნაყოფს,  
და თუ არა მახრა გახრავს,  
ნაწილ- ნაწილ მეხი დაყოფს.  
თუ ღმერთს უნდა, ხრიოკ ადგილს,  
ვაზის ჯიში გაშენდება,  
დაასვენებს გზაზე გავლილს,  
ქარიც აღარ გაავდება.  
თუ ღმერთს უნდა, ზღვას დააშრობს,  
ნაწილ-- ნაწილ, კლდესაც დაფშენის,  
ტყის ყველა ხილს გააქრობს და...  
გააშენებს, ხეებს დაფნის!  
თუ ღმერთს უნდა, ერთ დიდ ქალაქს,  
ააშენებს ერთ საათში,  
გლახს აჩუქებს, ღარიბს-ალაღს,  
კეთილს ეძებს ყველგან ხალხში.  
თუ ღმერთს უნდა, გაგვამრავლებს,  
მსოფლიოში გაგვხდის პირველს,  
ცოდვებს სხვას ნუ დავაბრალებთ  
და სხვის დასჯას ნუ ვაპირებთ...  
თუ ვინამებთ, თუ ვირწმუნებთ,  
თუ სხვას ლუკმა გაუყავით,  
არასოდეს ვინწუნებთ,  
ღმერთი თუ არ ვუარყავით.  
აღზევდება, მშვიდი დილა,  
მერცხლებისთვის გათენდება...  
ყოველ წამში მზეს ვიხილავთ,  
ხალხიც აღარ დავადდება!!

## ხიზვა

თეთრი ხილვის დროს, თვალწინ დამიდგა,  
 მთვარე საოცრად გაკვირვებული,  
 თვალში ცრემლები, ისე ჩამიდგა,  
 თითქოსდა მყავდა დაპირებული.  
 ცოტა ვიტირე, მერე კი ისევ,  
 დამშვიდებული მნათობს მივმართე:  
 მთვარე, ხედავ, რომ დღეები მიღრენს,  
 ნაძალადევად ნაბიჯს მივართევ.  
 ერთად დაგროვდა ერების ცოდავა,  
 განსაცდელშია, მთელი მსოფლიო,  
 ცივა, ქვეყანას ყინვა არ მოდნა,  
 სიკვდილს არ უნდა ცივი თოფიო.  
 მთვარე ისედაც ნალველს მალამდა,  
 აქვითინდა და იწყო ჩურჩული...  
 მთელი სამყარო, სიძვამ ალაგმა,  
 ქმარი ცოლისთვის გახდა ურჩხული.  
 უნდობელობა და ბევრი ღალატი,  
 უფლის განდგომა, ამპარტავნობა,  
 ძმა- ძმისთვის გახდა, როგორც ჯალათი,  
 მეც დამაღონა გაუტანლობამ.  
 ცაც დამშვდდება, დაბლა ხმელეთიც,  
 როცა სიყვარულს, ჩათვლით სიმდიდრედ,  
 მტრობით არ მოხდეს ელეთ-მელეთი,  
 ამპარტავნები თავს არ მადრიდნენ...  
 მე ნაკლის ძებნა ჩემში მოქექე,  
 ვძებნე ცხადში და თერად ვიხილე...  
 წრიალ- წრიალში გული მოვფეთქე,  
 ჩვენ გადავეჩბით თუკი ვიფრთხილებთ!...



## მომზინი

მოლოდინმა, არ დაგღალოთ, არ შეშფოთდეთ,  
რწმენით ძლიერს ქართველობას ღმერთი შველის,  
არასოდეს, არაფრისთვის არ შეშინდეთ,  
ჯიში ჩვენი, ბრძოლის დროსაც, გულით მღერის.  
დარჩი სახლში, ფიზიკურად დავრჩი სახლში,  
ფიქრის ფთებით, შევიარე ყველა ქალაქს,  
შორს ისმოდა, საიდლანაც, ყეფა, ძაღლის,  
ყვავილებიც ცვარის ცრემლებს ჩუმად მალავს.  
მოლოდინით, დავიღალე ვარდმა მითხრა,  
პატრონს ველი, არა ჩანს და ვწუხ ძალიან,  
წვიმამ ტანი, სულ მთლიანად გამითითხნა,  
დიასახლისს, მგონი ჩვენთვის არ ცალია.  
მოვეფერე, მზე ამოვა, დავაჯერე,  
ფიქრის ფრთებით რა მეშვლა ბუნებისთვის,  
იმედებით, ტყე- პარკები გავაჯერე,  
გამარჯობა, არ მითქვია ჩემი დისტვის!  
სამაჩაბლოს, სევდა მხრებს მაქვს დაფენილი,  
მანც მინდა, გამოგკვებოთ იმედებით,  
წლები არის, უგზოუკლოდ გაფრენილი,  
სახლში ჯდომით სისხლო, ხომ არ შედედები?



## გაიწიგეთ

სული ცოცხლობს, აღარ მითხრათ სამძიმარი,  
 გარდაცვლილნი, აღდგებიან კვდრეთით.  
 ცას მზეობენ, ყველა მოვა, ცად ვინც არის,  
 შვილის სახლი არის დედის მკერდი.  
 გაიღიმეთ, სათითაოდ, გეფერებით,  
 არ იტიროთ, ჩემს სიტყვებზე ხალხო,  
 აპრილია, გავახაროთ ენძელები,  
 მივიდეთ და საფლავები ვნახოთ.  
 გაიღიმეთ, არ შეშინდეთ, გაყოჩაღდით,  
 მიბალახობს წელიწადი წყრომით,  
 ეს თვე გახდა მართლაც, ქურდი და ყაჩაღი,  
 ხალხს რომ ხოცავს არ ჭირდება ბომბი.  
 გაიღიმეთ, პოეტებო, საქართველოს,  
 მას თვეს არ შეშვენის დარდი,  
 შემოდგომით, ვაზი უნდა მოვირთველოთ,  
 უღიმღამო ეს, აპრილი გადის.

## ღამიწეხეთ

კართან უკვე, აღდგომაა,  
 საფლავები პატრონობას ითხოვს,  
 ეს ომიც კი, ერთმანეთან დადგომაა,  
 დამიჯერეთ, აღარასდროს ითოვს!



## გაათენე

გაათენე, ღმერთო, მშვიდად გაათენე,  
რომ ცეკვავედეს, ძველებურად ცისკრის დილა...  
ეს, ღრუბლები ერთიანად გადათელე,  
თორემ დარდმა, მზეს საერთოდ გამაცილა.  
გაათენე, დაჟანგდება, სახნისები,  
აპეურში შებმა მინდა წყვილი ხარის...  
ისევ ცივა, ამ ყინვაში გავსხვისხდები,  
დაჟანგდება, დაბლაგვდება, დედო ზარი.  
გაათენე, დღეს, იმედი არ დააკლდეს,  
ისევ უნდა იყვავილოს, ჩემმა ფესვმა...  
არც არავის, შვილი მტერსაც არ მოუკდეს,  
არასოდეს, დედის კვნესა არ მომესმას.  
გაათენე, იზეიმოს, ჩემმა გულმაც,  
დედამინა დააბნელა, ამ შავებმა.  
ცდება ქარი, თუ სუსტ ქალად დამიგულა,  
მიტომ ვდუმვარ არ ვიკადრებ, რომ შევება.  
გაათენე, გულის ეზო ახმაურდეს,  
სახლის ქერზე, დავინახო მერცხლის ბუდე...  
ყინვის ლოდზე, ურემი არ გადაბრუნდეს,  
ღმერთმაც ნუ ქნას, მერცხლები  
არ დამიბრუნდეს!



იმედი მაქვს

იმედი მაქვს,  
 მზის ამოსვლას ვიზეიმებთ,  
 იმედი მაქვს,  
 ძველებურად მომაკითხავთ,  
 ყველა ერთად,  
 რუსთაველზე ვისეირნებთ,  
 პოეტები ახალ ლექსებს წავიკითხავთ.  
 იმედი მაქვს,  
 ამ სიჩუმეს გავაღვიძებთ,  
 და ქუჩები აივსება პატარებით,  
 ამაღამ თუ შიშის,  
 ფიქრთან დავიძინებთ,  
 დაგვავიწყებს დილა,  
 დარდს, რომ ვატარებდით.  
 იმედი მაქვს,  
 ვიზეიმებთ, მაისის თვეს,  
 გადავთვრებით,  
 სურნელებით თეთრი ვარდის,  
 ამ ცივ აპრილის,  
 როგორღაცა გამოვათევთ,  
 იმედებით,  
 დავაღება უფრო გარბის.

-----  
 ი მ ე დ ი მ ა ქ ვ ს !  
 -----

## ხა ჯოზია?

მირჩევნია, ტყეში სადმე ვკრეფდე სოკოს,  
ვიდრე ვიჯდე, ჩემად სახლში უსაქმურად...  
ეს დარდები, სადღაც უნდა გადავრეკო,  
არც მიდის და... ზეცაც ქუდად დაიხურა.  
მას, რა უშავს მსოფლიოში დაპირველობს,  
ყველა ქალაქს, უსინდისოდ იფათურა...  
აგერ მოწვდა, ჩემს საყვარელ საქართველოს,  
მოვიდა და გულის კარიც დამიხურა.  
სახლში დამსვა, ოთხ კედელში დამანყვდია,  
მოვიმზადე, პური, ძეხვი, კარტოფილი,  
წლის სარჩო კი, არც არავის არ უწყვია,  
დარდი დარჩა, თავისთავად კმაყოფილი.  
აპრილია, მეც ჩემს სახლში, წასვლა მინდა,  
შვილის საფლავს გამოვმარგლო, ყვავილები.  
ქარიც არ ქრის, ხმა იმანაც გაიკმინდა,  
აღარც დადის ხალხი, ჯაფით დაღლილები.  
მირჩევნია, თოხი ხელში რომ მეჭიროს,  
ან ლობიო, ჩემი ხელით გამოვცეხვო,  
რა ჯობია, ცოტა კიდევ გავიჭიროვ,  
თუ კორონას, ჩემი თავი ჩავაცეცხლო???



## ბეწნიეხეა

თქვენთვის დავართავ იმედის ფთილებს,  
 დაგალევინებთ, სუფთა წყლის წყაროს...  
 მოვეფერები დარდგამოვლილებს,  
 რადგან აპრილი, აღარ აპრილობს!  
 ვჩეჩავ და ვჩეჩავ, თეთრ მატყლის ფთილებს,  
 ჩამოვართავ ძლიერს, საშვილიშვილოს.  
 წინდებს დაუქსოვ, ჩემს და სხვის შვილებს,  
 რომ მომავალი სხვამ არ იშვილოს!  
 ჩემს ხეთა ტოტებს, სხვაგან თუ ნაღლობს,  
 მივაყურადებ, რატომ წრიალობს.  
 მე ხომ ისა ვარ, ვინც ყინვას ალღობს,  
 ბუხრის ცეცხლი, რომ ავაბრიალო.  
 ჩემთვის ეს არის ბედნიერება,  
 ჭრილობას როცა ვუხვევ დაჭრილებს,  
 ოღონდ იხაროს ყველა ერებმა,  
 მტერსაც არასდროს გავინაპირებ!



შენიშნო  
(გელა სხირტლაძეს)

აღდომის დღე ახლოვდება შვილო,  
შენ კი ალბათ, ელი დედის საგზალს,  
არ იჯავრო, არსად დაიჩვილო,  
ვერ მოვაგო, არც გაივლო აზრად.  
მთელ მსოფლიოს სენი შეეყარა,  
საქართველოს ქუჩებს – მონვდა უკვე,  
სხვებმა შვილი უბით შეიფარა,  
მეკი შენ გზას უნდა გამოვუყვე.  
ასეთი რამ თუ წარსულში მოხდა,  
მე არ ვიცი, იქნებ იყო ოდეს,  
ყინავს დედი, ყინვა აღარ მოდნა,  
ღმერთმა არ ქნას, ერში ვინმე მოკვდეს.  
აღდომის დღეს ბიჭო, მოგილოცავ,  
ეს, თვე ისეც შენ გეკუთვნის ტკბილო,  
აპრილის თვე შენით მიყვარს, ვლოცავ,  
ერთად გლოცავთ მეუღლე და შვილო.  
ოცდაშვიდი აპრილია, ჩემთვის,  
ტკბილიცა და ბალღამივით მწარე,  
არ დაუშვებს ჩემი წილი ღმერთი,  
არ ვაღაბდე ჩემი სახლის კარებს.  
კვერცხიც ბერი შეგიღებო უნდა,  
სასაფლაოს ყვავილებიც მოვრწყა.  
ცრემლით გულსაც ჩუმად ბერჯრ ვგუდავ,  
ამ წუთშიდაც ბურთებივით მომწყდა.  
ეს ტკივილი არის ცაზე დიდი,

ვინც არ იცის, რა იოლად ხედავს,  
 შენ ვაჟკაცად და კეთილად გზრდიდი,  
 ახლა შვილო, გული ბერჯერ კვდება.  
 თუ ვიღიმი სულ არ ნიშნავს იმას,  
 გული არის ცეცხლში განათუთქი...  
 ცრემლთან ერთად ყოველ ღამე მძინავს,  
 ლექსიც შვილო, ბევრი გამოგიტქვი.  
 ამჟამადაც ფიქრის ლოგინს გავშლი,  
 და წარსულით ცოტას გავიცინებ...  
 თურმე ვიყავ ბედნიერი მაშინ,  
 ახლა ღამით უფალს შევციცინებ!  
 უფალო, გთხოვ, არ მოაკლო ცოდვილს  
 ყურადღება გულით ალალ გელას.  
 მისი სული სიკეთიდან მოდის,  
 დედა ვტირი, ცრემლს საბანში ვმალავ!





## ჯამიჯამი

დამიჯერეთ... დავივინყებ ყველას წყენას,  
ამიკვნესდა თუ კი გული, მწარედ ოდეს...  
ლოცვას არის შეჩვეული ჩემი ენა,  
სიტყვის ტყვია, ოღონდ თქვენით აღარ მოხვდეს.  
დამიჯერეთ... არ ვიმეტებ მტერს, ცუდისთვის,  
მხოლოდ უხმოდ გავეცლები დარდით სავსე,  
მან რა იცის, მილოცია ბერჯერ მისთვის,  
ცრემლით ხატებს, მოკრძალებით ვებასე.  
დამიჯერეთ... ჩემი ნაკლი სულ ეს არის,  
კიდევ ის, რომ გამიტეხავს ლუკმა სხვისთვის,  
გულს აცილდეს, ბროტობის, მწკირი ბზარიც...  
ტკივილები, დამიმალავს ჩემი ძმისთვის...  
დამიჯერეთ... არა მაქვს და მდიდარი ვარ,  
ჩემით დასაც დარდს, არასოდეს მიუმატებ,  
არ ავყვები არასოდეს შარიან ქარს,  
თუმცა ბედი, დაუნდობლად წელში მამტვრევს.  
დამიჯერეთ... ხარებას, რომ მტერსაც ვლოცავ,  
მხოლოდ ღმერთს ვთხოვ, აუხულოს მასაც თვალი,  
ბევრჯერ მიკვირს, ავი თვალით რად მიყურებს,  
სულაც არ ვარ, ბოროტი და ავი ქალი!

დ ა მ ი ჯ რ ე თ !



## ბიძა

ბრმა ვერ ხედავს ცისარტყელას,  
 ვერც სხივების ლიცილიც ცაში,  
 ვარდის ყვავილს, ხედავს ტყემლად,  
 ხელს თუ წაკრავ, ყვირის მაშინ.  
 უხერხულად შენ ხარ მუდამ,  
 ჯიკაობას, არ კადრულობ,  
 ტკივილს შენთვის გულში გუდავ,  
 ცრემლი თვალში ნაკადულობს.  
 ბრმა კი დადის აბდაუბდა,  
 ბრმის სტატუსი მოიხდინა,  
 როცა უნდა ხედავს ხურდას,  
 ყაჩაღობაც ჩაიდინა.  
 ასეთები ბაირამობს,  
 შენ კი ნამუსს დაფოფინებ.  
 შენ რომ სადმე შეიღამო,  
 მილიციას ატყობინებს.  
 ის ბრმაა და შენ გიჭერენ,  
 ბრმა კი დადის მუდამ მთვრალი.  
 ბრმა იმ სტატუსს სულ იყენებს,  
 ბრმისკენაა სამართალი ...



## ხას გაიგება

რას გაიგებ, ბუნებისას, არ, გიშველოს ღმერთმა არღიმ,  
საძირკველის შენებისას, თუ ისევე გხვდება დარდი.  
იქნებ ბარმა ამოძირკვოს, ბარით მოჭრა მუხის ფესვი,  
ან ღრუბელმა დაიბრიყვოს, საძოვარზე ცხვრების მწყემსი,  
რას გაიგებ, სად აშენებს, კლდის არწივი თავის ბუდეს,  
ძერა ქათმებს სულ ამინებს, ბოროტება გულში უდევს.  
რას გაიგებ, ამაგს ბოლოს, მიაყარონ შავი მინა.  
გზა ნათელში, არ თქვან ბოლოს, შვილიშვილმაც სახრე  
გინწას.

რას გაიგებ, სეტყვა როდის, წამოგიშენს სისასტიკით,  
როცა უნდა მაშინ მოდის, ბოროტებით, გულასპიტი.  
ნუ ჩაბლუჯავ ფულს და ოქროს, ნუ ინახავ, დასამარხად...  
გამწარდები მაშინ უფრო, რჩები მტერის გასახარად.  
თუ, ქართული სისხლი უდულს, შვილს, რომელიც შენ  
გაზარდე,  
ვერ დაგინწყებს რძალი ბურღლუნს, ცუდს არასდროს არ  
გაკადრებს.

აღზარდე, რომ მოგეშველოს, თუ ვიღაცა ხრამში გაგდებს.  
შვილი სხვას თუ მიაშვილე. საფლავშიდაც მას იდარდებ!



## თამაიზას შიშობავთ

ზოგი თამუნიაა, ზოგიც ჩემი თამარი,  
 ქართველ ქალის ბუმია, ნაზია და თამამიც.  
 ღმერთო, კარგად მიმყოფე, იჯამრთელონ, ილალონ,  
 თუ კი ჩემს გულს იყოფენ, სულაც ამომიდალონ.  
 თამუნიაც ჩემია, ბებო, დიდი თამარიც,  
 ბედის განაჩენია, არ სწორდება მთა-ბარი.  
 ხან კორონა ვირუსი, ხანაც ქარის წისქვილი.  
 გული გამონატრუსი, მენატრება სიცილი.  
 ჩემო, გულის წილადნო, ციციქნაც, დიდო ქალებო,  
 ბედო, აღარ მადარდო, ცრემლში ამონავლებო...  
 დამილოცე სუყველა, გაზდილიც და პატარაც,  
 არსად მიწვდეთ ცრუ მელა, არ გადაძვრეს ფანჯარას...  
 ჩემი არის თამუნა, ქართველ დედის გაზრდილი.  
 ცაში ფრინავს ღამურა, სახე გადაბადრული.  
 მისით ევნო მსოფლიოს, დაიკეტა საზღვრები,  
 დამდის სიმწრის ოფლიო, მაგრამ, სულ არ გავქრები.  
 მოვა, ცხელი ზაფხული, ქაფქაფა და თაკარა,  
 დროც გაძვრება ფაფხურით, ღვინოს დავლევთ ხვანჭკარას.  
 იმ, ღამურას მივწვდები, ნახევრად რომ თავგია.  
 ნავა, წენვა-წინკვნები, საძაგელი ავია.  
 თამარები იცეკვებს, იმღერებენ ალილოს,  
 ყველას გამოვეცეკვოთ, გულო, დარდით დაღლილო!

## ბავის წისქვილი

სახლში ჩამკეტე ბედის წისქვილო,  
გადამითვალე, წლების ასაკი,  
ეს, დრო ისედაც, ინილ- ბინილობს,  
მაისს ველოდი კბილის კანკანით...  
ჩემ წლებს ნუ ითვლი უკვე ქვაა და...  
ჩემთვის სიკდილიც არაფერია,  
სიდინჯე ჩემი, სიბრძნის რქაა და..  
რწმენა მზის სხივით შენაკერია.  
ვცოცხლობ ცის სივრცით, ჟინის ქარცეცხლით,  
ცალუღელა ვარ, სევდის უდაბნო,  
სინდისს არ გავცვლი ოქრო-ვერცხლებით,  
სახეც არ მინდა ცრემლით დავბანო.  
ამორძალი ვარ, დედა ქართველი,  
მიყვარს ქართული ადათ-წესები,  
სხვისი სიკეთით მე ვარ ჯამრთელი,  
არ გამიხმია, მუხის ფესვები.  
მტკივა გულს მიწვამს, ბავშვის ცრემლები,  
წელს, რომ მიათრევს მოხუცებული,  
წლები ისეც მაქვს ანაცრემლები,  
თოვლით და ქარით ანაცრელები.  
სახლში დარჩენით ვის მივეფერო,  
ვიცი მელიან, სულის შვილები,  
მათთვის მუდამ ვარ, გულის ჩერო და...  
არავინ არ მყავს განაშვილები.  
რას გამომკეტე ბედის წისქვილო,  
როგორ ველოდი...მაისის ვარდებს,  
ქარო, შეჩერდი! დროის სირცხვილო!  
ივლისში ჩემთვის გამოიდარებს!

**იქნებ ქაითვეას, ქაითვეანისთვის ჯაეთმო???**

ძმერხლის ახლოს, გაიზარდა ყვავილი,  
 სიფრიფანა, ნაზი ლურჯი ფოთლებით...  
 თუ მის ახლოს, ერთხელ მაინც გაივლით,  
 დაინახავთ, როგორ უთრთის ყლორტები...  
 ძმერხლს, ხასხასა კაბა ტანზე აცვია,  
 წითელ-წითელ კოპლებით განყობილი,  
 ლურჯთვალემა, ყვავილს მასთან, არ ცივია,  
 ძმერხლი გახდა ამ ყვავილის ძმობილი.  
 ერთ დღეს სეტყვა წამოვიდა ზეციდან,  
 კაკალ-კაკალ ყინვის ქვები ცვიოდა,  
 დაიხლიჩა, ლურჯთვალემა, მეხისგან,  
 სულ დასველდა და ძალიან ციოდა.  
 სეტყვამ ძმერხლს კი, ვერაფერი დააკლო,  
 ყვავილი კი ტირის ცვივა ცრემლები,  
 ძმერხლის სითბომ ყინვა უცებ დაადნო,  
 გადახვია, ყვავილს მწვანე ხელები.  
 მონადირემ, ძმერხლს დაუნყო ყურება,  
 გაეხაერდა, ყვავილი რომ გაეთბო...  
 თუ ყვავილებს არ სურთ განადგურება,  
 იქნებ ქართველს, ქართველისთვის დაეთმო?

=====.:.:.:=====

ძმერხლი იზრდება მდინარე ძირულის ხეობაში, მარად-  
 მწვანე მცენარეა, ფოთლებზე წითელი ლამაზი ბურთუ-  
 ლები მიძივბივით აქვს ასხმული,

## სამაუხნაო წამაი

აფთიქიათ სავსე არის ქალაქი,  
ფირმებია ყველგან ნაირ-ნაირი,  
პოეტს ჯობნის, ერთი კარგი დალაქი,  
ალბათ დროა უკვე, სულსხვანაირი.  
სიტყვა ბილნი, სიტყვა უცხო, უხეში,  
გმირ წინაპარს უკვე ბევრი არა გავს...  
ვისაც ბლომად ფულები აქვს ჯიბეში,  
სამწუხაროდ სხვისთვის ნაბიჯს არა დგამს.  
სამართალი რატომ გახდა რალაცა,  
გზაზე ფიქრთან მომიწია მსჯელობა,  
ნაცნობობით განდიდდა და განკაცდა,  
უშიშრობით... ჩაიდინა მკლელობა.  
გული მტკივა, ასეთები მომრავლდა,  
ციხის კედლებს ცოდვა მადლი ტრიალებს,  
ალალ მართალს მძიმე მუხლი დაბრალდა,  
მისი დედა გულ-დაჭრილი ღრიალებს.  
დასნეულდა დაბეჩავდა სიცოცხლე,  
აფთიქით დატრიალდა ფულები,  
ფიქრი მწარედ ჩუმად ამოვიცოხნე,  
დარდი შემრჩა ისევ გამოუღევი.  
რალად მინდა ან ლექსი და ქონება,  
მომავალი თუ არ შემრჩა ალალი,  
ეს სიტყვები თუ არ მოგწონებათ,  
ერთად ვნახოთ სამკურნალო წამალი.

## იმედი

იმედი არ მოკლა, იმედი ღვთისაა,  
 არა გაქვს უფლება, დღეები დათვალო,  
 სიცოცხლე კაცისთვის სულ ასი წლისაა,  
 სატანა ისედაც იბრძვის და ავთვალობს.  
 იმედით ადექი, იშრომე, იღვანე,  
 საღამოს ხატებთან თქვი ყველა სათქმელი,  
 იცოცხლებ, ბოლომდე ას წელსაც მიაღწევ...  
 თუ, რწმენით დაანთე უფალთან სანთელი.  
 გჯეროდეს, შეძახილს, ცუდი აქვს აურა,  
 ყოველთვის იმედით უყურე სამყაროს.  
 ნუნუნე უგულოს, არ უღირს შაურად,  
 ამიტომ ფარხმალი არასდროს დაყარო...  
 ტირიხარ?... იტირე, თუ გინდა იყვირე,  
 რას შეცვლი ასეა, დღეს ღამე მოყვება.  
 დილით კი ეზოში მამალი იყივლებს...  
 და ქარიც მზის სხივთან ხანდახან მოყვრდება.  
 მდინარის დინებას მიყევი უშიშრად,  
 ხან მიიზღაზნება, ხან ჩქარი ტალღაა,  
 ნაპირთან სულელმა ხმალი თუ იშიშვლა,  
 ჩათვალე ნაპირი ჯერ შენთვის გაღმაა.  
 იმედი არ მოკლა, იცოცხლე, იმედით,  
 რომ ას წელს მიაღწევ, ირწმუნე, გჯეროდეს,  
 უფალი იქ, იყო ბილიკს რომ მისდევდი,  
 რა იცი ხვალისთვის „ჩაკრულოს“ მღეროდე?



## შემოთხვევა

ხელებგანვდილი ხურდებით ბებო,  
გამლელ-გამოვლელს, თვალს აყოლებდა,  
ერთ დროს ლამაზი და სანაქებო,  
ახლა ავყია ქარს აყოლოდა...  
ქარმა თავშალი გადააცალა,  
ისე დაამდა აღარ ქარობდა,  
ბებომ თვით ქარსაც არ დააცალა,  
თავის სიშიშველით ისე ხარობდა.  
ბებო რა ბებო, ლოყებლაჟლაჟა,  
თვალებრდღვიალა ქალი ვაჭრობდა,  
ქარი იმიტომ იქცა გიჟმაჟად,  
მის საქციელზე დარდი-მანდობდა.  
მიუახლოვდი, შეკრთა თითქოს და...  
შემომხედა და თავი ჩალუნა,  
თქვა, რომ უბრალოდ სულ მწირს ითხოვს და...  
რომ ბედისწერამ ასე არგუნა.  
მერე ვინანე რატომ შევჩერდი,  
შევატყვე, ამას არა დარდობდა...  
რამ გაიძულა, რატომ შეჩვენდი,  
ისე მომხედა... არ დამინდობდა.  
ნადი შენი გზით, თორემ გავბრაზდი  
გამომივიდა აზრთა გამრიგე...  
სანამ გაგლიჯე როგორც ნაგაზი,  
სამსახურია რით ვერ გაიგე???



## თუმს ჯავშიქიჯანი

ვერ დაგამნუხრებთ,  
მზის ყანები უნდა გავთოხნო,  
უნდა დავთესო, ქერი შვრია,  
პურის მარცვალი,  
თუ დამჭირდება სახნისები,  
უნდა მათხოვოთ,  
მომწყინდა უკვე სახლში ჯდომა,  
ცრემლის ღვარღვალი.  
სასჯელი არის უქმად ყოფნა,  
ვერ შევიშნოვე,  
დილა-სალამოს ყავის სმა  
და დანექ-ადექი,  
ეს, თქვენთვის მინდა, მომავალო,  
თუ კი ვიშრომებ,  
უქმად ყოფნის დროს  
სახლიც ხდება, ტაო-კლარჯეთი.  
ბებერი ხარის რქებიც მოხნავს  
მინის ყამირებს,  
ჩრდილში ამოსულ ყვავილს  
არ გავს ჩემი სხეული,  
მე კიდევ დავრგავ,  
შემაჯიბრეთ თოთო აპრილებს,  
თუმც დავფიქრდები,  
შრომას უკვე გადაჩვეული!

## თავისთავად

წვიმს და ისევ, თავითავად ღრუბელია,  
 მოინკუმპლა ტყე-პარკი და საძოვრები.  
 ცის მნათობი დღესთან ალბათ უბარია.  
 მოამრავლა სიღარიბემ მათხოვრები.  
 ავდარია, ისევ-ისე ავდარია,  
 სითბოს ვნატრობ, ბუხრის პირას მიფიცხებას...  
 წარსულს ვეძებ, წინაპრები სად არიან,  
 ქარი ამ დროს, ცინიკურად იცქირება.  
 მზის სხივებო, გაიღია გაზაფხული,  
 აგვისტოში ბალი წვიმით არ მნიფდება,  
 ამ ზაფხულსაც, გული თუ აქვს გამოხრული,  
 მაშინ ჭოტი თავისთავად ანივლდება.



## მოზიოსავთ

მოგილოცავთ, გიორგობას მოგილოცავთ,  
ვისი სისხლიც ქრთველებო, ჩემშიც სისხლობს,  
მტერსაც ვლოცავ, ახლა ეს, არ გაიოცოთ,  
ოლონდ მინა, ჩემი არვინ გამისხვისოს.  
როგორ მინდა, დამიჯეროდ ერთხელ მაინც,  
დაინახეთ, ვარდსაც სახე შენაცვრია,  
არ უხდება, ნაცრისფერი ლამაზ, მაისს,  
სურნელებას, გაზაფხულსაც არ აცლიან.  
ყველას გლოცავთ, ჩემიანებს, სხვისიანებს...  
ვისაც ერთხელ ლუკმა სხვისთვის მიუცია,  
სხვის ტკივილს რომ თავის გულში დაავანებს,  
არ ქონია, ცოტა მაინც გაუცია.  
გიორგობა, გიორგიებს, გიორგუნებს,  
საზეიმო განწყობაზე დააყენებს,  
გაიხარეთ, გამიმრავლდით, იგუგუნეთ...  
ქართულ ჯიშის, ვაზი ერთად გააშენეთ!



## გათენდი

გათენდი, ხუთო, მაისო, გათენდი, ვიგრძნო სითბო...  
 არსად ჩანს შუქი მთვარისო, ნეტავი ხომ არ ითოვს.  
 დაგეგმილ ამ დღის საღამოს, უნდა მწვეოდა ხალხი.  
 ფიქრებო, აღარ დამლალო, შენ მუდამ მგზავრად მახლდი.  
 ხუთ მაისს უფლის წყალობით, ველოდი ყვავილთ თოვას...  
 გზა ვკაფე წვალეზ-წვალეზით, სევდამ კვლავ ხელი მთხოვა.  
 სიხარულს სხვისას ვერგები, ვიხდენ ვით როგორც ჩემსას...  
 დავრგე, ვახარე, ნერგები, ნაყოფიც გამოესხათ...  
 სახლში ვარ, ახლა რა ვიცი, ჩაკეტილ სივრცეს, ვართობ...  
 ვდარდობ და ველარ დავიცდი, ვგრძნობ უკვე ამას ვატყობ.  
 მომნატრებია შვილები, დიდი პატარა ყველა,  
 გულთ არიან თბილები, კახა, სერგი და ბელა.  
 ჩემს სითბოს, ვიცი ელიან, აკადემიის დედას...  
 განა ეს ისე ძნელია, ყველაში ჩემს შვილს ვხედავ.  
 ჰო, და ხუთ მაისს ველოდი, საჩხერიდანაც სტუმრებს,  
 გაგიკვირდებათ მღეროდი, ლექსებით განვიკურნე...  
 ახლა, მარტო ვართ ფიქრებო, დავემორჩილოთ კანონს,  
 როგორ ხართ მათათა ირმებო, როგორ ხარ, ჩემო ხვანო???



## ხა შემიძნია

(თამარ გველესიანს,  
მამა ამირანაშვილის მეუღლეს)

რა, შემიძლია, ლოცვების მეტი,  
მაისელები მინდა დაგლოცოთ,  
გინდ იყოთ ბევრი და თუნდაც ერთი,  
მოგეხვევით და უნდა გაკოცოთ.  
გაუღიმილებთ, გაზაფხულს როცა,  
გულს გამოიღობთ,

ნათოვს და ნაყინს,  
მაისს აჩუქებთ ფიქრების კოცნას  
და სიმღერებით ცის ქერსაც აყრით.  
თვე ახლა დადგა, ვარდის ფერებით,  
ყვავილთ სურნელი ბუნებას ათრობს,  
დღეს ყველა თამარს მივეფერები

უყვარს და...

გრძნობას არასდროს დათმობს.  
მამა ამირანს მეუღლეს კრძალვით,  
თამარს ლამაზს და ტანით ნარნარას,  
შეხედავ, იტყვი, ეს, არის ქალი,  
დიდთან დიდია, ზოგჯერ პატარაც.  
დალოცვის მეტი, რა შემიძლია...  
დღე გაუთენოს სიკეთის ღმერთმა.  
მისი სულია, წმინდა ბიბლია,  
ვლოცავ, დაბერდეს,  
ჩემს ძმასთან ერთად!

## ჯავიჯიო?

ეს, მაისი დავიჯერო?  
 ჩამიქროლებს, უბარივით...  
 ქარო, აღარ შემეჯიბრო,  
 დავფუსფუსებ ფუტკარივით.  
 პოეტები, ჩემი დუმან,  
 მკითხულობდნენ, ადრე ყველა,  
 რად არიან ნეტავ ჩუმად,  
 ქარმა ხომ არ გაახელათ...  
 მათთვის გულს ვყოფ ნაწილ-ნაწილ,  
 იქნებ მნადად შეუბრანო,  
 თამადად კი ვნიშნავ არწივს,  
 მიდღეგრძელოს იმ დღის აწყმო.  
 თორემ უკვე, ბაქი-ბუქობს,  
 შემოლენავს, სევდა კარებს...  
 დარდმა, რომ არ გამომშიგნოს,  
 ის, დღე მაინც გავიხარო...  
 ყველა მინდა ჩემთან იყოთ,  
 ხუთში მეც რომ გავიღიმო,  
 ბედო, აღარ დამიბრიყვო  
 ტკბილად მინდა დამიღამო.  
 მომეფერონ, მოვეფერო,  
 მტერს ცუდი არ გაებედოს...  
 ყურადღება შევიფერო,  
 თბილი სიტყვა დამებედოს!



### თქვენთვის ვამბობ

ვარდის ეკალს, ხელს ნუ ახლებთ,  
მოერიდეთ, გულს გასერავს...  
მღვრიე წყაროს ნურსად დაღევთ,  
ვინც დალია გაიბერა.  
გზაში გამლელს ნუ ენდობით,  
რა სული აქვს, ხომ არ იცით...  
აიარეთ ჯერ ფერდობი,  
გამოცადეთ ძმდნაფიცი.  
თქვენთვის ვამბობ, დამიჯერეთ,  
ნაცადი მაქვს გულის ძგერა...  
სულაც არ ვარ მეიჯარე,  
სხვისმა დარდმაც დამაბერა.  
სუფრას როცა მიუსხდებით,  
ღვინოც გაქვთ და ხაჭაპურიც,  
ჭიქით მტერს ნუ დაუხვდებით,  
სიტყვა არ თქვათ უნმანური.  
გულკეთილი უნდა იყოთ,  
გულუბრყვილო არასოდეს...  
ძმები გვერდზე არ გარიყოთ,  
მტრის სახლში არ ხალისობდეთ...  
მოხუცებულს გაუღიმეთ,  
თქვენც ადგიხართ, ამ გზას რადგან,  
დღე ალერსით დაუღამეთ,  
საცოდავად ფეხს რომ ადგამს.  
ჩემი დედა არ წამოქცდეთ,  
დედებს აღარ შეაგინოთ,  
არ თქვათ, სულიც რომ ამოგხდეთ,

არასოდეს დაიგინოთ.  
 მე ჩემი გზა გავიარე,  
 გასაზრდელიც გამოვზარდე,  
 აღსარებით ვეზიარე,  
 ცის სახლისთვის გავემზადე.  
 გლოცავთ ყველას ვინც მომისმენთ,  
 მემეტება თქვენთვის სიტყვა,  
 გაეცალეთ გიჟს, მოისრეს,  
 სანამ კეტი გადაურტყავს!  
 თ ქ ვ ე ნ თ ვ ი ს  
 ვ ა მ ბ ო ბ . . . !!!!!

### იქნებ!

მარტი ისე გავიდა, აპრილი და მაისიც...  
 მზე სულ გაქრა, ჩავიდა, აღარ ისმის ხალისი...  
 ცარიელა სიტყვებით, როგორ მოგეაღერსოთ,  
 დარდის ბილიკს მივყვები, ლამის ხმალი ავლსო...

ველარ მივექლასნები, დღეებს, ღრუბლებს, თქორიანს,  
 გულო, ნუ იხავსები, ჯერ მწვერვალი შორია.  
 უნდა გავძლოთ, ძვირფასო, ნუ გკლავს დროის სიშმორე,  
 იქნებ ეს შეგვიფასონ, რაც აქამდე ვიშრომეთ!



## ბოხბაა

ბორბალა, მწვანე კაბა გაცვია,  
ზამთრის სითეთრეს როგორ უხდები.  
იქნებ კანკალებ, ვინ იცის გცვია,  
თვალს გადევნებ და ძალზე ვწუხდები.

თხმელა შიშვლდება მთელი სხეულით,  
შენ კი ერთ ფოთელს ძირს არ დააგდებ,  
იქნებ ყინვას ხარ შენც შეჩვეული,  
გამძლეობაზე ღმერთან ქადაგებ.

ამტანი რომ ხარ ცხადზე, ცხადია,  
არ შეგადარებ ნეკერჩხლის ფოთლებს,  
შემოდგომითვე ფეხით დადიან,  
ეს, უგულობა ძლიერ მაშფოთებს.

შენ რა ამაყად, დგახარ დიდ მთებში,  
შენთან ბინადრობს, ქყორი და ძმერხლი,  
მწვანე შუქივით ანათებ კლდეში,  
ყურს ჩაგჩურჩულებს ხმაური მესხრის.

როგორ მინდა რომ მომიყვე ბევრი,  
წარსულ მითებზე და ლეგენდებზე,  
მე ჩემი მიყვარს, კენჭი და კევრი,  
მინდა ვიცოდე, ბებერ კლდეებზე.

ვერ შევეგუე, ხეთა სიშიშვლეს,  
არანაირად არ მესმის მათი,  
შენ კი ბორბალავ, მაძლევ სიმშვიდეს,  
ვკანკალებდი და – უკვე... გავთბი!

## ჯეინაშვანი

ამ ღამის ფუსფუსში დაინერა,  
 სიტყვები ლექსის მაგვარი  
 და ღამეც ისე დაინურა,  
 თვითონ აერია თავზარი.  
 ეგონა, მას რომ დამათრობდა,  
 დილას შევხვდებოდი ბარბაცით,  
 ანდა დარდებით გამაქრობდა,  
 თქვენც იცით ღამე რაც არის.  
 შევერკინე და შემერკინა,  
 ჰოჰო, რა მწარედ მირტყავდა,  
 ცდილობდა, გულში რომ ეკბინა,  
 გემი თვითონვე მიყავდა.  
 შევატყვე, ღამე დაიღალა,  
 სადღაც გაიძურნა ბანცალით,  
 მაჯობა...ზეციდან დაიბლავლა,  
 რას მერჩის დედინაცვალი?



## ხოჯეხე?

როდემდე? ეს, კითხვები  
კვლავ მიჩნდება,  
დარდი გამახსენდა შარშანდელი,  
მზე ღრუბლებით ბინდდება და...  
ღმერთო, ამაცილე განსაცდელი.  
ისევ ამიყვავე ტყის შქერები,  
აასურნელე მთა და ველი.  
ბორბალა ააფეთქე ნაზ ფერებით,  
გული დარდითა მაქვს განათელი.  
მაისო, ყინვით ნულარ გამაცივებ,  
ლოდინმა, დამისერა ყველა ძარღვი,  
წვიმებო, თუ მზის სხივებს დამაცილებთ...  
მაშინ თვალი ცრემლებს  
ისევ დაღვრის!



## ჩაიჩახა

ისევ დუმილით, დღემ ჩაიარა,  
 ღამის წყვედიადით ღამე შეშინდა,  
 ვერ მოვიშუშებ ალბათ იარას,  
 ჭოტი ხის ტოტზე, რადგან შეფრინდა.  
 კენჭი ვესროლე, ღამის სიჩუმეს,  
 ამით იმედი მივეც სამყაროს...  
 ო, როგორ მინდა ვანთებდე ღუმელს,  
 და ყველა დარდი ცეცხლში ჩაყარო.  
 იქნებ ცისკარმა მამცნოს სიახლე,  
 და დილამ ისევ შრომით დამღალოს...  
 ყველას სითბოს და ამ გულს ვაახლებ,  
 ახლა კი თვალი, ცრემლში ღვარღვალობს.  
 იმედის ძაფებს ხელით დავართავ,  
 ღმერთს შევავედრებ, დიდს და პატარას,  
 მტრულად ჭინჭველას, ფეხს არ დავადგამ,  
 რადგან წარსულმა, ცრემლში მატარა!



## სიყავა ხაქაიას

ლექსი გახსოვს? შარშანდელი,  
ლექსი გულის მალამო:  
ცეცხლი, როგორც შავარდენი,  
მოსასმენად საამო.  
შენ დედა ხარ, პირველ რიგში,  
მერე ქალი ქებული,  
კლასიკოსთა სიბრძნის წიგნით,  
შექმენ ფიქრის კრებული.  
დაიბადა ის წიგნები,  
უფალს ასე უნდოდა,  
აზრებს ქმნიდი შენ შეგნებით  
ნიჭი ჭარბად ბუდობდა.  
მეუღლისთვის იყავ სანდო,  
დინჯი ნანწავთმიანი,  
ერში ბევრი დაიბადოს,  
ქალი – შენებრ ჭკვიანი...  
დედა იყავ, ტკბილზე-ტკბილი,  
მეგობრული, კეთილი,  
დიდი არის შენი წვლილი,  
წლობით გამობრძმედილი.  
დედამთილი? ო, რა ბრძანებთ,  
ტკბილი ხარ და მზის გულა,  
არასოდეს არ აძაგებთ,  
რძალმა დედად გიგულა.  
შვილიშვილებს ეფერები,  
შვილთაშვილებს ასევე,  
გულზე ამოგეკერები,  
სულით მონათესავეს.

ხომ აღზარდე პედაგოგი,  
 ბევრი სხვისი შვილები,  
 ვაჟები და ბევრი გოგო,  
 კარგები და თბილები...  
 ლუკმას მშიერს მიაწოდებ,  
 ნვადიც იყოს ცვრიანი,  
 ყველას ასე ჩააგონებ,  
 იყვნონ ადამიანნი.

**ქაჯაბუჯონ ნათიას**  
*(ციალა ხაუალიას მეგობარს)*

გულით მეგობრობთ ისეთ ქალბატონს,  
 რომელსაც მართლაც გული აქვს ოქრო,  
 შენში გთხოვ, სევდა არ აბატონო,  
 მოგეფერო და... არ ვიცი როგორ.  
 არავინ იცის ბედის კანონი,  
 ვერ განსჯი იმას, რაც შენ არ იცი,  
 თქვენა ხართ, თბილი გულის პატრონი,  
 ჩემი ციალას დად შენაფიცი.  
 ნლები ლულუნით ერთად გალიეთ,  
 უთქმელად მიხვდით ერთურთის განცდას,  
 მე სადღეგრძელო ლექსით დავლიე,  
 სიყვარული კი ცის საზღვარს გაცდა.



## გუაში ახ რაიხეაშო

გულში არ ჩაიხედოთ,  
გული სევდით სავსეა,  
ბედი არ აამხედროთ,  
დრო ისედაც ხავსია...  
გაგილიმებთ, გიკითხავთ,  
ყველა ტკივილს დავმალავ,  
მე თქვენს ამბავს ვიკითხავ,  
ლუკმას მიგცემთ ალაღად.  
ეს დროა, ...თუ ის დროა,  
უბოროტოთ შეხედეთ,  
ზოგჯერ ნვიმაც ოქროა,  
ნამიც ბევრჯერ ეძებეთ...  
გაზაფხული ნავიდა,  
შფოთითა და განგაშით.  
ასეთი თვე რად მინდა,  
ვწევარ, ფიქრის აკვანში.  
მზე ზაფხულშიც თუ განყვა,  
ისევ ყინვა მოვიდა,  
იმედი თუ ქარს გაყვა,  
მოკვდა ცაში ნავიდა.  
რაა მაშინ სიცოცხლე,  
ჭკუა ვის მოეკითხოს,  
ეს, დრო გამოაცოცხლონ,  
მხოლოდ ამას მოვითხოვ....

**ქახიუჯს ნუხაჲინ გაჯამიუჲენებო...**

შეჩვეულივარ უმადურობას,  
 ბედმა მარგუნა გულის გათელვაც,  
 ეს, არის დიდი უბედურება,  
 ეს თვეც ისევე წვიმით გათენდა.  
 მე კარგად ვიცი რასაც ვაკეთებ,  
 ჯაფით ვაშენებ, უკვდავ სასახლეს.  
 ვშრომობ ღამეებს, თქვენთვის ვათენებ..  
 ამიტომ დარდი გადავასახლე.  
 მხედავთ ცის ხელა კოცონს ვაშენებ,  
 მომავალმა, რომ ხელი მოითბოს...  
 ქართულს თუ ვინმე გადამიშენებს,  
 ჩემი გულიდან ყველას დავითხოვ.  
 ყველას პატივს ვცემ რაც შემიძლია,  
 გადაღლილ მხრებს კი ნუ შეეხებით...  
 მიხარია, რომ ვხედავ იღბლიანს,  
 დაშრიალობენ როგორც ვერხვები.  
 კვლავ იშრიალონ, დრო ხომ მოკლეა,  
 მე ასე მინდა, თქვენთვის ვინვალო.  
 მხოლოდ ნუ მეტყვით, უი, მოგცლია,  
 გზიდან შენ უნდა ჩამოგვეცალო.  
 თქვენგან მოვითხოვ მხოლოდ ზრდილობას,  
 რწმენას და კრძალვით ღვთის ერთგულებას...  
 არ გემჩნეოდეთ უდარდელობა,  
 ქართველთ არა გაქვთ ამის უფლება.

## წყაიან გამოცხის წუხეაება

წყლიდან გამოცურეს წურბელებმა,  
განზე გავინიე, შემეშინდა,  
ვარდო, არ დაკარგო სურნელება,  
შენ მე გელოდები შარშანდლიდან.  
სიტყვებს იმეორებს თუთიყუშიც,  
რაცნას ოთახში ვართ, დაკეტილი.  
ფრთხილად... ჩავჩურჩულე ჩუმად ყურში,  
ბევრჯერ, ჩაუტარე გაკვეთილი.  
აირ-დაირია, ყველაფერი,  
ვცდილობ, მტერ-მოყვარე გამერჩია.  
სიტყვა ვერ მოვძებნე შესაფერი,  
რას არ საუბრობენ ეთერშია.  
ბედმა თუთიყუშთან დამამწყვდია,  
უკვე სამი თვეა დავძმობილდით,  
რამდენ დაბრკოლებას ნავანყდი და..  
დავრჩი დარდის ფიქრით დაძონძილი.  
ჰოდა, დაძვრებიან წურბელები,  
ყველგან, სადაც უნდათ იქით ზიან...  
ქარიც ნანრთობი და ნახელები,  
აღარ გამეცალა ჩემი გზიდან.  
ვშიშობ, აზროვნება არ ჩავკეტო,  
ვამბობ, იმეორებს თუთიყუშიც,  
სახლშიც მწირი საქმე გავაკეთეთ,  
ერთად მოვადუღეთ ფელამუში.  
ჩვენ კი გაგვიგრძელდა მეგობრობა,  
ნეტავ, წურბელები სად დახტიან,  
ვწუხარ, ზაფხულიც არ შემერგება,  
ეს, დრო, ხელოვნურად ნახატია.

## უნდა შემიწყო

უცნობო შეილო, უნდა შემიწოდო,  
 თუმცა პატიებას მე როგორ ვბედავ.  
 მინდა რომ შენი სუნი შევიგრძნო,  
 რად გაგიმეტე, მოგიკვდეს დედა.  
 დამნაშევე ვარ, დიდი ცოდვილი,  
 მუცელში შეილო, რატომ მოგკალი.  
 ცას რომ ამოვალ აღარ მომივლი,  
 შიშით გამიდის უკვე კანკალი.  
 შენ გოგო იყავ, მითხრა ექიმმა,  
 ველარ გავაჩინე... მკაცრად შევეძახე.  
 ვერ შემაჩერა, უბნის ვექილმა,  
 მიწის გარეშე როგორ დაგმარხე.  
 ვნანობ ახლა და ვნუხარ თან, როგორ,  
 გელაც ხშირ- ხშირად მსაყვედურობდა.  
 შენ იქნებოდი, ლამაზი გოგო,  
 ისეთი დედას სულ, რომ სტუმრობდა.  
 რად გაგიმეტე, დედა მოგიკვდეს,  
 გავიოლე ვითომ ცხოვრება.  
 მოდი დედიკო, ხელი მომკიდე,  
 სიცოცხლე გახდა ამაოება .  
 ექიმი გჭრიდა, ნაწილ- ნაწილად,  
 მტკიოდა მაგრამ, სულ არ ვნანობდი...  
 ვითომ იყავი ქათმის წინილა,  
 ანდა მარცვალი კვლავ, რომ ამოდის.  
 ახლა მად არის შენი ძამიკო,  
 ბრალი არ ააქვს, მას შენთან შეილო.  
 და თუ კი გშივა ლუკმას გაგიყოფს,  
 სასამართლოში მას არ უჩივლო.

ჩემი ბრალია, ვისჯები კიდეც,  
გთხოვ მაპატიე, შვილო, ხომ ვნანობ...  
ახლა მომინდა დედი რომ გზრდიდე,  
ხელში ფაქიზად რომ აგიყვანო.!!!

### ღაბაღება

დავიბადები, როცა ამგს, დაინახავენ...  
ეკლიან ხელებს, სისხლი მოჩქებს, შეუჩერებლად...  
და ვკდები მაშინ, სიძულვილით სხვას რომ მარხავენ,  
ვიღაც ბობოლა, ქვრივს ჩაგრავს და ობოლს ერევა.  
არ არის ის დღე, აუგი ვთქვა, ცუდი ვიფიქრო,  
ის ბრიყვი მტერიც, ზურგის უკან დამილოცნია.  
ანდა შეგპირდეთ, მერე ისევ გადავიფიქრო,  
მე ის არა ვარ, სიცბიერით სხვებს, რომ კოცნიან.  
და ... ვიბადები, როცა ვინმე მწერვალს მიაღწევს,  
ჩემში არასდროს, სიძულვილი არ ისადგურებს...  
უფალი დაგსჯით, ჩემს სახელს, რომ ცუდად მიანერთ,  
კვლავ ტკბილად გეტყვი, ველარავინ გამანადგურებთ.  
ცომი მოვზილე, თორნის პური უნდა დაგიცხოთ,  
გოჭი ტყემალით, მოგართვათ და მოგემსახუროთ.  
გინვევთ სუფრაზე, ბოროტები უნდა გავცხრილო,  
გაჭირვებული, თქვენზე ადრე, მოვინახულო!



## ათი წავია

გემს ვმართავ, მარტო ათი წელია,  
 და არც მყოლია შემშველებელი...  
 კაპიტანობა მართლაც ძნელია,  
 ზვიგენი ცურავს უშველებელი.  
 ერთი რომ იყოს, გაუმკლავდები,  
 იცით ზვიგენი, აბრუნებს გემსაც.  
 ვბრძოლობ, ბრძოლაში არ ჩავფლავდები,  
 ზვიგენმა ჩემი, სისხლიც რომ შესვას.  
 სიღრმით შევედი, მივსერავ ტალღებს,  
 აზრი აღარ აქვს, რომ გამოვბრუნდე...  
 ერთი ზვიგენი, დიდ ხახას ალებს,  
 გემს უფროთხილდები არ გადაბრუნდეს.  
 ზეცას ავხედე, ღმერთო, შენ იცი,  
 უფალი არჩევს, ბოროტს და მართლებს...  
 გაღმა ნაპირზე დელფინი მიცდის,  
 ვიჩქარო თორემ, ზვიგენი დამფლეთს!.



## ჩემი ნაქია

დიდი ნაკლი მაქვს, ძალიან დიდი,  
ბრმა ვარ და ირგვლივ ვერაფერს ვხედავ...  
წლებო, ჩიტივით, რომ გამიფრინდი,  
საყვედურს ახლა, ბოლოს გიბედავ.  
უბეში ვზარდე, ჩიტი ვით შვილი,  
ღინღლიანი და სუსტი, უმწეო...  
სევდის ღრუბლებში გზა გამოვლილი,  
ფრთებ გაუშლელი როგორც უდღეო.  
გავზარდე... ფრთებიც ააფრთხიალა,  
ცოდნა არწივთან მივალეებინე.  
როს მომჯობინდა დამიღრიალა,  
ხელით ფანჯარა გამალეებინა.  
გაფრინდა, ფრინავს სადღაც გადაღმა,  
აღთა მისია, ბალთაც ხანდახან...  
წამოსკუპტემა ჩიტი გულაღმა,  
მგონი მენვევა სახლში ამაღამ.  
ბრმა ვარ და მის ნაკლს ვერ დავინახავ,  
მივიღებ ისე, როგორც სტუმარი,  
ვერაფერს ვიტყვი, რაღაცას, ახალს,  
რადგან ჩიტია ჩემზე უბარი.



**აი, ქახთვეანი**  
(გივი სიხარულიძეს)

საქართველოსთვის, საიმედო, საყრდენო ძალავ,  
სამეგობროში, სიკეთის და იმიდის წყაროვ,  
რა უბრალო ხარ, თან რა დიდი, დასაგმობ კრძალავ,  
თუ ვინმეს ტკივა, შენც გტკივა და ...გული არ ხარობს.  
ხელოვნებაში უბადლო და ნიჭის გენია,  
დიდო კორიფევი, მოყვარულო, ტრადიციების.  
წარსულის დარდი?... ეს ბედისწრის განაჩენია,  
სულით მდიდარო, არ განუხებს ამბიციები!

=====

ღმერთს, შენი სახით, უკვდავება გაუჩენია.

**თქვენ? ბედნიერად...**

ვარდისფერები მქონდა სათვალე,  
ვხედავდი ყველას ლამაზ ფერებში,  
როცა სხეუილი დანით დამთალეს,  
დავრჩი ღრუბლისგან მონაფერები.  
შემომეხვია ეს დალოცვილი,  
ვცდილობ გავექცე, სადღაც შორეთში,  
ნლებიც უკვე ჩანს სულ ჩამოცლილი,  
და თავისთავად ვცურავ მორევში.  
არ დაიჯერონ რომ მე დამახრჩოს,  
წყალმა ან ზღვათა შტორმა ძლიერმა.  
ბედიც შეჩერდეს, აღარ მევაჭროს,  
მე ქარიშხალმა მომაძლიერა.  
თქვენ? ბედნიერად!





### ისევ აოცებხს მივმართავ

ტოტი ვარ, ხმელი წიფელის,  
ბედით დამცვიდა კვირტები.  
ზოგია ლოყებნითელი,  
ზოგი ლამაზი ტიტები.  
ფეხი მეც მთებში ავიდგი,  
ხვანის, ძირულის ნაპირზე,  
გული სავახშმოდ ჩავადგი,  
ვბრაზდები ამ წლის აპრილზე.  
იანვრის სუსხმა მოტეხა,  
ჩემი ბეჟანის სიცოცხლე...  
მთებმა განგაში ატეხა,  
მას შემდეგ როგორ ვიცოცხლე.  
თებრვლმა კი შიგ გულში,  
ნალესი დანა ჩამარტყა...  
გული არ მღერის ზაფხულში,  
სხვა ბევრი რამეც გადამხდა.  
როგორ გაუძლოს გუგულმა,  
ბედმა ეს რატომ დამმართა...  
რომ კვლავ იცოცხლოს ამ გულმა,  
ცას დათა უნდა წავართვა.  
ისევ პოეტებს მივმართავ,  
აკაკის, მუხრანს, ბეჟანის...  
ლექსის ნადიმს რომ გამართავთ,  
გთხოვთ, დათა გამოიცანით.  
თქვენს ლექსებს ის ნაიკითხავს,  
ცა, სულის სამოსახლოა...  
მის საფლვს თუკი იკითხავთ,  
ძირულის პირას ახლოა.

ახლა გამოცდებს აბარებს,  
რომ გაახაროს ხათუნა...  
მას შემდეგ შავებს ატარებს,  
ბედმა წაართვა დათუნა.  
ვიცი სიცოცხლე გრძელდება,  
მარადისობა მად არის,  
დათას არ გაუძნელდება,  
იპოვნა სულთშესაფარი.

### ბეჯია გამოსანა

წუხელი ძილში ვტიროდი,  
აჯობებს ეს უკვე, არ ვთქვა.  
ვბლაოდი, ცას შევყვიროდი,  
სიზმარმა ლამის მშთანთქა.  
ცხადშიც დიდ დარდებს ვატარებ,  
ძილიც არა მაქვს მშვიდი,  
ამასაც კვლავ ბედს ვაბრალებ,  
ვატყობ, გულს გამომშვიგნის.  
გამომელვიძა, ჩიტები,  
სხვადასხვა ენით გალობს,  
ბოლქვად ქცეულან ტიტები,  
სჯობს ჩემად მივითვალო.  
შემოდგომაზე დავთესავ,  
აღალანდება წითლად,  
ვაჩუქებ ყველა ნათესავს,  
ზოგი ფერს იცვლის ყვითლად.  
სიზმარსაც გადავივიწყებ,  
მოვაძლიერებ ყანას,  
იმედი, რომ არ გამიწყვეს,  
ბედია გამოცანა.

## სისკაჰეჟი

დედამინაზე ვისწავლე ენა,  
ავლაპარაკდი ლამაზ ქართულით,  
რა ფაქიზია ეს დედაენა,  
ღმერთის მადლია მასში ჩართული.  
აქ არის, შოთა, ვაჟა, ილია,  
მირზა, ბეჟანი, მუხრანი, ანა,  
ისე კარგია, ისე თბილია,  
არსად არ არის თან ამისთანა.  
მაინტერესებს, სულ ცას შევცქერი...  
ვეფხისტყაოსნის გმირი სად არის,  
სად ინახება ხელით ნანერი,  
ან სად მარხია მეფე თამარი.  
იქნებ ცაშია გმირთა სავანე,  
ცა არის მათი სულის ბაღნარი...  
მე გულისპირი გრძნობით დავნამე,  
და ამოვავსე გრძნობის მარანი.  
ხშირად ცაში ვარ, ლამის სიზმარში,  
სულაც არ არის, იქ მისლა ძნელი,  
მოვხდნი მნათობის ოქროსფერ კარში,  
მთვარემ დამარქვა მე ცისკარელი.



## ჩიტი

ტოტებ-ტოტებ დაფრინავდა ჩიტი,  
 თითქოს ნაღველს უხმოდ ატარებდა...  
 უენოა სიტყვას როგორ იტყვის,  
 ან ვინ იცის, ვინ რას აბარებდა.  
 იქნებ ცაში მალლა იყო ღმერთთან,  
 ინახულა ყველა გარდაცვლილი,  
 რად ფრინავდა ეს ფრინველი ჩემთან,  
 რა გზები აქვს ნეტავ გამოვლილი.  
 პურის ნამცეცს ნაეტანა დაბლა,  
 მერე წყალიც მოსვა უხმაუროდ.  
 არ უნდოდა უკვე არსად წასვლა,  
 შევატყვე, რომ ჩიტი აღარ ხუმრობს.  
 სახლის კარი გამოვალე, მომდევს,  
 შევედი და ისიც კვალში მომყვა.  
 წვიმაა და, ქარში რატომ მოკვდეს,  
 მოვუვლი და ჩიტს არასდროს მოვკლავ.  
 იქნებ სული სახლობს ლამაზ ჩიტში,  
 მოვენატრე, ველარ გაძლო ცაში.  
 არ მექნება აღარაფრის შიში,  
 ჩიტთან ერთად თუ სარეცელს გავშლი!



## ხმენის სახანს ჯამიუაჰმ

ლომისის წმინდა გიორგი,  
დაიფარე საქართველო...  
ეკლიან გზებს დავდიოდი,  
რწმენით იქნებ ვიჯამრთელო.  
იქნებ სული ვალაღობო,  
მტერი უნდა გავაბრუნო,  
მტრის საზღვრები გადავლობო,  
ურემი არ გადაბრუნდეს.  
ამბიციებს თუ მოეშენენ,  
თუ ძმამ, ძმები შეიყვარა,  
ეკლებს მათაც მოვაშორებ,  
სავალ გზას, რომ შეეყარათ.  
მთავარია გული მქონდეს,  
გული თბილი და კეთილი,  
ერი რომ არ განადგურდეს,  
გვაქვს ამისი გაკვეთილი.  
ჩვენი მინა სულ სხვაა და...  
გვწინკნის ყველა გამლეღია,  
ბედისწერა ვწუხ ბრმაა და...  
მასთან ბრძოლა დამლღეღია.  
კარს შევალვებთ, სამოთხისას,  
ზოგი ადრე, ზოგი გვიან,  
იქ დავრჩებით განკითხვისას,  
ვინც წავიდნენ არ მოდიან...  
რწმენით ვანთოთ სანთელი და...  
გავათენოთ, ლოცვით ღამე,  
სული გვქონდეს ჯამრთელი და...  
ბედი ისეც გვითვლის წამებს.

მზე თუ ცაში კვლავ იბრწყინებს,  
 თუ ამოვა, ღამით მთვარე,  
 ღრუბლები ვერ შემაშინებს,  
 რწმენის საბანს დავიფარებ!

### მაინც ახა მჯეხა

მაინც ვერ ვიჯერებ, მწარე რეალობას,  
 მაინც ეჭვის მახრა, გულს მისერავს,  
 ნუთუ ცას იქნები, პურის კალოობას,  
 ნუთუ მზემ გულმკერდზე დაგიკერა.  
 სურათს თვალს,  
 შევავლებ, ცრემლის ნიაღვარით,  
 თვალწინ დამიდგება, შენი სიხალისე...  
 დათა შენ იყავი მხნე და ახოვანი,  
 შენი სტუდენტობა, რატომ არ მაღირსე.  
 ახლა ცაში ნეტავ რა გზას დაადგები,  
 სწავლას გააგრძელებ, თუ მზედ აინთები,  
 მე კი თბილის ქალაქს, ოთახს ვალაგებდი,  
 შენთვის დათა ბიჭო, ღამეს გავათევდი.  
 ახლა, ზეცის სხივებს თვალებს გავაყოლებ,  
 იქნებ დაგინახო, სადმე სხივის ახლოს,  
 როცა დაგიძახებს, დედას გააგონე,  
 აქვე იტრიალე, სკოლის ახლო-მახლო!



## მეჩაბ მიქვაჰის სუჰის შხეშიანება

მიკვირს მერაბი, ისე როგორც, მიკვირს დათასი,  
ისე უბრალოდ, შეეხიზნეთ ზეცის ვარსკვლავებს.  
თქვენაირები არ არიან, ათი-ათასი,  
თქვენაირებით, სევდის ცეცხლი რატომ ბარბალებს.  
მიკვირს მერაბი, მართლაც მიკვირს, კუნთებძლიერო,  
როგორ განიცდის, ბეჟა, საბა და ძმა გიორგი...  
ჰო, და ქართველი, აბა, როგორ გავაძლიერო,  
თქვენნარიები, მზე ჭაბუკნი, ცას მიდიოდით.  
მიკვირს მერაბი, დათაც ცის სახლს შემოესახლა,  
ღიმილა ბიჭებს, შემოგხვიათ მზემან სხივები.  
დათას ღვთის ჯვრები, მთელ სხეულზე გამოესახა,  
მჯერა ერთად ხართ, შეგელევით ერთი პირობით.  
მოაძლიერეთ, გაამხნევეთ თქვენი დედები,  
დათამ ხათუნა, შენ კი მრაბ, ნუნუ – დავითი.  
ვიცი და მჯერა, ზეცა არის სულის ედემი,  
მანც ბიჭებო (გელასავით) – მტკივა, განვიცდი!



## გუჲსო ახ გაბოხტვა

გულო, არ გაბოროტდე, არ გადიქცე ნისლებად,  
 დარდით არ გამორეტდე, შავი გმოსავს ისედაც.  
 მზე სამოსლად მოისხი, მთვარეს სახლში ეწვიე,  
 ციდან ხმები მოისმის, ტოტი ჩამოინიე,  
 ტოტებს ესხას იმედი, წლების თვის და წუთისა,  
 ბედს თუ ბრმად არ მინებდი, გააბრწყინებ შუქითაც...  
 მე ვარ შენი პატრონი, შენ კი ჩემი თილისმა,  
 ბედით კი ხარ ნატორი, აგვატირა ივნისმაც.  
 არა ჩემო ნაისრო, ნატყვიარო, ბევრჯრაც,  
 ტირი?.. სხვა არ დანისლო, დამიჯერე ერთხელაც.  
 განუგეშებ, გავმაგრდეთ, ეკლიან გზას გავწმინდავ...  
 ბედსაც ძალით გავაგდებ, რადგან მისით განვიმდა.  
 ყველა შემოგვეფანტა, დავრჩით მარტოდ მე და შენ,  
 გულო, ნეტავ გვენატრა, უკვდავების ზედაშე.  
 თუმცა ჩემო ძვირფასო, ჩემო, აზრთა გამრიგე,  
 ბევრჯერ გვცემენ ნისკარტს და...  
 კვლავ სიკეთეს ვარიგებთ!





## მე მოვალ მამა

მე მოვალ მამა, მოგეშველები,  
არ გაგრძნობინებ, ჩემს უჩემობას,  
ბედს ისევ სხვაში თუ შევეშლები,  
ღმერთი დაუშვებს განმეორებას.  
მე მოვალ დედი, ჩაგეხუტები,  
შემოგიმშრალე, ცრემლიან თვალებს,  
მხოლოდ დედიკო, ნუ მებუტები,  
ჩემს სიკვდილს უფალს ნუ დააბრალე.  
მე მოვალ დაო, მოვალ და გეტყვი,  
რომ მიმიხედო, დედას და მამას,  
მათი გოდება, სასულეთს ერწყმის,  
თუ დაამშვიდებ, მექცევა წამლად.  
მე მოვალ ბებო, გთხოვ არ იტირო,  
თავს გაუფრთხილდი, ცუდად არ გახდე,  
ჭალვანში ჩასვლა თუ დააპირო,  
არ გამიბრაზდე, იქ, თუ არ დაგხვდე.  
მე მოვალ ბიძა, დათო ბიძია,  
ვიცი უჩემოდ, გაგიჭირდება,,  
ბედისწერაა, ნულარ მიძიგნიან,  
ჩემთვის ზეცაში გააპრილდება.  
მე მოვალ სკოლავ, გახარებული,  
რომ ჩავაბარებ, უფლის გამოცდას,  
თუმცა დედაა, გამწარებული,  
მას საყვედური ღმერთზე წამოცდა.  
მოვალ ბიჭებო, მოვალ ზაფხულში,  
ცის ვარსკვლავი ვარ, ზეციდან გიმზერო...  
როცა ჩამოვალ, მად ჩემს სახლკარში,  
ჩაუქეიფოთ ძირულის პირზე.

ბიცო, როგორ ხარ, ტკბილო ლალიკო,  
 მირზა, მუხრანი, როგორ არიან.  
 ღმერთზე გთხოვთ, კარგი ილაპარაკოთ,  
 გარდაცვლილები ჩემთან არიან.  
 ანგელოზი ვარ, უნდა ირწმუნოთ,  
 ჩემი ვარსკვლავი ცაზე აინთო.  
 არც იტიროთ და არ იწუნუნოთ,  
 ცოცხალი არის თქვენი დათიკო.

### საიღო გავეჩივო?

გულის სისხლი, ეკლის ჩხვლეტით დაიცალა,  
 რა გზა გამოვნახო, აღარ ვიცი.  
 ბედმა უკვე ბერჯერ გამომცადა,  
 მე კი რას განვიცდი, მან რა იცის.  
 მგონი ეს ყინვები არ დალღვება.  
 აღარ იცეკვებენ ტყის ვარდები...  
 წვიმას აღარ აცლი გადაღებას,  
 ზეცავ, ყოველ წამში ავდარდები.  
 მაინც ვებრძოლები გულის ავდარს,  
 მაინც, სიკეთის გზას დავადგები...  
 ნაბიჯს, მრუდე გზაზე არ დავადგამ,  
 ფეხზე ისევ ჩემით წამოვდგები.  
 ისევ გაბრწყინდება, „ათინათი“  
 ამ გზას უნდა გაჰყვეს მომავალი...  
 ჩემი მფარველია, ნინოს ხატი,  
 გული? დარდითაა გამომთვრალი!

**ჩვენს გვიხილთ**  
(ლია პეტრიშვილს)

*ეს, ქალბატონი, საზღვარგარეთ წავიდა  
იმისთვის, რომ დის მკურნალობი-  
სათვის დიდი თანხა ჭირდებოდა.  
დატოვა სამსახური და ახალგაზრდობა  
საქართველოში. მისმა თავგანწირვამ  
შედეგი გამოიღო. და გადარჩა. ესაა,  
გმირობა. არ მეთანხმებით?)*

\* \* \* \* \*

რამდენი გმირი დადის ჩვენს გვერდით  
და ვერა ვხვდებით რაა გმირობა,  
ქართველის ვაზივით ლერწს შეაბერდი,  
და დედმიშვილს მიეც პირობა...  
უნდა იცოცხლო, არ გაგიმეტებ,  
თუნდ რომ

დავკრძალო ახალგაზრდობა,  
უფალი ძალას გამომიმეტებს,  
შენს თავს წავართმევ, უიმედიბას.  
და შენ წახვედი, დაგმე, დატოვე,  
სამსახური და ყველა მიზანი...  
უფალი გიცავს, მარტო არ გტოვებს,  
მე კი პოეტო, გმირად გიცანი.  
გაფრინდნენ წლები, შემოგათოვა,  
შემოგათოვა, დარდის სანუთრომ,  
და გრძნობამ

შენმა, ფიფქით ნათოვლმა,  
სულში ტკივილად არ იფათუროს.  
შენ ხარ სპეტაკი სულის პოეტი,

ლექსით და ყველა შენი ღირსებით...  
 არ ფრენ სხვასავით ვით კაპოეტი,  
 არავის ხოცავ სიტყვის ისრებით.  
 თავდაბალი ხარ თუმცა ძლიერი,  
 კეთილი, სათნო, უსაყვარლესი.  
 ხვთიშობელს გავხარ, სახის იერით,  
 დამცველი შენი არემარესი.  
 თუმცა ბოქლომებს ჟანგი დაედო,  
 აწვიმს და გნატრობს შენი ვარდები...  
 რაც უნდა მადეთ შრომით გაერთო,  
 აქ ხელმეორედ დაიბადები.

### ა ზ ი შ ი ხ ო შ

არ იტიროთ,  
 ქონება, რომ არ გაქვთ,  
 ოქრო- ვერცხლის ნაზი სამკაულები...  
 გქონდეთ გულში, ერთგულების ბარაქა,  
 ხეც არ გინდათ, ათჯერ გადარგულები.

### ნ უ მ კ ი თ ხ უ ჯ ო ბ

დაიღალე? მეკითხები, მელიმება შენს სიტყვებზე,  
 არ ილევა შეკითხვები, ჭკვიანსა და არც ბრიყვებზე.  
 როცა ქმნი და როცა ძერწავ, არასოდეს არ იღლები,  
 გადვიფარებ ზამთრის ზენარს, შრომაში რომ გავილევნი.  
 ნუ მკითხულობ... ძალიან გთხოვ, შეკითხვებით დამასვენე,  
 ქარია და ვატყობ მოთოვს, ჰოდა, სიკვდილს გავასვენებ!...



## სიკეთის ნაცვავაჲ

სიკეთის ნაცვლად, როცა გატკეუნენ,  
გულს, ისეც დაჭრილს ბედით დასერილს,  
მერე სიმაღლეს შენით აღწევენ,  
ჩაგიტარებენ ცოდნის გაკვეთილს.  
სასაცილოა, სხვა რომ არ იყოს,  
უნდა გაჩუმდე, ვითარც თევზები.  
თუ გინდა ოქროდ გადამდნარიყო...  
რად გინდა თვით მზე განაქეზები.  
ისევ დუმილი ჯობია ამ დროს,  
შენი სიმართლე ვის რად სჭირდება,  
საქმე არავის არსდროს ანდო,  
თორემ სიცოცხლე გაგიფრინდება.  
სხვისი გულისთვის ტოტს რომ მოიწევ,  
იმასაც გინდა, ლუკმა რომ ქონდეს...  
უნდა დაფიქრდე, იქნებ ნაიქცე,  
და სულის საზრდო სულ დაგიშორდეს.  
სხვა დროა მართლაც, მე ჭურში მიძინავს,  
სურვილიც არ მაქვს, რომ ამოვიდე...  
რატომ მგონია, მზე სულ იბრწყინავს,  
რად არა ვშიშობ სულ რომ ჩავიდეს?  
ღმერთო მომხედე, რა სპექტაკლია,  
პოეტს როლები რაში ჭირდება...  
ვინმეს ნავართვა? ეგლა მაკლია,  
ურთიერთობა გამიჭირდება.



**ჯჯეს მინდა უფიი ეხვავოს**

დღეს მინდა ფერი ეცვალოს,  
 გულში დარდი, რომ ბუდობს,  
 სიცოცხლე მამინაცვალობს,  
 გახდა ეს წლები უნდო...  
 ვინც მწყევლის ელის შერისხვა,  
 გული მაქვს ნაავადარი.  
 ტოტები ბედმა შემსხვიპა,  
 დავრჩი დარდისგან დამდნარი.  
 დღეს მინდა რომ მოვიცალო,  
 სიყვარულისთვის მხოლოდ...  
 თმის ბენვიც არ ამეცალოს,  
 წლები არ გადიბელოს...  
 იცოცხლოს, მტერმაც იცოცხლოს,  
 ბრმამაც, ყრუმაც და მუნჯმაც,  
 ღმერთს ვთხოვ, სუყველას გიცოცხლოთ,  
 დავითი, ლევან, გუჯა.  
 მათა, ნინო, თამუნა,  
 მზია, ცირა და ეკა...  
 აღარ იფრინოს ღამურამ,  
 ბედი არ იქცეს ეკლად.  
 გახდა სიცოცხლე ნამი და...  
 გადაჯეჯილდა ზეყანა,  
 ასეთი ყოფნა რად მინდა,  
 რომ ტირის ჩემი ქვეყანა.



## შენი იმედი მხოლოდ

შენი იმედით ვცოცხლობ,  
ღმერთო, შენა ხარ ჩემთან...  
ქარმა არ გადამცოცხოს,  
კვლავ, ჩემი სიტყვა მეთქვას...  
შეხედე, შევჭიდებვარ,  
საქმეს მთებზე მალას,  
სიკეთე გადამდებია,  
გულს არ ეტყობა დაღლა.  
შენით ვიშუშებ ჭრილობებს,  
შენ ხარ იმედი ჩემი.  
ქარი კვლავ დამაჭრილობებს,  
დანერა განაჩენი.  
არ უნდა ჩემი სიცოცხლე,  
მიზეზი რაა ნეტა...  
რამდენჯერ გამოვაცოცხლე,  
კვლავ სიძულვილით შეთვრა.  
ღმერთო, იმედათ მოგიხმე,  
რწმენა თანა მაქვს საგზლად...  
ქარი ტოტს ველარ დამირხევს,  
ცად ღრუბლად გაიზლაზნა.



## ჩამოზამთხვება

ჩამოზამთრდება,  
 გაილევა დღეთა სამყარო,  
 ამწვერვალებაც  
 თავისთავად მილულავს თვალებს.  
 მე ჩემს მომავალს,  
 მინდა შრომა , რომ შევაცყვარი,  
 რასაც ვაკეთებ,  
 მადლის წყალში ყოველთვის ვავლებ.  
 გაინაწილეთ,  
 თითითოდ, ნაწილ-- ნაწილად.  
 არ იკამოთოთ,  
 არ დაჯიჯგნოთ, ერთურთს თვალები,  
 მადლით ვიცხოვრე  
 და ცხოვრება გამიადვილდა,  
 გთხოვ არ იხარბოთ,  
 არ ინდომოთ, ფირუზ-ლალეები.  
 თუ კი მოხვედით,  
 გევალებათ , ისე იცხოვროთ,  
 განლილი გზები  
 იყოს სუფთა, გადასარკული,  
 არ მოიპაროთ,  
 სხვისი ლუკმა არ მოინდომოთ,  
 ერთად იმღერეთ,  
 ოროველა, ტკბილი მაყრული.






თქვენს გახეზე



განა მარტო, სიტყვით უნდა მოგეფეროთ,  
ლექსში როგორ ჩავატიო მონატრება,  
როცა გხედავთ, სიცოცხლეც კი ნაირფერობს,  
თქვენთვის, შვილო, ყველაფერი მემეტება.  
სერგი, კახა, ხელოვნების, საფიცარნო  
და გიორგი ზუხბაია, სულის წილო,  
თქვენ სამივე, დილის წმინდა ნამის ცვარნო,  
„ედუჩია“ ძლიერო და მართლაც ტკბილო.  
იქით ჯუბა ლებელი და ეთო, ლელო,  
რუსთავშია, შორენა და ლამზო, ლია,  
თქვენ ხართ ჩემი საფიცარი საქართველო,  
მონატრებით დარდ-დღეები გაილია.  
ბევრი მყავხარხართ, ყველა რაფერ ჩამოგთვალთ,  
გამიმრავლდით, ნაირა და ხათო, მზია,  
ვიშრომით და... მერე ერთად ჩავირთველოთ,  
ჩვენი გული, სიყვარულის დარბაზია.



**უწმინდესი და უნეტარესი,  
საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქი ილია II**

**უნჯა იცოცხაო უწმინდესო**

**აკროსტიხი**

**შ**ენობას ვერ აიტანს ერი,  
**ნ**ექტრის ნამალს გვინილადებ ლოცვით  
**და** ეს გვინდა ისევ ბევრზე ბევრი,  
**ა**ლაგდება გულში გლოვის ბორცვი.

**ი**სფერი გაზაფხულიც მოვა,  
**ც**ა ბობოქრობს, ქარიშხალით მოთქვამს,  
**მ**ცნებებით მე კი ფიქრის თოვას  
**ც**ისკრის დილის იმედებით მოვრთავ.  
**ხ**ვალის დღეთა ვარდ-ბალნარის ეშხით,  
**ლ**ოდინის ხეს ეჟვანს ჩამოვწყვიტავ,  
**მ**მნამსხვრევი სამაჩაბლოს ვერხვს კი

**უ**წმინდესო, რწმენით გამოვკვირტავ.  
**წ**მინდანი ხარ, საგანძური ერის,  
**მ**ამულის და საქართველოს მწყემსი,  
**ი**ქნებ ლოცვით აილაგმოს მტერი,  
**ნ**ატყვიარი მინა წყდება წელში.  
**ღ**ედამინა ჩვენთან შენით ბრუნავს,  
**ე**ნატკბილო, ჩვენო უწმინდესო,  
**ს**აქართველოს განძ-საძვალეს მუდამ  
**მ**, კვლავ მინდა ისევ შენ უმწყემსო.



### მამა გაბხიშაი

მადლი მაფრქვიე, ლექსებად ვიშვი,  
არ მოველოდი მეორედ მოსვლას..  
მამავ,მტკივა და გულს გადაგიშლი  
და როცა გეტყვი, საშველად მოხვალ.  
დაჭრილ გულს ვიცი შემომიშუშებ,  
არ დამტოვ მარტოდ, საჯიჯგნად ქართან,

ჩემს გასათბობად მზეს ჩამოუშვებ,  
რომ არ დავიხრჩო ცრემლების ზღვასთან.  
იმ უხილავი ლაყვარდებიდან,  
ერწყმის „ათინათს“ სიმშვიდის ქნარი,  
ლექს ვქმნი მეორედ დაბადებიდან,  
სამშობლოს გრძნობით გულგადამთრვალი!

## საქსის ქვანი



გელა სხირტლაძე

ჩემო კეთილო შვილო, რა ტკბილი დედაშვილობა გვექონდა, შენთვის შეუძლებელს ვაკეთებდი. მეცხრე წელია, რაც ჩემგან წახვედი და ცათა სასუფეველში დაიდებინა.

ღმერთო, ცრემლში არ დამახრჩო, შემაძლებინე, რომ შევექმნა შვილის უკვდავების ლექსის ძეგლი...

### (აქროსტინი) რეკვიემი

- ჩ — ემო გელა, რა ძალიან მენატრები,  
 ე — ხ! რამდენჯერ დარდის ღამეს ვგვეცაფ...  
 მ — ოგსტირი და... გულში სევდად შემატები,  
 თ — ი, შვილო, კარებს აღარ ვგეტაფ.  
 კ — ოკისპირულ წვიმებსა გაგს, ჩემი ცრემლი,  
 ე — ხლაც მეწვის დანაბოტნი სახე,  
 თ — ბილი სუნთქვა... ხმის ჩურჩული... ყურთან მესმის,  
 ი — მედები ტკივილებმა დახრეს...  
 ლ — ომგულ ვაჟკაცს, ციცქნა გული გქონებია,  
 თ — ხ! მე მტანჯავს მოლოდინის ფიქრი,  
 შ — ენი სახე ცაში ვის მოწონებია...  
 ვ — ინ მოგხიბლა, აქ ოჯახი გიცდის.  
 ი — ქნებ დედავ, ისევ ჩემთან მოსულიყავ,  
 ლ — ოგინიც კი... შენს მხარ-ბეჭებს ეძებს.  
 თ — რმოცი წლის უკვე დიდი კაცი იყავ,  
 რ — ომ იცოდე უშენოდ ვერ შევძლებ.

- ა — მ მოლოდინს ვერ გაუძლებ ჩემო შეილო,
- ბ — ალღას ვგაფარ... აღიღებულს ზღვისას...
- გ — ლღედ მაქციე ბედო, მითხარ სად ვიჩივლო,
- დ — ეღისწერა ჩემნაირი მტრისას...
- ე — მეღები დამეწიწკნა მწარე ბედით,
- ვ — აღის ნაცვლად შემხვდა ქვა და ქვიშა.
- ზ — მ წარსულის სიხარულით როცა ვწვები,
- თ — ეს სიცოცხლე... მაშინ არამიშავს...
- ი — ხლა უკვე ვაგხდი შეილო, ცრემლის ქალი,
- კ — ღეს ვატარე სევდა, დანანებით...
- ქ — ღარ გინდა? რომ დალიო კოდის წყალი?
- ღ — ენი სახლის ნახო აივნები.
- ყ — აზი ყვავის, მის ყვავილში შენს თავს ვხედავ,
- შ — ქვე ვარდიც ცვარით იბანს სახეს...
- ჩ — ურჯი ია, მე დაგიბე ხელით დედა,
- ც — კეანეს ცრემლიც შენით ვნახე.
- ძ — იჭო, ვახო გელოდება, ცას შესცქერის,
- წ — სე სჯერა, შენ რომ ისეგ მოხვალ...
- ჭ — ენაცვალე... შენი ხმითაც ბევრჯერ მღერის...
- ხ — ახო ბევრჯერ ბავშურადაც ოხრავს...
- ყ — ალი ვიყავ, მეპატრონე ნაზი სულის,
- შ — ცნებებიც თავისთავად მქონდა.
- ჩ — აირ-ნაირ ზღვა ფიქრებით შემოსილი,
- ც — ა ახლა კი შეილი დამიშორდა.
- ძ — მ წუთშიაც დარდი მძივად შემოვიხსნი,
- წ — ავი ფერის სამოსელთან ერთად...
- ჭ — რთხელ კიდევ მარნის ღვინო ჩამომისხით,
- ხ — აწვიმარი გული ძლივსლა ფეთქვას.
- ყ — ეგზი თუ ვარ, ცრემლის ზღვას, რომ არ ვშორდები,
- შ — ეღარ ვავშრი ამ ავღრების წვიმით.
- ჩ — მეღებო, კლდიდან ნუ დამიგორდებით,

- ს — ულით ძლიერს, ნუ წამართმევთ ღიმილს.  
 შ — იშით კვდება გულის ავდრის გლოვის ღამე,  
 ე — ხეთქება წვეთი ცრემლის სარკეს.  
 უ — იმედოდ დავრჩი შეილო, მითხარ რამე,  
 ძ — ილისგულა ეს ზამთარი დამკბენს.  
 ლ — ოყას დამწვავეს ყინვის ჭირხლის საფენები,  
 ე — ღიმება ეშმას ამ ჩემს ბედზე...  
 ბ — ეწვის ხიდი გავიარე შესვენებით,  
 ე — რთხელ ცუდი არ მითქვია სხვებზე.  
 ლ — ოცვაც ვთქვი და ჩემი ცოდვაც ვაღიარე,  
 ს — აიღუძლო არა დარჩა ჩემში,  
 ვ — აღმონდილი მტერთან გულით შევიარე,  
 ა — მდროს ბედო, ამომგულე ცრემლში...  
 კ — ოლოებსაც შევახვედრე მადლის პური,  
 ე — კლიან ვარდს აღარ გავეკარე...  
 თ — ებერვალო, უნდა გითხრა საყვედური,  
 ე — ს რამდენი თოვლი მომაყარე...  
 ბ — ედო, ჩემზე ძლიერი ხარ, ვაღიარებ...  
 ღ — ელის გული გადასერე დანით...  
 ძ — მიტომაც უფლის სახლში შევიარე,  
 მ — ოკრძალებით დაუჩოქე ანის...  
 ე — რთი თხოვნა, შემისრულო იქნებ ღმერთო,  
 ო — რმოცი წლის შეიღს დავეძებ, ვსტირი,  
 რ — ამდენჯერმე დარდის ცრემლი, გულს დამერთო,  
 ვ — რთხელ მაინც დამანახე შეილი.  
 წ — ყალი მინდა მივაწოდო ჩემი ხელით,  
 ე — ნაწყლიან ლექსიც მინდა გუთხრა,  
 ლ — ელიანის გასაცელად მინდა ცელი,  
 ი — ქვე უნდა გადავშალო სუფურა...  
 ა — რ სჭირდება, ჩამომძახა ღმერთმა კიდან,  
 რ — ამდენ მშვიერს აქ ააურებს, შრომით...

- ა — ი, შენ კი, გამძლეობით ბედი გცდიდა,
- ბ — ა არ არის შენს ფიქრებთან შორი.
- ჩ — ემი სახლის ხიბლით არის გართული და...
- ე — ფერება მას სამოთხის დასი.
- მ — ოვაგროვე ყველა ერთად კეთილი და...
- გ — ელამ იცის უკვე ჩემი ფასი.
- ა — რ იღარდო, მიუხედე დანატოვრებს,
- ბ — უღარ სტირი, ისევე მადლი თესე...
- წ — ყენას გულში ნურასოდეს დაიტოვებ,
- ა — ჰყვე ისევე ცის ბუნების წესებს.
- ხ — არის კვალში წყალი უფრო სუფთა არის,
- გ — იდრე ზღვის და... მდინარეს და წრამის,
